

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

სალიტერატურო-სამეცნიერო ჟურნალი

წ ა რ ა ლ ე ლ ი



14
2023

მთავარი რედაქტორი: რ მ ვ ა ზ მ ი შ ვ ე ლ ა ძ ე
სარედაქციო კოლეგია: ირაკლი გაბისონია
ჯემალ გახოვიძე
დავით გურგენიძე
ვახტანგ დავითაია
მურმან თავდიშვილი
თამარ კიკნაძე
კარლო კოპალიანი
ჰენრი კუპრაშვილი
კოკა კუტუბიძე
დავით ოქიტაშვილი
ვაჟა პაპასკირი
სოსო სიგუა
(რედაქტორის მოადგილე)
არჩილ ფრანგიშვილი
რუსუდან ქუთათელაძე
ზადრი ცხადაძე
(პასუხისმგებელი მდივანი)
თემურ ჯაგოდნიშვილი
მეუფე ანანია ჯაფარიძე

ყდის დიზაინერი ვ ა ხ ტ ა ნ გ დ ა ვ ი თ ა ი ა
კომპიუტერული უზრუნველყოფა ნანა დუმბაძე

მისამართი: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი კოსტავას 77, VI
კორპუსი, IX სართული, ოთახი 910ა ტელ.: 577 42 54 72; 597 09 21 48;
ვებ-გვერდი: www.jurnali-paraleli.gtu.ge
ISSN 0235-8417; E-mail: jurnali-paraleli@mail.ru

გ თ ა ვ ა ზ ო ბ თ :

პროზა, პოეზია

| | |
|--------------------------------|----|
| რევაზ მიშველაძე – ყაჩაღი | 5 |
| ჟუჟუნა ბებო – ლექსები..... | 12 |
| ნინო დოლიძე – ლექსები..... | 18 |

წერილები

| | |
|---|-----|
| რევაზ მიშველაძე – კიდევ ერთხელ „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტზე | 24 |
| სოსო სიგუა – გოლგოთის გზით | 40 |
| მურმან თავდიშვილი – ანტივიტრაჟები | 47 |
| მურმან თავდიშვილი – რატომ შეიცვალა აზრი დავით რექტორმა? („აბდულმესიანის“ პრობლემის გასაღები)..... | 52 |
| თამარ ბლიაძე – ხელისუფლების კულტურული პოლიტიკის სამარცხვინო ფაქტები..... | 57 |
| ეკა ცხადაძე – მურმან თავდიშვილის ესეიები..... | 91 |
| ბადრი ცხადაძე..... | 96 |
| 1. ენობრივი დეკულტურიზაცია ანუ ავადმყოფი ერი – რა მანძილია „ბედნიერი ერიდან“ „დებილ“ ქართველობამდე? | |
| 2. ერთი წიგნის თავმოსაჭრელი ენობრივი ავან-ჩავანი | |
| ირმა კეცხოველი – საქართველო-რუსეთი პოლიტიკურ სივრცეში და XXI საუკუნე | 115 |
| მურად შონია – ადამიანური ჯერარსის შესახებ..... | 134 |
| ლევან სააკაძე – სავალუტო ურთიერთობები და რისკების მართვა საერთაშორისო ეკონომიკაში | 143 |
| როინ რეხვიაშვილი – გაბრიელ ქიქოძე აზროვნების ფორმებისა და კანტის აპრიორიზმის შესახებ..... | 151 |
| ლია ნახუცრიშვილი – სანთლები რომ აანთო, თავად უნდა ატარებდე გულში ასეთ ცეცხლს | 167 |
| დავით სოლომნიშვილი – კოტე მარჯანიშვილი ქართულ ესტრადაზე | 173 |
| გიული მურადაშვილი – ჩანახატები..... | 176 |
| ნაზი ხანიაშვილი – აფხაზეთის შავკანიანები | 177 |
| გელა ღვინფაძე – წყალი, როგორც-ფენომენი, და მისი როლი ცივილიზაციების დაბადება-განვითარებაში | 181 |

| | |
|---|-----|
| როზა გაფრინდაშვილი – „ჰუმანისტური ფსიქოლოგიის“ არაჰუმანური შედეგები..... | 207 |
| გიორგი ვარდიშვილი – კონფლიქტის ტრანსფორმაციის მხარდაჭერა სამხრეთ კავკასიისა და მოლდოვას რესპუბლიკაში..... | 214 |
| ლაშა ზარგინავა – რუსეთ-უკრაინის ომის დარეგულირების გზები..... | 217 |

საერთაშორისო კონფერენციის თეზისები

| | |
|--|-----|
| ირაკლი გაბისონია – გადასახადისთვის თავის არიდების საგადასახადო და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ხანდაზმულობის ურთიერთთავსებადობა..... | 226 |
| ჯემალ გაბელია – სასამართლო და პოლიტიკური მჭევრმეტყველება..... | 229 |
| დავით ხუფენია – ელიტების რეკრუტირების ინსტიტუციონალური პრობლემატიკა..... | 230 |
| რევაზ მიშველაძე – კულტურა და რუსეთ-უკრაინის ომის რეციდივები..... | 232 |
| სოსო სიგუა – კულტურის როლი აღზრდის პროცესში..... | 237 |
| მურმან თავდიშვილი – ქართული ენა და თანამედროვე მწერლობა..... | 240 |
| თამარ ბლიაძე – ქართული ნოველა და თანამედროვეობის პრობლემები..... | 243 |
| ბადრი ცხადაძე, ამირან ქაშაკაშვილი. ვიკინგების კვალი საქართველოში და ტოპონიმ სიქთარვას ახლებური ეტიმოლოგია..... | 246 |
| ეკა ცხადაძე – კვდომადი და აღდგომადი ღვთაების სახისმეტყველება ქართულ პროზაში..... | 248 |

იუბილე

| | |
|------------------------------------|-----|
| გურამ ქაშაკაშვილი – 90..... | 254 |
| ჯუანშერ ტატიშვილი – 85..... | 255 |
| გივი ინანიშვილი – 85..... | 258 |



რევაზ მიშველაძე

ყაჩაღი

ნოველა

საჭიჭიას ბანკის მესამე ფილიალში ბოროტმოქმედმა მძევლად შვიდი მოქალაქე აიყვანა. შვიდიდან ოთხი ბანკის თანამშრომელი იყო, სამი – მეანაბრე.

ყაჩაღი საშუალოზე მაღალი, მხარბეჭიანი მამაკაცი გახლდათ. თავსახე ელასტიკური შავი ნიღბით დაებურა (თუ გახსოვთ, ფანტომასს რომ აქვს ცნობილ ფილმში), „ბაევიკის“ ფორმა ეცვა, გულის ჯიბეებთან იქით-აქეთ ოთხი ხელყუმბარა უჩანდა ჩოხის ქილებივით ჩამაგრებული, ამერიკული „ბატინკების“ ზემოთ შარვლის მარჯვენა ჯიბესთან ბეზუთის სისტემის გრძელტარიანი დანა ედო. ნაცრისფერხელთათმანიან მარჯვენაში კალაშნიკოვის ავტომატი ეჭირა. ავტომატს დროდადრო, ხმის აწევისას მაღლა შემართავდა ხოლმე.

მძევლებში სამი მამაკაცი ერია, ოთხი, მკითხველს მიხვედრა არ გაუჭირდებოდა, მანდილოსანი ბრძანდებოდა.

– დაჯექით ახლა, ჩემ თვალიწინ, შვიდივე და ხმა არ გავიგონო თქვენი. კაცისმჭამელი რო არ ვარ, ქე ხვდებით, თქვენ თქვენი საქმე გაქვთ და მე ჩემი.

პატარა ფხაკუნი თქვენი მხრიდან და შეხედეთ ამას, დავაჭერ თითს და ცაში აფრინდებით სუყველა. თუ ჭკვიანათ იქნებით, არაფერი მოგივათ.

მძევლები ბეჯითი მოწაფეებით უსმენდნენ.

დრო ისე გადიოდა, როგორც ჩვეულებრივ გადის ხოლმე.

ყაჩაღი უკუსვლით ქუჩაში გასასვლელ კარებს მიუახლოვდა, საიმედოდ ჩარაზა და შემობრუნდა.

– რომელი მეტყვის, რამდენია ფული კასაში თქვენთან.

– ორმოცი ათასი ლარი იქნება, მეტი არა, – სხაპასხუპით მიუგო ბანკის მოლარემ, რომელმაც თავი მაგდა კოშკამედ გააცნო.

– დოლარი?

– დოლარი ათი ათასამდე იქნება, – მცირე ყოყმანის შემდეგ ამოღერდა მაგდამ.

– მოდი შენ აქ, – თავისთან იხმო ბოროტმოქმედმა განაპირას მჯდომი სათვალისანი ახალგაზრდა.

– მე მეუბნებით? – წამოდგა სათვალისანი.

– მოდი ახლოს და გააკეთე, რაც გითხარი.

– კი, ბატონო.
– მობილური ხო გაქვს?
– კი, ბატონო.
– რა გქვია?
– გიგლა.
– გიგლა, მესიჯის გაგზავნა ხომ იცი?

– კი, ბატონო.
ჯიბიდან ქაღალდის ნაგლეჯი ამოიღო და გაუწოდა.

– აქ რაიონის პოლიციის უფროსის ნომერია. გაუგზავნე მესიჯი: „მე ვარ მძევალი. კაცი, რომელმაც შვიდი ადამიანი მძევლად აგვიყვანა, მოითხოვს ერთ მილიონ დოლარს, ხელზე, ნაღდი ანგარიშით, ვერტალიოტს ერთი მფრინავით, „აკეესს“ და კიდო ავტომანქანას, რომელიც ვერტალიოტამდე მიიყვანს. ვადას გაძღვეთ სამ საათსო. თუ ამას არ იზამთ, თქვენ კისერზე იყოს ამ რვა (ჩემიანად) ადამიანის ცოდვა და ბანკის აფეთქების ზარალიო~ – გაიგე გიგლა, რაც გითხარი?!

– კი, ბატონო.
გიგლამ ყაჩაღის ნათქვამი სწრაფად ჩაამესიჯა.

სანამ პოლიციის უფროსი მესიჯს წაიკითხავდა, საჭიჭიაში უკვე იცოდნენ, რომ ბანკის მესამე ფილიალში მძარცველს მძევლად ჰყავდა აყვანილი N რაოდენობის მოქალაქენი და მათი გათავისუფლების სანაცვლოდ N რაოდენობის თანხას ითხოვდა.

ახლომახლო რაიონებიდან საჭიჭიასკენ უკვე მიეშურებოდნენ პოლი-

ციის სპეცრაზმები.

პოლიციელებისათვის ნაბრძანები იყო „საგაგნებო „ეკიპიროვკა“, მაგრამ ათმეთაურები „შემადგენლობას“ მაინც განუმარტავდნენ, ნიღაბი არ გინდათ, მარტო შავი სათვალეები გაიკეთეთო.

ტელევიზიებს საქმე მიეცათ, გააუქმეს ყველა სხვა პროგრამა (მათ შორის „კომედი შოუც“ კი) და შემთხვევის ადგილიდან პირდაპირ გადასცემდნენ, როგორც დიქტორები ამბობდნენ, „მოვლენათა მსვლელობას“.

მოვლენათა მსვლელობა კი, თუ მატყუარა ტელეჟურნალისტებს დავუჯერებთ, ასეთი იყო: კბილებამდე შეიარაღებული ბანდიტი ერთ-ერთი მძევლის მობილურით წამდაუწუმ მოითხოვდა, არც მეტი არც ნაკლები, ერთ მილიონ დოლარს. რაც დრო გადიოდა, მძარცველი უფრო და უფრო აგრესიული ხდებოდა. იგი იმდენად უტიფარი გახლდათ, რომ მძევლებს ადამიანური მოთხოვილების დაკმაყოფილების საშუალებასაც არ აძლევდა. ვითარება უაღრესად დამაბული იყო. თუ ვინმე ხმას ამოიღებდა, ყაჩაღი მიეჭრებოდა და ავტომატის კონდახით სცემდა. თანაც მძევლებს მეთასჯერ განუმარტავდა, თქვენ (ჩემი ჩათვლით) უკვე განწირულებად ითვლებით. ახლა ორი საათია – სამ საათზე „მოწყობილება“ ჩაერთვება და კარგად მეყოლეთო. მძევლები, რომელთაგან სიკვდილი არცერთს არ უნდოდა და ამ უბრალო მიზეზის გამო „მოწყობილობის ამოქმედების“

კატეგორიული წინააღმდეგნი იყვნენ, ტირილ-ვაი-ვიმით გამოხატავდნენ უკმაყოფილებას და არწმუნებდნენ ბოროტმოქმედს, რომ ისინი – კრავივით უცოდველი მოქალაქეები, სიცოცხლის წართმევას არ იმსახურებენ.

ყველა ტელეარხი ერთნაირად უჩვენებდა ბანკის შენობის წინ გაზონებში ჩასაფრებულ უავტომატო პოლიციელებს, ფილიალის კარებთან გამწვრივებულ, ერთმანეთზე მიკრულ, ლამის სუნთქვაშეკრულ ავტომატიან პოლიციელებს და ერთადერთ კოჭლ ქალს, რომელიც ღია კართან მიირბენდა, წამით შეჩერდებოდა და, თითქოს რაღაც გაახსენდაო, უკან, გაზონისკენ გამოიქცეოდა. ტელემაცურებლებს გულწრფელად უკვირდათ, რომ ამკრძალავი ლენტი შემოსაზღვრულ ტერიტორიაზე, სადაც უნებართვოდ ჩიტიც ვერ შეფრინდებოდა, ამ კოჭლ მანდილოსანს არავინ არაფერს უშლიდა.

ეს, რაც შეეხება ჭორიკანა ტელევიზიის პოზიციურ თუ ოპოზიციურ არხებს.

სინამდვილეში კი, უშუალოდ ბანკში, ვითარება სხვაგვარი იყო.

სამი საათი რომ შესრულდა და ასაფეთქებელი მოწყობილობა არ ამოქმედდა, მძევლების შეშლილ-შეძრწუნებულ სახეებს ნელ-ნელა ადამიანური იერი დაუბრუნდა, თვალებში შიში ნაწილობრივ გაუქრათ და მთავარი ის იყო, რომ არცერთ

მათგანს არ უკითხავს: რა ხდება, დაპირებული ბომბი რატომ არ ფეთქდებაო.

– გიკვირთ, ალბათ, რატომ არ დავაჭირე ამ კნოპკას ხელი – სკამზე ჩამოჯდა და ფეხები გამართა ტერორისტმა.

– მაგას რა მიხვედრა უნდა, – დაფიქრებით მიუგო მაგდას გვერდით მოკალათებულმა ლამაზ ყბებზე სწორთმებჩამოშლილმა ქალიშვილმა.

– სწორი ხარ, ჩემო დაიკო, ჯერ ერთი, თქვენ რას გერჩივენ, რა დამიშავეთ, მეორეც, ეს მთავრობა მირჩენს ჩემ ოთხ შვილს, მე რო აღარ ვიქნები?

– რაია თუ იცი, არ გეწყინოს და ნუნუ დეიდა – მოხდენილმა სწორთმებოსანმა გოგომ სავარძელში თავდახრით მჯდომ ჭადაროსან მანდილოსანს მიათითა, – წუხს ძალიან, შაქარი აქვს მაგას და ახლა ნერვიულობისაგან სუნთქვა უჭირს, თუ შეიძლება გაუშვით.

– კი, ბატონო, რაღაი ასეა, წევიდეს.

ქალბატონი ნუნუ ორმა მძევალმა წარმოაყენა.

– თქვენ იჯექით მაქანა. მე გავულებ კარებს. წამოდი დეიდა.

... ათი წუთის შემდეგ ყაჩაღმა ტელეარხებმა მთელ საქართველოს ამცნეს:

„ახლახან მივიღეთ ოპერატიული ინფორმაცია, რაც ადასტურებს, რომ შინაგან საქმეთა ორგანოების გონივრული მოქმედების შედეგად მიღწეულ იქნა შვიდიდან ერთი მძევლის

გათავისუფლება. გათავისუფლებული მძევალი შინ აპირებდა წასვლას, მაგრამ იგი პოლიციაში დასაკითხავად წაიყვანეს“.

ფანჯრებში მეზობელი ცხარასართულიანი შენობის ჩრდილი შემოიპარა.

– თუ შეიძლება, ტელევიზორს ჩავრთავთ, – ქალბატონმა მაგდა კომპემ ჩურჩულზე ოდნავ მეტი ხმით ჩაილაპარაკა, ისე, რომ გვერდით მჯდომთა გარდა მძარცველსაც გაეგონა.

– ჩართეთ, – ნება დართო დაუპატიჟებელმა სტუმარმა.

ქალბატონმა პულტი აიღო და დილაკს თითი დააჭირა.

„ტერორისტის მოთხოვნები არ შეცვლილა. ოპერატიული სამსახური მასთან მოლაპარაკებას აწარმოებს. საქმეში ჩაერთო საიდუმლო პოლიციაც. მძევალთა სიცოცხლის გადარჩენი მიზნით შეიძლება ბოროტმოქმედთან ურთიერთობის კომპრომისული ვარიანტი გამოიძებნოს“, – ჭიკჭიკებდა ყვითელთმიანი, ვარდტუჩება ტელეწამყვანი, რომელმაც ამ ორი კვირის წინათ თავის დაქალს ქმარი წაართვა.

– ერთი შეკითხვა თქვენთან შეიძლება? – გიგლამ ორი თითი ასწია.

ბანდიტმა თავი დაუქნია.

– ბოდიში, თქვენი სახელი არ ვიცო.

– კუკაია დამიძახეთ. ისე, ჩვენს შორის დარჩეს და, ბონდო ვარ მე, მეზუზლა.

– ბატონო ბონდო, ყალბი დოლა-

რიანები რომ მოგიტანონ?

– კუკა დამიძახე თქვა, ხომ გითხარიყენ.

მძევლებმა თავების ასწიეს, როგორც ჩანს, გიგლას მიერ დასმული შეკითხვა ყველას აინტერესებდა.

– გამორიცხულია აქანა ყალბი ფულის მოტანა. ჯერ ერთი, პოლიციამ კარგათ იცის, რომ მე მარტო არა ვარ. მე თუ გადამაგდეს, ჩემს უკან ვინც დგას, იგენი მოთხოვენ პასუხს. მეორეც, თქვენ რომ იცოდეთ, პოლიციას ბანკის ფული ფეხებზე ჰკიდია. რავა ფიქრობთ ახლა თქვენ, სულელი ვარ მე ოთხი შვილის მამა, ოცდათვრამეტი წლის კაცი ამ საქმეზე რომ წამევედი?

– ძუკუს საქმე ძუკუმ იცისო, მეგრელები იტყვიან, ჩაილაპარაკა სავარძელში მჯდომმა ჭილოფისქუდიანმა მძევალმა, რომელსაც ნაცრისფერ კიტელზე გახუნებული ორდენი ჰქონდა მიმაგრებული წარწერით „კავკასიის დაცვისათვის“ და რომელსაც აქამდე ხმა არ ამოუღია.

– იცით, თქვენ პატივცემულებო, ილაჯის გაწყვეტა რას ჰქვია? – განაგრძო კუკამ – მოთმინების ფიალა რო აგევსება. ჭიქაში გამომწვედელი ბუზივით რო ხარ. წასასვლელი რო არსაით გაქ. რუსეთში ვმუშაობდი სლესარათ თერთმეტი წელი. პუტინმა რომ საბარგო თვითმფრინავით ცხვრებივით ფეხზე დამდგრები გადამოგვყარა აეროპორტში, ჯერაც არ დაგვაცალეს, ისე აგვიკრეს გუდანაბადი. ამგენმა კიდო ტყუილ-ტყუილი, ტყუილ-ტყუილი, ტყუილ-ტყუ-

ილი... სანამდე შეიძლება ვალეებით აცხოვრო ცოლ-შვილი კაცმა. ჩვენი პატრონი არავინ აღმოჩნდა. რას ვითხოვდი ბოლოსდაბოლოს; სამუშევარს – მეტს არაფერს, რო ბაღნებისთვის პური მიმეტანა. რავა ფიქრობთ თქვენ ახლა, მიხარია მე აქ ყოფნა? მე ქე ვხედავ, რაც მჭირს, ნუ გემინიყენ თქვენ ნურცერთს, რაის ამფეთქებელი ვარ. თუ გაჭრა ამ ფანდმა და იქეთა მხარეს ერთი კაცი მაინც აღმოჩნდა, ვისაც შევეცოდები, ან ვინც მართლა დეიჯერებს, არიქა არ დახოცოს ამ კბილებამდე შეიარაღებულმა ყაჩაღმა ე პატროსანი ხალხიო, ხო კაი, თუ არადა ჩემი ბოლო კუტუსკაა, რავა, იქანაც ქეა ხალხი.

– ბოვშები? – ვიდაცამ იკითხა.

– დეიზრდებიან, რავარცხა იქნება. უსაშველო ვის გაჩენია. მე მეტი აღარ შემიძლია. დევიდალე. ესაა ჩემი ბოლო შანსი, ა, არ მინდოდა მარა გითხარიყენ ყველაფერი. ახლა რავარც ჭკუამ გაგიჭრათ, ისე მეიქეცით. უკანა კარი, აქეთ, მარჯვნივ, ტუალეტთან, ღიაა. ვისაც გასვლა უნდა, წევიდეს.

სიჩუმე ჩამოწვა.

– ე ანკესი რათ გინდოდა? – იკითხა გიგლამ.

– რა ანკესი?

– ანკესი მინდაო და მილიონი დოლარიო, რომ გამაგზავნიე მესიჯი. კუკას გაეცინა.

– ანკესი კი არა, აკეესი გითხარი, ბიჭო, მართლა ანკესი უმესიჯე? შენ რა გითხარი, ხომ მოკვდებოდნენ პოლიციელები სიცილით. ეს ძველი ავტომატი, ეს უპატრონო, იმსიმძიმეა

ჩამომაწყვიტა მკლავები „1947 წელი აწერია. ეგეე ჩემი არაა, ნანათხოვრები მაქვს.

... ექვსი მძევლიდან მხოლოდ ერთი, ჭილიფისქუდიანი, ჭარმაგი კაცი წამოდგა და ნელი ნაბიჯით გაემართა ბანკის უკანა კარებისკენ.

დანარჩენები ადგილზე დარჩნენ.

ტერორისტი მძევლებზე უფრო დაილალა.

არ ყოფილა ადვილი საქმე ბანკის დაყაჩაღებაო, ნახევრად ხუმრობით ჩაილაპარაკა, მაგრამ ამ ნახევარხუმრობაზე, მხოლოდ თმებდაუთოვებულ, მოხდენილ გოგოს გაელიმა.

– ჩემო დაო, თუ არ გეწყინება, მომიახლოვდი, არ შეგეშინდეს, პატარა სათხოვარი მაქვს შენთან.

ქალიშვილი წამოდგა და ისე თამამად მივიდა ბანდიტთან, რომ მის მიხვრა-მოხვრას შიშის ნატამალიც არ ეტყობოდა.

– დაბრძანდი ჩემ გვერდით.

გოგონა დაჯდა. დაჯდა მტკიცე გადაწყვეტილებით. იმდენად ენდობოდა იგი ბოროტმოქმედს, რომ ეთქვა, გაიხადეო, გაიხდიდა.

ამას ჩემი მიხვედრა მალაპარაკებს. მტკიცებით არაფერს ვამტკიცებ, შეიძლება არც გაეხადა.

– ხელი დამიბუჟდა, – მარცხენა გაუშვირა, – შემიხსენი ერთი შენს გათხოვებას ეს ლეიკოპლასტიკი, ეს უპატრონო.

როცა გოგონამ თხოვნა შეასრულა, დამცემმა მაჯა-თითი აამოძრავა.

– შენ აგაშენა ღმერთმა, არ მევიტყვი სული?

– წავიდე? – ჰკითხა ქალიშვილმა იმგვარი ინტონაციით, რომ თუ უარს ეტყოდნენ, დიდად არ ინაღვლებდა.

- იჯექი, თუ გინდა.
- გოგონამ დარჩენა ამჯობინა.
- გიგლა!
- გიგლა წამოდგა.

– დამიკავე ერთი ეს ავტომატი, გავალ, ხელს გადავიბან.

ავტომატი მოიხსნა და სათვალთან ბიჭს გულ-კისერზე გამოჰკვიდა.

დაბრუნებულს გიგლამ აცნობა, რომ პოლიციის საგუშაგოდან უმესიჯეს: „ცენტრმა გადაწყვიტა, მძეველთა სიცოცხლის შენარჩუნების სანაცვლოდ გადაგიხადოთ ერთი მილიონი დოლარი. თანხმობა დაგვიდასტურეთ. ამასთან ერთად გაცნობებთ, რომ ვერტმფრენის გამოგზავნა არ ხერხდება. შეგვიძლია ოპერატიული მანქანით გაგიყვანოთ ნებისმიერი მიმართულებით მხოლოდ 10 კილომეტრს რადიუსით. ველით პასუხს.“

მესიჯი რომ წაიკითხა, ყაჩაღი კარგა ხანს სდუმდა.

თითქოსდა არც გახარებია, რომ სულ რაღაც ორიოდე საათში ერთ მილიონს სინით მიართმევდნენ.

- რაღაცას მაიმუნობენ მაგენი.
- ვერტალიოტი ჯობდა, რა თქმა უნდა. მაგენის მანქანით ფულის წაღება არ უნდა იყოს მთლად სანდო, – თქვა გიგლამ. თითქოს ამგვარ საქმეებში ჰქონდა ჰიპი მოჭრილი.

მძარცველმა გიგლა განზე გაიყვანა.

– გიკარნახებ მესიჯს.
გიგლამ მობილური მოიმარჯვა.

- მზად ხარ?
- კიე.

– „ამაღამ, თერთმეტ საათზე მოიტანეთ აქანა ფული, რავარც შევთანხმდით, ერთი მილიონი დოლარი. მძევლებს რასაკვირველია, გამოფუშვებ ფულის მიღების მერე. ჩავჯდები თქვენს მაშინაში, ოღონდ ხელყუმბარის კალპაკი მოხსნილი მექნება და თითი დაჭერილი. მაიმუნობის შემთხვევაში პასუხს სიცოცხლით აგებთ. მანქანაში მხოლოდ ორი თანამშრომელი იყვეს შოფრიანათ. გამაგებიეთ პასუხი სასწრაფოთ. ახლავ გეტყვით. მიმიყვანეთ ბერწოულას ხიდამდე. ხიდს რო გადავალთ, დაგემშვიდობებით.“

ტელევიზიით მთელმა ქვეყანამ ნახა შუალამისა როგორ მოიკიდა მილიონით სავსე ზურგანთა ტერორისტმა, როგორ გამოიყვანეს ყუმბარაიანხელშემართული ბანკიდან, როგორ დასვეს ოპერმანქანაში, უკან სავარძელზე (წინ დაბრმანდიო, უთხრეს), მაგრამ ყაჩაღმა უკან დაჯდომა ისურვა და როგორ დაგაზა მძლოლმა ბერწოულის ხიდის მიმართულებით.

რა მისან-ვარდობა სჭირდება იმის მოხვედრას, რომ პოლიციას ბერწოულას ხიდათან „ზარადა“ ჰქონდა მოწყობილი და ყაჩაღ ბონდო მუხუზლას თავის ზურგანითიანად დაიჭერდნენ.

– სულელი ყოფილა ეს კვდარ-

ძალი, თვითონვე რავა მოგვცა ხელში თავისი დასაკლავი დანა. ბერწოულას ხიდთან მიმიყვანეთო, ეს მაინც რამ ათქმევინა, – ხუმრობდნენ ქურდებისა და ყაჩაღების დაჭერაში გამოზრმედილი პოლიციის მუშაკები.

... ფარების შუქზე კურდღელმა გადაირბინა.

გრილი, კუნაპეტი ღამე იყო.

წვიმას აპირებდა.

ბერწოულის ხიდამდე კილომეტრნახევარში ბონდომ მანქანა გააჩერებინა.

ხელყუმბარა პოლიციის სერჟანტს მიაჩეჩა. კნოპკას თითი მაგრად დააჭირეო უთხრა, კარი გააღო და ტყეს მისცა თავი.

დღესაც ამაოდ ეძებენ.

15.X.2022.

თბილისი

ⵔ *ჟუჟუნა ბებო*

გულის დარდი

გულში დარდი, მე მგონია, აღარა მაქვს,
 ახლა, უკვე მემღერება, მეცინება.
 არ გეწყინოს ჩემო შვილო გეხვეწები,
 არც იფიქრო, რომ ტირილი,
 როდესმე დამავიწყდება.
 ტირილისთვის შენ გაწირე, ჩემო ბიჭო,
 სიმღერისთვის გვანცა და ირაკლიმა,
 დარდი გულში, მუდამა მაქვს, დარჩენილი,
 ეს გიორგის ვაჟკაცობას ეწირება.
 სიყვარულში, მხოლოდ, ერთი ქალი მე ვარ,
 არასოდეს სხვისთვის შემომიხედია,
 დავრჩი ქვეყნად ერთი კაცის ამარა და
 სხვა კაცები მხოლოდ ჩემი ძმებია.
 ასე გავლიო ეს ცხოვრება, ლამაზი,
 უსიყვარულოდ, მოფერების გარეშე,
 მაგრამ არ ვნანობ, ავიც კარგიც გადავიტანე,
 რაც, რომ, უფალმა, ჩემმა ბედმა, მე დამაბერტყა.
 მადლობელი ვარ უფლის, ამის შეძლება შევძელი,
 არც ლოგინსა ვარ მიჯაჭვული,
 არც დახმარებას ვინმესა ვთხოვ, გაწვდილი ხელით,
 ორ ცეცხლს შუა, ვარ, ვერაფერს შევცვლი,
 გავლილი, აწმყო, მომავალი, ჩემი დარდია,
 შვილო, გაგზარდე, ჩაგაზარე, დიდო უფალო,
 შენ დაიტოვე იმიტომ, რომ კარგი კაცია,
 არასოდეს არაფერში არ გიღალატებს,
 იმოტომ რომ ჩემი შვილია,
 ყველა მიყვარხართ, შეამაყებით,
 სუყველა ჩემი ახლობელი ხართ,
 ყველანი მიცნობთ, რომ მართალს ამბობს,

და შრომით დადილილი, უბერებელი ჟ. ბებია,
მადლობელი ვარ, რომ ჩემთანა ხართ,
გამიხანგრძლივით სიცოცხლის დღენი,
სიკვდილი ჩემთან რაც ადრე მოვა,
შევეგებები გაწვდილი ხელით.

მოხუცის გასაჭირი

მოხუცს პატივს, რომ არა სცემ
განა ეს თქვენ შეგრჩებათ.
თქვენც ისევე ის მოგელით,
რაც დღეს ჩვენ გვემართება.
ავტობუსში, რომ ავდივართ,
ასვლა აღარ გვაცდიან,
თუ ბილეთი არ ავიღეთ,
დაბლა გადაგვისვრიან.
ახალგაზრდა სკამზე ზის და
მოხუცი დგას ფეხზე,
თვალთ შორეთს იყურება,
მოხუცს კი ვერ ამჩნევს.
სახლში მიხვალ, შენი სიტყვა
არავის ეყურება,
ბებო შენი დარიგება,
დღეს არავინ სჭირდება.
ასე რატომ შეგვიძულეთ,
რას გიშავებთ, ნეტა.
თქვენიც იქნებით ბებიები, ბაბუები
მალე გახდეთ, ნეტავ.
და მიხვდებით როგორია
დამცირება თავის.
ჩვენს შეძენილ სახლ-კარიდან
ვერ გაგვიყვანოთ კარში.
თქვენ ვერაფერს ააშენებთ,
სანამ უფროსს პატივს არ სცემთ,
არც კაცებად ევარგებით,
და ვერც ცოდნას ვედრ მიიღებთ.
ბაბურ, ბებოს, პაპას, უფროსს
გთხოვთ, მოექცეთ წესიერად,

მათ უყვარხართ ძალზე ძან,
გაგამრავლოთ ერთად ყველა.
წყალს ბუნებას გაუფრთხილდით
ხეს ნუ მოჭრით, ბევრი დარგეთ,
გამწვანეთ მინდორ-ველი
ააყვავეთ, ააყვავეთ.
სუფთა ჰაერი ისუნთქეთ
რომ იცოცხოთ, ბევრი წლები,
ჟუჟუ ბებო გენაცვალოთ.
გამიგონეთ ყველაფერი.
გამიგონეთ ყველაფერი.

2018 წ. 15 აგვისტო

ჩემი დიდი დარდი

აქედან შორეთს, რომ წავალ,
თქვენ ყველას კარგად დაგტოვებთ,
არ ვნახო შვილმკვდარი დედა
ამ ლამაზ დედამიწაზე.

დეიდები პირველი მოკვდნენ,
ბედნიერება იქნება,
დედის სიკვდილი, შვილებო,
ო, მხოლოდ შვება იქნება.

იქ შვილს, რომ ჩაეხუტება,
იცით, რა კარგი იქნება.
აქეთ კი დაბრუნებაზე,
არ ეჭირება თვალიო.

იმას არასოდეს ინატრებს,
მათთან მივიდნენ სხვანიო
ამ ლამაზ დედამიწაზე,
თქვენ დარჩით ყველა კარგადა.

ბევრი სვით, ბევრი მიირთვით,
ჩვენც გვინაწილეთ ხანდახან.
ჩვენს სადღეგრძელოს, იცოდეთ,
ბოლომდე უნდა დალევა.

არც გულზე ღვინო დაგვასხათ,
ჩვენთან იქ მაინც, არ მოვა.
დაცლილი ჭიქა, შვილებო,
ჩვენია, სხვაგან არ წავა.

წუთისოფელი ისეა, ზოგს,
ადრე მოსდის სიკვდილი.
ზოგი კი ქალთან ბერდება,
რა არის წუთისოფელი,
ჩიტვივით გაგიფრინდება.

აი, ცუდი შვილი დაგრჩება,
იქ დარდთან გულს წაიღებენ,
ჩვენს შრომას ჩვენი შვილები,
ნეტა, თუ გაუფრთხილდება.

სახლს ბანკი ელის ხედახელ,
ქონებას გარეთ გატანა, გაყიდვა,
ჩვენს ნასახლარზე, შვილებო,
ბალახი აბიბინდება.

თუ კარგი შვილი დაგრჩება,
სახლი არ გაიყიდება,
დარდი თან ხომ არ გაგყვება,
იქ მშვიდი ძილი გექნება.

ჩემი გულის დარღები

ზოგჯერ მგონია, რომ გულში დარდი
აღარ მაქვს, ჩემო დებო და ძმებო;
ისე მიყვარხართ, როგორც მიყვარდით,
ისევ ის დავრჩი – ჟუჟუნა ბებო!

ნუ გეწყინება შენ, ჩემო ბიჭო,
თუ ხან სიცილიც მოსწყდება ბაგეს;
მე შენი თავი რამ დამავიწყოს,
მე ხომ დღედაღამ მოვდივარ მაქეთ.

სიყვარულშიც მარტო ვიყავ, მარტო ვარ;
ვამაყობ, რომ ერთი კაცი მრგებია.
აწ წასული ჩემი ვაჟის სატრფო ვარ,
სხვა კაცები მხოლოდ ჩემი ძმებია!

ასე გაქრ ეს ცხოვრება, ლამაზი,
მე რო გვერდზე უსიტყვოდ ჩამიარა;
შვილმა ორი დამიტოვა მალხაზი,
სანაცვლოდ კი დიდი დამრჩა იარა.

ორი ცეცხლი მწვავს, დანატოვარი:
ერთი თბილია, მეორე – ცხელი;
არც საპყარი ვარ, არც – მათხოვარი,
არც არის ვთხოვ გაწვდილი ხელით.

მის უბედობით რომ ასე ვკვდები,
გასაოცარი სად უნდა იყოს?
ჩემს ამდენ სტუდენტს დილით რომ ვხვდები,
გულის დარდები მიქრება თითქოს.

ქუქუნა ბებოს თხოვნა

ჩემო ტკბილო მეგობრებო,
ჩემო დებო, ჩემო ძმებო,
უნდა გთხოვოთ თავმდაბლურად,
კაცურად და არა მგლურად:
 ბაბუს, ბებოს, ნელის, დაჩის,
 გთხოვთ, მოექცეთ წესიერად,
 რათა ხალხი ხალხად დარჩეს,
 რათა დარჩეს ერი ერად!
წყალს, ბუნებას გაუფრთხილდით,
ხეს ნუ მოჭრით, მხოლოდ დარგეთ;
დამწვანეთ მინდორ-ველი,
აყვავეთ, აყვავეთ!

ვაზი დარგეთ, გთხოვთ ამრავლოთ
ვარდ-ყვავილი, ყველა ფერი,
ჟუჟუ ბებო გენაცვალოთ,
გამიგონეთ ყველაფერი!

ჟუჟუნა ბებოს ანდერძი

როცა აქედან შორს წავალ,
ვეღარ მომწვდება ხმა თქვენი,
თქვენ ყველას კარგად დაგტოვებთ,
ეს იყოს ჩემი სათქმელი:
 ღმერთმა ქნას, აღარ მოუკვდეს
 დედას პირმშო და შობილი,
 ბედნიერებაც ეგ არის
 და განცდაც, კეთილშობილი!
ამ წუთისოფლის სუფრაზე,
რომ არის ასე მდიდარი,
შვილის წინ დედა რომ მოკვდეს,
ბედნიერებაც ის არი!
 რომ მოკვდე, შესანდობარი
 დალიეთ შესამგვანები!
 ჩემთვის ერთს გწირავთ მადლობას,
 შვილისთვის გეთაყვანებით.
ეს არის ჩემი პირობა,
ღარიბი სიტყვით ნაძერწი,
არ დაივიწყოთ, შვილებო,
ჟუჟუნა ბებოს ანდერძი!

ნინო დოლიძე

ლექსები

შრიალებს ფოთოლი,
 შრიალებს, ირხევა,
 ჩურჩულით მიყვება
 გრძელი დღის ზღაპარს.
 მიყვება ფოთოლი
 ხანმოკლე ცხოვრების,
 თავისი ცხოვრების
 პატარა ზღაპარს.

ვუსმენ და თვალები მევსება ცემლებით,
 ფოთოლი ტირილით მიყვება ამბავს,
 მიყვება ფოთოლი ცხოვრებას ხანმოკლეს,
 მიყვება და თვითონ მიჰყვება ტალღას.

გ ა ნ ა ხ ლ ე ბ ა

ვგრძნობ განახლებას და გაბრწყინებას
 ჩემი მშობელი ქართული მიწის,
 მე თითქმის ვხედავ აღორძინებას
 გაუტეხელი ქართული ჯიშის!
 მე ვხედავ მალე, რომ გაბრწყინდება
 და კვლავ აღდგება ერეკლე დიდი,
 დაიზრდებიან ალგეთს ლეკვები,
 და მზე ამოვა იბერის დიდი!

მკვდრეთით აღდგება ჩემი მამული,
 და დედაენა ზოსიმეს დიდი,
 კვლავ გაიბრწყინებს ენა ქართული!
 და საქართველო გახდება დიდი!

ვგრძნობ, რომ დადგება, დადგება ჟამი!
 ფარნავაზ მეფის! ვახტანგის დიდის!
 აღმაშენებლის! მეფე ბაგრატის!
 და შეგვეწევა თამარი დიდი!

და გაიბრწყინებს კვლავ საქართველო!
და ამღერდება სული მედიდი!
და დედა ღმრთისა უფალთან ერთად!
ციდან დაგვლოცავს, ვით დედა დიდი!

მთას

მკაცრი ხარ მთაო,
მაგრამ ხარ კეთილი,
ცივი ხარ მაგრამ,
ხარ გულკეთილი!

მიყვარხარ მთაო,
რადგან ვარ შვილი,
შენი ვარ მთაო,
შენი ღვთის შვილი!... ..

გერგეთის წმ. სამებას!

აღმართული ხარ კლდის წვერზე
გერგეთის წმ. სამებავ!
თითქოს მიილტვი ზეცისკენ
მაგრამ ჩვენი ხარ, ხატებავ!

რა სიყვარული ჰქონია
ქართველსა კაცსა ღმერთისა,
რომ შენ დაგიდგა კლდის წვერზე
საუფლო ტახტრევანია!

თითქოსდა დიდმა ყორანმა
განსაზღვრა შენი ადგილი
ქართველმა გერგეთის წვერზე
უფალს მიაგო პატივი!

და აიტანა კლდის წვერზე
კაცმა სამების მარხილი,
და დააბრძანა მთის კაცმა
სამება დიდი პატივით!

და შვიდი საუკუნეა
ვით პატარძალი სასიძოს
ამაყად ელის – გერგეთის
წმ. სამება იესოს!

ალბათ, მეორედ მოსვლისას
როს მობრძანდება უფალი,
გერგეთის წმ. სამებას
ის დაივანებს ვით ბალდი!

და შეიყრება იქ ყველა,
ყველა კაცი თუ ქალია,
და უფლის საგალობელით,
კვლავ გაბრწყინდება ვარძია!

და აენტება უფლის მზე,
და განათდება ყოველი,
და ღმერთთან ერთად დადგება
მთელი სამყარო ცხოველი!

და გაიხარებს ქართველი
უფალთან ერთად მყოფელი,
და ჩვენთან ერთად ილოცებს
უფლისა დედა მშობელი!

წმინდა ნინოს შემოსვლა საქართველოში

ანდრია, სიმონ, მატათა,
თომა, თადეოზ, ბართლომე,
იბერიაში პირველსა
საუკუნესა გამოჩნდნენ!
და იქადაგეს მათ ქრისტეს
სარწმუნოება და სჯული,
მაგრამ ქართველთა სულეზი,
კერპებსა ჰქონდათ დახშული!
და მაშინ ღვთისა დედამა
თავად ინება ჩამოსვლა
და განემზადა უბიწო
საქართველოსკენ წამოსვლად!

მაგრამ ეუწყა მას ძისგან
რომ მოდიოდა გასვლის დღე,
და იბერიას ანდრია
მას წარეგზავნა თავითვე!
და შემობრძანდა ანდრია
აჭარის მხრიდან ამაყად,
და მოაბრძანა მან ხატი
დედა ღვთისმშობლის ქალაქად!
და დააბრძანა აწყურსა
ხატი ღვთისმშობლის უქმნელი
და იქადაგა მან ქრისტეს
სარწმუნოება სულმქმნელი!
და მერე იყო მატათა
და სხვანი... სიმონ კანანელ,
თომა, ბართლომე, თადეოზ,
და უფლის მოციქულები!
მაგრამ ქართველთა სულები
კერპებსა ჰქონდათ დახშული,
და ქრისტეს წმინდა მოძღვრება,
მათ ვერ მიიღეს გულებით!
მაშინ ღვთისამა დედამა
მის წილხვედრ საქართველოში,
გამოაგზავნა პაწია
ნინო ქალწული, ჯვრით ხელში.

და როს იხილა პატარამ
მცხეთას არმაზის კერპები!
ცრემლით შესთხოვა ღვთისმშობელს
ერს შეწოდდა ღვთის ნებით!
და ნინოს წმინდა ცრემლები
ცაში ავიდა ღმერთთანა—
მცხეთას დაიმსხვრა კერპები—
განთავისუფლდა ქვეყანა!
და განკურნავდა ქართველ ხალხს,
და ასწავლიდა ქრისტეს სჯულს,
და ნინოს წმინდა სახელი
უცებ მოედო ქართლის გულს!
გავიდა წლები და ქალმა
შემოიკრიბა ქვეყანა!
დაიმეგობრა ქართველნი

მათ უფლის მცნება ასწავლა!
განკურნა თვით დედოფალი
და მისი ერთადერთი ძმა,
მაგრამ ქართველთა მეფემან
კერპობა არ მოიშალა!
და ერთხელ როცა ხელმწიფემ
გულში გაივლო ავია,
რათა მოეკლა ქალწული
ქრისტესთან მოუბარია!
თვალთ დაუბნელდა მეფესა,
ნადირობის დროს მთაშია!
მაშინ დაემხო მირიან
მიწაზე საცოდავია!
და ნინოს ჰღმერთსა შეჰვედრა
კვლავ აეხილა თვალია!
როს დაასრულა სიტყვები
მაშინ აღხილა თვალია!
და მეფემ ღმერთსა მადალსა!
ცრემლით შესწირა მადლია!
და მოინათლა იმ დღესა!
ყველა კაცი და ქალია
*გავიდა წლები და ქართლში,
კვლავაც იმპლავრა ეშმაკმა!
კვლავაც გამრავლდა უსჯულო
და გადაგვარდა ქვეყანა!
და მაშინ ღვთისა დედამან
მის წილხვედრ საქართველოში
ასურეთიდან წარგზავნა
ათცამეტ წმიდაი მამა!*

*დღემდეცა საქართველოში
რეკენ ზარები მცხეთაში!
და დღემდე სვეტიცხოველში
დაფლოულ არს ღვთისა კუარტი!.*

აღბათ, მეორედ მოსვლისას
რომ მოზრძანდება უფალი,
სვეტიცხოველში აღდგება
და გაცხადდება ღვთის მადლი!

და სიდონიაც აღდგება,
უფლისა კვართის მფლობელი.
და განათდება დიდებით
დიადი სვერიცხოველი.

და გარდამოვა იმ დღესა
ღვთური ცეცხლი ცხოველი.
უფლის საფლავზე მცხეთაში
სიდონიასთან მყოფელი!

და მოზრძანდება ღვთის დედა,
ჩვენი უფლისა მშობელი.
და საქართველოც აღდგება
უფლისიერი, მყოფელი.

მინაწერი: დაიწერა 2011 წლის 14.08. ავტორისაგან
ნინო დოლიძისაგან, ექიმი-თერაპევტისაგან, რადი-
ოლოგ-ექოსკოპისტისაგან

რევაზ მიშველაძე

კიდევ ერთხელ „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტზე

„ვეფხისტყაოსანზე“ ზრუნვა ჩემი მეცნიერული საქმიანობის მთავარ მიმართულებად მიმაჩნია. სხვადასხვა დროს დავწერე სტატიები: „ვეფხისტყაოსნის მხატვრული ოსტატობა“, „ვეფხისტყაოსნის იუმორი“ და „დიალექტიზმები ვეფხისტყაოსანში“, ხოლო 1987 წლიდან ჟურნალ „კრიტიკაში“ შემოვიღე რუბრიკა „როგორ ვპატრონობთ მარგალიტს“. ყოველ ნომერში ვაქვეყნებდი რეპლიკებს იმის შესახებ, თუ როგორ შერყვნეს რუსთაველის ტექსტი თვითმარქვია ტექსტოლოგებმა. რეპლიკათა ავტორები იყვნენ ლევან სანიკიძე, შოთა ნიშნიანიძე, სოსო სიგუა, მურმან თავდიშვილი და თქვენი მონა-მორჩილი. „კრიტიკის“ პათოსი მიმართული იყო „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი აკადემიური კომისიის წინააღმდეგ, რომელიც პერიოდულად აქვეყნებდა აღმამფოთებელ „შესწორებებს“ რუსთაველის გენიალური პოემისას.

2016 წელს მკითხველმა მიიღო „ვეფხისტყაოსნის“ საიუბილეო გამოცემა, რომელიც რუსთველოლოგიაში შევიდა მურმან თავდიშვილისეული

გამოცემის სახელწოდებით. ეს გახლავთ ყველაზე სრული და ტექსტოლოგიურად სწორი „ვეფხისტყაოსანი“, რაც გამოცემულა ვახტანგ მეექვსის გამოცემიდან დღემდე.

პროფესორმა მურმან თავდიშვილმა განუზომელი ამაგი დასდო რუსთაველის გენიალურ პოემას. მან მოიძია და „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტს დაუბრუნა ცრუმეცნიერთა მიერ სხვადასხვა დროს გამეგებულ-დაფანტული 60 სტროფი. ამასთან ერთად, მეცნიერულად დაასაბუთა და გონიერი მკითხველისათვის უეჭველი გახადა პოემიდან უსამართლოდ ამოღებული პრემიის ორგანული ნაწილი ე. წ. ინდოხატაელთა ამბავი.

მურმან თავდიშვილის წინაშე ურთულესი ამოცანა იდგა. იგი თავის თანამოაზრეებთან ერთად (რომელთა შორისაც არც თუ უკანასკნელი ამ სტატიის ავტორიც იყო) უნდა შებრძოლებოდა ცრუმეცნიერულ მონსტრს „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენ აკადემიურ კომისიას, რომლმაც 1988 წელს გამოსცა თავისი მრავალწლიანი შრომით ნაყოფი – თავიდან ბოლომდე შერყვნილი „ვეფხისტყაო-

სანი“. ხალხური ლექსის პათოსი („წა-
ეკითხათ, ვერა ეგრძნოთ“) სწორედ
რომ ამ კომისიაზე შეიძლება გადა-
რცელებულიყო. თავი რომ გავანებოთ
იმ გარემოებას, რომ „კომისიას“
ზურგს უმაგრებდა ერთ დროს სახე-
ლოვანი საქართველოს მეცნიერებათა
აკადემია, ამ კომისიის წევრები იყვნენ
სწავლულები ქართული ფილოლო-
გიის და საერთოდ მეცნიერებათა აკა-
დემიის შემქმნელთა შორის რომ მოხ-
სენიებოდნენ.

მურმან თავდიშვილი არ შეეპუა
კომისიის განხილვებულ სახელს,
ივარა უძველესი ანტიკური სიბრძნე
(„პლატონი ჩემი მასწავლებელია,
მაგრამ ჭეშმარიტება უფრო ძვირფა-
სია“) და გაბედულად შეუტია ტექ-
სტოლოგებს „ვეფხისტყაოსნის“ გა-
დასარჩენად.

2016 წლის გამოცემის რედკოლე-
გიის წევრი მეც გახლდით და ჩემი
დაჟინებული ცდითაც გასწორდა
რამდენიმე თვალშისაცემი ტექსტო-
ლოგიური ლაფსუსი: მაგალითად:
კომისიისეული „ვგომბ კაცსა აუფო-
სა“ – „ვგომბ კაცსა აუგანსად“, კომი-
სიისეული „გესმის, ჩემი საუბარი...
„გესმას ჩემი ნაუბარი“-თ, კომისიისე-
ული „იგი წახდების, სხვა მოვა“ –
„იგი წავა და სხვა მოვა“-დ და ა. შ.

ამჯერად ყურადღება ერთ გარე-
მოებაზეც უნდა გავამახვილო: პოემა-
ში ვკითხულობთ: „ქაჯთ გაეხარნეს,
ხმამალა იყივლეს იპი-იპია: სიტუა-
ციას არ შეესაბამება და მხატვრულა-
დაც მოიკოჭლებს. მე ვფიქრობ, აქ
სიტყვა „ხმამალა“ სიტაციას არ შე-

ესაბამება და მხატვრულადაც მოი-
კოჭლებს. „ყივილი“ მხოლოდ „ხმა-
მალა“ შეიძლება, „ხმამალა“ იყი-
ვილი“ არ არსებობს, ამიტომაც გადავ-
წყვიტე, „ხმამალა“ შემეცვალა სიტ-
ყვით „შებლტუნვით“. და მივიღეთ
სტრიქონი: „ქაჯთ გაეხარნეს, შეხ-
ლტუნვით იყივლეს „იპი, იპია“. მით
უმეტეს, რომ სიტყვა „შებლტუნვით“
მე ციდან არ მომიკრეფია, იგი „ვეფ-
ხისტყაოსანში“ სხვადასხვა ადგილზე
რამდენჯერმე გვხვდება.

დღეს ვედარავინ დაადგენს „ხმა-
მალა იყივლეს“ გადამწერ-ინტერ-
პოლართა ლაფსუსია თუ თვით ავ-
ტოსაც ასე ეწერა (ბოლოსდაბოლოს
რუსთაველი ღმერთი ხო არ იყო),
მაგრამ ფაქტი ის გახლავთ, რომ
სტრიქონმა უფრო მაღალმხატვრუ-
ლი იერი შეიძინა.

ამით შეთამამებულმა „ვეფხის-
ტყაოსნის“ სრული ტექსტის გამოცე-
მის შემდეგაც არ მოვიშალე ტექსტზე
ჩემებურ-მწერლურ-მეცნიერული დაკ-
ვირვება (უკეთეს რას დავაკვირდე-
ბი).

... და აი, კიდევ ერთი „თავსატე-
ხი“. „ვეფხისტყაოსნის“ ყველა გამო-
ცემაშია: „მოვიდა ჯოგი ნადირთა ან-
გარიშწვდომელი“... აქ „მოვიდა“ არ
მომეწონა. ვისაც უნადირნია, დამე-
თანხმდება, რომ მარეკთა და მეძე-
ბართა ყეფა-გნისით წარმოგდებულ-
დამფრთხალი ნადირი კი არ „მოვა“,
არამედ „მოვარდება“. ამიტომაც ხომ
არ სჯობს „მოვიდა ჯოგი ნადირთა“,
შევცვალოთ ასე: „მოვარდა ჯოგი ნა-
დირთა“...

ამ შემთხვევაში და დაეჭვებული ვარ; პოემის სულმნათ ავტორს იქნებ „მოვარდა ჯოგი ნადირთა“ ეწერა და იგი გადამწერლებმა მათდაუნებურად, მათი ჩანასახოვანი ნიჭის თუ ცოდნის პოზიციიდან „მოვიდა ჯოგი ნადირთა“-თი შეუცვალეს?

ასეა თუ ისე... ღმერთმა განსაჯოს.

მე კი ამ სტატიით „ვეფხისტყაოსნის“ რამდენიმე ჩემეულ „შესწორებას“ შემოგთავაზებთ. მითუმეტეს, რომ მურმან თავდიშვილისეული „ვეფხისტყაოსანი“ მიხერული ტირაჟით გამოიცა და იგი ფართო მკითხველისა თუ გამომცემლებისათვის ხელმიუწვდომელია. ამას ვაკეთებ, იმ აღშფოთებით წაქეზებული, რასაც იწვევს ჩემში უკვდავი პოემის ლამის ყოველთვიური მდიდრულზე მდიდრული გამოცემები „ვეფხისტყაოსნის“ შერყვნილი ტექსტით.

მაშ, რისთვის დაშვრა უნიჭიერი-ესი რუსთაველოლოგი მურმან თავდიშვილი, თუ მისეულ შედარებით სრულყოფილ ტექსტს გამომცემლები გვერდზე გადადებდნენ და ისევ ძველ, დამახინჯებულ „ვეფხისტყაოსანს“ მიაწვდიდნენ მკითხველს?

ასე რომ... წინ მიდევს მურმან თავდიშვილისეული „ვეფხისტყაოსანი“ და გთავაზობთ ჩემეულ შესწორებებს.

რასაკვირველია, არცერთ ამ შესწორებას ჭეშმარიტების პრეტენზია არა აქვს, მაგრამ თუ ასი შენიშვნიდან ათი მაინც გააუმჯობესებს ტექსტის მხატვრულ ღირებულებას და თანაც

„ვეფხისტყაოსნის“ სტილისთვისაც არ იქნება შეუფერებელი, ჩემს მისიას შესრულებულად ჩავთვლი.

შენიშვნების თანამიმდევრობა ასეთი გახლავთ: სტროფის ნომერი შუაში, შემდეგ რუბრიკა „არის“ (სტუ-ს გამომცემლობა, 2016 წ. „შოთა რუსთაველი, „ვეფხისტყაოსანი“) და ქვემოთ რუბრიკის ქვეშ „უნდა იყოს“ – ჩემი მოკრძალებული თვალსაზრისი.

13

არის:

მართ აგრევე მელექსესა. არის: ლექსთა გრძელთა თქმა და ხევა.

უნდა იყოს:

მართ აგრეთვე მელექსესა – ლექსთა გრძელთა თქმა და ხევა.

19

არის:

ჩემი აწ სცანით ყველამან, მას ვაქებ, ვინცა მიქია;

უნდა იყოს:

ჩემი აწ სცანით ყოველმან, მას ვაქებ, ვინცა მიქია;

22

არის:

მით რომე შმაგობს მისისა ვერმიხდომისა წყენითა.

უნდა იყოს:

მით რომე შმაგობს მისისა ვერმიხდომისა წყენითა.

43

არის:

ნუთუ ვით ვპოვო წამალი მე ჩემი

ფერგამქრქალისა!
უნდა იყოს:
ნუთუ მით ვპოვო წამალი მე ჩემი,
ფერგამქრქალისა!

46
არის:
თინათინ მიჰყავს მამასა პირითა მით
ნათელითა.
უნდა იყოს:
თინათინ მოჰყავს მამასა პირითა მით
ნათელითა.

58
არის:
თავსა ზის პირმზე ავთანდილ,
მჭვრეტაგან მოსანდომია.
უნდა იყოს
თავსა ზის პირმზე ავთანდილ,
მჭვრეტაგან მისანდომია.

59
არის:
თქვეს, თუ: „მეფე ცუდსა რასმე გონე-
ბასა ჩავარდნილა.
უნდა იყოს:
თქვეს, თუ: „მეფე ცუდსა რასმე გუნე-
ბასა ჩავარდნილა.

62
არის:
ჩემი ზრახვა სიძუნწისა, ტყუვის,
ვინცა დაიყბედნა,
უნდა იყოს:
ჩემი ზრახვა სიძუნწისა, ტყუის, ვინ-
ცა დაიყბედნა,

70
არის:
ბრძანეთ, ვისროლოთ, ნუ იქო შედ-

რეკილობა-კლებასა,
უნდა იყოს:
ბრძანეთ, ვისროლოთ, ნუ იქთქო
შედრეკილობა-კლებასა,

77
არის:
მოვიდა ჯოგი ნადირთა ანგარიშმი-
უწვდომელი.
უნდა იყოს:
მოვარდა ჯოგი ნადირთა ანგარიშმი-
უწვდომელი.

78
არის:
მიჰხოცდეს და მიისროდეს, მინ-
დორს სისხლთა მიახმიდეს.
უნდა იყოს:
მიჰქროდეს და მიისროდეს, მინ-
დორს სისხლსა მიახმიდეს.

79
არის:
დახოცეს და ამოსწყვიდეს, ცათა
ღმერთი შეარსხეს.
უნდა იყოს:
დახოცეს და ამოსწყვიტეს, ცათა
ღმერთი შეარსხეს.

80
არის:
იგი მინდორი დალიეს, მართ მათგან
განარბენია.
უნდა იყოს:
იგი მინდორი გალიეს, მართ მათგან
განარბენია.

82
არის:
ვისგან ნაკრავნი გვინახვან მხეცნი

ვერ წაღმა წარებით.
უნდა იყოს:
ვისგან ნაკრავნი გვინახავნ მხეცნი
ვერ წაღმა წარებით.

96
არის:
ცხენსა შეჯდა, – მონათამცა საუბარნი
რად იყურნა.
უნდა იყოს:
ცხენსა შეჯდა, – მონათამცა საუბარნი
არ იყურნა.

101
არის:
აგრე კვალწმიდად წახდომა კაცისა,
ვითა დევისა,
უნდა იყოს
აგრე კვალწმიდად წახტომა კაცისა,
ვითა დევისა,

102
არის:
ამად მიყო სიმწართა სიამისა დანავ-
ლლება.
უნდა იყოს:
ამად მიყო სიმწართა სიამისა და-
ნაღვლება.

193
არის:
ასრე რომე ცასა ქვეშე არ დაურჩე, არ
იარა,
უნდა იყოს:
ასრე რომე ცისა ქვეშე არ დაურჩე, არ
იარა,

201
არის:
„დღეთა მეტად ნუ მოჰკვდები, გული

ჩემი ნუ დადნების,
უნდა იყოს:
„დროზე ადრე ნუ მოჰკვდები, გული
ჩემი ნუ დადნების,

205
არის:
ისრითა მოკლის ნადირი, როსტომის
მკვლავუგრძესითა,
უნდა იყოს:
ისრითა მოკლის ქურციკი, როსტო-
მის მკვლავუგრძესითა,

215
არის:
ასრე სუთქმით და ვაებით მით ვართ,
ცრემლისაცა დენით.
უნდა იყოს:
ასრე სუთქმით და ვაებით მით ვართ,
ცრემლისა დადენით.

216
არის:
ჩემმან შედეგმან ტაიჭი მისი მით აქო
ხსენებით.
უნდა იყოს:
ჩემმან შემდეგმან ტაიჭი მისი მით
აქო ხსენებით.

228
არის:
მე იმა ყმისა საკრავად ხრმალსამცა
ვით მივეყვ ნები!
უნდა იყოს:
მე იმა ყმისა საკრავად ხრმალსამცა
ვით მივეცე ნები!

239
არის:
ავთანდილ ახლოს კვლა ნახა სახე მი-

სავე კაცისა,
უნდა იყოს:
ავთანდილ ახლოს კვლა ნახა სახე
იმავე კაცისა,

255

არის:
„ვერ გიცნობ ვინ ხარ, ვის გითხრნე
სიტყვანი მისანდონია?“
უნდა იყოს:
„ვერ გიცნობ ვინ ხარ, ვის გითხრა
სიტყვანი მისანდონია?“

269

არის:
შემოჰყვილა: „არ გელოდე, სად გა-
გექცე, სად წავიდე?“
უნდა იყოს:
ამოჰყვილა: „არ გელოდე, სად გაგექ-
ცე, სად წავიდე?“

272

არის:
თვით თუ არ გითხრობს, არ ითქმის,
არვისგან დაიჯერების,
უნდა იყოს:
თვით თუ არ გითხრობს, არ ითქმის,
არვისგან გაიგონების,

275

არის:
თვით გაიგნოს საქმე მისი, საყვარელ-
სა გაახარო.
უნდა იყოს:
თვით გაიგნოს საქმე მისი, საყვარე-
ლი გაახარო.

303

არის:
ვერ ნახეს შენი ნახული ვერცა ყმა,

ვერცა ბერია:
უნდა იყოს:
ვერ ნახეს შენი მნახველი ვერცა ყმა,
ვერცა ბერია:

307

არის:
რას მაქნევდით, რა გინდოდა, ერთმა-
ნერთსა რათა ვჰგვანდით?
უნდა იყოს:
რას მაქნევდით, რა გინდოდა, ერთმა-
ნერთსა რითა ვჰგვანდით?

315

არის:
მაგრა ჩემსა რა გაიმბობს, გამოჰრილ-
ვარ ასრე თუ რად!
უნდა იყოს:
მაგრა ჩემსა ვინ გაიმბობს, გამოჰ-
რილვარ ასრე თუ რად!

317

არის:
თუ რას სცნობს, ვეჭო ამისგან თქვენ-
სა რასამე ლხენასა,
უნდა იყოს:
თუ რას სცნობს, ვეჭვობ ამისგან
თქვენსა რასამე ლხენასა.

321

არის:
ღმერთმან ერთი რათ აცხოვნოს, თუ
მეორე არ წაწყმიდოს!
უნდა იყოს:
ღმერთმან ერთი რით აცხოვნოს, თუ
მეორე არ წაწყმიდოს!

326

არის:
ჰინდოეთს შვიდთა მეფეთა ყოვლი

კაცი ხართ მცნობელი:
უნდა იყოს:
ჰინდოეთს შვიდი სამეფოს ყოვლი
კაცი ხართ მცნობელი:

339
არის:
საჭურჭლე გასცეს, აივსნეს ლაშქარნი
საბოძვართა.
უნდა იყოს:
საჭურჭლე გასცეს, აავსეს ლაშქარნი
საბოძვართა.

360
არის:
ზღუდედ მოვლიდა ზურმუხტი, ხე
აღვა დარიგებითა
უნდა იყოს:
ზღუდედ მოვლოდა ზურმუხტი, ხე
აღვა დარიგებითა

382
არის:
წიგნსა შევატყვევ, ლამოდა შეყრისა
მოსწრაფებასა;
უნდა იყოს:
წიგნით შევიტყვევ ლამოდა შეყრისა
მოსწრაფებასა;

398
არის:
მით პირი ჩემი გაბროლდა და ღაწვი
გამელალოვდა.
უნდა იყოს:
მით პირი ჩემი გაბროლდა და ღაწვი
გამელალოვდა.

450
არის:
„დიდი მაცო თქვენი ვალი, ჩემგან

ძნელად გარდიხდების,
უნდა იყოს:
„დიდი მაქვსო თქვენი ვალი, ჩემგან
ძნელად გარდიხდების,

456
არის:
განგებაა, დღესცა მომკლავს, ქვემცა
სადა დავემალე?
უნდა იყოს:
თუ ღმერთს უნდის, დღესცა მომ-
კლავს, ქვემცა სადა დავემალე?

459
არის:
მას დღესა ჩემი მეზრძოლი ჩემმანვე
ხრმალმან დაფითა.
უნდა იყოს:
მას დღესა ჩემთან მეზრძოლნი ჩემმა-
ვე ხრმალმან დაფლითა.

481
არის:
მე ხატაელთა მიმუხთლეს, – თუმცა
მათ ეცა ზიანად, –
უნდა იყოს:
მე ხატაელთა მიმუხთლეს, თუმცა
მათ ექცა ზიანად, –

513
არის:
თუცა მიგდის ღვარი ცრემლთა, მაგ-
რა ცუდად არ იდენო.
უნდა იყოს:
თუცა მოგდის ღვარი ცრემლთა, მაგ-
რა ცუდად არ იდენო.

514
არის:
იგი მე მომცენ რიდენი, რომელნი წე-

დან გშვენოდეს.

უნდა იყოს:

იგი მე მომეც რიდენი, რომელნი წე-
დან გშვენოდეს.

523

არის:

რომე მართებს სიხარული, ეგზომიმ-
ცა რა ვიხარე?!

უნდა იყოს:

რომე მართებს სიხარული, ეგზო-
მიმცა რა ვიხარე?!

542

არის:

ვჰკადრე: „რა გკადრო პასუხი მინ
ჩემგან მე უიცისა?“

უნდა იყოს:

ვჰკადრე: „რა გკადრო პასუხი მინ
ჩემგან მე უვიცისა?“

548

არის:

ვა, სოფელო უხანოო, რად ზი სის-
ხლთა ჩემთა ხვრეტად?

უნდა იყოს:

ვა, სოფელო უხანოო, რად ზი სის-
ხლთა ჩემთა ხვრეპად?

566

არის:

ჰირი ბევრჯელ ვიათასე, ლხინი ჩემი
ვაერთხელი.

უნდა იყოს:

ჰირი ბევრჯერ ვიათასე, ლხინი ჩემი
ვაერთხელი.

568

არის:

გარდავიხადოთ ქორწილი, ხამსა ვით

დასა, სრულია.

უნდა იყოს:

გარდავიხადოთ ქორწილი, ხამსა ვით
გვმართებს, სრულია.

570

არის:

შენ აქა ნახე, კმარიან აქა ნახვისა კმა-
ნია,

უნდა იყოს:

შენ აქა ნახე, კმარიან აქა ნახვისა ყმა-
ნია,

574

არის:

ანუ გამწირე, მიტყუე და კვლაცა მო-
იმცთომარე?!

უნდა იყოს:

ანუ გამწირე, მატყუე და კვლაცა მო-
იმცთომარე?!

600

არის:

წმიდისა წყლისა ვერ ნახოს მყინვარე,
ვერცა ლიპია,

უნდა იყოს:

რომ ველარ ნახოს ხმელეთი, ვერცა
მყინვარე ლიპია,

609

არის:

მისნი ვერა ვცნენ ამბავნი ვერცა დრა-
მისა წონანი.

უნდა იყოს:

მისი ვერა ვცნენ ამბავნი ვერცა დრა-
მისა წონანი.

612

არის:

შემოირბევედა ზღვის პირ-პირ, მას

თურმე წყლული სტკიოდა;
უნდა იყოს:
შემოიღებნდა ზღვის პირ-პირ, მას
თურმე წყლული სტკიოდა;

627

არის:
ვუხმობ ყვავთა და ყორანთა, მათ ზე-
და ვაქნევ ხადილსა,
უნდა იყოს:
ვუხმობ ყვავთა და ყორანთა, მათ ზე-
და ვაქნევ სადილსა,

636

არის:
მოიტანნა მხარდაკრულნი ერთმან
ორნი, არ დაყარნა.
უნდა იყოს:
მოიყვანა მხარდაკრულნი ერთან ორ-
ნი, არ დაყარნა.

653

არის:
მაშა, რათგან შეგემეცნე, ამის მეტი
რად რა მინა?
უნდა იყოს:
მაშა, რათგან შეგემეცნე, ამის მეტი
არა მინა!

657

არის:
ჩვენ გავგზავნოთ მენავენი, რომელ-
თაცა კვლა უვლია,
უნდა იყოს:
ჩვენ გავგზავნეთ მენავენი, რომელ-
თაცა კვლა უვლია,

661

არის:
ზღვათა-ნავი და კატარღა, თემ-თე-

მად, გზათა მტკებნელი,
უნდა იყოს:
ზღვათა-ნავი და კატარღა, თემ-თე-
მად, გზათა მტკებნელი,

673

არის:
აწ წადით და მე დამაგდეთ, ეტერე-
ნით თავთა თქვენთა,
უნდა იყოს:
აწ წადით და მე დამაგდეთ, ეპატრო-
ნეთ თავთა თქვენთა,

719

არის:
სხენან სავსენი ლხინითა, ორთავე შე-
სატყვისითა.
უნდა იყოს:
სხედან სავსენი ლხინითა, ორთავე
შესატყვისითა.

725

არის:
იტყვის, „რა ვუთხრა პასუხი მას სან-
თებლისა თნებისა,
უნდა იყოს:
იტყვის, „რა უთხარ პასუხი მას სან-
თებლისა თნებისა,

779

არის:
ვიტყვი, მოვკვდე, არა მგამა, ჩემი
მზეცა თქვენ მოგხვდების!
უნდა იყოს:
ვეტყვი, მოვკვდე, არა მგამა, ჩემი
მზეცა თქვენ მოგხვდების!

828

არის:
გარდამხდეს და შემოვიქცე, აღარ

დამრჩეს გული ავლად,
უნდა იყოს:
გარდამხდეს და შემოვიქცე, აღარ
დამრჩეს ვალი ვალად,

831

არის:
კაცი ჯაბანი რათა სჯობს დიაცსა,
ქსლისა მბეჭველსა?
უნდა იყოს:
კაცი ჯაბანი რითა სჯობს დიაცსა,
ქსლისა მბეჭველსა?

848

არის:
შენ მანდით მესრი ისარსა, ერთიცა
არ ამცილდების,
უნდა იყოს:
შენ მანდით მესვრი ისარსა, ერთიცა
არ ამცილდების,

868

არის:
რა მიეახლის დაბნედად, ვერ ხელ-
ყვის დაძვრად ენისად.
უნდა იყოს:
რა მიეახლის დაბნედად, ვერ ხელ-
ყვის დაძვრად ენისად.

868

არის:
რა გაემართის, არ იცის, მას თუ არ-
ბევდის ცხენი სად.
უნდა იყოს:
რა გაემართის, არ იცის, მას თუ არ-
ბენდის ცხენი სად.

879

არის:
აწ მისი არა არ ვიცი, არ ნახვით, არ

ამბავითა.

უნდა იყოს:

აწ მისი არა ვიცი რა, არ ნახვით, არ
ამბავითა.

887

არის:
მას პაემნამდის მოვიცდი, რაზომცა
გამდის რუები,
უნდა იყოს:
მის პაემნამდის მოვიცდი, რაზომცა
გამდის რუები,

894

არის:
არ ვინანი გარდასრულსა, ბრძენთა
სიტყვა გავაადრო.
უნდა იყოს:
არ ვინანი გარდასრულსა, ბრძენთა
სიტყვა გავაადრო.

904

არის:
მუნ აგრე გულსა უნთებდა ცეცხლი
მცხინვარე, ცხებული.
უნდა იყოს:
მუნ აგრე გულსა უნთებდა ცეცხლი
მცხუნვარე, ცხებული.

906

არის:
ხელითა ცრემლსა უწურავს, თვალთა
ავლებდა სახელსა,
უნდა იყოს:
თვალთაგან ცრემლსა უწურავს, ხელ-
თა ავლებდა სახესა,

919

არის:
მართ გარდაწყვეტით იცოდი, გეტყვი

მართალსა პირასა,
უნდა იყოს:
მართ გარდაწყვეტით იცოდე, გეტყვი
მართალსა პირასა,

919

არის:
დამშლიან ჩემნი კავშირნი, შევრთვი-
ვარ სულთა სირასა.
უნდა იყოს:
დამშლიან ჩემნი კავშირნი, შევრთვი-
ვარ სულთა სირთასა.

924

არის:
სადა ინდონი ბროლ-ვარდსა სარვენ
გიშრისა სართა,
უნდა იყოს:
სადა არაბნი ბროლ-ვარდსა სარვენ
გიშრისა სართა,

953

არის:
ტარიელ ეტყვის: „ჰე დაო, მით ცრემ-
ლი აქა მდინია“,
უნდა იყოს:
ტარიელ ეტყვის: „ჰე დაო, რაც ცრემ-
ლი აქა მდენია“,

960

არის:
ერთმანერთსა გაუგონნეს ფიცნი,
პირველ დანაპირნი.
უნდა იყოს:
ერთმანერთსა მოაგონნეს ფიცნი,
პირველ დანაპირნი.

968

არის:
მისით კითხვით წამოსრულვარ, არ

მთრვალურად, არ მახმურად,
უნდა იყოს:
მისი სიტყვით წამოსრულვარ, არ
მთრვალურად, არ მახმურად,

971

არის:
აქა ქვაბსა მომნახევდი მე, ამბავთა
ყოვლგნით მკრეფსა;
უნდა იყოს:
აქა ქვაბსა მონახავდე მე, ამბავთა
ყოვლგნით მკრეფსა;

985

არის:
იგი ნახნეს დაღრეჯილნი, მზე დაიდ-
რეჯს მისით ღრეჯით.
უნდა იყოს:
იგი ნახნეს დაღრეჯილნი, მზე დაიდ-
რეჯს მათი ღრეჯით.

986

არის:
სად წაიყვან სადაურსა, სად აღუფ-
ხვრი სადათ ძირსა?!
უნდა იყოს:
სად წაიყვან სადაურსა, სად აღუფ-
ხვრი სადით ძირსა?!

1003

არის:
რა ესმოდის მღერა ყმისა, სმენად
მხეცნი მოვიდნიან,
უნდა იყოს:
რა ესმოდის მღერა ყმისა, სმენად
მხეცნი მოვიდნიან,

1005

არის:
ყმა მტირალი სამოცდათ დღე ზღვისა

პირსა მივა გზასა;
უნდა იყოს:
ყმა მტირალი სამოცდაათ დღე ზღვის
პირსა მივა გზასა;

1013

არის:
მინდორს ნახა სპა ლაშქართა და ნა-
დირთა ჰგვანდის მსვრელსა,
უნდა იყოს:
მინდორს ნახა სპა ლაშქართა მუნ ნა-
დირთა ჰგვანდის მსვრელსა,

1035

არის:
მიართვამს და აგრე არჩენს იგი, ერ-
თგან ვერდამდგომი,
უნდა იყოს:
მიართმევს და აგრე არჩენს იგი, ერ-
თგან ვერდამდგომი,

1049

არის:
შესამოსელი შემოსეს დრაჰკნისა ბევ-
რათასისა,
უნდა იყოს:
შესამოსელით შემოსეს დრაჰკნისა
ბევრათასისა,

1076

არის:
განგებაა, არ დავრჩები, ლახვარნია
ჩემთვის მზანი;
უნდა იყოს:
თუ ღმერთს უნდა, არ დავრჩები,
ლახვარნია ჩემთვის მზანი;

1095

არის:
მე სავაჭროსა დავიწყებ, ჩავიცვამ

ჯუბა-ჩობასა;
უნდა იყოს:
მე ვაჭრობასა დავიწყებ, ჩავიცვამ
ჯუბა-ჩობასა;

1109

არის:
ყმა მოვა, მისი მჭვრეტელთა, შუქი
მზედ გაიცადიან,
უნდა იყოს:
ყმა მოვა, მისთა მჭვრეტელთა, შუქი
მზედ გაიცადიან,

1117

არის:
ზოგჯერ უხმის ფატმან მისსა, ზოგ-
ჯერ იყვის ფატმანისსა;
უნდა იყოს:
ზოგჯერ უხმის ფატმანს მისსა, ზოგ-
ჯერ იყვის ფატმანისსა;

1131

არის:
ბინდისფერია სოფელი, ესე თურ
ამად ბინდდების,
უნდა იყოს:
ბინდისფერია სოფელი, უფრო და
უფრო ბინდდების,

1135

არის:
დიაცსა წყენა შეატყვა, ნახა შესვლი-
თა, შე-, ვითა,
უნდა იყოს:
დიაცსა წყენა შეატყო, ნახა შესვლი-
თა, შე-, ვითა,

1149

არის:
დიდროვანითა ტუფითა, მრავლითა,

თანისთანითა.
უნდა იყოს:
დიდროვანითა ტუფითა, მრავლითა,
თანისთანითა.

1163
არის:
მუნ შევიტანენ ხათუნნი იგი, ჩემ თა-
ნა ხლებულნი,
უნდა იყოს:
მუნ შევიყვანენ ხათუნნი იგი, ჩემ თა-
ნა ხლებულნი,

1169
არის:
უკმოვიხაშ კარი, ჩემგან მათი ჭვრეტა
ვერა ცნესა.
უნდა იყოს:
უკუმოვიხშ კარი, ჩემგან მათი ჭვრე-
ტა ვერა ცნესა.

1196
არის:
„არა ვიციო, მიმიშვით!“ – ეს ოდენ
გვითხრა ენითა.
უნდა იყოს:
„არა ვიციო, შემეშვით!“ – ეს ოდენ
გვითხრა ენითა.

1232
არის:
მისცა, უთხრა: „გამომიღეთ, გეაჯები
გულმხურვალი,
უნდა იყოს:
მისცა, უთხრა: „გამაპარეთ, გეაჯები
გულმხურვალი,

1242
არის:
ნეტარძი ვინ სისხლი მისი შემახვრი-

ტა ერთი თასი!
უნდა იყოს:
ნეტარძი ვინ სისხლი მისი შემახვრი-
პა ერთი თასი!

1296
არის:
ფატმან უხმო: „მოდი, მნახე, მარტო
ვარო, თავის წინა“.
უნდა იყოს:
ფატმანს უხმო: „მოდი, მნახე, მარტო
ვარო, თავის წინა“.

1317
არის:
მან მოახსენა: „ვიკადრებ, რასცა ოდენ
ვარ მცებნელი“.
უნდა იყოს:
მან მოახსენა: „გაკადრებ, რასიც ოდენ
ვარ მცნებელი“.

1410
არის:
ორნივ, გმირნი მოყმენი, მამაცობისა
ცნობილნი;
უნდა იყოს:
ორნივ, გმირნი მოყმენი, მამაცობითა
ცნობილნი;

1411
არის:
ნურადინის ქვეყანამდის შეისვიან
მათ უკანა;
უნდა იყოს:
ნურადინის ქვეყანამდის შეისვიან
მას უკანა;

1428
არის:
მოვიდეს, აჩნდა ქალაქი, მცველთა

ვერ დასთვალვიდიან,
უნდა იყოს:
მოვიდეს, დაჩნდა ქალაქი, მცველთა
ვერ დასთვალვიდიან,

1434

არის:
აბჯრითა გავლა არად მჩანს ჭირად,
გატანა ფარისა;
უნდა იყოს:
აბჯრითა გავლა არად მიჩნს ჭირად,
არცა გატანა ფარისა;

1439

არის:
შიგანთა მცველთა მოვიცლი მე უნა-
ხავად ჭირისად.
უნდა იყოს:
შიგანთა მცველთა დავხოცავ მე უნა-
ხავად ჭირისად.

1466

არის:
ზღვათა ქალაქსა დამართეს, თუმცა
გზა მუნით გრძელია,
უნდა იყოს:
ზღვათ ქალაქს გამოემართეს, თუმცა
გზა მუნით გრძელია,

1490

არის:
აწ გაუსრულა ყოველი მან მისი ნაერ-
თგულები.
უნდა იყოს:
აწ გაუსრულდა ყოველი მას მისი ნა-
ერთგულები.

1493

არის:
„რომე ღმერთმან გაგვახარნა, – კურ-

თხეულ არს მის ღმრთება!
უნდა იყოს:
„რომე ღმერთმან გაგვახარნა, – კურ-
თხეულ არს მისი ღმრთება!

1511

არის:
აწ მითხარ, ჩემგან რა გინდა, ანუ რათ
მოგეხმარები?
უნდა იყოს:
აწ მითხარ, ჩემგან რა გინდა, ანუ
რით მოგეხმარები?

1517

არის:
მებრძოლნი თქვენნი მოგესრნენ, არ-
ვინ ჩნდეს მუნ მეომარი.
უნდა იყოს:
მუნ მტერნი თქვენნი მოგესრნენ, არ-
ვინ ჩნდეს მუნ მეომარი.

1519

არის:
ეგრევე მანცა სამისოდ ნახნეს ძალ-
გულნი ძმისანი!
უნდა იყოს:
ეგრევე მანცა სამისოდ ნახოს ძალ-
გულნი ძმისანი!

1531

არის:
ღმერთი კარგსა მოავლინებს, არ ბო-
როტსა არ დაბადებს,
უნდა იყოს:
ღმერთი კარგსა მოავლინებს და ბო-
როტსა არ დაბადებს,

1585

არის:
ფერი ჰკრთა და გაუფიცხა მე და გამო

გულმან კრთომა,
უნდა იყოს:
ფერი ჰკრთა და გაუხშირა მე და გამო
გულმან კრთომა,

1586

არის:
თქვენით ხელითა მეღირსოს მიწათა
შემომყრელობა
უნდა იყოს:
თქვენის ხელითა მეღირსოს მიწათა
შემომყრელობა

1602

არის:
შესთვალა: შენი სიახლე კმა ჩემად
ლხინად ყოველად
უნდა იყოს:
შესთვალა: ყოფნა შენს ახლოს კმა ჩე-
მად ლხინად ყოველად

1606

არის:
არ, დია გინდა დამაგდო, წახვიდე ჩე-
მად მზრახავად!
უნდა იყოს:
აქ, დია გინდა დამაგდო, წახვიდე ჩე-
მად მზრახავად!

1640

არის:
გამოგვიშვნა, წაედითო, არა გვიყო
ყოლა ავი.
უნდა იყოს:
გამოგვიშვა, წაედითო, არა გვიყო ყო-
ლა ავი.

1654

არის:
უმართლე ხარ, ნუ მაცოცხლებ და წა-

მიღონ მკვდარი მე, წა.

უნდა იყოს:
უმართლე ხარ, ნუ მაცოცხლებ, დე
წამიღონ მკვდარი მე, წა.

1658

არის:
ვით ნინეველნი ისხმიდეს თავსა
მტვერსა და ნაცარსა,
უნდა იყოს:
ვით ნინეველნი იყრიდეს თავსა
მტვერსა და ნაცარსა,

1668

არის:
რომე სდის ცრემლი თვალთაგან,
კვლა ცეცხლი უფრო ცხელია,
უნდა იყოს:
რომე სდის ცრემლი თვალთაგან,
კვლა ცეცხლზე უფრო ცხელია,

1670

არის:
მუნა კაცთა ვერ ვხედევდი გაცინე-
ბით, მოღიმართა.
უნდა იყოს:
მუნა კაცთა ვერ ვხედავდი გაცინე-
ბით, მოღიმართა.

1673

არის:
შესამოსლითა დაგაგდე, აწ შაოსანსა
გხედაო.
უნდა იყოს:
წითელ-ყვითლითა დაგაგდე, აწ შაო-
სანსა გხედაო.

1680

არის:
დედოფალმან შეიმოსა, შავი ძაძა აი-

ხადა.
უნდა იყოს:
დედოფალი შეიმოსა, შავი ძაძა აიხა-
და.

1698
არის:
კვლა ფრიდონცა დაეთხოვა: „წავი-
დოთ სახლსა ჩემსა,
უნდა იყოს:
კვლა ფრიდონიც დაეთხოვა: „წავი-
დოთ სახლსა ჩემსა,

1797
არის:
ავთა მქმნელნი დააშინნეს, კრავნი
ცხვართა ვერა სწოვდეს,
უნდა იყოს:
ავთა მქმნელნი დააშინნეს, კრავნი
ცხვართა მშვიდად სწოვდეს.

1708
არის:
ვის გრძლად ჰგონია, მისთვისაც
არის ერთისა წამისა.
უნდა იყოს:

ვის გრძლად ჰგონია, მისთვისაც არის
ერთისა წამისა.

11709
არის:
ესე ამბავი გავლექსე მე მათად საკამა-
თებლად.
უნდა იყოს:
ესე ამბავი გავლექსე მე მათად გულ-
საამებლად.

ავტორის მინაწერი:

კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ ამ შენიშვნებს ვწერ არა საბოლოო ჭეშმარიტების პრეტენზიით (ღმერთმა დამიფაროს), არამედ „ასე ხომ არ აჯობებდას“ მოკრძალებული სურვილით, რაკიღა 850 წლის განმავლობაში რუსთაველის გენიალურმა პოემამ იმდენი გადაამწერის და იმდენი საქმეში ჩაუხედავი გამომცემლის ხელში გამოიარა, რომ რაც უფრო დრო გადის, უფრო და უფრო მწელი ხდება დადგენა, რომელი სტრიქონი (ან ფრაზა) იყო ავტორისეული და რა ჩაამატეს „კეთილის მსურველებმა“.

2022 წელი
თბილისი

სოსო სიგუა

გოღოთის გზით

„გოდების კედელი“. ეს ცნობილი სიმბოლური ხატი მოხმობილია ჩვენში განვითარებული საბედისწერო მოვლენების ასახსნელად და წარმოსადგენად ვრცელ რომანში, რომელიც ეს-ესაა წავიკითხე.

წიგნის ავტორია გიორგი სოსიაშვილი – ცნობილი მეცნიერი და მწერალი, რომლის კალამს ეკუთვნის მრავალი გამოკვლევა, მოთხრობა და ნოველა. მწერალმა დღევანდელ ქაოსურ რეალობაში გამოძებნა თავისი ხაზი, სტილი და პრობლემატიკა. იგი ადრევე დაუპირისპირდა უსაგნო, ხელოვნურ, გამოგონილ თემებს. არჩია, რომ ყოფილიყო მსობლური ტრადიციების ერთგული, ოღონდ მოახდინა მათი მოდერნიზება და მისადაგება დღევანდელი სატკივარისათვის. ამჯერად კი თავისი ცოდან და გამოცდილება მოაქცია ერთ ლოკალში – ეს არის სამაჩაბლოს ტრაგედია.

„გოდების კედელი“ მასშტაბური წიგნია, დაწერილია ელასტიკური სტილით, ნათელი და ბუნებრივი ენით. გამოყვანილი პერსონაჟთა მთელი მასა – სხვადასხვა ეროვნებისა, ასაკისა, მრწამსისა, ბიოგრაფიისა. მათი გაერთიანება მწერალმა შეძლო ასოციაციური კომპოზიციით,

რაც თხრობას ანიჭებს სიმსუბუქეს. ასეთი სტილი ტრადიციული ნარატივის დარღვევაც არის, რათა მოვლენების დინამიკა ადეკვატურად გადმოიცეს – თავად ამღვრეული, მშფოთვარე და არეული დრო აგრძნობინებს ავტორს, თუ რა ფორმას მიმართოს.

ბოლო ოცდაათი წელი, რაც დაიშალა სსრკ-ს იმპერია, ქართველი ხალხი მრავალი პრობლემის წინაშე აღმოჩნდა, რომელთა დაძლევა ან დაძლევის ცდას დიდი მსხვერპლი მოჰყვა. ასეთი ტრაგედიები მწერლობას აძლევს უხვ მასალას, რადგან ეპოქის დრამატიზმი უფრო გამოკვეთს სიუჟეტებს, ადამიანთა ღირსებასა და სიმდაბლეს. მწერალი ამ მოვლენების ფიქსატორია და განმსჯეული.

თავისუფალი პოეტიზებით ბევრი შედეგრი შექმნილა, მაგრამ ჩვენ თვალწინ გვიდგას ტრაგიკული ფაქტები, რაც უკავშირდება ერის ბედსა და პოლიტიკას. ამიტომ უფრო გვიზიდავს დრამატული მოვლენების ასახვა, რომელთაც არ სჭირდება გამოგონება. რეალობის სიმართლე უფრო განამტკიცებს მხატვრულ სიმართლეს, ამიტომ ექნება გიორგი სოსია-

აშვილის წიგნს შესაბამისი მასშტაბის რეზონანსიც.

ჩვეულებრივ, მეცნიერები, რომლებიც გადადიან ლიტერატურაში, ვერ ეძლევიან თავიანთ დარგში მიღებულ ცოდნას. ეს მით უმეტეს ითქმის ისტორიკოსზე. მაგრამ გიორგი სოსიაშვილი არ აღმოჩნდა თავისი სპეციალობის ტყვე. მან ზომიერად, მეტისმეტად მუნწად მოიშველია ისტორიული ფაქტები, ისტორიული სახელები. საერთოდ უარი თქვა დოკუმენტების გამოყენებაზე, რათა მხატვრული თხრობა, სიუჟეტი, ცხოვრებისეული მასალა მსუბუქად ყოფილიყო გადანაწილებული, რათა გამოეხატა ტრაგიკული მოვლენების არსი.

ამ მოვლენებს კი ადამიანები განასახიერებენ, არა მხოლოდ ლიდერები, არამედ – მასის რიგითი წევრებიც.

წიგნს ორი მთავარი პერსონაჟი ჰყავს – აბიათარ და ბაქარ მჭედლიძეები – მკაცრი პაპა და მორჩილი შვილიშვილი.

ერთი წარსულს, ისტორიას გვამცნობს, მეორე აწმყოა – მშფოთვარე ჟამი. მათ გარშემო იკრიბება პერსონაჟების მასა. ესენი არიან მღვდელი ზოსიმე და ანტონი, ებრაელი ტატო, ფერმონი, ქურდი ქაზიმა, ქისტი ჯარაფი, ოსი ბათირა, ჩეჩენი ჯაბრაილი, იოსები, ოსები, ინგუშები, პანკისელები, ჩეჩნები, რუსები. ისინი მონაცვლეობენ ცხადსა და სიზმარში, ციხესა და მონასტერში, წარსულსა და აწმყოში. სდევთ ფათერაკები, და-

პირისპირებანი, სასჯელი, სიკვდილი და მკვლელობა.

ერთმანეთს გადაებმის უამრავი ფაქტი, სახელი, ეპიზოდი, რომელთაც მწერალი აერთიანებს ასოციაციური სიუჟეტით. ეს ერთგვარი ნოველისტური პრინციპია. მაგრამ ეპიზოდები ცალკე თავებად არ არის სახელდებული. ამიტომ ისინი მთლიანი თხრობის მდინარეებში იძირებიან.

წიგნი პირველი პირით არის დაწერილი. დრამატულ ამბებს ჰყვება ბაქარი. პირველი პირითაა გადმოცემული სხვა პერსონაჟთა ნაამბობიც. ასეთი ხერხი დინამიკურია და მოქნილი. ამას ერთვის დიალოგური სტილი. მწერალი ხშირად მიმართავს დიალოგს. ზოგ ეპიზოდს პირდაპირ დიალოგებით იწყება და უმთავრეს შესატყვისად იკვეთება მოქმედება.

ბაქარს მამა აფხაზეთში დაღუპვია. თვადაც აწვალებს ფიქრი თვით-მკვლელობაზე. მაგრამ მკაცრი პაპის გახსენება გადააფიქრებინებს. მოხუცი აბიათარი წვრთნის შვილიშვილს, აცნობს ცხოვრებას, წარსულს უყვება თავის და ქვეყნის თავგადასავალს, ჯუღელის მიერ ოსების დაწიოკების ამბავსაც იხსენებს, მსჯელობს ოსებისა და ქართველების ურთიერთობაზე, იმ კონფლიქტებზე, რაც ადრე ბოლშევიკებმა, ახლა კი რუსებმა გამოიწვიეს. აბიათარის საუბარი ურო მონოლოგია, რომელსაც კონიუნქტურული ელფერიც დაჰკრავს. ასეთივეა კავკასიის ხალხთა მეგობრობის იდეა, რასაც მხარს უჭერდნენ ი. ჭავ-

ჭავჭავიძე, გრ. რობაქიძე, კ. გამსახურ-
დია, ზ. გამსახურდია. ოღონდ ეს არ
იყო, ცხადია, ბოლშევიკური გაგების
ხალხთა ერთიანობა, წარმოქმნილი
როგორც გენეტიკური, ისე კულტურ-
ული ფორმებით.

ეს იდეალია, რომელსაც ამჟღავ-
ნებენ ამ რომანის პერსონაჟებიც –
სხვადასხვა ერის შვილები. ეს ერთი-
ანობა ქმნის ანტირუსულ ბარიერს,
უფრო სწორად – შექმნილია. მაგრამ
კავკასია ერთიანი თამარის შემდეგ
არ ყოფილა, მით უმეტეს, როცა ჩაე-
რია ჯერ ისლამი და შემდეგ – ცა-
რიზმი. მაინც ცნობიერმა უნდა გადა-
ფაროს ველური ინსტინქტების ამბო-
ხი, რომლის უამრავი მაგალითია
ნაჩვენები რომანში.

აბიათარის მსჯელობები, მოგო-
ნებები საინტერესოა. ისინი აყალიბე-
ბენ ყრმა ბაქარის ცნობიერებას. მაგ-
რა, ვფიქრობ სჭირდება კორექტირება
და შეკვეცა, მით უმეტეს, რომ ეპოქის
პანორამის ასეთი გახსენების ხერხი
გამოყენებული აქვთ რევაზ მიშველა-
ძეს და ლადო მრელაშვილს (ბოლო
რომანში).

ზოგი მათგანი შეიძლება ავტორ-
მა დამოუკიდებლად, ცალკე ნოვე-
ლადაც წარმოგვიდგინოს.

აბიათარმა იცხოვრა საბჭოთა მო-
ქალაქის ცხოვრებით, ტანჯვა-წვალე-
ბით. არ დაჰკლებია ციხე, ციხის კომ-
მარი, მკვლელობის ბრალდება და სა-
სიკვდილო განაჩენი, ისევე როგორც
მის ვაჟს ვანოს, ბაქარის მამას. მხო-
ლოდ ერთი სამართლიანი რუსის
მონდომებით გადაურჩნენ დახვრე-

ტას. პაპა აბიათარი გახდა ბაქარის
იდეალი, მის გამზრდელი და გზის
მაჩვენებელი. პაპის გარდაცვალების
შემდეგ მარტოდ შთენილ ბაქარს
ზმანებაში დედა ეცხადება, რომელიც
მას არც უნახავს. ეს იყო გაღწევა დეპ-
რესიის ნისლიდან, მარტოობიდან,
მიუსაფრობიდან, როცა ეჭვიც კი ეპა-
რეობდა, რომ აბიათარი მისი ნამ-
დვილი პაპა იყო. დედის ხილვა და
მისი ძიება სიცოცხლის აზრით ავ-
სებს. მაგრამ უკვე გვიან იყო – მონას-
ტრის ეზოსი შვილს მხოლოდ დედის
საფლავი დახვდა... ამის შემდეგ იწ-
ყება ბაქარის დამოუკიდებელი გზა
ცხოვრებაში, რასაც დრამატიზმს აძ-
ლევს სამაჩაბლოს მოვლენები.

მწერალს თხრობაში შემოჰყავს
ახალი, სხვადასხვა ეროვნების პერ-
სონაჟი. მათ შემოაქვთ განსხვავებუ-
ლი ინფორმაცია, რაც პირველი პი-
რიტ ხორციელდება. არსებითად, ეს
არის ნოველისტური შენაკადი, რო-
მელიც ერთვის ასოციაციურ სიუ-
ჟეტს. მაგ., ერთ-ერთი მათგანი ჩეჩენი
ჯარაფი, მუსლიმანი, პანკისელი ქის-
ტი – მიუხედავად ამისა, ქართველად
რომ მიიჩნევს თავს, რადგან აქ ცხოვ-
რობს.

იგი აფხაზეთის და ჩეჩნეთის
ომის მონაწილეა, სადაც სიკვდილს
ძლივს გადაურჩა. მას აშფოთებს ფიქ-
რი იმაზე, რომ „სასაფლაოდ ქცევას
უპირებენ კავკასიას“.

მასაც ჰყავს თავისი აბიათარი –
ბრძენი ბიძა ხასო, რომელმაც მკაცრი
ტრადიციების აღმსრულებლად გა-
ზარდა.

საინტერესოა ჯარაფის დიალოგი გაბოროტებულ ოსთან.

პერსონაჟებს შემოაქვთ ომის სისასტიკის ახალ-ახალი სურათები. ერთმანეთს უკავშირდება აფხაზეთის, სამაჩაბლოს, ჩეჩნეთის ტრაგედიები. თითქოს გრძნობენ, რომ ამ კომმარის სცენარი სხვაგან დაიწერა. მაგრამ უკვე სისხლია დაღვრილი, დახოცილია ნათესავები და მეგობრები. ამიტომ ფიქრობენ შურისძიებაზე და ყველგან მტერი ელანდებათ (მაგ., აფხაზ-მეგრული თელია, ელიზბარი, მშრამიანი ჩეჩენი). ცხოვრება გოდება და გოლგოთის გზით სვლია. სამაჩაბლოს ამბებს, სისხლიან ისტორიებს უყვება ამირანი ჯარაფსა და ბაქარს. შემდეგ მას ენაცვლებიან კაზიკა და ბათირა, ხასო და ჯაბრაილი და ასე გრძელდება რომანის ასოციაციური ხაზი, ეპიზოდები, სიუჟეტურად რომ ბაქარს უკავშირდება ამ თავად ბაქარი მონაწილეობს. ზოგან ისე გაკრთება დედისა და აბიათარის ლანდები.

რომანის ბევრი ეპიზოდი შთამბეჭდავია და მაღალმხატვრული. მათ უნდა მივაკუთვნოთ შამილისა და ბაისანგურის ისტორია, რომელსაც ბასო უყვება პანკისში ბაქარსაად ჯარაფს. მათთან იხსენიება ქაქუჩა ჩოლოყაშვილიც, 23 თებერვლის ჩინეთის ტრაგედია, ოსების ტრადიციული ორპირობა, ქისტების სიმამაცე და ერთგულება... მთავარი პერსონაჟი ყველა დრამატული მოვლენის ეპიცენტრში ხომ ვერ იქნება. ამიტომ მწერალი ხედვის მასშტაბს აყალი-

ბებს ბაქართან დაკავშირებული ახლობლების მონათხრობებით, ისინი ერთმანეთს უმატებენ ახალ ეპიზოდებს, რაც წარმოგვიდგენს მთლიანი პანორამას. ასეთი ხერხით ნაწილობრივ იჩრდილება მთვარი პერსონაჟი, მაგრამ, სამაგიეროდ, უფრო სრული ხდება დრამატული პერიპეტიები. ეს კი გამართლებულია ავტორის კონცეფციითა და ასოციაციური სიუჟეტით. ასე დროს შეიძლება შრიფტის მოველიებაც, მათი ცვალებადობა. ციხის ამბები ცალკე ისტორიაა. ციხეში ხსდარან აბიათარი, ვანო, ბაქარი ანუ ყველა თაობას მოუწია თავისუფლების აღკვეთამ და შავ სამყაროსთან ნაცნობობამ. ბაქარი რუსებმა დაიჭირეს, ჩეჩენთან მეგობრობის გამო, ტერორისტობა დააბრალე, სცემა გამომძიებელმა, გაამწესეს ტამბოვში. ბაქარმა შური იძია ჯარაფის მოკვლის გამო.

მწერალს კარგად აქვს ნაჩვენები ციხის სისასტიკე, იქაური ბინადარნი. აქაც არის ნაპოვნი ნათელი სხივი, ცალკეული კეთილი ადამიანები (მაგ., ოჯალანი), რუსებს შორისაც კი (მაგ., აფანასიევი). ეს მაშინ, როცა „გოდების კედელი“ რუსების მიზეზით დაერქვა ამ წიგნს.

აი, როგორ მსჯელობს აფანასიევი: „რუსეთში მოვიდა, შეიძლება მოიყვანეს ადამიანთა ჯფუფი ან თაობა გაზარდეს ისეთი, რომლის წარმომადგენლებმა კაცობრიობას რუსი ადამიანი შეაძულა, შეაზიზა“.

წიგნის ერთი ნაწილი ეძღვნება 2008 წლის ტრაგედიას. ამჯერადაც

ავტორი ამოდის მასის უბრალო წევრების ცხოვრებიდან. იგი ხატავს, აჩვენებს, ზოგჯერ განსჯას ჩაურთავს. მაგრამ მთავარია საერთო პანორამა. აგვისტოს ომი იყო მიხეილ სააკაშვილის ყველაზე დიდი შეცდომა, რასაც მოჰყვა სოხუმისა და ცხინვალის ჩამოცილების დაკანონება რუსეთის მიერ. რომანის ავტორი ცხოვრობს სოფელ დიციში, სასაზღვრო პუნქტში. მან უშუალოდ გადაიტანა ომის კომმარტი, ხედავს რუსთა და ოსთა ძალმომრეობას, რომლებიც ყოველდღიურად იტაცებენ ქართულ მიწებს მშვიდობიანობის დროსაც კი. მიუხედავად ამისა, მწერალი არ ავლენს ტენდენციურობას. იგი სწორად სჯის და მართებლ სურათებს გვაცნობს, ზოგჯერ იდეალიზმსიც გადადის და ეძებს ნათელ სხივს იქ, სადაც მხოლოდ სიბნელე სუფევს...

ავტორი ნაწიკვეტ-ნაწიკვეტ, სხვადასხვა ეპიზოდით, სხვადასხვა პერსონაჟის თვალით ასახავს აგვისტოს ომსა და შედეგებს. ისიც მართალია, ოსები რომ ყოფილიყვნენ, რუსები სხვა ხალხს შეუქმნიდნენ კონფლიქტის გამოსაწვევად.

საინტერესოა ბაქარის შეხვედრა ბავშვობი მეგობა ოს ბათირასთან. ისინი ჯერ ტელეფონით ლაპარაკობენ, შემდეგ – მავთულხლართთან ხვდებიან და შემდეგ ოსს გადაჰყავს ქართველი ქართველთაგან დაცლილ სოფლებში. „ომი არ უნდა მომხდარიყო“ – ასეთია რიგითი ოსების აზრი, თუმცა უნდობლობა, რაც მოჰყვა სისხლა და ნგრევას, ვერ დაუძლევი-

ათ. რომანი ბოლო კარი უცხოელის ჩანაწერებია, რომელთაც ეცნობა ბაქარი. ისინი აგვისტოს ომის სურათებია.

სიმბოლურია რომანის ფინალი – ბაქარის ჩასვლა იერუსალიმში, ბავშვობის მეგობრის ებრაელი ტატოს ნახვა. სააჩობლოც ის იერუსალიმია, რომელიც დაკარგეს ქართველებმა. მაგრამ ყველა ბაქარის მსგავსად ცოცხლობს მისი დაბრუნების იმედით და მოლოდინით. ბაქარი ტატოსთან ერთად წვალებით ადის გოლგოთაზე, რომელზეც ჯვარი აჰქონდა მაცხოვარს. აქ არის პაპის – აბიათარის ლანდიც: „იუდას ამბორიც, მეგობართა განდგომაც, დამიცრებაც, სულში ჩაფურთხებაც, წამებაც, გოლგოთას გზაც, ეკლის გვირგვინიც, ჯვარზე დაღურსმევაც... ყველაფერი ღირს ამ ადვილად, ტატო, – მაცხოვრის საფლავზე შესვლის წინ ჩავჩურჩულე – ყველაფერი ამ ადგილის გამო იყო. ჩვენც გვაქვს სადღაც ასეთი ადგილი, რომლის გამოც ვიტყვი, რომ ეკლიანი გზა ამისთვის ღირდა“.

როგორც ამოზდა ზვიად გამსახურდია, ეს იგივე ქართველთა გზაა. დღეს, როცა ყოფით მეტყველებაში, მასმედიასა და ლიტერატურაში ქართულ ენას მოეძალა ბარბარიზმები, ვულგარიზმი, ინგლისური ლექსიკა და კონსტრუქციები, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მწერლის სიტყვას, რომელიც უნდა ეცადოს მშობლიური ფორმების დაცვას.

ამ მხრივ სანიმუშოა გიორგი სოსიაშვილის ენა და სტილი. იგი

წერლს ნათელი, სადა, ხატოვანი ენით, ზომიერად, დიალოგებში იყენებს მასიდან შემოჭრილ ლქსიკასაც, რთა მეტყველება არ იყოს სტერილური, მწიგნობრული. ასეთ დროს თითქო ყურს ჭრის დიალექტიზმი – „ვიყა“, რომელსაც იყენებს არა ერთი, არამედ – რამდენიმე პერსონაჟი. მწერალი ხშირად მიმართავს დიალოგს, მაგრამ, შეიძლება ითქვას, რომ უფრო ეფექტურია, როცა აღწერს საგნებსა და მოვლენებს, აღწერს ისე, რომ წარმოდგენა შევძლოთ.

აქაც იგი რჩება რეალისტური ხატვის ერთგული, რომელსაც განავრცობს ხოლმე ისტორიასა და სიზმრის სამყაროში მოგზაურობით. საგნის ხატი არ იბურება არც ლირიკული ნაკადით, არც ინტელექტუალური განსჯით. მწერალი იცავს სიზუსტეს და ენას არ აქცევს ბარიერად, რათა მოქმედება იოლად აღვიქვათ: „ვიარე, ვიარე, ტუფლები დამეხა, ფეხები დამისისხლიანდა, მუხლები მეკვებოდა. ალლო ისეთი მაქვს ბავშვობიდან, უკან სიბნელეში გზას ადვილად გავიგნებდი. თენდებოდა, მინდორ-მინდორ ავედი სოფელში. ჩემი ძალღი ზედ შემომახტა, წკმუტუნი დაიწყო, ძლივს მოვიშორე. ძან მყავდა შეჩვეული. სახლში შევედი. დედაჩემმა ვერ გაიგო, მის საწოლს დავხედე, დავაშტერდი. ოდნავ აუდ-ჩაუდიოდა მკერდი. ტანისამოსი აკვრიფე, უბეში შოთები ჩავილაგერ და წამოვედი, მაგრამ სად წავსულიყავი. ვახტოს მიტოვებულ სახლში რომ ავსულიყავი, უეჭველი და-

მიჭერდნენ. თავზე დამათენდა“...

თხრობაში საგრძნობი როლი აქვს სიზმარს, რომელიც აკავშირებს ცხადსა და ზმანებას. თითქოს თავად რეალობაც ქანაობს რეალობისა და ილუზიის ზღვარზე. ეს ხერხი ბევრჯერ არის გამოყენებული. მწერალი მას კარგად ფლობს და ეფექტურად იყენებს. ეს ერთგვარი ბუნდოვანების სამოსელიც არის, რათა პოეტურობა შეჰმატოს ტექსტს, თხრობას ჰქონდეს მეტი სიღრმე, იდუმალეობა და მოტივირება.

სიზმარი არაცნობიერი პროცესია. იგი რეალობის ჰიპერტროფული გაგრძელებაა, რომელსაც ხშირად სიმბოლური სახე აქვს. სიზმარი ცალკე ეტიუდია, რომელიც აკავშირებს და ამაგრებს ასოციაციური ეპიზოდებით აგებულ კომპოზიციას, სიუჟეტურ ხაზს. სიზმრით იწყებს ბაქარი დედის ძიებას, როცა გრძნობს უთვისტომობას და ჰგონია, ორმ საიდანღაც არის მოყვანილი. დეპრესია, ეჭვი და ოცნება იქცევა შავად მოსილ ქალად, რომელიც შვილს მიეფერა. ქალმა უთხრა, რომ ღმერთი მონასტერმა აპოვნინა. ეს იმას ნიშნავს, რომ დედის კვალი მონასტრისკენ მიდის.

მართლაც – ბაქარი დედის საფლავს მიაგნებს მონასტრის ეზოში. ბაქარმა როცა გაიგო, რომ ჯარაფი სუსს მოუკლავს, იმ დამეს ესიზმრა აბიათარი – ახალგაზრდა კაცი, ჯაბრაილი და ჯარაფი, სისხლის მდინარეში რომ გადაეშვა. აბიათარი და მისი ძმაცაც არღუნის წყალს გაკყვნენ. ბაქარი მარტო დარჩა, რომელ-

საც მტანჯველი ფაქტი სისხლი მდინარედ წარმოესახა.

შემდეგ ასეთი სიზმარიც ნახა – ვითომ პანკისში ჩავიდა და იქ ჯარაფი დახვდა, თითქოს იგი კი არ მოკლეს, არამედ პანკისში დაბრუნდა. ზოგი სიზმარი დასრულებული მხატვრული ტექსტია, რომელიც ჩამოშლია თხორიბს სტურქტურაში. მათი სიუხვე და სიმძაფრე სამოქმედო იდეად იქცევა (მაგ., ბაქარი სიზმარში დაწერილ წერილს ცხადში აღიდგენს და მიდის მონასტერში, რათა იქ ად-

რესატს გადასცემს)...

საბოლოოდ, მინდა ვთქვა, რომ ეს არის ჩემი პირველი შთაბეჭდილება. წიგნი მრავალ პრობლემას ეხება და წარმოჭრის, გვაცნობს პერსონაჟთა მასას, მათ სისასტიკესა და გულჩვილობას, რაც გადადის ერის ტრადიციასა და გამარჯვების რწმენაში. სიმბოლურად რომ გამოიხატა ბაქარის ასვლით გოლგოთის მთაზე, როგორც ადის ლაშარის გორზე მკერდში დაწდილი ვაჟა-ფშაველას ლუხუმი.

მურმან თავდიშვილი

ანტივიტრაჟები

ხელთ მიპყრია მიხეილ ჭაბაშვილის „უცხო სიტყვათა ლექსიკონი“ და ვცდილობ, ქართულად ვთარგმნო გურამ ბენაშვილის სტატია „ლიტერატურული ვიტრაჟები“ („ცისკარი“, №8, 2012).

სიტყვარში მშვენივრად არის გადმოენებული შემდეგი სიტყვები: **ვიტრაჟი, კონსერვატორი, კონსერვატიზმი, ადეპტი, საკრალური, გალანტურობა, რედუცირებული, ანალიტიკური, რეფლექსიები, სეგმენტი, კონტრაპუნქტი, პათეტიკური ორატორია, ესთეტიკური აურა, ენერგეტიკა, მაგიური კომპოზიცია, მეტაფიზიკური კონცეპტით იმპულსირებული, ელევანტური, გენეზისი, პოსტკლასიციისტური, რიტორიკა, მონუმენტური, პლურალისტური იდეოლოგია, აქტიურობა, ევროპული ონტოლოგიური მსოფლგანცდით მოდელირებული და სხვა (სტატიის პირველი გვერდის ნახევარი, 90), მაგრამ, თუ საიდან ამოიღო და დაისწავლა „პიეტეტი“ და „ნოვაცია“, ვეღარ გავარკვიე. ეტყობა, რომელიღაც სხვა სიტყვარი სდებია წინ და „იქიდამ“ ამოუწერია!**

რა თქმა უნდა, წერილი გაძეგმილია ამგვარი ანტივიტრაჟით, ოღონდ ჯერ მთავარი სატკივარი გავსინჯოთ.

ულოგიკობით პირდაპირ გამაოგნებელია პირველივე წინადადება:

„მსოფლმხედველობრივი თავალსაზრისით გრიგოლ ორბელიანი განსწავლული კონსერვატორია“.

სწორედ ამგვარზე თუ უთქვამთ: სად ერეკლე და სად ჩვენი კონსერვატორიაო!

ადამიანი, შეიძლება, განსწავლული ან განუსწავლელი კონსერვატორი იყოს, ოღონდ ყოველივე ამას მსოფლმხედველობასთან რა კავშირი აქვს?!

მსოფლმხედველობა – ეს არის შეხედულებათა, წარმოდგენათა სისტემა სამყაროსა და მის კანონზომიერებებზე, ბუნებასა და საზოგადოებრივ მოვლენებზე; კაცი, შეიძლება, განსწავლული იყოს და მარქსისტობდეს, ხოლო მეორე განუსწავლელი იყოს და ისიც მარქსისტობდეს; ვხედავთ: მარქსისტობა გახლავთ მსოფლმხედველობა, ხოლო „განსწავლული კონსერვატორი“ არავითარ მსოფლმხედველობას არ გულისხმობს.

მეორე სიბრძნე ღაღადებს:

„იგი ბოლომდე არ წყვეტს კავშირს შორეულ წარსულთანაც კი, არ შეურაცხყოფს მისთვის ესოდენ საკრალურ ეთიკურსა და მორალურ პრინციპებს და ნიადაგ მხურვალე პი-

ეტეტით იმსჭვალემა გარდასული დროჟამის მიმართ ...“

აქ სამი წინადადებაა (სამი აზრია) და სამივე მკაცრად შეურაცხყოფს კრიტიკოსის სახელს.

1. „იგი ბოლომდე არ წყვეტს კავშირს შორეულ წარსულთანაც კი...“

აი, რქუა რუქამ არაკი!

აბა, რომანტიკოსი რისი რომანტიკოსია, თუ შორეული წარსული არ გამოსახა?! განა ელემენტარული ცოდნა არაა იმის გაცხადება, რომ რომანტიკოსის უმთავრესი ნიშანია წარსულის განდიდება, მისი გაიდება?

ეს ხომ ყოველმა მეცხრე-მეათეკლასელმა კარგად იცის? ნუთუ ამის სათქმელად გაისარჯა ჩვენი პროფესორი?

მეორეც, რასა ნიშნავს „ბოლომდე არ წყვეტს კავშირს“? ნუთუ არ იცის, რომ საერთოდ არ წყვეტს?! აქ არავითარი „მაცა-მომიცადე“ არ არსებობს! მაშ, ცნება „ბოლომდე“ ან ქართულის უცოდინარობის, ან რომანტიკოსის არსის შეუცნობლობის მაცნეა.

უფრო სახიზმარეკო მეორე „აზრია“:

2. „არ შეურაცხყოფს მისთვის ესოდენ საკრალურ ეთიკურსა და მორალურ პრინციპებს“.

აქაც რქუა რუქამ დიიდი არაკი!

„მისთვის ესოდენ საკრალური“ ეთიკურ-მორალური პრინციპები ვითომ რად უნდა გაეხადა კილვა-დაცინვის საგნად?! აკი მიგვითითებენ: მისთვის ესოდენ საკრალურიო?!

რა მსჯელობა და ლოგიკაა ეს?

მე აგხსნით, რაც არის.

კაცმა საკუთარი ყაყათი ბარიკადააგო და ახლა იქვე მის დანგრევას ლამობს, რა არის, თავისი გონებრივი სიძლიერე გვარწმუნოს. ეგ არის და მეტი – არაფერი!

3. მესამე „აზრი“ ცნობილი აქსიომის (რომანტიკოსის პირველი ნიშანია წარსულის განდიდება) გადამღერება: „ნიადაგ მხურვალე პიეტეტით იმსჭვალემა გარდასული დროჟამის მიმართ“.

აქ სიახლეა უცხოური და სრულიად არადსაღირალი სიტყვა „პიეტეტი“ და ისიც, რომ მცდარად არის დაწერილი „დროჟამი“. უნდა იყოს დეფისით, ასე: „დრო-ჟამი“.

4. საინტერესოა მეოთხე შეგონებაც.

კრიტიკოსი წერს:

„მისი პოეტური გალანტურობა აღიძვრება რომანტიკული მსოფლგანცდიდან და არა რედუცირებული შინაგანი ბუნებიდან“.

ახლა დააკვირდით:

ზემორელე ორბელიანი მსოფლმხედველობრივად იყო „განსწავლული კონსერვატორი“. ახლა კი მას აღმოაჩნდა რომანტიკული მსოფლგანცდა. ნუ ვიდავებთ იმაზე, რომ ტერმინები „მსოფლმხედველობა“ და „მსოფლგანცდა“ ერთი და იგივე არაა. რა თქმა უნდა, ერთი და იგივეა, თუმცა პირველი სწორი ტერმინია, მეორე – მცდარი.

შემდეგ, რას გვეუბნება ავტორი ახალს? არაფერს! ყოველივე ეს რომ ვთარგმნოთ, გამოგვივა ჩვეულებრივი რამ: რომანტიკოსი ამ მიმართულები-

სათვის დამახასიათებელ ფორმებსა და მხატვრულ საშუალებებს იყენებს.

რაც შეეხება მეორე, აპენდიქსის ჭიასავით გაურკვეველი ფუნქციის მქონე, დანამატს („და არა რედუცირებული შინაგანი ბუნებიდან“), მისი შინაარსის გაგება ჩვენი ცოდნა-გამოცდილების მქონეთ არ ძალუძთ.

„რედუცირებული შინაგანი ბუნების“ კალმოსანი გვიწერს:

„ანალიტიკური თვალი მასში ადამიანურ ვნებათა პოეტურ რეფლექსიებად გარდასახვის უნიკალურ ნიმუშებს აღმოაჩენს“.

ახლა მე ვკითხები ძვირფას მკითხველს: განა კი რომელი ნამდვილი მესიტყვე არაა ამგვარი? ნებისმიერი მოშაირე ამასვე სჩადის. ამიტომაც არის იგი პოეტი. ამადაც დავსძენ: რა თქვა აქ კრიტიკოსმა ისეთი, რაც მხოლოდ ორბელიანისათვის არის დამახასიათებელი და არა, ვთქვათ, გურამიშვილის, გინდა ლეონიძის ან თუნდაც ჩიქოვანისათვის?! ეს ზოგადი ფორმულა შეიძლება მივუყენოთ ნებისმიერ ნორმალურ მოკალმეს (პოეტსაც, პროზაიკოსსაც).

წერილში რაველის ბოლეროს აკვიატებული მოტივივით ბრუნავს და ტრიალებს რომანტიზმის უმთავრესი ნიშნის ნაირგვარად მოწოდებული განსაზღვრება: „რომანტიკოსებს სამშობლოს წარსულის სპეციფიკური სიყვარული გამოარჩევს“; „თუმცა უკვე თვალშისაცემია წარსულის განმეორებისა და კვალის რაღაც ახალი ლოგიკა“; „ისინი მთელი არსებით იძირებიან რომანტიკული ილუზიებით

აფერადებულ ჟამთა აწ უკვე მიმქრალ წარმოსახვებში“ და ა.შ.

აქ წარმოდგენილი ზოგი წინადადება ენობრივი აბსურდიც კია: „თუმცა უკვე თვალშისაცემია წარსულის განმეორებისა და კვალის რაღაც ახალი ლოგიკა“. რანაირად შეიძლება „წარსულის განმეორება“? შეიძლება წარსულის გამოსახვა, გამოხატვა, სიტყვებით აღდგენა, ოღონდ აბსურდია „წარსულის აღდგენა“, ხოლო კვადრატში აყვანილი აბსურდია ასეთი თქმა: „წარსულის განმეორებისა და კვალის რაღაც ახალი ლოგიკა“. ექვი არ არის, ამ ნათქვამის ავტორს ერთხელ დაწერილის გადახედვა და ტექსტის ენობრივ-სტილისტური სწორება არ „ნაყვარება“.

ერთგან ისეთი რამ წავიკითხე, რომ მქონდა, თმა ყალყზე დამიდგებოდა. იხილავს ლექსს „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“ და იქვე დასძენს:

„სამწუხაროა, რომ ეს გენიალური ლექსი იშვიათად ასოცირდება დიდი პოეზიის საყოველთაოდ აღიარებულ მწვერვალებთან“.

ესეც საკუთარი ყაყით აგებული ბარიკადის გარღვევაა და მეტი – არაფერი.

არ ვიცნობ ორბელიანის არც ერთ მკვლევარს, რომელსაც ეგ შედევი ფარზე არ აეზიდოს და მისთვის უმაღლესი შეფასება არ მიეცეს, ხოლო ბრწყინვალე ესთეტმა, უებრო მოქართულე ელგუჯა მალრაძემ იგი მსოფლიო ლირიკულ შედეგთა რანგში აიყვანა და მისი უზადო ანალიზი გვაჩუქა.

ამ „სიბრძნეს“ (რა თქმა უნდა, დღისით, მზისით ტყუილს) მოსდევს ამგვარი ბჟუტური, სადაც ყველაფერი თავდაყირაა დაყენებული:

„აქ, ამ შედეგში ნაკლებადაა ევროპული რომანტიზმისათვის სიმპტომური ექსტენსია, სულის სტიქიური მოძრაობა, გრძნობათა სიშიშვლე, კვაზირეალობასთან ლაცივი და ეგზოტიკა... ნაკლებია რაღაც კონკვისტადორული სულის გახელება (ნიკოლოზ ბარათაშვილისეული კონოტაციები) ...“

კაი, ლა, გულამ, შეგვიბრაღე!

ბოლოს და ბოლოს, არ გეცოდებით, ამხელა ცოდნით რომ გვაწვები და გვაწვები, იბერები და იბერები? თანაც გვემინია, რაიმე მარცხი არ მოგივიდეს!

მე მაინც იმედიანადა ვარ, რადგან მჯერა: მკითხველი ამ ბჟუტურს არ დაიჯერებს; მან კარგად უწყის, რომ ამ ლექსში ყველაფერი სწორედაც რომ პირიქითაა: აქ ძალიან მძლავრადაა გამოვლენილი ევროპული რომანტიზმისათვის ჩვეული ექსტენსია; ამკარაა სულის სტიქიური მოძრაობა; გრძნობები უკიდურესად გამიშვლებულია. სულისა და გრძნობების მოძრაობის მეტი სიცხადე განა რაღა უნდა იყოს, როდესაც მეფის რუსეთის ბრწყინვალე გენერალი წერს: აღარ მინდა, ამ ზმანებიდან რომ გამოვიდე, ამ ნეტარი ძილისაგან გამოვფხიზლდე, რათა ჩემი სამშობლოს დღევანდელი უბადრუკი სახე არ ვიხილოო. დიახ, ამას წერდა ორგზის მეფისნაცვლად მჯდარი მოხელე.

ბარემ აქვე ითქვას: ერთგან წერია, ორბელიანი იყო „ფაქტობრივად კავკასიის მთავარმართებელი“.

რასა ნიშნავს „ფაქტობრივად“?!

ასე მაშინ წერენ, როდესაც კაცი ბრძანებით არ არის დანიშნული და რაიმე პოსტზე კანონიერად დაყენებულს თავის ნებაზე ატარებს. გრიგოლ ორბელიანი კი ორჯერ კანონიერად იყო მთავარმართებელი, მეფისნაცვალი. ამიტომაც აქ სიტყვა „ფაქტობრივად“ ან ავტორის ენობრივი უმწეობაა, ან საქმის უცოდინარობა.

ამ რამდენიმე წლის წინათ (მაშინ ბატონი გურამი ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორი იყო) მქონდა ბედნიერება, მისი ენა და სტილი გამეკრიტიკებინა. უნდა ვაღიარო: ამჟამად გავისარჯე. მოხდა ისე, როგორც ქართულ ანდაზაშია: „არა შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისიო“. კრიტიკოსმა და პროფესორმა ქვა ააგდო და თავი შეუშვირა – საკუთარ ენობრივ პოზიციასზე დარჩა. ამიტომ იძულებული ვარ, ხელახლა ვაუწყო, ავუხსნა და ვასწავლო: „ლირიკულ-ეპიკური“ იწერება დეფისით, მაგრამ „ლირიოეპიკური“ – ერთად; სწორია არა „ორგანიული“, არამედ – „ორგანული“; წერია „ლოცვად დაყუდებული“. სწორია „ბერად დაყუდებული“, მაგრამ უნდა „ლოცვად დავარდნილი“ ან „ლოცვად დაცემული“, ოღონდ არა „ლოცვად დაყუდებული“; წერია: „უნიკალურია გრიგოლ ორბელიანის ქალაქურ ფოლკლორთან მიმართება“.

უნდა – „ფოლკლორისადმი მი-

მართება”. „ფოლკლორთან” შეიძლება „კავშირი”: „ფოლკლორთან კავშირი”.

მაშ, ასე, ბატ. გურამ:

„ქვეყანასთან კავშირი”, ოღონდ „ქვეყნისადმი დამოკიდებულება, მიმართება”.

წერია: „ამის **განსჯაში შესვლის უფლება**”.

განსჯა გვირახი როდია, რომ მასში შეხვიდე. ეს, ალბათ, რუსულის კალკია. ავტორს უნდა ეთქვა: „**ამის განსჯის უფლება** იმ საზოგადოებას აქვს”.

იმხანად ძალიან კარგად ავუხსენი ის, რაზედაც ახლა ხელმეორედ უნდა ველაპარაკო. ერთგან წერია:

„ამ ძლიერი პერსონის არისტოკრატიულ ვნებებს ვედარც ყავლგასული ფეოდალიზმი **დამწყურვალეზდა** და ვერც უმწიფარი ბურჟუაზია”.

ავტორს ეს ენობრივი კრახი მაშინაც მოუვიდა და ახლაც მოსდის, რადგან „ვერ ისწავლა მესხიმ წერა!”

არ მეზარება, ახლაც ავუხსნა: „და-

ამწყურვალეზდა” ნიშნავს იმას, რასაც „მოაწყურებდა”. „წყურვილს გაუძლიერებდა”; ჩვენს განმანათლებელს კი ამის საწინააღმდეგო ცნება სჭირდებოდა, ოღონდ ენის უცოდინარობისა გამო ის სიტყვა ვერ მოძებნა (რა ქნას, ცალი თვალით უცხო სიტყვათა ლექსიკონში იჭყიტება; საკუთარი ერის ენობრივი სიმდიდრე ამიტომაც ეკარგება); მაშ, რა სიტყვა სჭირდებოდა კრიტიკოსს აქ? სავსებით ცნობილი თქმა – **დარწყულეზდა**. „დარწყულეზდა” ნიშნავს წყურვილის მოკვლას, წყლის შესმას, **დამწყურვალეზდას** საპირისპიროს.

ვხედავთ: პირველმა წერილმა („გრიგოლ ორბელიანი”) რამდენი ავი რამ გამოაჩინა, ხოლო, თუ რა საშინელი სურათები (ანტივიტრაჟები) იქნება სხვა წერილებში („ნიკოლოზ ბართაშვილი”, „ილია ჭავჭავაძე”, „აკაკი წერეთელი”, „გიორგი ლეონიძე”), „წარმოიდგინოს თვითონ მკითხველმა!”

მურმან თავდიშვილი

**რატომ შეიცვალა
აზრი დავით რექტორმა?
(„აბდულმესიანის” ზნობლემის გასაღები)**

ე.წ. „აბდულმესიანის”, 107 სტროფიანი ლირიკული პოემის, ხელნაწერთა გადამწერები 1822 წლამდე ერთპირ აცხადებდნენ: ხოტბა ეძღვნება არჩილ მეფეს, ხოლო მისი ავტორიაო იაკობ შემოქმედელი (ბ. დარჩია, იაკობ შემოქმედელი, თბ., 2009, გვ. 160-164).

თვითონ დავით რექტორმა, შესანიშნავმა კალიგრაფმა, სანამ თავის ახალ, უცნაურ თვალსაზრისს შეიმუშავებდა, საკუთარი ხელით ორჯერ გადაწერა ტექსტი. ჯერ 1818 (E), შემდგომ 1821 წელს (F), ორივეჯერ აღიარა იგი არჩილის ხოტბად: „მეფის არჩილის ქება დავითიან-ბაგრატოვანისა” (იქვე, გვ. 162).

იმავე კალიგრაფმა 1822 წელს ისევ გადაწერა ეგვე ტექსტი (K ნუსხა). აქ კი მოულოდნელად შეცვალა თავისი ძველი მოსაზრება, რაიც წინა ხელნაწერთა მონაცემებს ემყარებოდა, და განავითარა სრულიად სხვაგვარი აზრი: ეს ძველი XVIII საუკუნისა კი არა, XII ასწლეულისაა.

ამრიგად, ტექსტი მთელი 5 საუკუნით დააძველა!

რა იყო ერთობ განათლებული მოღვაწის, პოეტის, მწიგნობრის, პედაგოგის (თელავის სემინარიის რექტორი) ამგვარი უცნაური შემობრუნების მიზეზი?

ამის შესახებ მკვლევრები დამაჯერებელს ვერაფერს ამბობენ. პროფ. ივანე ლოლაშვილი ლიტონ განცხადებას დასჯერდა, როცა დავით რექტორზე ბრძანა:

„1822 წ. მან ნაწილობრივ ამოიცი-
ნო აბდულმესიანის საიდუმლოება:
პოემის შინაარსობრივი ანალიზისას
ის მიხვდა, რომ „არჩილ მეფის ქების”
სახელით ცნობილი თხზულება არ
წარმოადგენს XVII საუკუნის პოეტუ-
რი აზროვნების ნაყოფს, არამედ ის
არის თამარის ეპოქის ძველი, რომ-
ელშიც შექმნილი არიან გვირგვინ-
ნოსანი ცოლ-ქმარი – თამარი და და-
ვითი. ამიტომ მან პოემას სათაური
შეუცვალა, ტექსტიდან არჩილის სა-
ხელი ამოიღო და მის ნაცვლად ჩასვა
ზოგან „თამარი”, ზოგან – „დავითი”,
იმისდა მიხედვით, თუ რა კონ-
ტექსტს რომელი სახელი შეეფერებო-
და. მან იცოდა აგრეთვე ვეფხისტყა-

ოსნის ცნობა „აბდულმესია – შავ-თელსა, ლექსი მას უქეს რომელსა“, და, ბოლოს, მის განკარგულებაში უნდა ყოფილიყო აღორძინების ხანის ჩვენამდე არმოღწეული ბიბლიოგრაფიული ცნობები შავთელის ვინაობის შესახებ, რომელთაც აფიქრებინეს დავითს, რომ მას ძეგლის ავტორად იოანე შავთელი მიეჩნია” (ივანე ლოლაშვილი, ქართველი მეხოტბენი, II, გვ. 33).

გამოჩენილი პროფესორის ეგ მსჯელობა რამდენიმე მკაცრ შენიშვნას იმსახურებს.

1. ივანე ლოლაშვილს არ მოჰყავს **არავითარი საბუთი**, თუ საიდან აკეთებს შესაბამის დასკვნას დავით რექტორი. **„შინაარსობრივი ანალიზისას ის მიხვდა“** ვერაფერი საბუთია. სწორედ შინაარსობრივი ანალიზი ვერ მოახერხეს დავით რექტორმა და მისმა მიმდევარმა ლოლაშვილმა. როგორც ზემორე ვუჩვენეთ, ტექსტში 1661 წელს დატრიალებული ამბებია ასარკული; ქება გატენილია „შაჰ-ნამეს“ ქართული ვერსიების (1600 წ.) ლექსიკით და ა.შ.

2. ივ. ლოლაშვილი ბრძანებს: **„მან იცოდა აგრეთვე ვეფხისტყაოსნის ცნობა „აბდულმესია – შავთელსა, ლექსი მას უქეს რომელსა“.**

ესეც ლიტონი სიტყვებია. ეს ვერ ამტკიცებს იმას, რომ რექტორის ხელთ არსებული ტექსტი მაინცდამაინც ეს თხზულებაა. მეორეც, ადრე რომ ორჯერ გადაწერა, განა მაშინ არ იცოდა კალიგრაფმა, თუ რა ეწერა „ვეფხისტყაოსნის“ ბოლოში?

3. „მის განკარგულებაში **უნდა ყოფილიყო** აღორძინების ხანის ჩვენამდე არმოღწეული ბიბლიოგრაფიული ცნობები შავთელის ვინაობის შესახებ“.

ესეც ბავშვური განცხადებაა. **„უნდა ყოფილიყო“** ვერაფერი ბედენა მტკიცებაა! სახელდობრ რა საბუთი ჰქონდა?

ამაზე ივ. ლოლაშვილი დუმს.

მაშ, დავით რექტორს არავითარი დოკუმენტი ხელში არა სჭერია. ამასთანავე, განა 1818 და 1821 წლებში არა ჰქონდა ეს დოკუმენტი?!

4. ახლა ყველაზე მთავარი, ივ. ლოლაშვილის მოსაზრების დამანგრეველი შენიშვნა.

ბატონი პროფესორი დავით რექტორს უწონებს ყალბისმქმნელობას. ივ. ლოლაშვილი თამამად ბრძანებს: **„ამიტომ მან პოემას სათაური შეუცვალა, ტექსტიდან არჩილის სახელი ამოიღო და მის ნაცვლად ჩასვა ზოგან „თამარი“, ზოგან – „დავითი“, იმისდა მიხედვით, თუ რა კონტექსტს რომელი სახელი შეეფერებოდა“.**

მაშ, მკვლევარი კალიგრაფს უქებს აფიორას, ტექსტის უსაბუთოდ ჩასწორებას, ყალბისმქმნელობას.

ამრიგად, პროფესორი ვერანაირ საბუთსა და მტკიცებას ვერ იძლევა, რომელიც ოდნავ მაინც სარწმუნო იქნებოდა.

დავით რექტორის მოულოდნელი ფერიცვალების ახსნას ლამობს პროფ. ბორის დარჩია. მისი მოსაზრება უფრო მეცნიერული და საბუთიანი, ოღონდ მეტად მძიმე და ჩახლარ-

თულია (ბ. დარჩია, იაკობ შემოქმედელი, გვ. 155-165). მკვლევარი სწორია, რომ ხელთა გვაქვს არა XII, არამედ XVII საუკუნის ძეგლი; იმასაც მართებულად ადგენს, რომ ტექსტი XVII ასწლეულს ეკუთვნის და მისი ავტორია იაკობ მიტროპოლიტი; იმაზეც მსჯელობს, თუ რად მოუვიდა ეს შეცდომა დავით რექტორს, ოღონდ სიმართლე სულ სხვაგანაა საძიებელი.

ეს რომ დავადგინოთ, აუცილებელია ხელნაწერულ მემკვიდრეობას, ვიწრო საარქივო მონაცემებს წამიერად თვალი მოვსწყვიტოთ, ფართოდ შევხედოთ იმ ეპოქას და შევათვალიეროთ ის ვითარება, რაც 1810-1820-იან წლებში სუფევდა რუსეთის იმპერიასა და მის შემადგენლობაში შესულ ივერიაში.

სამისოდ, ეგების, გამოგვადგეს მურმან თავდიშვილის ნაშრომი, რომელიც ჯერ კიდევ 1975 წელს დაიბეჭდა, ანუ მაშინ, როცა ქართულ მეცნიერებაში „აბდულმესიანის“ პრობლემა არც კი ჭაჭანებდა. აი, ეგ გამოკვლევა: „**ალექსანდრე სულაკაძე და რუსული პრერომანტიზმი**“, „მნათობი“, №4, 1975.

ახლა ვნახოთ, რა არის დასაბუთებული და ნაჩვენები ამ ვრცელ სტატიაში.

გამოკვლევაში გამოყენებულია რუს ავტორთა მოსაზრებები, მითითებულია სათანადო ფაქტებზე და დადგენილია:

1800-იანი და 1810-იანი წლების რუსეთის იმპერია ტოტალურად მო-

იცვა წინარერომანტიკულმა (პრერომანტიკულმა) განწყობილებამ. ყველა – დიდი თუ პატარა – შეიპყრო „ჭაღარა რუსული წარსულის“ გამმაგებული ძიების წყურვილმა. სიძველის მოყვარულები, ანტიკვარული ნივთების მაძიებლები რომანტიკულმა პატრიოტიზმმა მოიცვა. გასაგებია, რომ რომანტიზმში უმთავრესია წარსულის გაიდება, წარსულომანია. მთელი რუსეთის იმპერია და მასში შემავალი ქვეყნები და ხალხები ერთიანად აიტანა ამ ალტკინებულმა პათოსმა; ადამიანები გაფართოებული თვალებით უცქერდნენ სულ უმნიშვნელო ანტიკურ ნივთსაც კი. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ისტორიკოსები და მწერლები. ამიტომაც შემთხვევითი როდია, რომ ვ. ჟუკოვსკი წერს წარსულის განმადიდებელ ლირიკულ პოემას „მომღერალი (პოეტი) რუს მხედართა ბანაკში“, რომლის ისტორიული ყალიბიც იმავე განცდებით დამუხტულმა გრ. ორბელიანმა მაშინვე გამოიყენა თავისი ლირიკული პოემის „სადღეგრძელოს“ საფუძვლად.

ეპოქის პათოსის გასაგებად უფრო საინტერესოა სხვა ამბავი: პეტერბურგში საქმიანობდა ანტიკვარი და ბუკინისტი ალექსანდრე სულაკაძე. მან მცისვე აულო ალლო შექმნილ ვითარებას და იგი სათავისოდ გამოიყენა – საკუთარ ანტიკვარულ მაღაზია-მუზეუმში გამოფინა „მის მიერ აღმოჩენილი“ სენსაციური რუნები. ეს იყო უძველესი ლექსები, რომლებშიც მოქმედებდნენ ვოლხვები, ზლო-

გორები და სხვა მითოლოგიური პერსონაჟები. სინამდვილეში თაღლით სულაკაძეს არც არაფერი აღმოუჩენია. მან ძველსლავური ტექსტების წაბადვით, უძველესი მეტყველების კოლორიტის დაცვით, შეთხზა საკუთარი ნაწარმოებები, მოძებნა ძველი საწერი ეტრატები და დაწერა მათზე ეს ლექსები. ასე შექმნა სენსაცია. მისტიფიკატორის „მუზეუმს“ მიაწყდა დიდძალი ხალხი: მნახველები, მყიდველები, „სიძველისადმი გრძნობა-პატივით“ აღვსილი პატრიოტები.

სხვებსავით მოტყუვდა უგანათლებულესი ინტელიგენტი, მკვლევარი და პოეტი ჩგავრილ დერჟავინი, სწორედ ის სიტყვის ოსტატი, ვისზეც მოგვიანებით პუშკინი იტყვის: „ველიკი დერჟავინ ნას ბლაგასლავილ!“

პატრიოტმა მგოსანმა ორჯერ მოინახულა სულაკაძის ფარდული და დიდხანს უკირკიტა სენსაციურ ძველსლავურ ლექსებს. კაცმა არ იცის, რამდენი გადაუხადა ანტიკვარს, რომელიც ესოდენ ფაქიზად ეპყრობოდა „ჭადარა რუსულ სიძველეებს“ და ბრძანა: ჩვენთვის დიდმნიშვნელოვანია სწორედ ამგვარი მასალები მოვიპოვოთ და გამოვაქვეყნოთ და ეგ მაშინაც კი, ეს მასალები ნამდვილიც რომ არ იყოს! მან წაიღო სულაკაძის „შედევრები“ და თავის ხელნაწერ ჟურნალში „ბესედა ლიუბიტელი რუსკოგო სლოვა“ დიდის ამბით გამოაქვეყნა, ხოლო თავად ამ ტექსტების დიდი ზეგავლენა განიცა-

და და ბევრ მის ქმნილებას კიდევაც ატყვია ალ. სულაკაძის შენათხზის კვალი.

აქ ყურადღებას იქცევს გ. დერჟავინის იდეა: **წარსულის ამსახველი ეგ მასალა მაშინაც კი დიდმნიშვნელოვანია, ნაყალბევიც რომ იყოსო.**

აი, რაოდენ მძლავრად მოსდებოდა იმპერიას „წარსულისადმი გრძნობა-პატივი“.

ექვი არაა, ეს სულისკვეთება ბოზოქრობდა საქართველოში, მით უფრო, რომ ივერიელთ უფრო დიდი და ხანგრძლივი ისტორია ჰქონდათ. აქ არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ჯერ კიდევ ერეკლე მეფე მოუწოდებდა თავის სწავლულ კაცებს: მოემებნათ დაკარგული წიგნები და, თუ ვერ იპოვნიდნენ, მაშინ აღედგინათ ისინი, ანუ ხელახლა დაეწერათ. სწორედ ამისი გამოძახილია, თავიდან რომ დაწერეს დაკარგული „დილარგეთიანი“, სხვა ქმნილებები. ეპოქის საერთო ფარვატერში უნდა მდგარიყო რუსეთში განათლებამიღებული დავით რექტორიც. მასაც, რა თქმა უნდა, დიახაც ეწადა, ხელი შეემველებინა მამეული ლიტერატურისათვის და „ჭადარა ქართული წარსული“ ესახელებინა. ვფიქრობ, სწორედ ამ სულისკვეთებამ სძლია მას 1822 წელს, როცა მოულოდნელად განაცხადა: ეს ტექსტი შავთელის „აბდულმესია“ მგონიაო. ასე გადაუსვა ხაზი მან, ისტორიულ-პატრიოტული პათოსით გათანგულმა, საკუთარ წარსულ საქმიანობას, როცა 1818 და 1821 წლებშიც გადაწერა იგივე ტექ-

სტი და სავსებით სწორად მიიჩნია იგი XVII საუკუნის ძეგლად.

აი, რამ გამოიწვია კალიგრაფის უცაბედი და მოულოდნელი შემობრუნება 1822 წელს მთელი ასოთხმოცი გრადუსით. ასე გადმოგვიგდო ამ მოღვაწემ დიდი თავსატეხი, რომელ-

საც თავი და ბოლო ვერ გაუგეს ნ. მარმა, ექვთ. თაყაიშვილმა, ივ. ლოლაშვილმა და ბევრმა სხვამ.

და დღეს, 2022 წელს, ზუსტად ორასი წლის თავზე, „ბდულმესიანის“ საიდუმლო გახსნილია, საბოლოო წერტილი დასმულია.

თამარ ბლიაძე

ხელისუფლების კულტურული ჰოლიტიკის სამარცხვინო ფაქტი

2004 წლის ნოემბერში საქართველოში მოხდა სახელმწიფო გადატრიალება.

ახალარჩეული პარლამენტის სხდომაზე შეიჭრა პარტია ნაციონალური მოძრაობის მოიერიშე ჯგუფი მიხეილ სააკაშვილის ხელმძღვანელობით, ტრიბუნასთან მდგომი კანონიერი, რომელიც პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძე, მოხსენებას კითხულობდა, მუჯღუგუნით დაატოვებინა ტრიბუნა და შეთქმულების სულისჩამდგმელმა მიხეილ სააკაშვილმა გამოაცხადა: ახალარჩეულმა პარლამენტმა, როგორც უკანონომ, დატოვის დარბაზი, ძალაუფლების ხელში იღებს ნაციონალური მოძრაობა, ხოლო პრეზიდენტის მოვალეობას დროებით შეასრულებს ნინო ბურჯანაძე!

ეს იყო არჩევნების შედეგების ფეხქვეშ გათელვის, არჩეული პრეზიდენტის ძალდობრივი გზით გადაყენების, დემოკრატიული წესრიგის დარღვევისა და საქართველოს კონსტიტუციის ხელყოფის ლამის უპრეცედენტო მაგალითი.

საქართველოს მოსახლეობა და

მთელი პროგრესული კაცობრიობა ელოდა, რომ მეორე დღესვე ძალოვანი სტრუქტურები და საერთაშორისო ინსტიტუტები ჯეროვან პასუხს გასცემდნენ სახელმწიფო გადატრიალების ინიციატორებს, დააპატიმრებდნენ და გაასამართლებდნენ მიხეილ სააკაშვილს, ზურაბ ჟვანიას და ნინო ბურჯანაძეს, მაგრამ მსგავსი არაფერი მომხდარა.

მსოფლიო გაუჩუმდა ამ ყოველად უსამართლო, ბანდიტურ, ძალისხმეულ რევოლუციას, ტენდენციურმა პოლიტიკურმა პუბლიცისტიკამ ამ ყაჩაღურ თავდასხმას ხელისუფლებაზე „ვარდების რევოლუცია“ უწოდა, ედუარდ შევარდნაძემ გადადგომა გამოაცხადა და ე. წ. „რევოლუციური სამეული“ ქვეყნის მართვას შეუდგა.

რა პოზიცია დაიკავეს ზესახელმწიფოებმა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და რუსეთმა?

სრულიად აუხსნელი და მოულოდნელი.

თუმცა ამერიკა და რუსეთი აქამდე (და შემდეგაც) დაპირისპირებული სახელმწიფოები იყვნენ, საქართველოს საკითხში ისინი გაერთიან-

დნენ; სწრაფად მოავლინეს საქართველოში თავიანტი პოლიტიკური ემისრები და რა გასაკვირიც უნდა იყოს, სააკაშვილს მხარი დაუჭირეს. მალე გაირკვა, რომ ვარდების რევოლუცია საქართველოში ორივე მხარის – ამერიკის და რუსეთის ჩუმი, დანაშაულებრივი თანხმობით მოხდა.

ეს გახლდათ დასავლეთის მიერ მსოფლიოსათვის თავსმოხვეული გლობალიზაციის და ლიბერალიზაციის მსოფლიო გეგმის ნაწილი და განტევების ვაცად, პირველად დედამიწაზე, სწორედ საქართველო დაიმარტოხელეს.

„შესანიშნავი სამეული“ (საკაშვილი, ჟვანია, ბურჯანაძე) ძალაუფლების ხელში ჩაგდების პირველი დღეებიდანვე შეუდგა გლობალიზაციის პროგრამით გათვალისწინებული მსახვრალი გეგმის შესრულებას.

პირველ რიგში საქართველოს, როგორც უძველესი თვითმყობადი კულტურის მქონე, ეროვნული სახელმწიფო სახსრებში უნდა მოეშალათ. მისთვის ეროვნული ატრიბუტები უნდა წაერთმიათ და იავარყოთ.

ქართველებისთვის უნდა გაეუქმებინათ სამოქალაქო საბუთებში „ეროვნება – ქართველი“, იგნორირებულიყოთ ენა და თანდათან ჩაენაცვლებინათ ინგლისურით.

ამას რომ მიაღწიეს, მერე ქართული კულტურისა და მეცნიერების მსოფლიოში აღიარებულ წისქვილებს მიადგნენ:

გააუქმეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. აქაოდა განვითარებად ქვეყანას მეცნიერება არ სჭირდებაო, აკადემიას ჩამოართვეს კვლევითი ინსტიტუტები.

ამის შემდეგ დაამხვეს ქართული ეროვნული ინტელიგენციის უპირველესი სამჭედლო – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. უნივერსიტეტიდან ერთ დღეს პოლიციის ძალით ქუჩაში გამოირეკეს 2436 ეროვნულად მოაზროვნე პროფესორი და გააუქმეს შოთა რუსთაველის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, გალაკტიონის, კონსტანტინე გამსახურდიას და ივანე ჯავახიშვილის კაბინეტები.

მალე ქართული ეროვნული სულის ყველაზე მკაფიოდ და რაფინირებულად გამომხატველი შტაბის – საქართველოს მწერალთა კავშირის ჯერიც მოვიდა:

მწერალთა კავშირს გაუუქმეს წიგნის გამომცემლობები. ლიტერატურული პრესა-ჟურნალებში „მნათობი“ და „ცისკარი“, „ნუგეში“ და „საუნჯე“. დახურეს მწერალთა კავშირის ორგანო „ლიტერატურული საქართველო“. მწერალთა კავშირს წაართვეს ყოველგვარი სახელმწიფო სუბსიდიები და მწერალთა კავშირის წევრებს შეუწყვიტეს 50-ლარიანი ყოველთვიური სტიპენდია.

არანაკლები სისასტიკით მოექცნენ სხვა შემოქმედებით კავშირებსაც.

ამ სტატიაში შედარებით ვრცლად შევჩერდებით და ვანდა-

ლურ ფაქტზე, რომელიც ვარდებით მოსულმა ხელისუფლებამ მიხეილ სააკაშვილის ნაცისტი პატრონების დავალებით შეასრულა. მისი ამოცანა იმაში მდგომარეობდა, რომ ყოვლის საშუალებით შეევიწროვებინა და დაემცირებინა ტრადიციული მწერალთა კავშირი, რომლის შემადგენლობაშიც ჯერ კიდევ ნათობდნენ საყოველთაოდ ცნობილი კლასიკოსები – ჭაბუა ამირეჯიბი, ოთარ ჭელიძე, ოტია იოსელიანი, რევაზ ინანიშვილი, რევაზ მიშველაძე, რეზო ჭეიშვილი და სხვანი. ამით ნაცვლად მწვანე შუქი აენტო ისეთი გამოგონილი, მწერლობადაბრელებული მაგრამ ნაც-მომრაობასთან ჩახუტებული მოლიტერატორო პირებისათვის, როგორებიც იყვნენ დეფი, დათო ტურაშვილი, ლაშა ბულაძე, რატი ამალლობელი და სხვანი.

მწერლის სასახლის დარბევისა და მწერალთათვის ტრიბუნის წართმევის ფაქტი სწრაფად მოედო მსოფლიოს ლიტერატურულ საზოგადოებას.

მწერალთა კავშირში მოდიოდა გამოხმაურებები როგორც ცალკეულ მწერალთა, ისე საერთაშორისო ლიტერატურული ასოციაციების მხრიდან.

პროგრესულად მოაზროვნე მწერლები მოუწოდებენ სააკაშვილის ხელისუფლებას გონს მოსულიყო და მწერლებისათვის კუთვნილი სასახლე დაებრუნებინა, მაგრამ ამაოდ. ნაცფასიშტები დათმობაზე წასვლას არ აპირებდნენ.

2009 წელს რევაზ მიშველაძემ

კუნძულ როდოსზე, ჰენკლუბის სპეციალურ კონფერენციაზე წაიკითხა მოხსენება საქართველოში მწერალთა გაუგონარი დევნის შესახებ. კონფერენციამ მიიღო რეზოლუცია და გამოუგზავნა საქართველოს ხელისუფლებას, მაგრამ არც ამ ღონისძიებას მოჰყოლია რაიმე შედეგი.

„მწერალთა გაზეთმა“ ზედიზედ გამოაქვეყნა როგორც ქართველ, ისე უცხოელ მწერალთა გამოხმაურებანი ქართველ მწერალთათვის კუთვნილი სასახლის წართმევის შესახებ. მთავრობა წაყრუების პოლიტიკას ჯიუტად განაგრძობდა.

მაყვალა გონაშვილმა მომხდარის შესახებ საქმის კურსში ჩააყენა ლონდონის, პარიზის, ნიუ-იორკის, ბერლინის ამსტერდამის, რომის, ვარშავის, ბელგრადის, ერევნისა და ბაქოს მწერალთა ორგანიზაციები. ეს უწყებანი სისტემატურად მოითხოვდნენ მიხეილ სააკაშვილისაგან მწერლებისთვის დაებრუნებინა კუთვნილი სასახლე, მაგრამ გაზულუქებული პრეზიდენტი მსოფლიოს მწერალთა სამართლიან მოწოდებებს უპასუხოდ ტოვებდა.

ქართველმა მწერლებმა სასამართლოს მიმართეს.

წლების განმავლობაში ისხდნენ სასამართლოს სხდომებზე ანა კალანდაძე, ოტია იოსელიანი, ლადო მრელაშვილი, რეზო ჭეიშვილი, მაყვალა გონაშვილი, რევაზ მიშველაძე, სოსო სიგუა, მურმან თავდიშვილი, თემურ ჩალაბაშვილი, ბადათერ არაბული და სხვები, მაგრამ სააკაშვილის კორუმ-

პირებულ სასამართლოსთან რას გააწყო ბუნებრივად. ერთმა მოსამართლემ, რომელსაც გული გაუწვრილა სიტყვის ოსტატების სამართლიანმა საჩივრებმა, მწერლებს პირდაპირ განუცხადა: ნუთუ ვერ ხვდებით, ამ საქმით თვით პრეზიდენტი დაინტერესებული, სანამ სააკაშვილის პოლიტიკური ნება არ იქნება, სასახლის დაბრუნებაზე არც იოცნებოთო.

გადიოდა წლები.

ერთმანეთს ცვლიდნენ პრემიერ-მინისტრები და კულტურის მინისტრები, მაგრამ ქართველი მწერლები კვლავ ქუჩაში რჩებოდნენ.

როცა ქართველმა ხალხმა 2011 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგად ნაცფამისტთა ხროვა ქუჩაში მოისროლა და ხელისუფლების სათავეში ქართველი ოცნება მოვიდა, მწერლებს იმედი ჩაესახათ; იქნებ ახლა მაინც ჭამოსო სამართალმა პური.

ეს იმედიც გაუცრუვდათ.

დასავლეთის მიერ ბიძინა ივანიშვილისთვის თავსმოხველი კოპაბიტაციის შედეგად მთავრობაში ისევ დარჩნენ ნაცმოძრაობის „კუდები“ და ახლა ისინი დადგნენ გველეშაპთა სისინით მწერალთა სასახლის ალაყაფის კარებთან.

როგორც არ უნდა გაგიკვირდეთ, 2021 წლამდე კულტურის ყველა მინისტრი (გოკა გაბაშვილი, ნიკა რურუა, მიხეილ გიორგაძე, გურამ ოდიშარია...) ნაცმოძრაობის მხარდამჭერი აღმოჩნდა. ისინი უსინდისოდ ატყუებდნენ ბიძინა ივანიშვილს მწერალთა სასახლე სარაჯიშვილის და ხომ-

ტარიას მწერლებისთვის არ უანდერძებიათო, რაც შეეხება 1921 წლის 21 თებერვლის რევოლუციური რეკომის დადგენილებას, რომელსაც ხელს აწერს შალვა ელიავა, ეს დოკუმენტი, როგორც ყველა ბოლშევიკური განკარგულება, ანულირებულია და ძალადაკარგულად ითვლებაო.

1921 წელს საქართველოს კულტურის მინისტრად დაინიშნა თეა წულუკიანი.

თეა წულუკიანი ცნობილი იყო როგორც ორთოდოქსი წევრი ქართული ოცნებისა და შეურიგებელი ნაცმოძრაობის მიმართ.

მან თავისი დანიშვნისთანავე თავისი თანაშემწე (სოსო ჭუმბურიძე) გამოგზავნა მწერალთა კავშირში თხოვნით; გააჩაღეთ კამპანია „მერლის გაზეთში“ და „საერთო გაზეთში“, გამოაქვეყნეთ სახელოვან მწერალთა ხელმოწერები და მწერალთა სასახლის დაბრუნების საქმეს ამ დღეებში დადებითად გადავწყვეტო.

გვეშველაო, გაიფიქრეს მწერლებმა და შეუდგნენ მინისტრის დავალების შესრულებას.

„მწერლის გაზეთის 1921 წლის 15 სექტემბრის ნომერში (№4, 21 წ.) გამოქვეყნდა ღია წერილი:

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრს, ქალბატონ თეა წულუკიანს

საქართველოს მწერალთა კავშირი 100 წელზე მეტხანს ითვლის და ის ევროპაში პირველი შემოქმედები-

თი კავშირია. მისი შექმნის იდეა ექვთიმე თაყაიშვილს ეკუთვნოდა.

1916 წელს იგი წერდა: საჭიროა შეიქმნა, მწერალთა ერთობა, რათა წინა წარუძღვეს ერსა.

ერის წინამძღოლის მისია ღირსეულად ადასრულა მწერალთა კავშირმა.

1921 წლის 28 თებერვალს რევკომის თავმჯდომარემ შალვა ელიავამ ხელი მოაწერა დეკრეტს, რომლის ძალითაც სერგეევს (ახლანდელი მახაბლის) ქუჩაზე მდებარე დავით სარაჯიშვილის (შემდგომ ხომტარიას) კუთვნილი სასახლე მუდმივ სარგებლობაში გადაეცემოდა საქართველოს მწერალთა კავშირს.

ამის შემდეგ თითქმის ასი წლის განმავლობაში ამ შენობიდან საქართველოს ესმოდა ქართველი მწერლის ომახიანი ხმა.

იცვლებოდნენ მთავრობები და თაობები, მაგრამ არ იცვლებოდა მწერლის ფუნქცია – გუშაგად დადგომოდა ქართულ ეროვნულ ცნობიერებას, დაეცვა ქართული ენა, აღეზარდა თაობები მამულისადმი ერთგულების სულისკვეთებით.

ჩვენი ისტორიის ყველაზე დრამატულ მოსახვევებშიც კი არც ერთ ხელისუფალს აზრად არ მოსვლია მწერლობისთვის ისტორიული სასახლე წაერთმია, უფრო მეტიც, გაეცამტკერებინა მწერალთა არქივი და ძვირფასი მემორიალური ნივთები, ჩაეველო ხელი მწერლებისათვის და ქუჩაში გამოეყარა.

ეს გააკეთა მიხელი სააკაშვილმა

2007 წლის 21 აგვისტოს. მწერალთა სასახლეს ზოდერბრიგადა შეუსია და გაუგონარი ისტორიული დანაშაული ჩაიდინა, ხელყო ქართული კულტურის უძვირფასესი ძეგლი. ბუდე მოუშალა ქართულ მწერლობას.

თოთხმეტი წელია, პარალიზებულია საქართველოს მწერალთა კავშირისა და მწერალთა აკადემიის საქმიანობა.

„მწერალთა სახლის“ დირექტორად სააკაშვილის მიერ დანიშნული ნატაშა ლომოური, რომელიც „ნაცმოდრაობის“ აქტივისტი გახლავთ, ამკარა პარტიული მიკერძოებით მართავს ამ უწყებას.

თოთხმეტი წელია, არავითარი ფინანსური მხარდაჭერა არ მიუღია საქართველოს მწერალთა ტრადიციულ კავშირს და ის ორგანულ ნაწილს, საქართველოს მწერალთა აკადემიას.

როცა საკითხი დგება წიგნის ბაზრობაზე გასაგზავნი მწერალთა ჯგუფის დაკომპლექტებისა, ან წიგნის დაფინანსებისა, ან ლიტერატურული ორგანოსათვის თანხის გამოყოფისა, ნატაშა ლომოური მტკიცე და შეუვალია – ამათ სააკაშვილი არ უყვართ და უარი ეთქვათ.

გამონაკლისი არ არსებობს.

ან განზე რჩება ნატაშას მიერ იგნორირებული ათასამდე ნამდვილი მწერალი მწერალთა კავშირიდან და მწერალთა აკადემიიდან. ამ დროს გალადებული და წახალისებული არიან ნატაშას მიერ გამოგონილი უნიჭო მწერლები.

ასეთია სამწუხარო რეალობა.

ახლა თქვენთვის შეიძლება ძნელი გასაგები აღმოჩნდეს ის ცინიზმი და ყოველდღიური დამცირება, რაც ვიწვნიეთ ქართველმა მწერლებმა ამ თოთხმეტი წლის განმავლობაში, სააკაშვილის მსუბუქი ხელით და უგუნური ნებით, ქუჩაში რომ აღმოვჩნდით.

21 აგვისტოს განთიადის 4 საათზე ზონდერ-ბრიგადას ჯერ კიდევ არ ჰქონდა დამთავრებული თავისი ბნელი საქმე, პრეზიდენტის დედას, გიული ალასანიას დავურეკეთ. ბოდიში მოვუხადეთ ადრე გაღვიძებისათვის და მოვახსენეთ, რომ მისი შვილის განკარგულებით მწერალთა სახლეს არბევნ. ყურადღებით მოგვისმინა და გვაუწყა: „ეგ არ იქნება მართალი, ჩემი შვილი ამას არ მოიმოქმედებდა. ახლავე დავურეკავო“ არ ვიცით, დაურეკა თუ არა, მაგრამ ამ რბევის შემდეგ ქალბატონი გიული მთელი თვის განმავლობაში ჩვენს ზარს არ პასუხობდა.

პრეზიდენტის მიერ ზურგგამაგრებული ნატაშა ლომოური მწერლებისგან ერთგულად იცავდა „ნაცმობრაობის“ მიერ ოკუპირებულ სასახლეს.

იმ დროს მერიაში კულტურის სამმართველოს უფროსად მუშაობდა ერთი ღვთისწიერი კაცი მამუკა ქაცარავა. მამუკამ (ერთადერთმა) გულთან მიიტანა ჩვენი გასაჭირი და ერთ დღეს გამოგვიცხადა: მერი, როგორც იქნა, დავითანხმე თქვენთვის შენობის დაბრუნებაზეო.

მამუკას მიერ გამოგზავნილ 15 დამლაგებელთან ერთად გათენებამდე, როგორც იქნა, მტვრისგან და სამშენებლო ნარჩენებისგან გავწმინდეთ შენობა. ჩვენს სიხარულს საზღვარი არ აქვს. დადლილები დავბრუნდით შინ და ორიოდე საათის შემდეგ რომ მივბრუნდით, კარებში შვიდი პოლიციელი დაგვხვდა. ვეცით ტელეფონს: თურმე მერს სააკაშვილთან ჰქონია შეთანხმებული და რომ გაიგო პრეზიდენტმა, ქოში უკუდმა ჰყარა. რით შეაძულეთ ასე თავიო, ტირილით გვითხრა მამუკამ.

გავიდა დრო. ერთხელ კიდევ ჩავვესახა მწერალთა შენობის დაბრუნების იმედი. ნატაშას ვთხოვეთ, მგონი, შენობის ნაწილს გვიბრუნებენ და კომპიუტერის მაგიდას მაინც შემოვიტანთო. კეთილი და პატიოსანო, „გულისხმიერმა“ ნატაშამ.

სამინლად წვიმდა. სამმა კაცმა ლერმონტოვის ქუჩიდან ძლივს მოვათრიეთ მაგიდა და კარებში გააფთრებული ნატაშა დაგვხვდა. არავითარ შემთხვევაში, ცოცხალი თავით აქ მაგიდას არ შეგატანინებთო. სამი დღის განმავლობაში წვიმაში, ქუჩაში იდგა მწერალთა კავშირის მაგიდა, წვიმისგან დალპა და მერე მენაგვეს გავატანეთ. ასე გვექცეოდა მამისტოლას მწერალთა სახლის მრისხანე დირექტორი.

რაკი ხელისუფლებასთან ვერა გავაწყვეთ რა, გადავწყვიტეთ, სასამართლოსთვის მიგვემართა.

და ვიჯექით უსამართლო სასამართლოს წლობით გაჭიანურებულ

სხდომებზე ისინი, ვისაც ეს დრო და ენერგია ქართული ლიტერატურის სამსახურისთვის უნდა დაგვეხარჯა.

ბოლოს ილაჯგაწყვეტილი მოსამართლენი თავის სამუშაო ოთახში გვიხმობდნენ და საიდუმლოდ ჩავვჭურჭულვდნენ: „დიდ პატივს გცემთ, ძალიან გვიყვარხართ, მაგრამ ამ საქმიდან არაფერი გამოვა, სააკაშვილს აქვს ტორი დადებული თქვენს სასახლეზე“.

ეს ჩურჩული ჩვენთან ერთად არაერთგზის მოუსმენიათ: ანა კალანდაძეს, შოთა ნიშნიანიძეს, მუხრან მაჭავარიანს, ჯანსუღ ჩარკვიანს, რეზო ჭეიშვილს, ოტია იოსელიანს და სხვებს.

ისე ჩავიდნენ ისინი საფლავში, რომ მწერალთა სასახლის დაბრუნების ნატვრა თან ჩაიყოლეს.

მერე სასახლის გაყიდვა გადაწყვიტა გალიფრებულმა პრეზიდენტმა.

სადღეღამისო დარაჯობა და საყოველთაო ზარის რეკვა რომ აეტეხათ, გაყიდვა გადაიფიქრა და მწერლობისადმი უფრო მეტი ზიზღი ჩაიდო გულში; რაკი ეს „პროდუქტი“ (სასახლის გასხვისება) არ გამატანინეთ, არც თქვენ და არც – მეო.

იარეთ ახლა „დამწვარ სულში“ და იყავითო.

რა მდგომარეობაა ამჟამად ე. წ. „მწერლის სახლში“?

განადგურებულია მწერალთა კავშირის უმდიდრესი არქივი, რომელიც შედგებოდა სხვადასხვა თაობის მწერლების პირადი საქმიეებისაგან, მწერალთა კავშირის გამგეობისა და

პრეზიდიუმის სხდომების ოქმებისაგან და პირადი განცხადებებისა.

არქივში დაცული იყო კოტე მაცაშვილის, გალაკტინო ტაბიძის, კონსტანტინე გამსახურდიას, მიხეილ ჯავახიშვილის, ტიცვიან ტაბიძის, პაოლო იაშვილის, ლადო ასათიანის, ირაკლი აბაშიძის, გიორგი ლეონიძის, შოთა ნიშნიანიძის და სხვათა გამოსვლები, დღეისთვის რომ უძვირფასეს მასალას წარმოადგენს ლიტერატურის ისტორიკოსისათვის.

განადგურებულია მწერალთა კავშირის უმდიდრესი ბიბლიოთეკა. ეს ბიბლიოთეკა ძირითადად შედგებოდა სახელოვან მწერალთა მიერ ბიბლიოთეკისადმი მიძღვნილი ავტოგრაფებიანი წიგნებისაგან. რა ბედით ეწია ამ წიგნებს, დღემდე უცნობია.

დღეს მწერალთა კავშირის შვილს და მწერალთა აკადემიის ოთხმოცდათხუთმეტ წევრს, რომლებიც ასევე წარმოადგენენ ცნობილ მწერალთა საუკეთესო რაზმს, ლიტერატურის სხვა მოყვარულებზე რომ არაფერი ვთქვათ, საშუალება არა აქვთ, მოვიდნენ მათთვის ესოდენ ძვირფას, დიდი მეცენატების, სარაჯიშვილისა და ხოშტარის ნაანდერძევ შენობაში, მოუსხდნენ ბიბლიოთეკის დიდ დარბაზში ფართო მაგიდას და სხვა თუ არაფერი, ლიტერატურულ პრესას მაინც გადახედონ. ან მწერალთა კავშირის ბაღში გავიდნენ და იმ სკამებზე ჩამოსხდნენ, რომლებზეც მათ ათწლეულების განმავლობაში უხანავთ თავიანთი ნეტარ-

ხსენებული კოლეგები – გალაკტიონი და გამსახურდია.

ვინ დაუშალათ?

მწერალთა ბიბლიოთეკის გაცამტვერებაზე უკვე მოგახსენეთ; ნატაშა ლომოური როგორ დაუშვებს, რომ მწერლის სახლში მწერალთა მაგიდაზე ლიტერატურული პრესა იდოს და მწერლებმა გადაიკითხონ.

რაც შეეხება მწერალთა კავშირის ბაღს, იქ ნატაშას განკარგულებით ძვირადღირებული რესტორანია გახსნილი და ამ ქესატობის დროს, ისედაც ჯიბეცარიელი მწერალი იმ რესტორნის კლიენტობაზე ვერც იოცნებებს.

მწერალთა სასახლეს მესამე სართულზე ნატაშამ გახსნა ხუთნომრიანი სასტუმრო. ეს სასტუმრო საქართველოს რაიონებიდან ან უცხოეთიდან ჩამოსულ მწერლებს უნდა მომსახურებოდა. კონკრეტულად იმათ, ვისაც თბილისში ღამის გასათევი აქვს. ამჟამად მსგავსი არაფერი მომხდარა. ბიუჯეტში არ შედის ამ სასტუმროდან არც ერთი კაპიკი. არაფერს ვიტყვით იმ ჭორებზე, რაიც „მწერლის სასახლის“ სასტუმროს ირგვლივ ტრიალებს.

იცით თუ არა თქვენ, ქალბატონო მინისტრო, რომ მწერალთა კავშირის ისტორიულ შენობაში თუნდაც ათი წუთით სურათის გადასაღებად შესვლა უბრალო მოქალაქისათვის 3500 ლარი ღირს?

ეს რომ გაეგოთ სარაჯიშვილს და ხომტარიას, ჯავრისგან საფლავეში გადაბრუნდებოდნენ.

2007 წლის იმ საბედისწერო დამეს ზონდერ-ბრიგადამ მწერალთა სასახლის უძვირფასესი მემორიალური ნივთები ქუჩაში რომ მოისროლა, სამუდამოდ დაგვეკარგა გალაკტიონის მხრებით მოტანილი წიგნების კარადა, კონსტანტინე გამსახურდიას სავარძელი, რომელზეც ჩვენი ლიტერატურის ქორა მახეში მარტო თვითონ ჯდებოდა, დავით სარაჯიშვილისეული „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერი აკაკი წერეთლის მინაწერთურთ: „დათიკო, ეს რა განძიო გქონია“, და ა. შ. ასევე დაიკარგა ლადო ასათიანის ლექსების პირველი აკრძალული წიგნი, ცენზურას რომ გადაურჩა და მწერალთა კავშირში სასოებით ვინახავდით. გაანადგურეს და ქუჩაში გადაყარეს „მწერლის გაზეთის“ არქივი.

ვინ ანაზღაურებს ამ დანაკლისს? ვინ დაისჯება ამ გაუგონარი ყაჩაღობისთვის?

დრო უღმობლად გარბის.

მადლობა ღმერთს, ქართველ მწერალთა რიგები დღითიდღე იზრდება, ერის კეთილი მრჩეველი და მესაიდუმლე მწერალი კვლავაც ერთგულად ემსახურება თავის ბედუკულმართ სამშობლოს, კვლავაც ერთგულად მიჰყვება ილია ჭავჭავაძის ნაჩვენებ გზას, მაგრამ მხატვრული სიტყვის ახალგაზრდა ოსტატთა შორის ცოტა როდია ისეთი, რომელსაც ფეხი არასოდეს შეუდგამს თავის სასახლეში. იმ სასახლეში, რომელსაც ილიას და აკაკის აჩრდილები დღესაც ახსოვს.

საკავშირე მხარე მხოლოდ შენობა როდი წაართვა ქართველ მწერლებს. მან ქართული ლიტერატურის ისტორია შეაჩერა. მან ასწლოვანი ტრადიცია გაანადგურა. მან მაჩაბლის ქუჩას ფუნქცია წაართვა. მწერალთა თაობების სვლა შეაჩერა ამ ქუჩით. დიახ, მან სასახლის წართმევით ტრიბუნა წაართვა ქართველ მწერლებს და თქვენი, როგორც კულტურის მინისტრის ისტორიული მისიაა, დაუბრუნოთ ეს ტრიბუნა ათასამდე ქართველ მწერალს.

P. S. დიდი ქართველი მწერლები ისე აღესრულდნენ, რომ საფლავში წაიღეს ნატვრა საქართველოს მწერალთა კავშირს კუთვნილი შენობა დაბრუნებოდა.

აი, რას წერდნენ ისინი ამ ვადნალურ ფაქტზე:

ჭაბუა ამირეჯიბი:

გარდა იმისა, რომ ეს გაუგონარი ყაჩაღობაა, დღისით, მზისით ჩადენილი, დღისით, მზისით ჩადენილი, უპირველესად ეს გახლავთ შოთა რუსთაველის, ილია ჭავჭავაძისა და ყველა დროის დიდი თუ პატარა მწერლის მხეცური შეურაცხყოფა.

მაკვირვებს ამ ექსპროპრიაციის სულისჩამდგმელის გულუბრყვილობა.

ოთარ ჭილაძე:

სრულებითაც არ არის გასაკვირი, თუკი ხალხის ცნობიერებაში ქართული მწერლობა და საქართველოს მწე-

რალთა კავშირი ერთმანეთთანაა გაიგივებული, გარკვეული თვალსაზრისით, ალბათ, ამ მიზნით დაარსდა მწერალთა კავშირი. თავიდანვე, იმპერიის ტყვეობიდან გათავისუფლებისთანავე, აქედან გამომდინარე, როცა დღეს, თუნდაც ფორმალურად, თავისუფალ საქართველოში ზოგადად მწერალთა კავშირს ვუპირისპირდებით (სულერთია, რის გამო და რა მოტივით), ნებისით თუ უნებლიეთ, შეგნებულად თუ შეუგნებლად, ინერციით თუ გეგმაზომიერად, უპირველეს ყოვლისა, საუკუნის მანძილზე და, მხოლოდ და მხოლოდ, ქვეყნის ინტერესები შესაბამისად ჩამოყალიბებულ შეხედულებებს ვარყევთ ხალხის ფსიქიკაში. ეს კი, დამეთანხმებით, მეტი რომ არა ვთქვა, დიდი შეცდომაა ნებისმიერი გონიერი ადამიანისათვის, რომლისთვისაც სულერთი არ არის ქვეყნის მომავალი.

ანა კალანდაძე:

მწერალთა კავშირი, მე ეს ადრეც მითქვამს და ახლაც ვიმეორებ, არის ეროვნული დაწესებულება, რომლისაც ყველას სჯერა და ყველასთვის საჭიროა. ამიტომ ჩემთვის გაუგებარი და აუხსნელია ეს ფაქტი. როგორც გავიგე, სასამართლო დანიშნულია და იმედი მაქვს, რომ ის წერლების სასარგებლო განაჩენს გამოიტანს.

ოტია იოსელიანი:

ჩვენს თავს დიდი უბედურება ტრიალებს. სიმართლე გითხრათ, ეს

უბედურება როგორ უნდა შევავასო, არც ვიცი, ათას მომხდურს არ უქნია ჩვენთვის ის, რასაც ეს ხელისუფლება ბედავს და აკეთებს. „დედაენა“, ჩვენი წმიდათქმიდა წიგნი, „ჩაასწორ-შეალამაზეს“ და ბავშვებს თავგზას უბნევენ, ბიბლიოთეკები გააუქმეს და შენობები გაყიდეს, ახლა ჯერი მწერალთა სასახლეზე მიდგა? საით მივდივართ, გამოქვაბულისკენ?

ნოდარ წულუისკირი:

საუკუნეების კრიალოსანში XXI საუკუნე ყველაზე ცივილიზებულ, მშვიდ და გაწონასწორებულ საუკუნედ წარმომედგინა. ჯერ საუკუნის მეთაედიც არ გასულა და უკვე არნახული ვანდალიზმისა და ბარბაროსობის მოწმენი გავხდით.

დიახ, ბატონებო, საქართველოს მწერალთა კავშირის სასახლის იავარქმნა, მისი წაბილწვა ღამით, ქურდულად, მიპარვით, ძალადობით საქართველოს მატანის ერთ უბნელეს ფურცლად იქცა უკვე. ვის ებრძვით, ქვეყნის ხელისუფალნო? ქართველ მწერლებს, მათ უმშვენიერეს სასახლეს თუ იქ ჩაბუდებულ საქართველოს სულს, რომლის წინააღმდეგ გალაშქრება თქვენი სრული ზნეობრივი კრახით დასრულდება. გონს მოეგეთ!

მწერალთა კავშირის შენობის ოკუპაცია მთელმა ცივილურმა სამყარომ შეიტყო. ვიღებდით თანადგომის წერილებს სხვადასხვა საერთაშორისო შემოქმედებითი ორგანიზაციებიდან.

გთავაზობთ ერთი-ერთ წერილს:

საქართველოს მთავრობას:

როგორც პრეზიდენტი TSWTC-სა, რომელიც აერთიანებს ევროპის ქვეყნების მწერალთა 17 კავშირის საბერძნეთის კუნძულ როდოსზე იუნესკოს ეგიდით, ღრმად ვწუხვარ, რომ მთავრობამ იმ ქვეყნისა, რომელიც აღგვაფრთოვანებს თავისი უნიკალური კულტურული მემკვიდრეობით და ღირსებებით, საჭიროდ ჩათვალა გადაედგა ეს ამაზრზენი ნაბიჯი, რომელმაც შესაძლოა აუნაზღაურებელი ვნება მიაყენოს და კეთილ იმიჯს მთელ მსოფლიოში.

ამიტომ მე მოვუწოდებ საქართველოს მთავრობას და ეკონომიკის განვითარების სამინისტროს, გაითვალისწინონ კულტურული პასუხისმგებლობა ქართული ლიტერატურული გაერთიანებისადმი, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მთლიანად ევროპაში, უზრუნველყონ საქართველოს მწერალთა კავშირის ან სახელგანთქმულ სასახლეში მათი ყოფნის შემდგომი უფლება.

იმედით აღვსილი გიძღვნიტ საუკეთესო სურვილებს:

პოტერ კერმანი

TSWTC-ის პრეზიდენტი, შვედეთის მწერალთა კავშირის თავმჯდომარე 20 აგვისტო. 2007 წ. სტოკჰოლმი – როდოსი

როდემდე უნდა გაგრძელდეს ასე?

ნუთუ დასასრული არ უნდა ჰქონდეს, ქართველ მწერალთა მოთმინების გამოცდას?

უმორჩილესად გთხოვთ, დაუბრუნეთ ქართველ მწერლებს თავიანთი კუთვნილი სასახლე.

თქვენი გულისხმიერების იმედი რომ გადაწურული გვქონდეს, თეა წულუკიანის რომ არ გვჯეროდეს, ამ წერილით არ შეგაწუხებდით.

პატივისცემით და იმედით –

საქართველოს მწერალთა კავშირი;

საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემია

ამ ღია წერილს წინ უძღოდა 2021 წლის 11 აგვისტოს „საერთო გაზეთში“ გამოქვეყნებული რევაზ მიშველამის, სოსო სიგუას, ბადათერ არაბულისა და გური ოტობაიას ინტერვიუები, სადაც ქართველი მწერლების მიერ ფაქტების ზუსტი ცოდნით მხილებული იყო მიხეილ სააკაშვილის და ნატაშა ლომოურის აშკარად უღირსი, უტიფრობამდე მისული საქციელი ქართველი მწერლების მიმართ.

21 აგვისტოს, დილის 4 საათზე? მწერლებთან, რომლებიც დეტალურად იხსენებენ, როგორ დაარბია სააკაშვილის სპეცრაზმმა მწერალთა სახლი

„საერთო გაზეთის“ სტუმარი რეზო მიშველაძე, მწერალი, მწერალთა კავშირის თავმჯდომარე.

– ბატონო რეზო, როგორ მოხდა მწერლების მწერალთა კავშირის შენობიდან გამოყრა. გაიხსენეთ ის ისტორია...

– მაჩაბლის ქუჩაზე მდებარე მწერალთა სასახლე 1921 წლის 28 თებერვალს მიეკუთვნა საქართველოს მწერალთა კავშირს. მაშინ მწერალთა კავშირი 4 წლის დაარსებული იყო. ის დაარსდა 1917 წელს.

აი, მე ხელთ მაქვს საქართველოს მაშინდელი რევოლუციური კომიტეტის განკარგულება, რომელიც დათარიღებულია 1921 წლის 28 თებერვლით.

რევკომის დადგენილებით, ე. წ. ხომტარიას სახლი (მოგეხსენებათ ეს სახლი სარაჯიშვილის ოჯახმა გაყიდა და ხომტარიამ იყიდა), რომელიც იმყოფება სერგეევს (ახლანდელი მაჩაბლის) ქუჩაზე, გადაცემულია საქართველოს მწერალთა კავშირისთვის.

ეს ბინა გათავისუფლებულია რევიზიის, ჩასაცვლებისა და შეზღუდვისაგან.

რევკომის თავმჯდომარე შალვა ელიავა.

მდივანი – მიქაძე.

ქვევით მიწერილია: ვადასტურებ არქივის ამ დოკუმენტის სისწორეს დედანთან.

არქივის დირექტორი: ს. ჯაფარიძე.

მთელი 120 წლის განმავლობაში არავის მოსვლია აზრად, საქართველოს მწერალთა კავშირისთვის ეს შენობა წაერთმია.

მოგეხსენებათ, საქართველოს ახლოს ავბედითი დღეები – ომები, რევოლუციები, 37 წელი, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, თავს დაატყდა ქართულ მხატვრულ ინტელიგენციას, მაგრამ თვით ლავრენტი ბერიასაც კი არა მოუფიქრებია, შენობიდან გამოეყვანა მწერალთა კავშირის წევრები.

2007 წლის 21 აგვისტოს, ღამის 4 საათზე, ეს ჩაიდინა საქართველოს მწერალთა მოძულე და ქართული ეროვნული ფენომენის დაუძინებელმა მტერმა მიხეილ სააკაშვილმა, როგორც ყაჩაღთა ბანდას, ისე შემოუსია შენობას ზოდერბრიგადები.

ღამის 4 საათზე მაჩაბლის ქუჩის მცხოვრებლებმა დაგვირეკეს და მივედით იქ კავშირის თანამშრომლები.

ვხედავთ: გადაკეტილია მაჩაბლის ქუჩა. ახლომახლო მცხოვრებლები ფანჯრის ფარდების უკან დგანან და მაღლად იყურებიან. რომ გითხრათ, იმწამსვე მოზავდა ხალხური ქართული მწერლობის ბუდის დასაცავად, მთელი ქუჩა გარეთ გამოეფინა – რატომ არბევთ მწერალთა სახალხო, ტყუილი იქნება. არავინ არ გაჭაჭანებულა, ისეთი ტერორი იყო...

ზუსტად იგივე განმეორდა, რაც იუნკრებს გადახდათ, რუსის მე-11 არმია რომ შემოვიდა და რომ ამოხოცეს ახალგაზრდა მებრძოლები.

იმ დღეს ტაბახმელასთან სასწრაფოდ გამოქცეული კაპიტანი ჯაფარიძე – არიქა, ბავშვებს გვიხოცავენ, საჭმელი და იარაღი გამოგვიგზავნეთო. თითქმის უიარაღოდ იბრძოდნენ

თურმე ახალგაზრდები, და დასძენდნენ: იქნება, თბილისში მოგროვდნენ მოხალისეები და წამოგვემარონო. მთელ თბილისში განცხადებები გამოუკრავთ – იუნკრებს ვუშველეთო. მეორე დღით, 12 საათზე სერგეევის ქუჩაზე მოგროვებული მხოლოდ 12 კაცი. მათგან მხოლოდ ორს ჰქონია სანადირო თოფი, ერთს ჰყოლია მხოლოდ ცხენი და სანამ ეს 12 კაცი ტაბახმელას აღმართის ფეხით აჰყოლიან, იუნკრები დაუხოცავთ.

ახლაც ასე ვართ. საჭიროების დროს ერთმანეთის გაწირვა გვახასიათებს, თორემ თუნდაც იმ აგვისტოს რომ გამოსულიყო ხალხი, დაგვდგომოდა გვერდით, სააკაშვილი ამ საშინელებას ვერ ჩაიდენდა.

შფოთვის გარეშე ვერ ვიხსენებ: ღამის 5-ის ნახევარია, ვდგავართ მწერალთა შენობასთან და ჩვენს თვალწინ ყრია მთელი ასი წლის განმავლობაში შენახული უძვირფასესი მემორიალური ნივთები და თანდათან ფანჯრებიდან მოცვივა გალაკტიონ ტაბიძის მხრებით მოტანილი კარადა, კონსტანტინე გამსახურდიას სავარძელი, სხვა უნიკალური ნივთები.

მივვარდით სპეცრაზმს – რას აკეთებთ, ბიჭებო, ქართველები ხართ? უცხოელები ხომ არ ხართ-თქო?

– ჩვენო, ბატონო, გვითხრეს, რომ მწერალთა სასახლეში შეიჭრნენ ლტოლვილებიო და გამოიყარეთ ისინი, მაგრამ რომ წავიკითხეთ ოთახებზე წარწერები: მწერალთა კავშირის თავმჯდომარე, მწერალთა კავშირის მდივანი და ა. შ. მივხვდით, რაც

გაგაკეთებინეს, მაგრამ, რა ვქნათ, შვენ პატარა ხალხი ვართო.

ერთი მათგანი, რომელსაც თურმე ჩემი ნაწარმოები ჰქონია წაკითხული, მახსოვს, მთხოვა: თუ შეიძლება, თქვენთან ფოტოს გადავიღებო...

2007 წლიდან გავიდა 14 წელი და ჩვენ ვიბრძვით შეუჩერებლივ ხან სასამართლოებში დავდივართ, ხან – პროკურატურაში, იცვლებიან კულტურის მინისტრები, ეკონომიკის მინისტრები. ჩვენ ასევე ისე ვართ.

ქართველმა ხალხმა ისტორიის სანაგვეზე მოისროლა სააკაშვილი, რომელიც კივიდიდან, უკაცრავად და, ყვეს და იღრინება, – მაგრამ...

– მაგრამ უხესი სიტყვები ამოვიღოთ ლექსიკონიდანო, თქვენმა კოლეგა მწერლებმა – როგორც იცით, გაემიჯნენე „საერთო გაზეთში“ გამოქვებული მიმართვის „უხეშ“ ენას.

– კაცო, მე ჩემი დამოკიდებულება მაქვს და მომეცით ნება და საშუალება, რომ ვილაპარაკო!

ყველა ხელისუფლებამ აგვავსო ტყუილებით და ბოლოს იქამდე მივვადით, რომ მწერალთა სასახლეში, რომელიც 37 ოთახისგან შედგება, ერთი ოთახი არ მოგვეცეს.

– ახლა მწერალთ სახლის დირექტორი ნატაშა ლომოურია.

– ნატაშა ლომოური მიხეილ სააკაშვილის მიერ არის დანიშნული მწერლის სახლის დირექტორად.

ნატაშა ლომოურთან პირადად უარყოფითი დამოკიდებულება არ მაქვს, მაგრამ ლიტერატურასთან და მწერლობასთან მას არავითარი კავ-

შირი არ გააჩნია.

ქალბატონ თეა წულუკიანს უფრო მეტი აკავშირებს ლიტერატურასთან – მისი ბაბუა გახლდათ ალიო შანიძე, პოეტი, მწერალთა კავშირის წევრი, ავტორი ლექსისა „ჩემო ტკბილო მეგობარო“.

ახლა ორიოდე სიტყვას მოგახსენებთ მწერალთა ეროვნულ აკადემიაზე. ეს არის მწერალთა კავშირის ორგანიზაციის ნაწილი, მწერალთა კავშირის განაყოფი. ჩვენ ერთი სხეული ვართ.

სრულიად ვეთანხმები მწერალთა აკადემიის წერილის პათოსს და აქვე დავძენ: ჩვენც ვაპირებთ სექტემბერ-ოქტომბრიდან აქციების გამართვას მოთხოვნით – მწერალთა შენობა დაუბრუნდეს ქართულ მწერლობას!

შეურაცხმყოფელი ფრაზები არ უნდა იყოს, მაგრამ ერთი რამ მაინტერესებს: კაცი, მაკვირვებს ზოგიერთი იმ უნიჭიერესი მწერლის გამოსვლა, რომლებიც ამტკიცებენ: ხელი არ მომიწერია და არაფერ შუაში ვარო.

ეს არის შეშინებული, შემკრთალი, უკანდახვეული კაცის პოზიცია, მე ხომ არაფერი მომივას მოტივზე.

რა ჰქვია, ხელი არ მომიწერია, რაც აქ წერია, შენ იმას არ ეთანხმები? მწერალთა კავშირის შენობა მწერლებს რომ უნდა დაუბრუნდეს, არ ეთანხმები?

ხელი არ მომიწერიაო?!

ჩემი ხელმოწერა რომ ყოფილიყო იქ, იმის მიუხედავად, რომ არავის

მოუმართავს და არც მომიწერია, მე არ ავტეხდი განგაშს, რაც უნდა წერებულიყო შიგ.

ზოგი მწერალი პირველად გამოჩნდა ტელევიზორში, მხოლოდ იმის განცხადებისთვის, რომ ხელი არ ჰქონიათ თურმე მოწერილი.

მაგრამ რაც უნდა იყოს და როგორც უნდა იყოს, მწერალთა კავშირის ნებისმიერი ასოციაციის და დაჯგუფების ხელმძღვანელი უნდა იყოს მწერალი და არა ნატაშა ლომოური.

ის რომ აცხადებს, მწერლებს იქ კაბინეტები უნდათო, რას ჰქვია, კაბინეტი გვინდა.

მწერალთა სასახლეში, ახლა მწერალთა სახლს რომ ესხმის ნატაშა ლომოური. თვითონ ხომ აქვს კაბინეტი და მას არ რცხვენია, რომ გალაკტიონ ტაბიძის კაბინეტში ზის? არ რცხვენია, ორმ გიორგი ღვინძის, იოსებ ნონეშვილის, ან შოთა ნიშნიანიძის კაბინეტში რომ ზის? ეს არაფერს არ ნიშნავს? არ ეპატარავება თავისი თავი იმ კაბინეტში დასაჯდომად და ჩვენ გვიკვირებს, კაბინეტები გინდათო?

ბიბლიოთეკის დარბაზი მაინც გახსნან მწერლებთან შეხვედრებისათვის, მაშინ, როცა მწერალი პრესას, წიგნს ვერ ყიდულობს ამ ქესატობის დროს, მივიდეს, დაჯდეს, როგორც ადრე იყო იმ დარბაზში კონსტანტინე გამსახურდია, სიმონ ჩიქოვანი და სხვანი და სხვანი, გადაფურცლოს ახალი ლიტერატურა და დაისვენოს იქაურ გარემოში. ეს შეუძლებელია?

რამ შეაძულათ ასე მწერლები?

ნატაშა ლომოურს, თავისი პარტიული მიკერძოებულობის გამო, მოგეხსენებათ, ის გახლავთ „ნაცმოძრაობის“ თაყვანისმცემელი, ღმერთმა მოახმაროს, მაგრამ ვკითხულობ, როგორ შეიძლება, ლიტერატურის ყიურში შეიყვანოს, მაგალითად, შოთა იათაშვილი, რომელიც ერთ ლექსში წერს: დილაა, ვწევარ, ადგომა მეზარება და ლოგინში საკუთარ ასოს ვეთამაშებიო.

რა პოეზიის თემაა, ჩემო შოთა, საკუთარი ასოს თამაში?

ამხელა ყიურის წევრი კაცი საკუთარ ასოსთან თამაშით უნდა ერთობოდე?

ამას ვაპროტესტებ მე...

აი, ბილწსიტყვაობა სად არის.

„ლიტერას“ ყიურში, ასევე, შეუყვანიათ „ნაცმოძრაობის“ წევრი და „ნაცმოძრაობის“ დროს განათლების მინისტრის მოადგილე, ქალბატონი ბელა წიფურია, რომელიც სათავეში ედგა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 1200 პროფესორის ქუჩაში გამოყრას, თვითონ ხელმძღვანელობდა, პირადად, ამას.

ამათნაირებს მოუხმობს ნატაშა ლომოური, ამათ აძლევს პრემიებს, ამათ უშვებს ფარნკვურტში და სხვაგან წიგნის ფესტივალებზე მწერალთა კავშირს კი, ნადვილად, პასუხისმებელ პატრონს, ქართველ მწერლებს, მწერალთა სასახლიდან ამევებენ და აბსოლუტურ იგნორირებას უკეთებენ.

ასეთია, ბატონებო, ჩემი დამოკ-

იდებულება და კიდევ ერთხელ ვიტოვებ იმედს – პატარა ბიჭი არა ვარ, რომ ავლელდე, მაგრამ მინდა მჯეროდეს, რომ თეა წულუკიანი დაამყარებს წესრიგს – ქართველ მწერლებს დაუბრუნებს მწერალთა სასახლეს.

სხვა მხრივ, კეთილად ბრძანდებოდეთ.

დიდი მადლობა.

რა მოხდა მაჩაბლის 13-ში 2007

წლის 21

აგვისტოს დილის 4 საათზე?

2007 წლის 21 აგვისტოს, დამით, უფრო სწორად, დილის 4 საათზე, სპეცრაზმი შემოიყვანეს მწერალთა კავშირის შენობაში იმ პერიოდში დაარბიეს გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქციაც, რომელიც დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა ქართულ საზოგადოებაში, ათიათასობით ტირაჟით იბეჭდებოდა და უდიდეს საქმეს აკეთებდა ქართული ლიტერატურისთვის.

იმდამინდელ სპეცოპერაციაში, დაახლოებით, 500 ადამიანი მონაწილეობდა.

მწერალთა შენობაში ყველაფერი დალეწეს, დაამსხვრიეს, გადაყარეს.

შეამტვრიეს ჩემი ოთახის კარიც, ყველაფერი, რაც იქ იყო, ნამსხვრევებად აქციეს და სკამები, მაგიდები, სხვა რამ ავეჯი, რაც იყო, მეორე სართულიდან გადაყარეს ქუჩაში. დატვირთავს ამ ნამსხვრევებით მანქანები და წაიღეს ვანის ქუჩაზე.

5 წლის განმავლობაში მწერალთა

კავშირის შენობაში აკრძალული გვექონდა არათუ შესვლა, არამედ, აქაურობის მიკარებაც კი.

5 წლის მერე მაჩაბლის ქუჩაზე მოვხვდი, გულმა გამიწია, შევედი ჩემს ყოფილ ოთახში და გადავიღე სურათები.

რა თქმა უნდა, მეორე, მესამე სართულები პოლიციის მიერ იყო ოკუპირებული და იქ მტვერი და ნაგავი იყო დაგროვილი.

ამ ხანებში ქალაქის მერიაში დაგვიბარეს მწერალთა კავშირის შენობა უბრუნდება, რის გამოც შაბათ-კვირას 40 დამლაგებელს გამოგიყოფთ და იქაურობა დაალაგეთო. დავიწყეთ დალაგება. 40 დამლაგებელი შაბათ-კვირას დილიდან სადამომდე მუშაობდა. შევიტანეთ გადარჩენილი ძველი ავეჯი, გავაწყვეთ იქაურობა.

ერთ კვირა დღეს მწერალთა კავშირის წევრები პატრიარქმა დაგვპატიჟა თავისთან. შეხვედრაზე არ ყოფილა საუბარი მწერალთა შენობის დაბრუნებაზე, მაგრამ ის აზრი ტრიალებდა, რომ მომდევნო დღეს შენობაში ვბრუნდებოდით.

დილით 10 საათზე მივედით მწერლები შენობასთან, მაგრამ გაძლიერებული პოლიციის კორდონს შესვლის უფლება არ მოგვცა. გვითხრეს: გასარკვევია საკითხებიო. გავიქეციტ მერიაში, ვის აღარ მივმართეთ, ვის აღარ ვთხოვეთ, მაგრამ მესამე დღეს გვიპასუხეს: თქვენს აქ შეშვებაზე პრეზიდენტმა სააკაშვილმა უარი თქვაო.

აით დამთავრდა ჩვენი მაშინდე-

ლი წვალემა შენობის დაბრუნების თაობაზე.

ცინიზმით და ძალადობით მოხდა ყველაფერი. შეაფურთხეს მწერლობას.

შეიძლება, ჩვენ მთავრობა მატერიალურად ვერ დაგვეხმაროს, მაგრამ რაც არსებობდა, ის რატომ უნდა განადგურდეს. ასე ხომ შეუძლია მთავრობას, თითოეული ადამიანი ბინებიდან გამოყაროს, როგორც ხდებოდა კიდეც 1937 წელს და ახლა პერიოდშიც. სხვადასხვა მიზეზებით?..

ბოლშევიკური ხელისუფლება იყო 70 წელიწადი და იმას არ წაურთმევია და გარკვეული ზრუნვის გარეშე არ დაუტოვებია მწერლობა ქუჩაში და ამ თავისუფალ და დემოკრატიულ საქართველოში რატომ დატოვეს მწერლობა ცის ქვეშ?

სოსო სიგუა

გილოლოგი, კულტუროლოგი

– ახლა მე ვიტყვი სიმართლეს, მხოლოდ სიმართლეს და არაფერს სამართლის გარდა.

2017 წელს მწერალთა კავშირის ასი წლისთავი აღვნიშნეთ და ეს არის უნიკალური შემთხვევა. პოსტსაბჭოურ სივრცეში. ევროპის ქვეყნებშიც არსებობს მწერალთა გაერთიანებები, მაგრამ ამხელა ისტორიის მწერალთა გაერთიანება არ არსებობს, თუნდაც იმის გამო, რომ ამ კავშირს უდიდესი ისტორია აქვს, ეს არის ჩვენი კულტურული მემკვიდრეობა. ჩვენი სუ-

ლიერი კუტურის ძეგლი გახლავთ მწერალთა კავშირი. ამაზე გადაწყვიტეს შურისძიება ნაციონალებმა, რადგან მათ ყოველივე ეროვნულის დანგრევა ჰქონდათ გადაწყვეტილი.

2005 წლიდან მწერალთა კავშირს დაფინანსება შეუწყდა და 2007 წლის აგვისტოში, ღამის 4 საათზე ხელისუფლების დამსჯელი რაზმები შემოცვივდნენ მწერალთა კავშირის შენობაში, ქუჩაში გადაყარეს ერისთვის ძვირფასი ყველა ნივთი...

მერე უნდოდათ შენობის გაყიდვა და დადგა საკითხი მისი აუქციონზე გაყიდვისა.

ამის თაობაზე განაცხადი შევიტანეთ პროკურატურასა და სასამართლოში. მთელი ეპოპეა გავიარეთ. ნერვიულობების, დამცირებების ტალღამ გადაგვიარა თავზე და გულზე...

სასამართლოებზე ატარეს ჭაბუა ამირეჯიბი, ანა კალანდაძე, ოთარ ჭილაძე, ლადო მრელაშვილი, სხვები და სხვები, იმის გამო, რომ ამ ადამიანებს სურდათ, მწერლებისთვის და ქართული მწერლობისათვის დაეტოვებინათ კუთვნილი, ისტორიული შენობა.

ქართულ მწერლობაში ცხადია, მოიაზრებოდა ყველა თაობის წარმომადგენელი. იქ არ იყო ამ ნიშნით დაყოფა. დაყოფა კი შეიძლებოდა მომხდარიყო ლიტერატურის ხარისხის შესაბამისად, რაც, დამეთანხმებით, ჭაბუა ამირეჯიბს, ანა კალანდაძეს და სხვებს არ შეეშლებოდათ.

ჩვენ არ გვაინტერესებს და არ

გვანტერებს არავითარი პარტია. მწერალთა კავშირი იყო არის არაპარტიული ორგანიზაცია, რომელსაც ხელს უწყობდა სახელმწიფო – არ ზღუდავდა, არ ატერორებდა ან ამცირებდა, არ აფურთხებდა – უქმნიდა პირობებს ნორმალური შემოქმედებითი პროცესებისთვის.

2007 წლის აგვისტოში ეს ყველაფერი ნაციონალმებმა გაანადგურეს და დანიშნეს იქ თავიანთი წარმომადგენელი დირექტორად.

ახლა „მწერალთა სახლს“ კულტურის სამინისტრო ეხმარება. იმართება აქ სხვადასხვა ღონისძიება, მაგრამ ეს ეკუთვნის ერთ ჯგუფს, ასე ვთქვა, ახალი თაობისას, რომელთა შორის ბევრი ნიჭიერი მწერალიცაა, მაგრამ, მთლიანობაში, ერთიანი ქართული მწერლობის სახლი, ყველა დატვირთვით, აღარ არსებობს.

ეს არის ძალიან დიდი შეცდომა და ძალიან დიდი დანაშაული.

ამ პერიპეტეების შემდეგ ისრაელში გარდაიცვალა ჩვენი უსაყვარლესი მწერალი ჯემალ აჯიაშვილი. უკვე მოსული იყო ხელისუფლებაში „ქართული ოცნება“ და პირველი, რაც გააკეთა ბიძინა ივანიშვილმა იყო ის, რომ მოვიდა მწერლებთან სამიმარზე.

მწერალთა კავშირმა ჯემალ აჯიაშვილის პანაშვიდი გადავიხადეთ საქართველოში, თუმცა ის ისრაელში გარდაიცვალა.

ბიძინა ივანიშვილმა მაშინ თქვა: ეს სახლი მწერლებს ეკუთვნით და მწერალთა კავშირის არისო, მაგრამ

მას შემდეგ შეიკრა რადიკალური მაგიური წრე, რომელიც ვერ გავარდვით.

თავის დროზე მივწერეთ პრემიერ გიორგი კვირიკაშვილს: გთხოვთ ყოველგვარი ჯგუფურობის გარეშე, ყველა თაობის წარმომადგენლები შევიდეთ მწერალთა კავშირის შენობაში, დაფინანსება, რაც არის, დაგანაწილდეს მთლიანად ქართულ მწერლობაზე და არა ცალკეულ ჯგუფებზე-თქო.

კვირიკაშვილმა წერილი კულტურის მინისტრს გადაუგზავნა, მომახსენეთ თქვენი აზრიო. კულტურის მინისტრმა წერილი გადაუგზავნა მწერალთა სახლის ხელმძღვანელს. მწერალთა სახლს დირექტორმა კი ამათ ყველას უპასუხა: მწერლებს არ სჭირდებათ კაბინეტები. არ სჭირდებათ სახლი, დასხდნენ სახლში და წერონ ლექსები და მოთხრობებიო.

კიდევ არაერთხელ მივმართეთ სხვა ხელმძღვანელებსაც, მაგრამ დღემდე არ მოხერხდა სამართლიანობის აღდგენა.

ყოველგვარი ძალადობის, უტაქტო ენის, დაპირისპირების, წინააღმდეგი ვართ, მაგრამ ნებისმიერ ბრძოლაში შევალთ იმისთვის, რომ ერთიანი ქართული მწერლობის სივრცე გასუფთავდეს. ამ ბრძოლაში არ მოვერიდებით არც თავგანწირვას.

ერთმანეთისადმი „ბოლშევიკების“ ძახილი უნდა შეწყდეს.

არ შეიძლება ერთ კაცს მიესიო ან დევნო.

მაგალითად, „ლიტერას“ კონ-

კურსში ერთი ადამიანი ჩასვა მინისტრმაო და გავიდნენ ჟიურის წევრობიდან, მოხსნეს წიგნები და ა. შ. ერთ კაცს ასეთი რა უნდა დაეშავებინა?!

სამართლიანობა უნდა აღდგეს და უნდა აღდგეს საზოგადოების ყველა ფენაში, ყველა სფეროში, ჩვენი ქვეყნის სასიკეთოდ.

მოხარული ვარ, რომ ვახტანგ ხარჩილავა, ჩვენი თაობის ერთ-ერთი შესანიშნავი ლიდერი, რომელიც დღემდე ჩვენს ლიდერად და მეგობრად მიგვაჩნია, გააკეთა უზარმაზარ საქმე, მოახერხა მწერლის ლიტერატურის აქტიურად ჩართვას საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ეს არის მეტად მნიშვნელოვანი ფაქტი ყველა უნდა ამოუდგეს მას მხარში. ყველა ასე რომ იყოს, დღეს უკეთესი რეალობა გვექნებოდა.

ბალათერ არაბული

მწერალთა კავშირის თავმჯდომარე

ნატას ხიზნები

კულტურის სამინისტრო „ნაც-მოდრაობის“ მიერ ანექსირებული რომ იყო და არის დღემდე. ამის თაობაზე ჩემზე უკეთესად ბევრს ნაკლებად მოეხსენება. ჯერ კიდევ 2017 წლიდან მე შევეცადე წიგნის ბაზრობაზე მიერ მომზადებულ-გამოცემული „მეგრული პოეზიის ანთოლოგია“ და 40 წლის განმავლობაში შექმნილი რომანი „სიცოცხლემისჯილი“ მოხვედრილიყო, მაგრამ ნუ მომიკ-

ვდებით! ინგლისურ ენაზე შესრულებულმა ანოტაციებმა არ იკმარა. მომთხოვეს თარგმნილი ვერსიები. როგორი საქმეა. მეგრული პოეზიის ნიმუშებს ამ ათასწლეულების განმავლობაში ძლივს ახლა აქართულებს ბატონი კობა ჭუმბურიძე და ახლა ინგლისურად ითარგმნე, გერმანულად! მოკლედ, როცა ამ კუთხით მივმართე გულისყური და „ქართული წიგნის ეროვნულ ცენტრს“ დაუპტრიალდი, აღმოჩნდა, რომ კვლავაც მათი ხალხის რეცენზიების საფუძველზე იდებოდა თურმე ხელშეკრულებები უცხოეთის გამომცემლობებთან, და თუ ეს გამომცემლობები გამოთქვამდნენ სურვილს აღნიშნული წიგნის დაბეჭვდაზე, ყოველივე ამის საფუძველზე კულტურის სამინისტრო გამოყოფდა თარგმნისთვის სათანადო სახსრებს. მე აქ, ამ ნაცმოურ ლაბირინთებში, პოლიტიკური მიკვრძობებით გაჯერებულ გასაოცარ ფაქტებს წავაწყდი – აქ ცხვირს უბატონოდ არავინ შეგაყოვნებდა. აქ არაფერში გამოგადგებოდა არიადნას გორგალი. ეს ნიშა იმთავითვე დაპყრობილი ჰქონდა „საბას“ პრემიის ნომინანტებს – მეორლობე, მედლებვალე მანქურთებს.

ერთ-ერთ ღონისძიებაზე, სადაც ლიტერატორები უცხოეთიდან იყვნენ წვეულები, ამ სახლის დირექტორს საჩუქრად გადავეცი წიგნი წარწერით. მოსაცდელ დარბაზში ვიყავი და სარკიდან თვალი შევასწარი, ქალბატონმა როგორ შეაგდო უჯრაში ჩემ მიერ მოწიწებით მირთმეული წიგნი.

რა ბეცი ვყოფილვარ?! სამიოდე კვირის შემდეგ ინსტინქტურად რომ მივაკითხე იმ უჯრას, აგერ, არ დამტვერილა თვინიერად?! ამით ქართული კულტურის მწვერვალები ნიავექარს გაატანეს და გური ოტობაიას გარჯილობას რა სიკეთე დაადგებოდა?!

ქართული მწერლობის პრობლემა გაჭირლი ვაშლივით ჩამოჰგავს მთელი საქართველოს სადღეისო ფიზიონომიას – ჩვენ ნატა ქალბატონის და მისთანების ხიზნები ვართ საკუთარ სამშობლოში.

ნაციონალებმა თვალის დახამხამებაში დახურეს „ლიტერატურული საქართველო“, მწერალთა კავშირის სასახლეს სპეცნაზი მიუქსიეს; ბევრი ირბინეს მწერლებმა სასამართლო პროცესებში, მაგრამ იურიდიულად ვერაფრით მოახერხეს აკაკი ხომტაიას ნაჩუქარი შენობის დაკანონება.

მერე თითქოს ერთგვარი გამოცოცხლება დაეტყო ყველაფერს, ხელისფულებებში „ქართული ოცნების“ მოსვლით.

აი, იმ პერიოდში შეიქმნა „საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემია“, თუმცა ყოველივემ პოზიტიური შედეგი ვერ გამოიღო. მწერლობა კვლავაც გახლეჩილი დარჩა. „მწერალთა სახლი“ კი კვლავინდებურად ნაციონალების მიერ პრივატიზებული კულტურის სამინისტროს ნებასურვილზე ტრიალებდა.

აღან დალესისა და მათი ბედასლი ანტიკაცობრიული ბაცილის მედოქტრინეთა მითითებებს კარგადაა გაცნობილი ნაციონალური მოძრაობა:

ბა: „ეუფლე ოქროს და სიტყვას, პრესას!“ ისინი სულელები სულაც არ არიან, მათ ე. წ. „უჩინარი ხელი“ მართავს, რომელიც ცისფერყანწელების პერიოდშიც ბოგინებდა საქართველოში და დადაისტებს, ფურისტებს, სხვათა – საყელოში ხან მიხაკს ჩრიდა და ხანაც ბოლოკ-სტაფილოს.

და, მიუხედავად ყველაფრისა, ჩვენ გამოვიარეთ 1937 წლის 22 ივნისი – პასკვილებით ცხოვრებამოწამლული პაოლო იაშვილი თოფს გულზე მიიბჯინა და ამ ჩვენს სანაქებო მწერალთა სასახლეში თავი მოიკლა საჯაროდ. მხოლოდ ჯავახიშვილი ითქვა, „ნამდვილი ვაჟკაცი ყოფილა, ყველას გვაჯობაო“. დანარჩენი – დიდ-პატარა, ყველა გასუსულია.

და, მიუხედავად ყველაფრისა, ჩვენ გამოვიარეთ 1977 წლის 1 აპრილი – მწერალთა კავშირის პრეზიდიუმზე, გრიგოლ აბაშიძის თავმჯდომარეობით იხილეს ზვიად გამსახურდიას მწერალთა კავშირიდან გარიცხვის საკითხი. საუბარი ეხება მის თანამშრომლობას უცხო ძალებთან, განსაკუთრებით ფაშისტური წარსულის მქონე, გენერალ მაღლაკელიძის ქომავობას „საქართველოს მოამბეში“. ზვიადი გააფთვრებით ამბობს და წერილი ჩემი არ არის, მე ხელი არ მომიწერია. ესენი კი, უკლებლივ ყველა, ერთხმად მოითხოვენ საბჭოური სინამდვილისთვის მოითხოვენ საბჭოური სინამდვილისათვის მიუღებელი ორგანიზაციის წევრის მოკვეთას მწერალთა რიგებიდან.

ქალბატონ თეა წულუკიანისადმი

გაგზავნილ მწერალთა აკადემიის ჯგუფის წერილის შედგენაში მე მონაწილეობა არ მიმიღია, მაგრამ მის პათოსს ცალსახად ვეთანხმები, და გარკვეული შალაშინის შემდეგ, აი, იმ ტექსტს, ჩემეულსაც, წავამატებდი ზედ:

დროა ქართველი მწერლების პრობლემა სახელმწიფომ უმაღლეს რანგში აიყვანოს. დღეს მატერიალურად მწერალზე დაუცველი პიროვნება ძნელად თუ მოიძებნება საქართველოში.

დროა, განახლდეს საუბარი მწერალთა სასახლის სამართალმემკვიდრეობაზე; დროა ქართველ მწერლებს დაუბრუნდეთ არათუ მაჩაბლის 13-ში მდებარე შენობა, არამედ იქვე 11-ში არსებულიც.

დროა აილაგმოს სახელმწიფო ბიუჯეტის, ანუ ქართველი ხალხის ფულით ქართველი ხალხის მაგინებელი ლიტერატურული დესანტების თარგმანების და გამოსცენ მათ თავიანთი სუროგატები საკუთარი თუ პრემია „საბას“ დამფინანსებელი ხაზარაძის თუ სხვა ხაზარაძეების სახსრით, მაგრამ არა ქართველი ხალხის ფულით;

დროა მმართველმა პარტიამ თავად იზრუნოს საკუთარი ტელეარხისათვის, სადაც მის პლატფორმა, მისი ავანჩავანი, მისი გაკეთებული საქმეები ობიექტურად და პერმანენტულად გაშუქდება.

„ქართულმა ოცნებამ“, ბოლო დროს, როგორც იქნა, ქმედითი ნაბიჯები გადადგა. ზოგი ჭირი მარგებელიაო, თქმულა – ოპოზიციურ ძალე-

ბის მასშტაბურმა შემოტევამ იგი საბოლოოდ გამოაფხიზლა და ყველასა და სასიკეთოდ, კოჰაბიტაციური ნირვანიდან გამოიყვანა.

მე ამასწინათ გამოქვეყნებულ წიგნში „აჰა, კაცი იგი“, ფილოსოფოს, აწნეტარხსენებულ ვახტანგ კვარაცხელიასთან საუბარში, ბატონი ბიძინა ივანიშვილი ყველა დროის ათი უდიდესი ქართველის ჩამონათვალში დავასახელე, თავისი არნახული მეოხების გამო ქართველი ერისადმი.

რაც შეეხება ბატონ ირაკლი დარიბაშვილს, პირველი გაპრემიერების დროს, გულზე მოგვეფინა ზუგდიდის მოსახლეობასთან შეხვედრისას თქმული მისი ფრაზა: გორძგუა, გომორძგუა, გომორძგუა მარგალეფ! ჩვენ გულზე მოგვეფინა ბატონი ირაკლის კატეგორიული ტონი, რომელიც კაცობრიობის განვითარების უმთავრეს ქვაკუთხედად დედაკაცისა და მამაკაცის ერთობლიობით შექმნილ ოჯახს ასახელებს.

ვგონებთ, ამ მტკიცე პოზიციის გამო ევნო მაშინ ბატონი ირაკლი, – პარადოქსია, თანამდებობიდან წასვლამ მოუწია. მაგრამ ეს იყო აუტანელი და სამარცხვინო კოჰაბიტაციის წლებში. ახლა კი სულ სხვა დროა, სულ სხვა სულისკვეთების, გამოფხიზლებისა და ეროვნულ პოზიციაზე დადგმის პერიოდი.

ჩვენ გვესმის ევროატლანტიკური პრიორიტეტების, მაგრამ ჩვენ ვერ ვიქნებით თუნდაც ჩვენი პარტნიორი ქვეყნების პოლიტიკური ვასალები, ანუ ყურმოჭრილი მონები.

„ქართული ოცნება“ სულ რაღაც რამდენიმე თვეა მიძინებული ლაზარესავით გამოფხიზლდა, როგორც იქნა გადაადგო თავიდან ნაციონალიზმის ლობისტი აშშ-ის კონგრესმენის თუ სხვათა შემოგდებული კოჰაბიტაციური ბურუსი; ეს მისასაღმებელი მოვლენაა ამისთანა მკვეთრი ნაბიჯების ფონზე „ქართულ ოცნებას“ ვერავინ დაამარცხებს, ვერც თერგდალეული ერთი და ვედარც ოკეანენასმურვეი მეორე!

მოვითხოვთ ჩვენ ქალბატონი თეა წულუკიანისაგან, ამ მეტად ერუდირებული და სახელმწიფოებრივად მომართული პიროვნებისაგან:

ქართველი ხალხის ფულით ნუ ფინანსდება ქართული სახელმწიფოს მოსაშლელად გამიზნული სუროგატული ლიტერატურული პროდუქცია; ქართველი ხალხის ფულით ნუ ფინანსდება გაურკვეველი აზროვნებისა და აღნაგობის უცხოელი თუ შინაური ანტიხელოვნების მაქეზებელი „მწერალთა სახლი“.

დარწმუნებული ვარ, დღეს იქნება თუ ხვალ-ზეგ, უეჭველად მოზრძანდება ამ დაწესებულებაში ქალბატონი თეა წულუკიანი ბატონ ირაკლი ღარიბაშვილთან ერთად და ძირეულად განვიხილავთ, თუ სად მიეჩინება ადგილი ქართულ მწერლობაში წლობით დაგროვილ დარდუბალას. ჩვენ, საქართველოს ბედნიერ, წარმატებულ მომავალზე ორიენტირებულ მწერლებს, არ გვინდა ვიყოთ ქალბატონი ნატას ხიზნები.

ახლა ძვირფასებო, თავად გან-

საზღვრეთ, მომიწერია თუ არა ხელი მწერალთა აკადემიის მიმართვაზე?!

07.08.2021 წ.

მოამზადა მირანდა კალანდაძემ

რედაქციისგან: საინტერესოა, ამ შემზარავი, გამაოგნებელი ინტერვიუების წაკითხვის შემდეგ თუ იტყვიან „განდგომილი“ მწერლები, ეს რა საშინელი ისტორიები მოვისმინეთ და რა ძალიან გული გვტკივა, გვაჟრჟოლებს და ტანში გვზარავსო?

ან თქვენ თუ აგიტოკდებათ შუბლის ძარღვი, გრიგოლიებო, გვარამიებო, ჩარკვიანებო, ნიანგის ცრემლებს რომ აღვარღვარებდით და 37-იან წლებზე და რეპრესიებზე რომ ტეხდით განგაშს?

მიხვდით და გაიგეთ ახლა, ვინ მოუწყო ეგერ, ახლახანს, ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში, ქართულ მწერლობას ტერორი და რეპრესიები?

ამ პუბლიკაციებიდან რამდენიმე დღის შემდეგ კვლავ კულტურის სამინისტროს მითითებით „მწერლის გაზეთმა 2021 წლის 1 ნოემბრის ნომერში (№5, 289) ორი გვერდი მიუძღვნა მწერალთა სასახლის შენობის უსამართლოდ გაჭიანურებული დაბრუნების საკითხს.

გაზეთში დაბეჭდილია ჯანსუღ ჩარკვიანის უკანასკნელი ლექსი, რევაზ მიშველამის წერილი ირაკლი ღარიბაშვილისადმი, ინფორმაცია მწერალთა კავშირის ხელმძღვანელე-

ბის მაყვალა გონაშვილისა და რევაზ მიშველაძის შეხვედრის შესახებ კულტურის მინისტრთან, მწერალთა კავშირის წევრთა კოლექტიური წერილი კულტურის მინისტრისადმი და პროექტი შესახებ იმისა, თუ რა უწყებები უნდა განთავსდეს მწერალთა სასახლეში შენობის დაბრუნების შემთხვევაში.

ამავე ნომრის დაბეჭდილია ჭაბუა ამირეჯიბის მაყვალა გონაშვილის და სხვათა გამოხმაურებანი მწერალთა სასახლეში 2007 წლის 21 აგვისტოს ღამით მიხეილ სააკაშვილის ბრძანებით მომხდარი ვანდალიზმის შესახებ.

მოთმინების ფიალა ავისო!

ჯანსუღ ჩარკვიანის უკანასკნელი ლექსი

2007 წელს
საუკუნის მწერალთა სახლი
მიშამ წაგვართვა,
მას ეგონა თავისი დახლი.
ხელისუფლებავ,
გეტყვი გასამხელს:
მწერალთა კავშირს
დაუბრუნე
თავის სასახლე!

ირაკლი ღარიბაშვილს

ბატონო ირაკლი,
შენ ჩემთან საუბარში და საჯარო გამოსვლებშიც არაერთგზის გითქვამს, რომ მიხეილ სააკაშვილის მი-

ერ მწერლებისათვის სასახლის წართმევა იყო დიდი უსამართლობა, რომ შენობა ეკუთვნის ქართველ მწერლებს და ჩვენი ვალაია, დავუბრუნოთ მწერალთა კავშირს კუთვნილი სასახლე.

მაშ, ახლა რა ხდება?

რატომ აყოვნებს „ქართული ოცნების“ ხელისუფლება ამ უქვეყელი სამართლის აღსრულებას?

პატივისცემით, რევაზ მიშველაძე

იმედის მომცემი შეხვედრა

2021 წლის 12 ოქტომბერს საქართველოს კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის მინისტრმა, ქალბატონმა თეა წულუკიანმა, „მწერლის გაზეთში“ (4.15.X.2021) მისი მისამართით გამოქვეყნებული წერილის გამო თავისთან იხმო მწერალთა კავშირის ხელმძღვანელები მაყვალა გონაშვილი და რევაზ მიშველაძე.

მაყვალა გონაშვილმა და რევაზ მიშველაძემ დოკუმენტურად დაუმტკიცეს მინისტრს, რომ 2007 წლის 21 აგვისტოდან საქართველოს მწერალთა სასახლე ოკუპირებულია „ნაც-მომრაობის“ მიერ.

თოთხმეტი წელია პარალიზებულია საქართველოს მწერალთა კავშირის და მწერალთა აკადემიის საქმიანობა.

„მწერალთა სასახლის“ დირექტორად სააკათვილის მიერ დანიშნული ნატაშა ლომოური აშკარა პარტიული მიკერძოებით მართავს ამ უწყებას.

როცა საკითხი დგება წიგნის ბაზრობაზე გასაგზავნი მწერალთა ჯგუფის დაკომპლექტების, ან წიგნის დაფინანსების, ან ლიტერატურული ორგანოსთვის თანხის გამოყოფისა, ნატაშა ლომოური მტკიცე და შეუვალია: ამათ სააკაშვილი არ უყვართ და უარი ეთქვათ.

დღეისდღეობით ნატაშა ლომოურის ჯიუტი ნებით განადგურებულია მწერალთა უმდიდრესი ბიბლიოთეკა, რომელიც ძირითადად შედგებოდა სახელოვან მწერალთა მიერ მიძღვნილი ავტოგრაფებიანი წიგნებისაგან.

მწერლები მოკლებული არიან საშუალებას მათს კუთვნილ შენობაში მიუხსდნენ მაგიდას და ლიტერატურულ პრესას გაეცნონ.

განადგურებულია მწერალთა უმდიდრესი არქივი.

ქუჩაში მოისროლეს მწერალთა მემორიალური არქივი.

დაკარგულია გალაკტიონის მხრებით მოტანილი წიგნების კარადა, კონსტანტინე გამსახურდიას სავარძელი, დავით სარაჯიშვილისეული „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერი აკაკი წერეთლის მინაწერთურთ: „დათიკო, ეს რა განძი გქონია“ ასევე დაიკარგა ლადო ასათიანის პირველი, საბჭოთა ცენზურის მიერ აკრძალული წიგნი, რომლის სასწაულებრივად გადარჩენილ ეგზემპლარს მწერალთა კავშირში სასოებით ვინახავდით. გაანადგურეს და ქუჩაში გადაყარეს „მწერლის გაზეთის“ არქივი.

ნორმალური გონება მნელად

დაიჯერებს, რომ მწერალთა სასახლის ბაღში გახსნილია ძვირადღირებული რესტორანი (?!), სასახლის მესამე სართულზე მდებარეობს 5-ნომრიანი სასტუმრო, ხოლო სასახლეში სურათის გადასაღებად, თუნდაც 10 წუთით, შესვლა 350 ლარი ღირს. ამ „უწყებიდან“ არცერთი ლარი არ შედის სახელმწიფოს ბიუჯეტში და ადვილი წარმოსადგენია, ვის ჯიბეში ილექება.

მინისტრმა ყურადღებით მოუსმინა მწერალთა კავშირის ხელმძღვანელებს და აღუთქვა, რომ ყველაფერს გააკეთებს, რათა 800-წევრიან მწერალთა კავშირს დაუბრუნოს თავისი კუთვნილი სასახლე.

შეხვედრას ესწრებოდნენ და მწერალთა სასახლის მწერალთა კავშირისთვის დაბრუნების თაობაზე დადებითი აზრი გამოთქვეს მინისტრის მოადგილემ კახა სიხარულიძემ და მინისტრის მრჩეველმა ჭუმბურიძემ.

საქართველოს კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის მინისტრს ქალბატონ თეა წულუკიანს

ქალბატონო თეა!

საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირი მისი არსებობის ასი წლის განმავლობაში განთავისებული იყო მაჩაბლის ქუჩა 13-ში მდებარე ისტორიულ შენობაში.

მწერალთა კავშირის ნავსაყუდელის წართევა თვით კომუნისტების სისხლიანმა რეჟიმმაც კი ვერ გაბედა.

2007 წლის 21 აგვისტოს მიხეილ სააკაშვილის მიერ ჩადენილი გაუგონარი უსამართლობა, რაც მწერალთა სასახლის დარბევითა და შენობის ოკუპირებით გამოიხატა, თქვენთვის (და არა მარტო თქვენთვის) კარგადაა ცნობილი.

14 წელია ქართველ მწერლებს წართმეული გვაქვს ტრიბუნა, 14 წელია ქუჩაში ვართ და მოკლებული ვართ ერთმუშტად შეკვრის, ერთად ყოფნის ელემენტარულ საშუალებას.

მოთმინებით ველოდით, რომ კეთილი გონი გაიმარჯვებდა და ჩვენს მიუსაფრობას ბოლო მოეღებოდა.

დრო უღმობლად გარბის და ხელისუფლების ყოყმანს ბოლო არ უჩანს.

ამიტომაც მოგმართავთ თხოვნით, გასცეთ განკარგულება, რათა საქართველოს მწერალთა შემოქმედებით კავშირს დაუბრუნდეს თბილისში მჩაბლის ქუჩა 13-ში მდებარე მწერალთა სასახლე.

ღრმა პატივისცემით:

მაყვალა გონაშვილი
რევაზ მიშველაძე
სოსო სიგუა
ბალათერ არაბული
თეიმურაზ ჩალაბაშვილი
ზაალ ბოტკოველი
მანანა გორგიშვილი
რეზო ადამია
ლერი ალიმონაკი
თემურ ამყოლაძე
თეიმურაზ ლანჩავა

ავთანდილ ნიკოლეიშვილი
ცირა შალაშვილი
ომარ გვეტაძე
ლევან გოგიბერაშვილი
ირმა ქურასბედიანი
ბექა ქებულაძე
ნათია ჯიმშელიშვილი
მიმოზა ცანავა
დავით თედორაძე
ეთერ ავაქიძე
დავით ახლოური
ვახტანგ ხარჩილავა
გურამ ბათიაშვილი
ნომადი ბართაია
ნონა გიორგაძე
გურამ გოგიაშვილი
აკაკი დაუშვილი
მამუკა დოლიძე
ქეთევან დოლიძე
ზაალ ებანოიძე
ეთერ ზარიძე
რომან ზუკაკიშვილი
მურმან თავდიშვილი
მთვარისა კერესელიძე
დემიკო ლოლაძე
ია სულაბერიძე
დავით სულაბერიძე
ედუარდ უგულავა
ჭაბუკი ქოიავა
ბადრი ქუთათელაძე
თამარ შაიშმელაშვილი
გივი შახნაზარი
ემზარ კვიციანიშვილი
გრიგოლ შონია
მანანა ჩიტიშვილი
მარინე ცხვედიაშვილი
მირონ ხერგიანი
ნაირა მარშანია

ზოია ვაშაკიძე
ნიკა ქვრივიშვილი
ოთო ფალიანი
მორის როსტიაშვილი
ქეთევან ნათელაძე
ალახვერდ თაქლალი
რობერტ აჯიაშვილი
ჯემალ კუხალაშვილი
სანდრო ბერიძე
როინ აბუსერიძე
იაშა თანდილავა
თინა შიოშვილი
ჯემალ სურმანიძე

ქალბატონ თეა წულუკიანს

საკაშვილის მიერ წართმეული მწერალთა სასახლის მწერალთა კავშირისათვის დაბრუნების შემდეგ სასახლეში უნდა განთავსდეს:

1. მწერალთა კავშირის არქივი (სარდაფი);
2. მწერალთა ბიბლიოთეკა და სამკითხველო დარბაზი (I სართული);
3. საორგანიზაციო მუშაობის კაბინეტი კომპიუტერული ცენტრითურთ (I სართული);
4. რუსთაველის მემორიალური კაბინეტი (II სართული);
5. „მწერლის გაზეთის“ რედაქცია (II სართული);
6. მწერალთა კავშირის პრეზიდენტის სამუშაო ცენტრი (II სართული);
7. მწერალთა აკადემიის კაბინეტი (II სართული);
8. ახალგაზრდა მწერლებთან მუშაობის კომისია (III სართული);

9. გამოჩენილ მწერალთა უკვდაყოფის, დოკუმენტური ფილმებისა და ფოტომასალების შეგროვების ცენტრი (III სართული).

მაყვალა გონაშვილი რევაზ მიშველაძე გამოხმაურება

მაყვალას ვენაცვალე!

მოგეხსენება, ცხოვრება ბრძოლაა და ქვეყანაზე ცუდი კაცები სჭარბობენ. ეგენი არ უნდა გაახარო. ათონის მონასტრის ფილაქანზე ამოტვიფრულია: „იდექ მკვიდრად და ურყევად“.

ჭაბუა ამირეჯიბი

სამართლიანობის მოლოდინით

საქართველოს მწერალთა კავშირი 2007 წლის 21 აგვისტოს, დამის 4 საათზე, „როცა წყალსაც კი ეძინა“, სააკაშვილის ნიღბიანმა ზონდერ-ბრიგადამ კუთვნილი სასახლიდან (მაჩაბლის 13) გამოაძევა. ვიხსენებ იმ საზარელ ღამეს, ვათვალიერებ იმ წლების ლიტერატურულ პერიოდიკას. ვცდილობ ალვიდგინო ყველა ის ფაქტი თუ მოვწინააღმდეგე, რომელიც მწერალთა კავშირის თავზე ვარდებით მოსული ხელისუფლების წყალობით დატრიალდა. კიდევ ერთხელ მევსება სული ტკივილით და უსამართლობის განცდით და ეს ტკივილი იქამდე დამრჩება, სანამ სამართლიანობა არ იხეიმებს და დევნილ მწერალთა კავშირს ღირსეულად არ დაუბრუნდება კუთვნილი შენობა, იმ მწერალთა კავშირს, რომელიც საუკუნეზე მეტია ასრუ-

ლებს ექვთიმე თაყაიშვილის 1916 წლის შეგონებას: „საჭიროა შეიქმნას მწერალთა კავშირი, რათა წინა წარუძღვეს ერსაო“. მახსენდება ჭაბუა ამირეჯიბის 2007 წელს მთავრობისადმი მიმართვა: „ბნელეთის მოციქულებო, ქართულ ლიტერატურას ვერც თქვენმა წინაპარმა კომუნისტებმა მოჭამეს ფეხები და ვერც თქვენ მოერევით ქართველი ერის სულიერებას. ჭკუით ქართველებო!“

სასოებით ვინახავ მის წერილს: „მაცვალას ვენაცვალე ცხოვრება ბრძოლა და ქვეყანაზე ცუდი კაცები სჭარბობენ, ეგენი არ უნდა გაახარო. ათონის ონასტრის ფილაქანზე ამოტვიფრულია: „იდექ მკვიდრად და ურყევად“.

ხელისუფლებათა უსამართობაზე არაერთმა მწერალმა აღიმადლა ხმა. მინდა ლადო მრელაშვილის სიტყვებიც გავიხსენო: „მე დამიწვია თქვენი სამართალი! – ისეთი სამართალი, რომელიც ნადირთა სამართალს უტოლდება! თუ ნაღდი, ეროვნული მწერალი გქვია, ამგვარ ბოროტებას სიკვდილის შიშითად არ უნდა გაუყუჩდე!“ (გაზეთი „ლიტერატურა და ხელოვნება“).

სწორედ სააკაშვილის უკუღმართ პოლიტიკაზე წერდას გურამ დოჩანაშვილი: „დღეს საქართველოში ადამიანები პოლიტიკურ ცხოველებად იქცნენ. რამდენად კარგი პოლიტიკოსები გვყავს ძნელი სათქმელია, პოლიტიკური სარბიელი რომ ცხოველთა შერკინებას დაემსგავსა ეს ცხადია. ახლა სწორედ ცხოველური ინ-

სტიქტებით დაგლიჯეს საქართველო. ეროვნულობის აღმოფხვრას კულტურის ღრმა ფესვების განდადგურებით იწყებენ; როგორ შეიძლება მწერალთა ტამარი გაყიდო, გააჩუქო, ეს არის თითოეული მოქალაქის, შეოქმედის საკუთრება. ჩვენი დიდი მამების დანატოვარი“. გურამ დოჩანაშვილი, (გაზეთი „ლიტერატურა და ხელოვნება“).

მინდა გავიხსენო რეზო ჭეიშვილის სიტყვებიც: „დღეს რაც ხდება, აღმაშფოთებელია, მე ვეწინააღმდეგები ხელისუფლების აღებულ კურსს, საქართველოს მწერალთა სასახლე მათ იპოდრომი ხომ არ ჰგონიათ? თუ ეს ხელისუფლება გონს არ მოვა, სწორედ ამ შენობაში გაეთხრებათ სამარე“.

რეზო ჭეიშვილი („ასავალ-დასავალი“)

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თითოეული მწერლისთვის უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის მიმართვა.

„მის აღმატებულებას საქართველოს პრეზიდენტს, ბატონ მიხეილ სააკაშვილს

ბატონო პრეზიდენტო,

მოგესხენებათ ქართული მწერლობის დამსახურება საუკუნეთა განმავლობაში ქართული სულიერების, ადამიანთა შორის მართმადიდებლური რწმენის განმტკიცებისა და ეროვნული ფენომენის დაცვის საპატიო საქმეში.

ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ მწერალთა სასახლის ხელყოფა თქვენგან დამოუკიდებლად და თქვენ ნების გარეშე იქნა ჩადენილი იმ „ძე შეცდომილთა“ მიერ, ვისაც სურდა ეროვნულ ხელისუფლებას დაპირისპირებოდა ეროვნული მწერლობა.

ვშუამდგომლობ თქვენ წინაშე, რათა მწერალთა სასახლე (მაჩაბლის 13) დაუბურნდეს საქართველოს მწერალთა კავშირს, რომ მწერლებს მიეცეთ საშუალება ამ სასახლის ისტორიული ტრიბუნა გამოიყენონ ქვეყნისა და ერის სამსახურისთვის.

**ულრმესი პატივისცემით.
სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II
29 თებერვალი, 2008 წ. („მწერლის გაზეთი“, 3)**

საყურადღებოა 2007 წელს რევაზ მიშველაძის წერილიც: „დემოკრატიის მამა მწერალთა კავშირის დარბევის ბრძანებას როგორ გავცემდითო...“

თავის მართლება მაინც სცადე, რამე მაინც თქვი, შე კაი კაცო.

რაო, ბუზებადაც აღარ ვჩანვართ შენს თვალში, მიშიკო?

**(„მწერლის გაზეთი“, 7 (150),
25 სექტემბერი – 10 ოქტომბერი,
2007 წ.)**

თუ როგორი გამოხმაურება ჰქონდა ხელისუფლების ვანდალურ ქმედებას 2007 წელს, კდიევ ერთხელ გთავაზობთ უცხოეთის სხვადასხვა

ქვეყნიდან გამოგზავნილ წერილებს:

**გამოხმაურებანი მწერალთა
კავშირის დარბევაზე**

**საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ
სააკაშვილს, საქართველოს მთავრობას**

ჩვენ, მწერალთა საერთაშორისო ფორუმის, „სიტყვა საზღვრებს გარეშე“ წევრები ევროპისა და აზიის 15 ქვეყნის ლიტერატურას წარმოვადგენთ. გვსურს, ჩვენი შეშფოთება გამოვთქვათ საქართველოს მწერალთა კავშირისადმი შექმნილი სიტუაციის გამო.

შეუსაბამოდ მიგვაჩნია, როდესაც საქართველოს ხელისუფლება, რომელიც მთელ მსოფლიოში აკეთებს თავისი დემოკრატიული ფასეულობების დეკლარირებას, უხეშად არღვევს იმ საზოგადოებრივი ორგანიზაციის უფლებებს, რომელიც ეროვნული ლიტერატურის საუკეთესო ნაწილს აერთიანებს.

2007 წლის 21 აგვისტოს ძალოვნების მიერ მწერალთა კავშირის შენობის ჩამორთმევამ შესაძლოა ცუდი ასახვა პოვოს საქართველოს რეპუტაციაზე, როგორც დემოკრატიულ ქვეყანაზე.

დარწმუნებული ვართ, რომ მსგავსი ქმედებები საქართველოს გარეშე მტრებს აძლევს ხელს, რომლებიც არ არიან დაინტერესებულ ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებაში.

მოუწოდებთ საქართველოს მთავრობას, მაჩაბლის 13-ში მდებარე შენობა მის კანონიერ მფლობელს – საქართველოს მწერალთა კავშირს დაუბრუნოს. ასეთი გადაწყვეტილება მწერალთა საერთაშორისო საზოგადოების მიერ დადებითად იქნება მიღებული.

ვიედოვნებთ, რომ ყველა თქვენი პრობლემა მალე იპოვის სასურველ გადაწყვეტას და ამ იმედით გისურვებთ ყოველივე კარგს.

**იანუშ კრასინსკი,
პრეზიდენტი**

სომხეთის მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობას სიტყვები ვერ გვიპოვია ამ წარმოუდგენელი ვანდალიზმის შესაფასებლად. თქვენს გვერდით გვიგულეთ. ქართველო მწერლებო.

**სომხეთის მწერალთა კავშირი,
თბილისი**

ქართველ მწერლებს

რა ხდება? ნუთუ ეს ნაბიჯი მწერალთა წინააღმდეგ დემოკრატიულ საქართველოში გადაიდგა?

აზერბაიჯანის მწერალთა კავშირი.

**თბილისი, მაჩაბლის 13,
მწერალთა კავშირს**

არ გვინდა დავიჯეროთ, რომ საქართველოში მთავრობამ მწერალთა კავშირის დაარბია, ალბათ, გაუგებრობასთან გვაქვს საქმე.

ლიტვის მწერალთა კავშირი

თბილისი, საქართველოს მწერალთა კავშირი

მეგობო, ჩვენთანაც, უკრაინაში სადავო გადა მწერალთა კავშირის შენობის კუთვნილება, მაგრამ პრეზიდენტმა უყოყმანოდ ჩვენ მოგვაკუთვნა, გვჯერა, სააკაშვილი არ დაუმშვებს ჭერის გარეშე დატოვებას.

უკრაინის მწერალთა კავშირი

**თბილისი,
მწერალთა კავშირი**

ისტორიას არ ახსოვს ქვეყანაში მოქმედ ყველა მწერალს ხელისუფლება ასე უმოწყალოდ გასწორბოდეს. რა გითხრათ, რით განუგემოთ?

ლატვიელი მწერლები

საქართველოს მწერალთა კავშირი

ჩვენამდე მოაღწია ხმამ ქართველ მწერალთათვის კუთვნილი შენობის ძალის გამოყენებით წართმევის შესახებ. აღშფოთებული ვართ.

ბულგარეთის მწერალთა ასოციაცია

როგორი გულსატკეპნია, რომ ასობით მწერლის მიმართვა ხელისუფლებისადმი, უცხოეთის ლიტერატურული კავშირებისა და ასოციაციების, ყველა გულმხურვალე ქართველის მიმართვა ხელისუფლებისადმი, დაბრუნდებოდა მწერალთა კავშირის კუთვნილი შენობა, დარჩა ხმად მლადელებისა უდაბნოსა შინა და დღესაც მწერალთა კავშირი, აფხაზეთი-

დან და ოსეთიდან დევნილებთან ერთად, ავარიულ, უსახურ შენობაშია შეკედლებული. ნადგურდება უნიკალური არქივი.

მაყვალა გონაშვილი
საქართველოს მწერალთა
კავშირის თავმჯდომარე

2021 წლის 4 დეკემბერს საქართველოს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე საანგარიშო სიტყვით გამოვიდა კულტურის მინისტრი თეა წულუკიანი.

მინისტრს ოპოზიციის წარმომადგენელმა ჰკითხა, მწერალთა სასახლის მწერლებისათვის დაბრუნების თაობაზე. „მწერლის გაზეთმა“ დეკემბრის ნომერში (№6, 2021) გამოაქვეყნდა ამონარიდი პარლამენტის სხდომის ოქმიდან, ხოლო გაზეთის ამავე ნომერში გამოქვეყნებულია პოეტ ბაგრატ ბადიდის პოეტური ქრონიკა „რეპრესირებული მწერალთა კავშირი“:

ბაგრატ ბადიდი

**ჩანაწერი პარლამენტის სხდომიდან,
4 დეკემბერი, 2021 წელი**

გიორგი ვაშაძე (ოპოზიციის წარმომადგენელი) – ...ქალბატონო მინისტრო, რა აზრის ხართ, მწერალთა სასახლის მწერლებისათვის დაბრუნებაზე?

თეა წულუკიანი (მომხსნებელი, კულტურის მინისტრი) – გაოცებული ვარ თქვენეული „გაღმა შედავების“

პოლიტიკით. გაგახსენებთ, რომ 2007 წლის 21 აგვისტოს, დამის 4 საათზე იმდროინდელი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის განკარგულებით ზონდერბრიგადამ დაარბია მწერალთა სასახლე. უძვირფასესი მემორიალური ნივთები ქუჩაში გადაყარა და მწერალთა კავშირი გამოაძევა თავისი კუთვნილი შენობიდან. იმდამდენელი შოკის გამო არაერთ მწერალს დღესაც შერყეული აქვს ჯანმრთელობა. ეს გააკეთან ნაცმოძრაობამ და ახლა მე მეკითხებით თქვენს მიერ 14 წლის წინათ ოკუპირებული შენობის დაბრუნებას? განა თქვენმა თანამებრძოლებმა არ გახსენით ზარზეიმით იმ შენობაში „მწერლის სახლი“ და თქვენ არ დაუნიშნეთ თქვენივე რიგებიდან დირექტორი? ახლა კულტურის სამინისტრო სწავლობს ამ საკითხს და დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, თქვენგან განსხვავებით სამართლიან გადაწყვეტილებას მივიღებთ.

სალომე სამადაშვილი (ოპოზიციის წარმომადგენელი) – რატომ გააუქმეთ შემოქმედებითი კონკურსი „ლიტერა“, რომელიც წლების განმავლობაში ლიტერატურულ პრემიას ანიჭებდა მწერლებს?

თეა წულუკიანი – „ლიტერას“, რომლის ჟიურიც კულტურის სამინისტროს სახელით მოქმედება, სინამდვილეში საერთო არაფერი ჰქონდა კულტურის სამინისტროსთან. იგი იყო თქვენთვის კარგად ცნობილი კეზერაშვილის დაარსებული და კეზერაშვილი აფინანსებდა ამ ტენდენციურ კონკურსს. ტენდენციურს

იმიტომ ვამბობ, რომ პრემია „ლიტერას“ ანიჭებდნენ აშკარა პარტიული მიკერძოებით. ამ და სხვა მიზეზთა გამო ჩვენ გავაუქმეთ „ლიტერა“ და ვპირდებით ჭეშმარიტ, ობიექტურ მწერლებს, რომ მის ნაცვლად სხვა პრემიას დავაარსებთ! აქვე დავძენ, რომ ჩვენი შეცდომა ის იყო, შერიგების მოლიპულ გზას რომ დავადექით და დანაშაულის ჩამდენი პრეზიდენტი თავის დროზე გალიაში არ ჩავსვით.

მინაწერი: საქართველოს მწერალთა კავშირი მადლობას მოახსენებს ქალბატონ თეა წულუკიანს, რომ მის მიმართ დასმულ შეკითხვებს მან სამართლიანი, გონიერი პასუხი გას-

ცა. გვიკვირს ერთი რამ: დარბაზში ბრძანდებოდნენ ქართული ოცნების წევრი დეპუტატები და მათ შორის ერთი მწერალთა კავშირის ყოფილი თავმჯდომარის ქალიშვილი ქეთი დუმბაძეც იყო.

რატომ არცერთ თქვენგანს არ გაუჩნდა სურვილი, ძვირფასებო, ეკითხა კულტურის მინისტრისთვის, კიდევ რამდენ ხანს იქნებიან სააკაშვილის მიერ დამოძვეებული ქართველი მწერლები ქუჩაში?

რაო, ძალიან პატარები ვჩანვართ თქვენს თვალეში პარლამენტის მაღალი სავარძლებიდან ქართველი მწერლები?

მწერალთა კავშირის პრესცენტრი

რეპრესირებული მწერალთა კავშირი, პოეტური ქრონიკა

თვალი დაადგეს ზოგ-ზოგებმა მაჩაბლის 13-ს
და იქ მწერლები რიგრიგობით ათევდნენ ღამეს...

ღამეს ათევდნენ იმ შენობას ჩვენი მხატვრული
სიტყვის ოსტატნი, ქომაგები, მაგრამ პარტიული
განთენისას თავს დაესხა მწერალთა კავშირს...
რაც ხელში მოხვდათ, ყველაფერი გაყარეს კარში.

კონსტანტინე გამსახურდიას უნიკალური სავარძელი...
გალაკტიონ ტაბიძის პირადი ნივთები...
სანახაობა მართლაც იყო გულის შემძვრელი
და დაჰყურებდათ ბადრი მთვარე მათ გააფთრებით.

* * *

ვის დაჰკარგვია, მაგრამ გვყავდა ჩვენ პრეზიდენტად
საკაშვილი რეგვენი, შტერი,

უცოდინარი, უწიგნური, მწერლობის მტერი...
მწერალთა კავშირს მან მოუწყო ბინძური ხრიკი!

„მწერალთა კავშირი“ არ გვქონია რუსთაველის დროს,
მაგრამ დაწერა რუსთაველმა „ვეფხისტყაოსანი“...
ეს თქვა იმ კაცმა და ასეთ კაცს უნდა ვერიდოთ,
ის პრეზიდენტის სავარძელში იჯდა ხბოსავით.

„მწერალთა კავშირს“ ჩამოართვეს მისი შენობა,
გადასცეს იგი „მწერალთა სახლს“ და ფაქტურად
შესრულდა კარგად დაგეგმილი ავანტიურა...
დღემდე გრძელდება ეს სიგლახე, ეს ჩუკუნობა.

მაჩაბლის 13-ს მიამაგრეს ახალი აბრა,
გაუგებრობა, გამოცანა აბრაკადაბრა...
„მწერალთა სახლი“ დააწერეს ლამაზ აბრაზე
და ეს ამბავი ნამდვილ მწერლებს დღემდე აბრაზებთ.

„გატარებული არ გქონიათ რეესტრში სახლი,
ამიტომ უნდა ჩამოგართვათ“, – იყო პასუხი.
როცა მთავრობა ასეთ რამეს პირში მოგახლის,
ისეთ მთავრობას ქვეყნის ბედი არაფრად უღირს.

და უნებლიეთ გამახსენდა დიდი აკაკის
ერთი ცნობილი იგავ-არაკი:
„მგელი და კრავი“,
არა, არ არის ეს საკითხი ხელწამოსაკრავი.

„დაგირღვევიათ ყველა ვადა პრივატიზების,
სწორედ ამიტომ, ამის გამო და ამ მიზეზით
ჩამოგართვითო, ასე გვითხრეს, – თქვენ ეს სასახლე“.
გვითხრეს ასე და შენობიდან გამოგვასახლეს...

სიპ ნიადაგზე არაფერი არ აიგება...
რაც არ იკადრეს სისხლიანმა ბოლშევიკებმა,
ის გააკეთა გუშინელმა ჩვენმა მთავრობამ...
ეს იყო მისი ძალადობა ანუ მძლავრობა.

„ალტერნატიულ შენობაზე“ აქ ლაპარაკი არც შეიძლება... გამოგვიყვეს ძველი ბარაკი... იქვე ცხოვრობენ ლტოლვილები, იმ შენობაში და რა დღეც ადგათ დევნილ მწერლებს, მიხვდება ბავშვიც.

როცა გვყავს რევაზ მიშველაძე, დიდი რევაზი და გააძეგებ სასახლიდან ასეთ ბუმბერაზს, მაშინ ხომ შენთან დავა-კამათს არა აქვს აზრი, ხელისუფალო, აი, მაშინ მართლა უბერავ!

ხელისუფება ქართველ მწერლებს გადაემტერა, მოხდა შენობის ტოტალური ოკუპაცია და სასახელო, ასწლოვანი კულტურის კერა ლიბერასტების ბუდედ აქცია.

ებრძვიან ქართულ მენტალიტეტს და რელიგიას. ფალოსს, სარცხვინელს, უსირცხვილოდ უძღვნიან ოდას და ეს ყოფილა მათი აზრით, სიახლე („მოდა“), ასეთი რამე რატომ ხდება, ვერ გამოგია.

მწერალთა კავშირს შეუტეის: „დრო მოჭამაო“, თუმცა ამ ხალხის ფახი-ფუხი არის ამაო, გაიჯეჯილეს უხერხემლო ლიბერალებმა... შუბი ტოპრაკში, რა თქმა უნდა, არ იმალება.

ნატრობდა ნიკო ფიროსმანი, მკითხველო ჩემო, სადმე ფანჩატურს მხატვრებისთვის, ჩაის, საშოვარს... მაგრამ მწერლებსაც ხომ სჭირდებათ მყუდრო გარემო, ამის გარეშე არაფერი აღარ გამოვა.

გააჩნდათ მწერლებს ამ სასახლის ეზოში ბაღი (იტყვიან ხოლმე: „დაკარგულზე წუწუნნი არ ღირს“), სამუსაიფოდ შედიოდნენ მწერლები ბაღში, როცა სასახლე ეკუთვნოდა მწერალთა კავშირს.

დაგმანულია დღეს კარები „მწერალთა სახლის“ ვთქვათ და მოუნდა დასვენება იმ ბაღში დაღლილ მწერალს, მან უნდა ზარი მისცეს დარაჯს, კარისკაცს... უთხრას თავისი ვინაობა და თუ გარისკავს,

ბაღში შეშვება უნდა თხოვოს... ატუზულს კართან,
დარაჯი არც კი გაოხედავს, „დომფონს“ ჩართავს
და „უცხო სტუმარს“, სხვათა შორის, ცივი ხმით ჰკითხავს:
„გისმენთ, ბატონო, რა გნებავთ, ვინ ხართ?...“

სიმართლე გნებავთ? ის შენობა დღემდე ქებული,
„მწერალთა სახლის“ მიერ არის ოკუპირებული.

დაფინანსება შეუწყვიტეს მწერალთა კავშირს,
ასეთი რამე მართლა მოხდა ჩვენს ქვეყანაში!
მოდით შევხედოთ ჩვენს მეზობლებს: ბაქოს, ერევანს,
მწერალთა კავშირს იქ არავინ
არ დაერევა!
სულაც პირიქით: დაუფასდათ მწერლებს ამაგი,
კავშირის წევრებს იქ უხდინა მაღალ ჯამაგირს.

ნახეთ რასა წერს, რას გვაუწყებს ბაქოს მედია:
მწერალს ბაქოში, თუ ის არის კავშირის წევრი,
მაგრამ არ არის სამოცი წლის, მას სტიპენდია
თვეში ოთხასი დოლარი აქვს (არ არის ბევრი?)
და სამოცი წელს გადაცდება, რვაასი თვეში!
ბაქოში ხდება ეს ამბავი, რა ხდება ჩვენში?

ექვემდებარება აღდგენა-განახლებას
ის, რაც არის დარღვეული და დაშლილი,
მაგრამ რატომღაც არავის ენაღვლება
რეპრესირებული მწერალთა კავშირი.

ამავე ნომრის მე-16 გვერდზე და-
ბეჭდილია მწერალ ლეილა მესხის
„ღია ბარათი რევაზ მიშველაძეს“.

ბარათის ავტორი ქართველი
მწერლების სამდროო განწყობილე-
ბას გამოხატავს. მისი ღრმა რწმენით
უკვე დროა ერთ მუშტად შევიკრათ
და ერთად შევებრძოლოთ „მოზღვავე-
ბულ უბედურებას“.

ლეილა მესხი

ღია ბარათი რევაზ მიშველაძეს!

ძვირფასო მეგობარო! ქართული
მწერლობის ბერმუხავ!

შეცნობისა და აღმოჩენის უსია-
მოვნო წლებს, მდუმარებით გაყვა-
ნილ ჟამს, ახლო ადამიანების, მწერ-
ლების შემოკრებას და, რაც მთავა-
რია, ბოლო ნახტომისთვის მზადე-
ბას... (მწერალთა სასახლიდან გაგდე-
ბული ვეფხვის ფიტული მაგონდება,

ან სანამდე უნდა ყოფილიყო! ალბათ, გაცვდა...) ყველაფერი ცვდება ქვეყნად! მაგრამ ახლა, როცა ხელმეორედ, თქვენი ნოველა „დაფიცება აღმაშენებლის საფლავთან“ წავიკითხე, ერთ ჭეშმარიებას ჩავხვდი... უკვე მოვიდა დრო, ყველანი წამოვდგეთ, გამოვჩნდეთ! ძველები და ახლები... „გახუნებულები“, (როგორც ბოლო დროს გვამკობენ) „ნაფტალინწაწერილები“, „ჩარეცხილები“, ორიოდ უცხოური სიტყვის მცოდნე საზრდვარგარეთ „ნაღვაწი“ და შინდაბრუნებულნი, მშობლიური ქვეყნის აუგად მომხსენებლები, (ყველას არ ვეხები, ბევრი მათგანი სასიკეთო საქმეს არის შეჭიდებული!) ვისაც ვგულისხმობ, თავად მიხვდება მკითხველო! მაშ, ასე... გაგვიძებ, ბერო მინდიავ! ძველი ღირსება დავიბრუნოთ...

რატომღაც მჯერა, სწორედ ახლა, ამ რთულსა და ძნელად შესაცნობ წუთებში, აქეთ კორონა გვიტევეს, იქით... არადა, რა ქნას ამ პატარა საქართველომ, რამდენ მოძალადეს ეომოს?! მთები ინგრევა, სოფლები იმარხება, ჰარიჰარად აშენებულ კორპუსებს თავად ვუთხრით ძირს! რამდენი ჩამოვთავლო?! და ბოლოს და ბოლოს, ხომ დადგა დრო, რომ ჩვენც, ქუჩაში გაყრილი, დამცირებული და შეურაცხყოფილი მწერლები, ძველები და ახლები დავუბრუნდეთ ჩვენს კერას... სადაც პირველი ნათლობა მივიღეთ, მწერლებად ვეკურთხეთ... შევიკრათ, შევერთდეთ, მხარი მხარს

მივცეთ! ბოლოს და ბოლოს, ოჯახიდან, შვილი და შვილიშვილი თუ გააგდე, იქ რაღა გინდა?! ყველა ერთად ვიყოთ, ერთ სულად და ერთ გულად.

გაგვიძებ, ჩვენო მინდიავ!

ახლა, როცა ეს სტრიქონები იწერება, 2022 წელი უკანასკნელ თვეებს ითვლის.

თხუთმეტი გრძელი და მტანჯველი წელი შესრულდა, რაც ქართველ მწერლებს სააკაშვილმა შენობა (თავ-შესაფარი, ტრიბუნა) წაართავ და ღია ცის ქვეშ დატოვა.

ვარდების რევოლუციის გმირები ისტორიას ჩაბარდნენ. სამეულმა ხელისუფლება ვერ გაიყო; ჯერ ზურაბ ჟვანია მოკლეს, მერე ნინო ბურჯანაძეს ურქინა სააკაშვილმა და უპერსპექტივო პოლიტიკოსთა ნახირს მიადენა, ბოლოს თვით სააკაშვილმა მიიღო, რაც ეკუთვნოდა. ოთხეულში ზის და იოსებ გრიშაშვილისა არ იყოს: „იქ იქნება, ალბათ, დიდხანს, დამჯდარა და ყურებს იფხანს“.

ყველამ თავისი მიიღო, მწერლების გარდა.

მუზის მსახურნი იმედის თვალით თეა წულუკიანს შესცქერიან.

არ სურთ დაიჯერონ, რომ სხვა მინისტრთა მსგავსად ქალბატონი თეაც მატყუარა აღმოჩნდება.

„როდემდის, კატილინა, როდემდის?“

ეკა ცხადაძე

მურმან თავდიშვილის ესეიები

მურმან თავდიშვილი მრავალმხრივი ინტერესის მქონე ფილოლოგია, იგი ერთნაირი გატაცებით იკვლევს „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტს, ნიკოლოზ ბარათაშვილის მხატვრულ სამყაროს, აღმოსავლურ პოეზიას, თანამედროვე ავტორების შემოქმედებას და უწყურადღებოდ არც ცნობილი მეცნიერების გამოკვლევებს ტოვებს.

მურმან თავდიშვილი არის ხუთი რომანის ავტორი, რომლებიც მისი ცხოვრებისა და მეცნიერული ინტერესების ანარეკლია. ეწევა მთარგმნელობით საქმიანობას და არის „ახლოით გამჩხრეველი“ კრიტიკოსი ყველა იმ კარდინალური საკითხისა, რომელიც საეტაპო მოვლენას წარმოადგენს ქართულ ფილოლოგიაში. შორს წაგვიყვანს იმ სამეცნიერო ნაშრომების ჩამოთვლა, რომლებმაც მურმან თავდიშვილს აღიარება მოუტანა პროფესიულ წრეებში და სანდო რეპუტაციაც მოუპოვა.

ამჯერად ჩვენს ყურადღებას იპყრობს ახლახანს გამოცემული წიგნი „ჩემიანები“ (ესეისტური მედალიონები), რომელშიც შესულია სხვადასხვა ჟანრის ტექსტები და თავმოყრილია ცხოვრების მანძილზე განცდილი და სულს „დაჩნეული“ განცდები.

„ჩემიანების“ ავტორი საკუთარ

პიროვნებას ასე ახასიათებს:

„აღზრდით პასიური ათეისტია, პირჯვარი არასოდეს გადაუსახავს. უთქვამს: ვერც ღმერთსა და ვერც საკუთარ თავს სიცრუეს ვერ ვაკადრებ, ყასიდად ვერ ვიმოქმედებ, ვერ მოვატყუებ, ლიტონი ლოცვა უფრო დიდი შეცოდებაა, ვიდრე გულუბრყვილო მატერიალისტად დარჩენაო“.

შინაგანი პატიოსნება და ინდივიდუალური ცხოვრებისეული გამოცდილება მურმან თავდიშვილს ყოველთვის ეხმარება მართალი იყოს თანამედროვეთა თვალში და ვალმოხდილი დიდი ქართული მწერლობის წინაშე. მისთვის მთავარი ქართული ენის სიწმინდის დაცვაა, იმ მწერლების შემოქმედების კვლევა, რომლებიც საზოგადოებას ნაკლებად აწუხებენ ამბიციებით, მაგრამ ერთგულად და ნაყოფიერად ემსახურებიან მშობლიურ ლიტერატურას, ამდიდრებენ და ამრავალფეროვნებენ ქართულ სამწერლო სივრცეს.

„ჩემიანები“ საგანგებოდ შედგენილი წიგნია და ახლავე განვმარტავ, რაში მდგომარეობს ეს „საგანგებოობა“ :

პირველი – წიგნში ნახსენები და შეფასებულია ყველა ის ადამიანი, რომლებთანაც ძლიერი სიმპატიები და ემოციური დამოკიდებულება აქვს ავტორს.

მეორე – წიგნში მრავლად არის ავტორისეული **სამეცნიერო მიგნებები**, რომლებიც სხვადასხვა დროს არის ფიქსირებული და ფართო საზოგადოებისათვის წარდგენილი.

მესამე – „ჩემიანებში“ მრავლადაა **მხატვრული პასაჟები**, ავტორისეული **აფორიზმები და შედარებები**, რომლების სხვა დროს სხვა ტექსტში იყო, მაგრამ მურმან თავდიშვილმა მათი ამ კრებულში წარმოდგენა ჩათვალა საჭიროდ.

ყოველივე ეს, გვაფიქრებინებს, რომ „ჩემიანები“ განსაკუთრებული კრებულია ავტორისთვის და მასში თავმოყრილია ყველაფერი ის, რაც შეუცვლელია მურმან თავდიშვილისთვის – როგორც პროფესიონალი ფილოლოგისა და როგორც კერძო ადამიანისთვის. ანუ, ეს წიგნი ავტორის „ალტერ ეგო“, მისი მსოფლმხედველობის უტყუარი გამოხატულება.

მურმან თავდიშვილისთვის უპირველესი დაინტერესების საგანი „ვეფხისტყაოსანია“, რომლის მნიშვნელობაზე წერს: „უკვდავი პოემა იმიტომაც არის უკვდავი, რომ ვარდენილი აკვნიდან შავი სამარის კარამდე მიგვაცილებს და გვმოდვრავს, გვამუნათებს, გვასწავლის; დროისა და ასაკის შესაფერის სათქმელს გვაწვდის.“

რუსთაველი არის ის ბრძენი შემოქმედი, რომელიც ნებისმიერ ასაკში გაამხნევეს ადამიანს და ცხოვრებისეულ სიმძიმეებს გადაატანინებს. მურმან თავდიშვილისთვის ყმაწვილკაცობაში შთაგონების წყარო ყოფილა – „სჯობს სახელისა მოხვეჭა

ყოველსა მოსახვეჭელსა“. მოგვიანებით, როცა პატრიოტიზმი და გმირული მისწრაფებები გაუთანაბრდა, ამოსავალი გახდა სხვა აფორიზმი – „სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა, სიკვდილი სახელოვანი“. ხოლო ცხოვრებისეული გასაჭირისას ამ ფრაზით შევლოდა უიმედობას – „ჭირსა შიგან გამაგრება ასრე უნდა, ვით ქვითკირსა“. თანდათან ამ სიბრძნეს დაექვემდებარა – „არს უკეთესი, რაცადა სწადს განგებასა, ზენასა“-ო.

შოთას პოემაზე შექმნილი მეცნიერული გამოკვლევები გამორჩეული მოვლენაა ჩვენს კულტუროლოგიურ სივრცეში, ამ რეულთა შორისაა მურმან თავდიშვილი, რომელმაც არაერთი ნაშრომი მიუძღვნა „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის აღდგენის „საჭოჭმანო“ საქმეს. რენესანსის ხანის ეს შედევრი ნამდვილ გატაცებად იქცა მურმან თავდიშვილისათვის.

ლიტერატურაზე ფიქრისას „ჩემიანების“ ავტორი იმ დასკვნამდე მიდის, რომ შუა საუკუნეების პოეზიისაგან განსხვავებით, თანამედროვე ლექსის წერის ტექნიკა უფრო დახვეწილი და ეფექტურია, მაგრამ გმირული სული, რაინდული შემართება და უანგარო თავგანწირვის სულისკვეთება სამუდამოდ წარსულში დარჩა.

ერთგან, ასეთი ფრთიან-ხატოვანი გამოთქმა შემოგვთავაზა: „ მხოლოდ ნამდვილი მწერალი დარჩა კალმისა და მდიდარი სიტყვის ერთგული. მამასადამე ერთგულმა საერთგულოს უერთგულა (გვ.303)“. ხოლო XIX საუკუნის საფუძვლიანად მიმოხილვის შემდგომ ერთობ პრო-

ფესიული, მაგრამ არაპროფესიონალებისათვის ერთობ ყურისმომჭრელი დასკვნა დადო: „ დიდნი არიან ბართაშვილიც, ილიაცა და ვაჟა-ფშაველაც, მაგრამ მეცხრამეტე საუკუნის ქართულმა პოეზიამ მაინც აკაკის დროშის შრიალით ჩაიქროლა(გვ.327)“. თავის კოლეგა სოსო სიგუაზე მისთვის ჩვეული ხატოვანებით განაცხადა: „ თქვენ გაგაოცებთ ნაირგვარი აზრთა სიუხვე, სიღრმე, დალიან-წარაფიანობა“ – ო. ჩემი აზრით, სწორედ ამგვარ ნიუანსებში ვლინდება მურმან თავდიშვილის დიდი განსწავლულობა და გემოვნება, როცა საგანგებოდ ახდენს ახალი და ძველი სტილის ეკლექტიკას და ამას ისე დახვეწილად აკეთებს, რომ ზედმეტად თვალში არავის მოხვდება. მხოლოდ დაკვირვებული და ჩამოძიებული მკითხველი თუ დააფასებს „დალიან-წარაფიანობის“ მთელ სილამაზესა და სიღრმეს.

მურმან თავდიშვილის კალამბუ-რებიდან სამს გამოვარჩევ:

1. „ყველაზე კარგი მხატვრული ნაწარმოები ის არის, რომელიც ძალზე ახლოსაა ფორმალიზმთან, ოღონდ ფორმალიზმი არაა“;

2. „ქება ორგვარია: ზოგადი და კერძო, კონკრეტული. ზოგადი ყველას მოერგება, როგორც რეზინის ფართხუნა ლაბადა, ხოლო კონკრეტული პიჯაკივითაა, ტანზე კოხტად მოდგმული და შემოსალტული“;

3. „პოლიტიკაში იმარჯვებს არა რომანტიზმი, არამედ რეალიზმი. იმიტომაც დამარცხდნენ ნაპოლეონი და ჰიტლერი, ხოლო გაიმარჯვეს სტალინმა და ჩერჩილმა. არადა, რა

მშვენიერია რომანტიზმი ლიტერატურაში!“

მრავალი მაგალითის მოყვანა შეიძლება მურმან თავდიშვილის შესანიშნავი წიგნიდან , მაგრამ რაც არ უნდა ეცადო -, ჯადოქრულის ჯამს მარტივ მამრავლებამდე ვერ დაიყვან“.

თანამედროვე ქართული სიტყვის მაგიის წრებრუნვაში გამორჩეულ სახელებად გვევლინებიან მურმან თავდიშვილის ძვირფასი მეგობრები და თანამოაზრეები: რევაზ მიშველაძე, ნუგზარ შატაიძე, შაბურა არაბული, თემურ ჩალაბაშვილი, მაყვალა გონაშვილი, ლაშა გახარია, გივი ალხაზიშვილი, მიხეილ ქელივიძე, გურამ პეტრიაშვილი, მურმან ჯგუბურია, ზაზა თვარაძე და სხვები.

თითოეულ მათგანს საგანგებოდ წარმოგვიდგენს ავტორი და ჩვენ უნებურად ვექცევით მურმან თავდიშვილისეული დანასკვების ზემოქმედების ქვეშ, გვჯერა მისი და ვიზიარებთ მისეულ შეფასებებს.

რევაზ მიშველაძე აღიარებული და დაფასებული მწერალია, მის შემოქმედებას ყველა კარგად იცნობს, მაგრამ ცოტა თუ ახერხებს ასე ლაკონურად და ყოვლიმომცველად დაახასიათოს ძვირფასი მეგობარი და თანამოაზრე, როგორც ეს მურმან თავდიშვილმა შეძლო: „ზოგიერთი მწერალივით იგი არ ეძებს ზეციურ ფილოსოფიას, ციდან ვარსკვლევების მოსაწყვეტად არ იღწვის. ის აქ, ჩვენშივე, ჩვენს გვერდით ეძებს სანოველო მარდეს და პოულობს კიდევ (გვ. 159)“. ხოლო მწერლის გამირებზე ნათქვამია: „მისი პერსონაჟები „ზე-

ციურ“ ფილოსოფიას არ უკირკიტებენ, დღენიადგ მიღმურ სამყაროზე არ ფიქრობენ, მაგრამ საამქვეყნო, რეალურ ფილოსოფიას მკვეთრად, სახიფათოდ ავლენენ(გვ.163)“. როგორც ვხედავთ, ზუსტი და ამომწურავი დასკვნაა გამოტანილი.

რევაზ მიშველაძე ყველაზე რეალისტი და ნაღდი მწერალია, ვინც ქართველების ცხოვრების ყველა მხარეს ზედმიწევნით იცნობს და ასაურათხატებს. თუ ვინმეს არ ახასიათებს „ლიტერატურული კეკლუცობა“ და პოზიირობა ქართულ მწერლობაში, ეს სწორედ რევაზ მიშველაძეა. ჩვენ ერთხელ კიდევ მოვიშველიებთ მურმან თავდიშვილის კალამბურს და დავეთანხმებით, რომ: „ჭემმარტად გონივრული მოსაზრება ფილოსოფიურია, ხოლო რაც ფილოსოფიურია, ის მარადიულიცაა (გვ.664)“.

ალექსანდრე ღლონტის მოგონებამ მურმან თავდიშვილს საშუალება მისცა ეთნოგრაფიული სურათები უშურველად ჩაერთო მეცნიერის ბიოგრაფიაში და წარსულის რეალური ცხოვრების დაუვიწყარი სურათები გადმოეცა; აკაკი გაწერელისადმი მოწიწება მეგობრობაში გადაზრდილია; ხოლო როლანდ ბერიძე და ბორის დარჩია დღესაც უანგარო ძმობის ნიმუშებად აღიქმება.

დაუვიწყარია იაკობ (ჟაკი) ბალახაშვილი, ნიჭიერი და უიღბლო მეგობარი იმ თაობის მწერლებისა, რომელიც ნიკა აგიაშვილმა უკვდავყო თავის დაუვიწყარ წიგნში – „ჭაბუკები დარჩნენ მარად“. სწორედ ამ ჟაკს, „ქართული რომანტიზმის ერთ უდიდეს მკვლევართაგანს“, ლადოსა და

მირზას მეგობარს – ეძღვნება მურმან თავდიშვილის ყველაზე უცნაური და ტკივილიანი მოგონება. ამ მოგონებაში რამდენიმე ისეთი პასაჟია, კინოხელოვნებს ძალიან რომ უყვართ ბოჰემის აღწერისას და რაც მოდილიანისა და ფიროსმანის ბიოგრაფიებს ამშვენებთ.

მურმან თავდიშვილის „ჟაკი“ ჩვენი, ქართული ლიტერატურული ბოჰემის ნაწილია, ტრაგიკული, შესაბრალოსი და შემოქმედების უკვდავების დასტური. მურმან თავდიშვილს გამორჩეულად ხიბლავს ამ „არქილოქეს ღარიბთა და უქონელთა კასტის მუდმივი წარმომადგენლები“.

ბოჰემისა და უიღბლობის დალი ადევს იმ პოეტებს, რომელთა შედევრები ძალიან მოსწონს მურმან თავდიშვილს და როგორც კი საშუალება მიეცემა, ყველას შეგვახსენებს. ლაშა გახარიას „პოეტი“ ამ კატეგორიაში გადის:

„ხან მარტილია, ხანაც – მესია;
თან წერტილია, თანაც – ანთარი!
პოეტი მაინც ერთი ლექსია -
ობლის ცრემლივით ცამდე მართალი.

ვისთვის ღვინო და ვისთვის წყალია,
ქარია მისი ქორონიკონი;
პოეტი ზოგჯერ ერთი ბწყარია -
ყაყაჩოსავით ცხელი სტრიქონი!...“

შაბურა არაბულის სიყვარული-სადმი მიძღვნილი მადრიგალიც ამავე რკალიდანაა:

„მგელს – კრავი, ტურას – ქათამი,
შაბურას კური არ შია;
თოვლიან ქედებს ავლია
ნისლის მსუბუქი არშია.

მარტო ვარ, მარტო ვირჯები,
თმაგაჩეჩილი ქარშია.
იმ ქალმა ჩემთან სიცოცხლეს
სხვასთან სიკვდილი არჩია...“

მურმან თავდიშვილი ცალ-ცალ-
კე ახასიათებს ლაშა გახარიას და შა-
ბურა არაბულის პოეტურ ტექსტებს,
მისი წერილები სხვადასხვა დროსაა
შექმნილი, მაგრამ ამ პოეტების სათ-
ქმელი და თითოეულის გამოკვეთი-
ლი ინდივიდუალიზმი, შესანიშნა-
ვად არის ჩვენამდე მოტანილი.

მურმან თავდიშვილი დანანებით
შენიშნავს, რომ ბევრ შესანიშნავ შე-
მოქმედს არ ღირსებია ქართული
კრიტიკის ყურადღება და ეს დიდი
თეთრი ლაქაა ჩვენი ლიტერატურუ-
ლი პროცესისათვის. თავად შაბურა
არაბული თავს ასე იმშვიდებდა:

„ვერ გამიგია, რისთვის ვირჯები,
მე, ღმერთი, რჯული, არ ვარ
გურმანი;

სახლსაც ავაგებ და ვიამყებ,

თუ წაიკითხავს ამ წიგნს მურმა-
ნი!“

„ჩემიანებს“ მაგისტრალურ ხა-
ზად გასდევს წუთისოფლის სიმოკ-
ლით და ამო ფაციფუცით გამოწვე-
ული სინანული. მიწიერი პრობლე-
მებით დატვირთვამ მურმან თავდიშ-
ვილს ასეთი სიტყვები ათქმევინა: „
აწ გარდასულო სულიერო ძმებო და
დებო, მაპატიეთ, თუ თქვენი გადა-
უხდელი ვალი თან მიმყვება, თუ სი-
ცოცხლეში კეთილი სიტყვა ვერ და-
გაწიეთ, ჭირში ქვითკირის გაღავნად
ვერ გექცეით, ლხინში თანადგომა
ვერ გაგიწიეთ, თუკი ჩემდამი გამოც-
ხადებულ თქვენს აღაღანებულ სიყ-
ვარულს ჩემი დაგვალული გრძნობა

ვერ გაწვდა.

და მაინც თავს ვიცავ, ვიცავ ჩემი-
ვე აფორიზმით:

ბევ შეცდომას ახალგაზრდობა
ამართლებს, ბევრსაც – მოხუცებუ-
ლობა (გვ.719)“. „მეცოდომადლე“
კაცმა, ასე მჭევრმეტყველურად გამო-
ხატა საკუთარი გრძნობები და კიდევ
ერთხელ დაგვაფიქრა ამ ცოდვილ
წუთისოფელზე.

მურმან თავდიშვილს ქართულ
ენაზე გამოცემული სამეცნიერო და
ლიტერატურული წიადსვლებიდან,
არაფერი გამოუპარება; მართლაც ყვე-
ლაფერს კითხულობს და აფასებს, არ
გამორჩება მეტ-ნაკლებად საინტერე-
სო და ფასეული მოვლენა; ძალიან
მომთხოვნი და შეუვალია საკუთარი
თავის მიმართ და ასევე უშეღავა-
თოდ ექცევა ლიტერატურულ ლან-
დშაფტზე მოღვაწე ინდივიდებს. ყო-
ველწამიერად აცნაურებს, რომ: „აწო-
ნილი სიტყვა აწონილ ოქროს უდ-
რის“.

უკვე აღვნიშნეთ ის ფაქტი, რომ
„ჩემიანები“ (ესეისტური მედალიო-
ნები) ნოსტალგიით გაჯერებული
წიგნია. მრავალი სამეცნიერო ბატა-
ლიების, პროფესიული ბრძოლის,
მიღწევებისა და მოწინაარმდეგეთა
უკან ჩამოტოვების შემდეგ, მურმან
თავდიშვილმა საკუთარ თავს და
შემდგომ, ჩვენც, გაგვიკეთა საჩუქარი
„ჩემიანების“ სახით, ყველა მისთვის
მნიშვნელოვანი და ძვირფასი პიროვ-
ნება ერთად შეკრიბა, ერთ წიგნში
მოაქცია და საამქვეყნო ვალიც მოიხა-
და.

„ჩემიანების“ მრავალი პასაჟი

ბადრი ცხადაძე

1. ენობრივი დეკულტურისაცია ანუ ავადმყოფი ერი – რა მანძილია „ბედნიერი ერიდან“ „დებილ“ ქართველობამდე?
2. ერთი წიგნის თავმოხაჭრელი ენობრივი ავან-ჩაავანი.

შესავლის მაგიერ

როგორც ადრე ვწერდით, დღეს საქართველოში, ქართველოლოგიური კვლევების თვალსაზრისით, სავალალო მდგომარეობაა: ენობრივი დეკულტურისაციის პირობებში შეიღალა სამეცნიერო დარგები, პროფესიონალობა, სპეციალისტობა, მეცნიერის ღირსება – ხშირად, როგორც რიგით მკითხველს, მეცნიერული აზროვნების ნაცვლად საუცხოო დიზაინურ დონეზე გამოქვეყნებული ცრუმეცნიერული და დილეტანტური ნაშრომების წაკითხვა გვიწევს. თითქოს არ გვყოლოდეს საქვეყნოდ ცნობილი ენათმეცნიერი-აკადემიკოსები: აკაკი შანიძე, არნოლდ ჩიქობავა, ვარლამ თოფურია, ქეთევან ლომთათიძე და სხ.

ცენზურის მოშლის შემდეგ, პოსტსაბჭოურ დამოუკიდებელ და თავისუფალ საქართველოში, გავრცელ-

და უცენზურო ენათმეცნიერული კვლევა-ძიებანი. ეტყობა, ყველა ჯურის მეცნიერებაზე ამბიციების მქონე პროფესიონალი თუ არაპროფესიონალი ამ დროს ელოდა. და, აჰა, გაიგოს წიგნის ბაზარი ათასგვარი მაკულატურითა და ნახევრადმაკულატურით – ვულგარული ინტერპრეტაციებით, ცრუაღმოჩენებით, ცრუმეცნიერებით.

განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს ერის უძველესი წარმოშობის თეორიები, ჩვენ წინაშეა ქართული ანბანის წარმოშობის არაორდინალურად კვლევის მრავალგვარი დილეტანტური გააზრება, გვარ-სახელების „არაჩვეულებრივად ნაყოფიერი“ კვლევის შედეგები კი განსაცვიფრებელია. ქართველები ხომ იკვლევენ და აგნებენ სამყაროს ღერძსაც, ნოეს კიდობანსაც, ძველ

კოლხურ დამწერლობასა და ფესკოს დისკის გამიფვრასაც „ახერხებენ“, სამი ათას (მეგრულ) გვარსაც და შუმერულ-რაჭულ, შუმერულ-სვანურ შესატყვისობებსაც... თქვენ წარმოიდგინეთ, საქართველოში მცხოვრები მცირე ერების წარმომადგენლებიც (ოსები, აფხაზები და სხვ.) წარმატებით გვბამავენ და გრმელდება პოსტპერესტროიკული ვაი-ჰკუისაგან.

გვარი ერის სიმდიდრეა და მისი სოციალურ-პოლიტიკური, სოციოკულტურული და ინტელექტუალური დონის მაჩვენებელი. ადამიანთა გვარ-სახელებში კოდირებულია ტაბუ, მითი თუ ახლო წარსული... გვარში იმიფრება ყველაზე დიდი ღირსებები და დიდი დამარცხებები; სახელი და გვარი მაგიურ წარმონაქმნადაც მიაჩნიათ ზოგი დარგის პროფესიონალთ.

გვარისა და მეტსახელის პირველსაწყისი კულტურის პირველსაწყისებია; რაც უფრო მეტია გვარი, მით აღმატებულია ერი და ნაცია. რაოდენ სამწუხაროა, რომ „უცენზურობა“ ლამის თავშისაყვამად გაგვხდომია, რადგან სწორედ ამ შემოქმედებითი თავისუფლების ჟამს ენათმეცნიერებს (ქართველოლოგებს) საანეკდოტოდ გვექცა ლინგვისტურ-ეტიმოლოგიური ძიების საქმე: ყველა ენათმეცნიერობს, დიალექტოლოგობს, ლექსიკოგრაფობს, ლექსიკოლოგობს, ანბანთმცოდნეობს, ეტიმოლოგობს (ეტიმოლოგისტობს), ტოპონიმისტობს, განმკითხავი კი არავინაა. მეცნიერული „უცენზურობანი“ წალეკვით ემუქრება ოდესღაც პროფესიონალობით და მაღალი

კვლევის კულტურით გამორჩეულ ქართულ ჰუმანიტარულ სამეცნიერო საზოგადოებას.

ამ მხრივ არც ქართული სატელევიზიო სივრცე ჩამორჩება ენობრივ დეკულტურიზაციას. მაგ., **პოსტ TV** (ჟურნალისტ ვინმე ნოე ჟორჟოლიანის შოუში) და **ალტ-ინფო** იწვევს ისეთ ადამიანებს, რომელთაც წარმოდგენა არა აქვთ იმის შესახებ, თუ რას ნიშნავს გვარი. შარშან 2021 წელს ცნობილ წამყვანის, მიხეილ ცაგარლის ბაგეს უნებლიეთ, პრიმიტიულად, წამოცდა: ჩემს გვარში **ცა** მარცვალიაო. „ისემც აუდგეს გვერდები“, როგორც იტყვიან. მას მერე მის შესახებ და მის ასტროლოგობა-ვარსკლავთმრიცხველობაზე წარმოდგენა დამეკარგა. დიახ, მას ჰგონია, რომ, ცაგარელ გვარ-სახელში **ცა** ღია მარცვალია და არა დახურული და ა. შ. სინამდვილეში წამყვანი, ცრუ ჟურნალისტი, სრულ ცრუ ეტიმოლოგიას გვთავაზობს. ამ სიტყვაში, ეტიმოლოგიურად, არავითარი **ცა** ღია მარცვალი არ არსებობს, არსებობს მხოლოდ დახშული **ცაგ**, რომელიც სვანურად ეკალს ნიშნავს. მომდინარეობს ტოპონიმ ცაგერისაგან ე. ი. **ცაგარ** // **ცაგერ** ეკლიანი ადგილი. შდრ. **ცაგო** ქალის სახელი იმერეთში. აქაც **ცაგ** ეკალს ნიშნავს და გვარსახელი ცაგურია / ცაგურიშვილი, ცაგარეიშვილი, ასე რომ, მისი გვარი წარმოშობით სვანურია. ქიმის მეცნიერებათმა კანდიდატმა დაუკრეფავში გადასვლით შეურაცხყო ქართულ-ქართველური ენათმეცნიერება (კერძოდ, ცნობილი ენათმეცნიერის, მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის პეტერბურგის

უნივერსიტეტის პროფ. ალექსანდრე ცაგარლის სახელი, რომლის ხსენებაზე დღევანდელ პეტერბურგელ ქალბატონებს, ვისაც მასზე რამე სმენია, სიყვარულისგან უახლოესი (ერთი საუკუნის წინანდელი) წარსულის ძილბურანშია) და ქართველ ქიმიკოსთა სკოლა.

მეცნიერება, კვლევა, მიგნება-აღმოჩენა არა ცაგარეიშვილ // ცაგერეიშვილ, ცაგურია-ცაგარლით მთავრდება, არამედ ესპ. გაი, გაია, ქართ. გაი-აშვილი, ევროპ. ჯაგო (ცნობილი ეკონომისტის გვარია ევროპაში), შდრ. ქართ. ჯაგოდნიშვილი, პორტუგ. გაია, ქართ. გაიაშვილი, ფრანგ. მარშან, ქართ.-აფხაზ. მარშანია, შვეიც. ხოფერ, ქართ.-მეგრ. ხოფერია, ქართ. ბესელია, ევროპ. ეკონომისტი ბესელი, ქართ. კვესელაძე, კვესელავა, ევროპ. კვესელევიჩ, რუს. ახიჯაკოვა, ქართ. ხიჯაკაძე, რუს. შაბუროვი, შაბუროვა, ქართ. შაბურიშვილი, რუს. რობაკ – ქართ. რობაქიძე, რუს. შარაფოვა, ქართ. შარიფაშვილი, არაბ. ბადრი, ქართ. ბადრი, ბადრიაშვილი, ბადრიძე, თურქ. თურნა (ქალის სახელი) ქართ- მეგრ. თურნავა, უნგრ. დოლაკ, ქართ. დოლაქ // დოლაკ, დოლაკიძე // დოლაქიძე... არამედ მათით იწყება, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყველა ევროპულ ან არაბულ გვარებთან სიახლოვეს ამჟღავნებს, მათი გარეგნული მსგავსება პირობითია. ზოგ შემთხვევაში კი უცხოურიდან შემოსული გვარ-სახელი (შავი ზღვისპირეთიდან) დასავლეთ საქართველოში. ან კიდევ ესპანეთში პატარა ქალაქი გავარდა, აქედან გვარსახელი გავარდაშვილი, გავარდაშვი-

ლები დღეს საქართველოში, ახმეტის რაიონში ცხოვრობენ, ზმნური წარმოშობის მეტსახელია, გადმოცემით ბატონისაგან გაქცეული ყმისათვის შეურქმევიათ [2, 41], სწორედ აქედან უნდა ავიღოთ სახელმძღვანელოდ ეს გვარი და ვიკვლიოთ, როგორ გაჩნდა იგი ესპანეთში, საფიქრებელია, უფრო შემთხვევით, ასეთი გვარები საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ არაერთია [3].

და კიდევ ერთი სამწუხარო ამბავი: ერთმა ვინმე მეგრელმა ქალმა, გვარად ახალაიამ (მისი ნამდვილი სახელი აღარ მახსოვს) თურქეთში მცხოვრებმა და იქ მომუშავემ რჯული შეიცვალა – მაჰმადიანი გახდა. უნდა გენახათ, მაჰმადიანური თურქული სამყარო რა ხბოს აღტაცებით გადასცემდა ამ ამბავს საკუთარი ტელევიზიით, თუმცა ამ ქალბატონს დღეს ამ საქციელით ნათესავები მოკვლით ემუქრებიან, მაგრამ მსგავსი არაფერი მომხდარა. ნუთუ ამ ქალს იაკობ ხუცესის „შუმანიკის წამება“ მაინც არ უსწავლია ქართულ საჯარო თუ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში? ან სად არის ქართული სამღვდელეობა, საპატრიარქო და პატრიარქი, რომ დღემდე ყველა საეჭვოდ დუმს. „დებილი“ ქართველებით სავსეა ტელევიზორცე, ქალაქი და სოფელი. ინფუზორია ჟურნალისტებით სავსეა ტელეგადაცემები. ახლა დუმილი სიკვდილის ტოლფასია.

და ბოლოს დაისმის კითხვა: **რა მანძილია „ბედნიერი ერიდან“ „დებილი“ ქართველობამდე?**

ქართულ ენას, შეიძლება ითქვას, არასოდეს ულხინდა. მას ყოველთვის

ჯიჯგნიდა მომხდური. თუ მეთვრამეტე საუკუნემდე ქართული ენა თურქული ენის ტყვეობაში იყო [ბ. ფოჩხუა, არნ. ჩიქობავა და სხვ], შემდგომ მე-19 საუკუნიდან ლამის დღემდე მშობლიურ ქართულს რუსული დაეპატრონა ყველა დონეზე. დღეს კი ნუგუმის თავიც არა გვაქვს, ენა დადღასმულია არაქართული მინარევებით. როგორც სპეციალისტები გვესიტყვებიან, ქართულში ენის ენობრივი მარაგი მხოლოდ 20 %-ია.

დიდი ილია ჭავჭავაძე, როგორც ნოვატორი ქართული ენისა, განიცდიდა ქართული ენის ბედუკუდმართობას. ბოლოს იმ დონემდე მივიდა, რომ ქართველებს ერთ-ერთი გაუხუნარი ლექსი „ბედნიერი“ ერი დაგვიტოვა, რითაც კიდევ ერთხელ უკვდავყო თავისი სახელი. ეს ლექსი ილიამ გამოჩენილი იტალიელი პოეტის ჯუზეპე ჯუსტის (1809-1850 წწ.) ანალოგიით შექმნა (იხ. ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტომი I. პოეზია, თბ., 1987, გვ. 416) ილია ამ ლექსში ერთგან წერს:

**...ჩვენისთანა ბედნიერი
განა სადმე არის ერი?!**
მტვერწყარილი,
თავდახრილი,
ყოვლად უქმი, უდიერი;
უზღუდონი,
გზამრუდონი,
არგამტანი და ცბიერი,
მტრის არმცნობი,
მოყვრის მგმობი,
გარეთ მხდალი, შინ ძლიერი...“

(გვ. 130).

აი, ასეთი ქართველობის ხელში დღეს გაირყვნა ქართული ენა, დაგვა-

ვიწყდა ყოველგვარი ქართული (თითზე ჩამოსათველ თითო-ოროლა შესანიშნავ მწერალსა და მეცნიერს, ცხადია, არ ვგულისხმობთ). მაგალითად. გიორგი ერისთავის პიესების ქართული სალიტერატურო ენა შესწალილია, მასზე დაცულია დისერტაციებიც, მაგრამ მისეული ლექსიკის ნიმუშს, როგორცაა „„გიჟვრაცუა“ ანუ „გიჟქართველა“ ვერც ერთ ლექსიკონში (ერთტომეული, რვატომეული...) ვერ შეხვდებით. ჩანს, მე-20 საუკუნის ქართველებს ეჩოთირათ ქართველი ერის აუგად მოხსენიება (აკად. არნ. ჩიქობავა და სხვ.) როგორ შეიძლებოდა „გიჟვრაცუა“ (ქართველებს კიდევ გვაქვს მსგავსი აღნაგობის ლექსემები: იმერ. „ქალოია“ „მდედრობისკენ (ცისფერობისკენ) მიდრეკილი ახალგაზრდა მამაკაცი ანუ „ქალაჩუნა“, რომლებიც კარგად ახასიათებს ქართველი კაცის ან ქალის შინაგან ფსიქიკურ ბუნებას: ასეთი სატირითა და დამცირებით გადამეტებულ, თავქარიან ქართველ ქალს, რომელიც სექსუალურად ერთი მამაკაცით არ კმაყოფილდება, ლამის ყველა ქალაქში იპოვით.

ასე რომ, სრულიად კანონზომიერად მიგვაჩნია, ზემოთ ილია ჭავჭავაძის მოხსენიებული ლექსიდან მიგვეღო ახალი ფრაზეოლოგიური ერთეული „დებილი ერი“. ქართველები დღესაც მართლაც შეპყრობილი ვართ „დებილი ერის სინდრომით“, რაც ვლინდება ჩვენს ყოველდღიურობაში. სამწუხაროდ, ამჟამინდელ ქართულ პარლამენტში დღეს არც ერთი ნამდვილი ფილოლოგი არაა (გარდა ერთი ლიტერატორი მწერ-

ლის რ. ჩხეიძისა), მით უფრო ენათმეცნიერი, ვისაც როგორ უნდა, თავის ენაზე, ისე „ბჭუტურობს“.

თანამედროვე პარლამენტარების, ტელეკომენტატორებისა და ტელეჟურნალისტების სამეტყველო ენა არაერთხელ განგვიხილავს (იხ. ე. ცხადაძე, ბ. ცხადაძე, გამოყენებითი სტილისტიკა, თბ., 2011) დავუშვათ, ერთი წუთით, წარმოვიდგინოთ, რომ რუსეთმა ჩვენკენ „ორივე თვალით“ გადმოიხედა და აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონები დაგვითმო. წარმოუდგენია ვინმეს, როგორ დავბრუნდებით და რა სახელმწიფო ენაზე დავუკავშირდებით მათ (საქართველოს კონსტიტუციას არ ვგულისხმობთ). მით უფრო, როცა საქართველოს ტელევიზიების უმეტესობა დაბალ სამეტყველო და არასალიტერურო ენაზე მეტყველებს (როგორიცაა: რამოდენიმე, ერთმა და იგივეს, ოცი-ოცი (2020), ოცი-ოცდაერთი (2021) (თ. ხიდაშელი, მ. ხაზარაძე და სხვ.), ვეუბნები თ. ხიდაშელი). ვაუ, ვააუ, ვავუ (თავდაცვის ყოფილი მინისტრი დ. თევზაძე და სხვ. ან ინგლისურ შორისდებულს წარმოთქვამენ თანამედროვე რუსულ ენაშიც. მაგალითად, ცნობილი ტელეწამყვანი, მომღერალი, ალა პუგაჩოვას მეუღლე, მსახიობი მაქსიმ გალკინი), მოლოდინები და ა. შ., გვატკობენ სატელევიზიო ტელერგოლებით „ანტიქართული ჩიქორთულით“.

ერთ ჩვენს კოლეგას ზეპირად ვუთხარი, „ბატონო გ., ვინც დაწერს და იტყვის, კარებები, კოქსოქომიური, რამოდენიმე, ღუმელიდან..., ის ჩემთვის პროფესორი არაა-მეთქი,

ხმის ამოუღებლივ დამეთანხმა. ტელევიზიების დაბალმა დონემ კიდევ უფრო დამარწმუნა ამაში, მთელი წელი, ლოგინსმიჯაჭვულივით, ტელევიზორს ვუყურებდი, კოვიდ 19-ის გადამკიდე, იმიტომ, რომ ტელევიზორის სხვადასხვა არხი ლუი დე ფუნესის ფილმებით, მისი ძველისძველი ყურებით გვატკობდა). აი, ჩვენი „ხმამდადადებელი“ ტელევიზიები.

ამას ჰქვია სწორედ: უნახავმა რა ნახაო“.... ილია ჭავჭავაძე ახლა რომ ჩვენ გვერდით იდგეს, ალბათ, „ლექს „ბედნიერი ერი“ ხელახლა დაწერდა.

დედა ენას ნუ დავივიწყებთ ქართველებო!. „ვაშინერს“.

*** ** *

ერთხელ, რუსულ არხე, გადაცემა „პოლე ჩუდესის“ წამყვანმა არკადი იაკუბოვიჩმა თავისთან მიიწვია ერთი ახალგაზრდა ქალბატონი გარუსებულ-ნაქართველარი და შეკითხვა დაუსვა; „მე დაგისახელებ ერთ 24-ასოიან სიტყვას და შენ გამოიცანი – ასოების დასახელებით ეს ერთი სიტყვაო (სინამდვილეში ეს ერთი სიტყვა კი არა, ორი სიტყვისაგან შემდგარი ქართული შესიტყვება იყო: „ხელოვნების...“. ბ. ცხ., გარუსებულმა ქალბატონმა ამ 24 სიტყვისაგან შედგენილი სიტყვის ნაცვლად მხოლოდ 18 ასო დაასახელა. ბატონმა წამყვანმა იცოდა, რომ ამ ქალბატონს ნაქართველარს წარმოდგენა არ ჰქონდა ქართული ენის ფლობაზე, საერთოდ, მეტყველება არ შეეძლო. მიუხედავად ამისა, გაეცა პასუხი, რა ერქვა

ძველ ქართულად სიტყვა მუსიკოსს, ნაქართველარ-გარუსებულმა შეუმცდარად დაასახელა და წამყვანმა ავტომანქანა მოაგებინა. და მაინც, ვინ იყო რუსისთვის ეს პირველწყარო – „საცოდავი“ ქართველი ან წიგნს მიმწოდებელი, სადაც „ხელოვნების ...“, „მუსიკოსი ეწოდა? ასეთი სიტყვა ძველ ქართულში არ არსებობს. სამწუხაროდ, ჩვენს გამოკვლევას და მონოგრაფიებს არავინ იცნობს. აბა, საიდან ეცოდინებოდა იაკუბოვიჩს, რომ ძველ ქართულად მუსიკოსს არა „ხელოვნების...“, ერქვა, არამედ „მუსიკელი?“: ამის შესახებ ჩვენს სადოქტორო დისერტაციაში გვიწერია [4, 150]: „ძველი ქართულის ტექსტებში **-ელ** სუფიქსი „მუსიკ“ სახელს დართვია და მქონებლობის მნიშვნელობა მისცემია. **მუსიკ-ელ** ფორმა ჩვენს ხელთ არსებული ლექსიკონებისათვის უცნობია. საბას ლექსიკონში მხოლოდ მუსიკაა დამოწმებული, სადაც აღნიშნულია: ეს სიტყვა „ლათინურია, ჯმონებად მოვა, ქართულად სახიობა ჰქვია(ნ) [5] ნ. ჩუბინაშვილიც თავის ლექსიკონში მუსიკი, მუსიკობა ფორმებს იმოწმებს, რაც ასეა განმარტებული: მუსიკი-სახიობა, ძნობა საკრავთა და თვთ საკრავნი, МУЗИКА, MOUSIKE) მუსიკობა – შაირობა, მოთქმა ლექსებით, შაირით, ВОСПЕВАТЬ СТИХАМИ [6]“. ჩვენი მასალის მიხედვით, მუსიკელი მუსიკოსს, დამკვრელს უნდა ნიშნავდეს, ხოლო მუსიკელობა ხმიანობას, ხმის გამოცემას, ამღერებას: მაგ., „ორფევს იყო ნათესავით თრაკი, მუსიკელი ჯელოვნებით (ზდაპრ. 44, 29). დიახ, 9-10 საუკუნის წინათ ქართვე-

ლებს გვქონია დამკვრელი მუსიკოსის ანალოგიური ტერმინი **მუსიკელი**, რომლის არცოდნა ქვეყნად არავის ეპატიება, მით უფრო, როცა საქმე ავტომანქანით დაჯილდოებას ეხება. ასეთი წიგნები საქართველოში ათასობითაა, ხოლო გამკითხავ-გამომცემელი კი არავინ.

შენიშვნა 1: სამწუხაროდ, ეს სიტყვა შეტანილი არაა არც ი. აბულაძისა და არც პროფ. ზ. სარჯველაძის „ძველი ქართული ენის (სალექსიკონო მასალა) მასალებში“.

და ბოლოს კიდევ ერთი უსიამოვნო პოლიგრაფობის გამო. ჩვენს გამომცემლობებში გამომცემლებს წიგნის ავტორები აწუხებენ იმის გამო, რომ მათ წიგნებში აბზაცები არ დაიცვან. ეს ფრიად უღირსი ფაქტი ორი ათეული წელია დომინირებს გერმანულ და ინგლისურენოვან გამომცემებში. გერმანული აბზაცი სიტყვის (წინადადების პირველივე სიტყვის) შეწვევა ახალი აზრის გამოსათქმელად, რაც ჩვეულებრივია თანამედროვე, ახალ ქართულ სალიტერატურო ენაში, არადა, ზოგი გამომცემელი ამას არაფრად დაგიდევთ. მაგალითად, გამომცემლობა „არტანუჯის“ დირექტორმა კახმეგ გუდავამ ახლახანს გამოსცა ანბანის შესახებ პლაკატი (ქართულად რა ვუწოდო კედელზე გასაკრავს, არ ვიცი). ავტორს ჰგონია, რომ საქმე გააკეთა. არადა ეს ქართული ენის გაუკუღმართებაა. აბზაცის არდაცვა დიდ სირცხვილად მიმაჩნია. რისი ბრალია ეს? ეს იმის ბრალია, რომ დღემდე არ არსებობს ქართული სალიტერატურო ენის ნორმების დაცვის სახელ-

მწიფო კომისია (პალატა), რომელზეც ასეთი საკითხები უნდა წყდებოდეს. რამდენიმე წლის წინ პროფ. ბატონმა გ. გოგოლაშვილმა აკად. არნ. ჩიქოვას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტში, რამდენიმე წლის წინ მითხრა, კომისიის მუშაობა მალე აღდგებაო, მაგრამ დღემდე საქმეს პირი არ უჩანს. ასე მგონია, ქართულ ენას პატივს არავინ სცემს.

შენიშვნა 2. როგორც ახლახანს შევიტყვე, თანამედროვე სალიტერატურო ენის ნორმების სახელმწიფო კომისია არსებობს, რომლის ხელმძღვანელია ფილოლოგი, არალინგვისტი პროფ. გიორგი ალიბეგაშვილი, რომელიც მანამდე თბილისის საკრებულოს უძღვებოდა. ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა გ. კვირიკაშვილმა მიანდო მას ეს საქმე. ლიტერატორი ანუ არაენათმეცნიერი როგორ უძღვება ამ საქმეს კარგად ვხედავთ. მხოლოდ რამდენიმე ახალი კომპიუტერის შეძენით, ენას ცოდვილი ხელით არ უნდა შევეხოთ (დიდი ილია ჭავჭავაძე).

ნეტავ, საქართველოს პარლამენტში თუ ვინმე კითხულობს წიგნს?

ერთი-ორი წლის წინ საქართველოს რომელიღაც ტელეარხმა გვაცნობა, რომ 2025 წლისთვის მსოფლიოში ქაღალდი ანუ წიგნი აღარ გამოვაო, რაც იმას ნიშნავს, რომ ყველაფერი „ციფრულზე“ გადავა ე. ი. ჟურნალ-გაზეთების სიახლეებს მხოლოდ კომპიუტერით ვეზიარებთ. ტელე-ჟურნალისტები, ტელეწამყვანები ისე მეტყველებენ, თითქოს დღეს მრავალათასწლეულიანი ქართული ენა კი არ გვქონდეს, არამედ ახალშექმნი-

ლი, ახლადჩასახული ქართული. განსაკუთრებით ამ კუთხით გამოირჩევიან გასაცოდავებული ტელერეჟორტაჟის წამყვანები, საფეხბურთო, საჭიდაო, სარაგბო და სხვა ღონისძიებების მქონე ინფუზორია სპორტული კომენტატორები. ვინ და რატომ მოიგონა წყალბურთის გარდა, თუნდაც საფეხბურთო რეჟორტაჟის ორ ენაზე ორი ტელეწამყვანით წარმართვა, არავინ იცის. მაგალითად, და მაერთებელ კავშირს ისინი წარმოთქვამენ ისე, თითქოს ახალშობილი ბავშვი ენას იდგამდეს: დაყპ, სადაც დაყპ დაღმავალი ხმოვანია. ასეთი არნახული რამ შეგვინიშნავს ცნობილი ქართველი კლასიკოსი მწერლის გრიგოლ რობაქიძის შემოქმედებაში.

და მაინც, როგორ მეტყველებენ დღევანდელი ოცდამეერთე საუკუნის ქართველი ჟურნალისტები და მასმედია? აი, მათი „ჩინებული“ ქართულის ნიმუშები: „ბელორუსი ოპოზიციონერი ქალი წიხანოვსკაია, პუტინის ქალიშვილი წიხანოვა, რეგინა ნიკიწიუკი, ლუკაშენკა, ხერსონა, ლუჰანსკი, ხარკივი, გიორგმა, დაანონსა, გავმეორდები, ლოჯისტიკა, წინააღმდეგ შეთხვევაში, გაყიდვების ოფისი, საოფისე გაყიდვები, ...საქართველოსთან მიმართებაში, კარგად ითამაშა მეორე სართულზე, აგორავენ ბურთს, გადარჩა გატანილ გოლს“ „ეგენი არიან პოლიტიკური მემავეები“ და სხვ. ასე რომ, ტელევიზიას გაუნათლებელი, ნაკლებ წიგნიერი ინფუზორიები დაეპატრონენ. იმის ნაცვლად, რომ წამყვანმა ჟურნალისტებმა რეჟორტაჟი სწორად წარმართონ, ნაცვლად ამისა, გუნდის შე-

მადგელობასაც კი არ ასახელებენ, მხოლოდ საფეხბურთო მატჩის ირგვლივ რაღაც მიკობულ-მოკიბული ამბებით კმაყოფილდებიან, რასაც არავითარი შეხება არა აქვს რეპორტაჟის საფეხბურთო მატჩის მსვლელობასთან. მეტიც: თუ ასე გაგრძელდა, ხელთ შეგვრჩება ერთგვარი კონგლომერატი, ენობრივი ნაერთი – ახალი ქართული ენის ნაცვლად უახლესი ქართული ენა. საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ დღევანდელი ქართველი ტელევიზიით გამოსვლისას არაფრად აგდებს საკუთარ გამოსვლას, რაც ენაზე მოადგება, იმას ამბობს. როგორც ჩანს, დიდი ქართველი ენათმეცნიერების დრო კარგა ხანია წარსულს ჩაჰბარდა. სადღა ნახავთ ცნობილი ენათმეცნიერების აკად. მზ. შანიძის, ან აკად. წ/კორ. ივანე გიგინეიშვილის სატელევიზიო გამოსვლებს, რომლებიც ქართული ენის ფლობით, დიდი აკადემიურობით გამოირჩეოდნენ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თანამედროვე ქართველმა არ იცის თანამედროვე სალიტერატურო ქართული ენა, ქართული ენის გრამატიკა, დღემდე საშველი არ დაადგა „ქართული ენის ლოგიკური გრამატიკის“ შექმნას (პროექტის ავტორი ლინგვისტ-ლოგიკოსი, პროფ. ვ. ფხაკაძე), რომელსაც დაახლოებით 25-30 წელი სჭირდება. დღეს ქართველი თითქმის აღარ ამბობს წოდებით ბრუნვას, იგი ჩვენს თვალწინ კვდება. ზოგიერთმა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა ხმარებიდან ამოიღო სიტყვები: ლაპარაკი, ძალიან, მოლოდინი, სამაგიეროდ ამბობს და წერს: „საუბრობს,

ძან, მოლოდინები“, ამკვიდრებენ ძველ ქართულ წრფელობით ბრუნვას, რომელიც დღევანდელ ქართულ ენაში აღარ გვაქვს „აჭარა ბეთ. კომ“) და ა. შ. ამაში მეტ-ნაკლებ სცოდავენ წამყვანი ტელეჟურნალისტები თავიანთი ვითომდა სალიტერატურო ქართულით: ვინმე ბაჩო გურგენიძე, ალექსანდრე ცნობილაძე და სხვანი. სამწუხაროდ, უცებ, ჩვენ თვალწინ, გაქრა ცნობილი ტელეწამყვანების ეროსი მანჯგალაძის, კოტე მახარაძის, ჯამლეტ ხუხაშვილის „თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმირებული სკოლები“. მათ ისიც კი არ იციან, როდის რა თქვან: კასილასი თუ კასილიასი, რივოლინო თუ რივოლინიო. მახინჯდება არაქართველურ-უცხოური წარმოშობის გვარები (ფრანგული, ესპანური, იტალიური, პორტუგალიურ-ბრაზილიური და ა. შ.), როგორც უნდათ, ისე წამოთქვამენ გრძელ, მოკლე და უმლაუტიან ხმოვნებს და ა. შ.

ერთხელ ენათმეცნიერების ინსტიტუტში, მეოცე საუკუნის 80-იან წლებში, უფროს მეცნიერ-თანამშრომელთა სამეცნიერო კონფერენციის მიმდინარეობისას კამათი ატყდა ქართველი ჟურნალისტების ცუდმეტყველების გამო: ზოგი რა აზრს გამოთქვამდა და ზოგი რას. ამით იმის თქმა გვინდა, რომ რომ ეს პროცესი უშედეგოდ 40 წელია გრძელდება. განმკითხავი კი დღემდე არავინაა.

შენიშვნა 3; ჩვენს კოლეგა-ენათმეცნიერებს ასეთი ცდომილებები – „მეტყველების კულტურის საკითხები“ 21 ტომად აქვთ გამოცემული. ადვილი წარმოსადაგენია, თუ რა

დღეშია ქართული ენა ამ შეცდომების ლიგვისტურ აღნუსხვას 2-ჯერ 21 ტომი არ ეყოფა.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ქართული სალიტერატურო ენის ანთროპონიმებს. შეცდომამა ისეთი სახელების კნინობითი ფორმები, როგორცაა: ანკა // ანნა, ნანკა, მანნა, მანჩო, მაცაცო, ნინჩო, ნანუკა, ნანაკა, ნინაკა, ნატუკა, ელიტა, ივა, ვახო, ჯუნა, ჯუნიკო, აკა, აკუკი, გოკა, იკა, გოგლიკო, და მისთ. საშინაო ტულეტში სალაპარაკო კნინობითი სახელები არ უნდა ვაქციოთ სალიტერატურო ენის ნორმირებულ სიტყვაფორმებად. შეცდომამა: ბატონო თემო, თემუკო, ქალბატონო თამრიკო, რადგან გამოდის, რომ ცნობილ პიროვნებას ერდროულად პატივისცემის ნიშნად ვეფერებით კიდევ და საალერსო ფორმებითაც მივმართავთ. მსგავსი რამ რომ არ მოხდეს, ამისთვის საჭიროა სათანადო ადგილას სამსახურებრივად უმკაცრესი მოთხოვნით დავსვათ კოლეგა ენათმეცნიერები, რომლებმაც უნდა დაიცვან სალიტერატურო ქართული. (ამავე აზრისაა, მწერალი და მთარგნელი, რუსთველოლოგი, პროფ. მ. თავდიშვილიც) საწინამდებო შემთხვევაში ისინი მკაცრად უნდა დაისაჯონ, თვით სამსახურის სამუდამო დაკარვითაც კი.

ქართულმა სამეცნიერო სკოლამ, კერძოდ, ეკონომიკამ ამ მხრივ გააოგნა ქართველი მკითხველი. ერთ უზადრუკს ქართული გვარ-სახელი გამოუცვლია და რაიონის მითითებით დაკმაყოფილებულა. მასზე საკუთარი სახელიც თან დაურთავს მა-

გალითად, ვინმე **ნაბიჯი ხარაგაული**. ამ გვარით ვერაფერს გავიგებთ ავტორის ვინაობას. ჩანს, იგი ქალი უნდა იყოს, ალბათ, გათხოვდა ვინმე უცხოელზე და.. აი, ასე გვარცხვენენ ქართველები ონომასტიკა-ტოპონიმისა და გვარის წარმოების მხრივ.

შენიშვნა 4: ყველაზე გარცელებული მცდარი ფორმა, რომელსაც ნებისმიერი ქართველი უშვებს, ესაა ნამყო დროის ზმნური ფორმის გამოცემა ახლანდელი დროით. მაგ.,

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი დავით ზალკანიანი აშშ-ში საქართველოს ელჩად **ინიშნება** (**თანაშენიშვნა:** არადა ელჩად უკვა დანიშულია და, ამრიგად, უნდა ვწერდეთ: დაინიშნა)

„ოპონენტებმა კარგად იციან, თურა დღეში ჩავარდება ჩვენნაირი ქვეყნები“.

„1934 წელს ი. ბუაჩიძე წარმატებით **ამთავრებს** ინსტიტუტს ინჟინერ-გეოლოგის კვალიფიკაციით და პროფესორ ა. ჯანელიძის რეკომენდაციით **დგზავენება** აჭარის წყლის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობაზე საინჟინრო-გეოლოგიური ჯგუფის ხელმძღვანელად (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორები, თბ., 2004, გვ. 38)., 1946 წლიდან ი. ბუაჩიძე მუშაობას **იწყებს** საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ასისტენტად (იქვე, გვ. 39);

აქვე დავძენთ, რომ სიტყვათგანლაგება ქართული ენის „აქილევსის ქუსლი“ გახდა: „დაიჭირეს ორი საქართველოს მოქალაქე“. და სხვ.

შენიშვნა 5; კიდევ ერთი უსიამო გარემოება. ვიდაც ახალგაზრდა ქართულმა წყვილმა, ცოლ-ქმარმა, თავიანთ ახალშობილ ვაჟს ტოკიო დაარქვეს. ადვილი წარმოსადგენია, თუ ასე გაგრძელდა, რა ანთროპონიმები გაჩნდება უახლესი პერიოდის საქართველოში: თბილისი, ქუთაისი, ვარშავა, მოსკოვი, პარიზი, ადის-აბება და მისთ., გვაქვს კიდევ: დასავლეთ საქართველოში: კოლექტივი, ტრაქტორი, კონბაინი, დივიზო და სხვ. აი, რა საქართველო გველის ხვალ.

შენიშვნა 6; მთელი ტელესივრცე აჭრელბულია ისეთი სპეციფიკური ტერმინებით, როგორცაა: საერთაშორისო კატეგორიის მთავრობათაშორისი ექსპერტი, კიბერ უსაფრთხოების ექსპერტი. სამხედრო ექსპერტი, ეკონომიკის ექსპერტი. განათლების ექსპერტი და მისთ. ამდენი პირტიტველა ექპერტი როგორ ჰყავს ასეთ პატარა საქართველოს, როცა ერთი ხეირიანი ეკონომიკის მინისტრი ვერ გაგვიზრდია? ვინ ამლევს მათ საექსპერტო დიპლომებს? ჩვენი ადგილობრივი ტელევიზიები ხომ არა?

შენიშვნა 7; განსაკუთრებით აჭრელბულია ქართული რეკლამის „ენა“. კაცი ვერ გაიგებს შენობის ფასადზე წარწერას – საავეჯო სახლია, თუ გასტრონომი (მაგალითად, **აუთლეტი // აუთლეტი** – ასეთი სიტყვა ქართულ ენაში არ არსებობს). წარწერის რეკლამის შინაარსს შეიძლება მხოლოდ ინტუიციით ჩაწვდე. აქაც, ამ შემთხვევაშიც, საქმეს იურისტების სათანადო ადგილას დასმა-წამოსკუპება ვერ უშველის. ამ საქმის მიება

მხოლოდ პარლამენტის საქმედ გვესახება.

ენობრივმა დეკულტურიზაციამ მოიცვა ყველაფერი, საქართველოს პარლამენტიც კი. მხოლოდ ახლანდელმა პარლამენტარმა ფრიდონ ინჯიამ აღიმალა ხმა გინების აკრძალვის შესახებ. საქართველოში თავს იწონებენ გინებით, უწმაწური და სკაბრეზული სიტყვებით. (იხ. ბ. ცხადაძე, გინება და ქართველები, სალიტერატურო-სამეცნიერო ჟურნალი „პარალელი“, #9, გვ. 135-138; გ. გოგოლაშვილი, ბილწისიტყვაობა დანაშაულია! ზნეობრივი ატმოსფერო წახდა! გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 22-23 ნოემბერი, 2021 #204(9323), გვ. 7). სხვათა შორის, რუსულად გინებასა და სკაბრეზული სიტყვების ნაირგვარობაზე დაცულია არაერთი სადოქტორო დისერტაცია, საქართველოში კი პირიქით, ამის შესახებ, თუნდაც ქართველური ენების დონეზეც კი, არავის გახსენებია.

ქართულ ტელესივრცეში გავრცელდა და ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე ფეხს იკიდებს ორენოვანი ქართულ-ინგლისური გამოთქმები და სიტყვაფორმები. მაგ., **მელოmoney, იმედი LIVE**, ადრე წერდნენ **სილკუნევერსალს**, მერე ვიდაც მიხვდა, რომ არასწორად წერდნენ და ახლაც ამ არხს მართებულად **სილქუნევერსალი** (ჩვენი დაწერილობით **სილკუნევერსალი**) ეწოდება. ასევე არამართებული გამოთქმაა არაქართული ინგლისური სატელევიზიო არხის სახელწოდება **GDS** (რომელიც აბრევიატურაა „ქართული ოცნები-სა“.. სამწუხაროდ, ამ არხის დაარსე-

ბიდანვე საქართველოში არ აღმოჩნდა ისეთი ვინმე, ბატონი ბიძინა ივანიშვილისთვის ეთქვა: „ბატონ ბიძინა, ამ სახელს ნუ დაარქმევთ. ქართული არაა, იქნებ სხვა რამ მოვიფიქროთო). არაქართული გამოთქმებით სავსეა თბილისში კარფური, ქარვასლა ა. შ. და მათ ფასადებზე (ინტერიერსა თუ ექსტერიერზე) გაკრული ცრუ ქართული სიტყვათშეხამებანი., რომელთა მცდარობის შესახებ 50-მდე სამეცნიერო წერილი-სტატია მაინც დაიწერება..

ქართველ ბიზნემენტა ერთი ნაწილი ამითაც არ კმაყოფიდება. მათ ისე გაშალეს ფრთები, ვერ გაიგებ, ვინ საით მიფრინავს ან დალოდავს. მაგალითად, დავით აღაშენებლის ხეივანზე, ერთმა „ბიზნესმენმა“ თავის სათავო ოფისს თუ ჯიხურს ასე დაარქვა: **ბუფიტი**. აი, ასეთი ქართველები ეზრდება საქართველოს! მართლა რა ვუთხრა ასეთს, ვისაც ეს დიდი ქართველი პოეტის (მ. მაჭვარიანის) პერიფრაზი უხდება.

შენიშვნა 7; საქართველოს ტელემესვეურებმა ერთ-ერთ სატელევიზიო გადაცემას „სთორი“ დაარქვეს, თითქოს ქართულში ამ სიტყვის ქართული შესატყვისი არ გვექონდეს. ასეთ მოქცევას შეიძლება ჰქონდეს „ინზეცილური ქართული“ დაგვერქმია, თვით მოქმედებისათვის – „ინზეცილიზმი ქართულ ჟურნალისტიკაში“.

საშინელებაა სარეკლამო ბანერების ენობრივი პრობლემის ნიმუშებიც მოხმობაც კი. ასე მგონია, საქართველოში კი არა, არამედ სადღაც აფრიკის რომელიმე გადაკარგულ „ქდონის“ ქვეყანაში ვიყოთ.

თბილისელთა ახალ თაობას, მობისნესმენო ზოგიერთს ელემენტს, რომელთა საკუთარი ფასადებისათვის ქართულში უმლაუტიანი ხმოვნები შემოუღიათ, არადა, თავმოსაწონი აქ არაფერია. „ვიღაცა ქართულის მცოდნეს“ თავისი ჯიხურისთვის დიდ დილომში **მალტჭრი** დაურქმევია, ასეთი დებილური, ანტიქართული გამოთქმა თბილისის გარეუბნებში თანდათან ვრცელდება (ასე ჰქვია ერთ-ერთ ახალ უბანში, დიდ დილომში, პეტრიწის ქუჩიდან ამოსვლისთანავე პოლიციის ახლომდებარე პირველ სართულზე არსებულ ერთ პატარა მონაკვეთს.

ცნობისათვის 1. **მალტჭრ** სვანური სიტყვაა, უკეთ, ბალზემოური კილოს კუთვნილია.

მალატ ბალზემოურ სვანურად „სიყვარულს“ ნიშნავს, მალტჭრ კი – მოსიყვარულეს. ქემოსვანურად „ლილატჟი“. სვანურში სულ 16 ხმოვანია, რის გამოც სხვადასხვა კუთხის სვანები ერთმანეთს ვერ უგებენ. რა საჭირო იყო ამ სიტყვის ქართულში შემოტანა, როცა არც ასეთი ხმოვანი არ გვაქვს? ჩვენთვის მალაზიის პატრონი და დამკვეთ-შემკვეთი უცნობია. თუ ეს სახელმწიფოს ბრალია, ან ვინმე იურისტისა, რომელიც ამ სტრუქტურაში მოკალათებულა, სამუდამოდ უნდა განიდევნოს ამ სფეროდან. ასეთი უვარგისი ქვეყანას და ქართულ ბიზნესს არ სჭირდება). ან კიდევთ ვიღაც საცოდავს თბილისში თავისი სალუდე საკუჭნაოსთვის **ლოვენზრაუ** დაურქმევია, სადაც **ო** და **უ** ხმოვნები უმლაუტიანია.

2. თბილისში დიდ დილომში ვი-

დაცამ საშაურმე გახსნა ასეთი სახელ-
წოდებით; „საშაურმე სამწვადითი“.
არადა ქართულში ასეთი სიტყვა არ
არსებობს. მაღაზიის მფლობელი სო-
ფელ მატნელი აღმოჩნდა. მას წარ-
მოდგენაა არა აქვს, რომ წარწერაში
შეცდომა დაუშვა „სამწვადითის“
ნაცვლად უნდა იყოს: „სამწვადით“.
ასე იციან ქართული ენა თბილისე-
ლებმა და სახელმწიფო სტუქტურებ-
ში მომუშავე „ქართველებმა“. ასეთი
თაობები ეზრდება საქართველოს.

თბილისელ ბიზნესმენთა ერთ
ნაწილს, ჩანს, ერთგვარ სარეკლამო
რგოლად მიაჩნიათ თავიანთი ფასა-
დების შესასვლელებლთან განთავსე-
ბულ-გაჩირაღდნებული ასობით
ელექტრონათურა, რომლებიც ახალი
წის მოლოდინში წლიდან წლამდე
ანთია. დავიჯეროთ, ასეთ „რეკლამა-
ში“ ფულს არ იხდიან? ასეთი „რეკ-
ლამები“ ასობითაა.

რა შეიძლება საბოლოოდ ით-
ქვას?

მთავარი მიზეზი ისაა, რომ ქარ-
თული ენა მოქცეულია მსოფლიო
ენების სტრუქტურულ გარემოცვაში.
მასზე მოქმედებს არაერთი გრამატი-
კულ-კალკირებული ნასესხობა,
ცრუ კალკური სიტყვაფორმები.

ენობრივი დეკულტურიზაციის
ბედნიერი ეს წაჯექ-უკუჯექობანი (ი.
ჭავჭავაძის ტერმინია) ამით არ მთავ-
რდება. მეცნიერები თუ ცრუმეცნიე-
რები ისე გათავხედდნენ, რომ დამო-
უკიდებლად სცემენ წიგნებს, არათუ
სცემენ, წიგნის რედაქტორსაც თავად
ირჩევენ, იმ გაგებით, რომ წიგნის რე-
დაქტორი საერთოდ, როგორც იტყვი-
ან, „გაგებაში, ან საერთოდ, აზრზე

არაა“. ამ თვალსაზრისით შეიძლება
დავასახელოთ ერთი უზადრუკის, ვი-
თომ მკვლევრის 3-ლარიანი წიგნი თუ
წიგნაკი-წიგნურა, რომლის ავტორია
ვინმე **თენგიზ ნატროშვილი**, ვინ არის
იგი, საიდან გამოგვეცხადა? ასეთ მეც-
ნიერს თუ სამეცნიერო ხარისხების
მქონეს საქართველოში არავინ იც-
ნობს. ამ ვითომ წიგნს ჰქვია: **„პირ-
ველყოფილ ადამიანთა სიტყვების კვა-
ლი ქართულ ენაში“**. წიგნის ყდის
უკანა გვერდზე გამოსახულია თავად
ავტორი, სრულიად ახალგაზრდა.
როგორც წიგნის სათაური გვამცნობს,
ე. წ. ნაშრომი ეხება **„პირველყოფილ
ადამიანთა სიტყვების კვალს ქართულ
ენაში“**, წიგნის წინასიტყვაობას მოს-
დევს იოანე ზოსიმეს „ქება და დი-
დება ქართულისა ენისა“. მას ცალ-
კე თავად 4-გვერდიანი მოკლე ინ-
ფორმაცია ავტორის შესახებ. შემდეგ
კიდევ 2-გვერდიანი ცალკე თავი „რას
ნიშნავს ლაო-მის ცნება „დე“ 1178/79.
რომელიც სავსეა კორექტურული
ცდომილებით, შემდეგ კვლავ ცალკე
თავი, „სიტყვები, რომლებიც ურთი-
ერთობდნენ პირველყოფილი და უძ-
ველესი დროის ადამიანები და მათი
კვალი ქართულ ენაში“. აქაც ერთგვა-
რი კორექტურულ-შემეცნებითი კო-
რიანტელია დანთებული. მაგ., ბუზი
თურმე „ბუზილა ფრინველია“ (გვ.
12) და არა მწერი. ამგვარად არის შედ-
გნილი მთელი ლექსიკონი (სულ 145
ლექსიკური ერთეული, რომელთ
დამტკიცებას 145 სპეციალური ლინ-
გვისტური გამოკვლევა სჭირდება),
რომელსაც არ ახლავს არც ერთი ლინ-
გვისტურ-ეტიმოლოგიური და ზო-
გადმეცნიერული ახნა.

ჩვენი აზრით, თითოეულ ცალკე სიტყვას, ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში ცალკეული ხასიათის სამეცნიერო ნაშრომი აქვს მიძღვნილი, რომელსაც ეს უვიცი ავტორი არ იცნობს, სამწუხაროდ, არც ერთ სამეცნიერო ნაშრომს არ იმოწმებს. ასეთი უნდილი კაცის წიგნი პირველად ვნახე. ავტორს არავითარი ლინგვისტურ-ეტიმოლოგიური ცოდნა არ აქვს. მის თითოეულ მსჯელობას ან გამონათქვამს დამტკიცება სჭირდება. მის ნათქვამს, რომელსაც, ავტორის თქმით, „საზოგადოება „იბერიულ-კავკასიური ცივილიზაცია“ ჰქვია, მას პირველი ექსპედიციაც კი მოუწყვია ფშავში, სოფელ მუქოში (ექსპედიციის წევრები მ. წითელაური, გ. გიგაური, თ. ნატროშვილი, არადა ქართულ მეცნიერებას ასეთი გვარ-სახელები საერთოდ არ ჰყავს. წიგნს რედაქტორია პოეტი და ტელეწამყვანი **ერეკლე საღლიანი**. ბატონო ერეკლეს სტუდენტობიდან ვიცნობ. დარწმუნებული ვარ, მას ეს წიგნი წაკითხული არ ექნება, თორემ ასეთ ლაფსუბუბიანი წიგნის რედაქტორობას არ დასთახმდებოდა.

და ბოლოს, პასუხი გავცეთ ზემოთ ნახსენებ ერთ კითხვას: ვინ არის თავად ავტორი. იგი ერთ-ერთ თავში საკუთარი პერსონის შესახებ გვამცობს, რომ ადრე თურმე სტუდენტი ყოფილა, რომელიც გაურიცხავთ: „ერთხელ, ფილოსოფიის ლექციაზე, ლექტორი ამტკიცებდა: არ არსებობს ღმერთი; ცნობიერება მაღალგანვითარებული მატერიის – ადამიანის ტვინის – თვისებაა და ყურადღება გაამახვილა მატერიალურზე და

იდეალისტურზეც. მაგალითად მოიყვანა ის, რომ არსებობს კონკრეტულ – რეალისტური ალექსანდრე, მზია, ტარიელი – მიუთითა სტუდენტებზე, მაგრამ ზოგადი ადამიანი – წარმოსახვითი, იდეალისტური – არ არსებობს. ნატროშვილმა ხელი ასწია და არ დაეთანხმა: მაპატიეთ, პატივცემულო, მაგრამ ადამიანიც ხომ არსებობს“ აბა დამანახე ადამიანი“, ღიმილით შეეკითხა ლექტორი. ესენი ხომ არიან ადამიანები? მიუთითა თენგიზმა – მრავლობითში არსებობს, მხოლობითი არ იარსებებს?! – ლექტორი დაიბნა, ვერაფერი უპასუხა. მას შეიძლება მართლაც არ სწამდა ღმერთი და მით უმეტეს მეცნიერული კომუნიზმი, მაგრამ სჯეროდა, ყველა ამ სიცრუით ცხოვრობს და სხვანაირად არსებობა წარმოუდგენელია, უნდა ჩაეტარებინა ასეთი ლექცია, ოჯახში რომ ხელფასი მიეტანა. ამაში კი ეს უცნაური სტუდენტი ხელს უშლიდა. ამიტომ მოძებნა საბაბი და ლექციიდან გაამევა, მომავალში მაინც რომ გაეჩუმებინა. ამ შემთხვევამ თენგიზს დაანახა ყოფილი რეალობა. მან გადაწყვიტა, შინაგანად მიეტოვებინა ყველაფერი და მოემეხმა ცხოვრების ის ნაკადი, სადაც სიყალბის სისტემები ვეღარ ვრცელდებოდა, რათა ეპოვა თავისუფლება, ჭეშმარიტება და ცოდნა. მაშინ მან ჯერ კიდევ არ იცოდა, რომ ეს ყველაფერი თავად ღმერთია“. ავტორი მაინც არ გვეუბნება საბოლოო სათქმელს – მან ინსტიტუტი თუ უნივერსიტეტი მიატოვა თუ არა, რატომ გაირიცხა. სრულიად დარწმუნებულია იმაში, რომ იგი სწორად

მოიქცა, მაგრამ მაინც რა დააშავა იმ ასიათასობით სტუდენტმა, ვინც უნივერსიტეტებიდან არ გაირიცხნენ?. მას ახლაც არ ესმის დღემდის მთელი ათეული წლები უქმად რომ უტარებია, უვიც და რეგვენ კაცად ქცეულა?! ვინ იცის, რამდენი უდიპლომო მოსამართლე, იურისტი და მეცნიერია დღემდე მოკალათებული სამეცნიერო, სამთავრობო და სხვა დაწესებულებებში..

ჩემს ყურამდე მოღწეულია ისეთი ცნობებიც კი, როცა დისერტანტს, ქართული ენის არმცოდნეს, სამეცნიერო ხარისხის მიმნიჭებელი სადისერაციო საბჭო, დისერტაციას ქართულ ენაზე აცვევინებს. აი. ჩვენი სამეცნიერო პროფესურა.. საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ქართულ ენას „სიკვდილის ბუზი“ ქართველებმა კარგა ხანია დაასვეს.

და კიდევ ერთი სასიკვდილო განაჩენის საეტაპო განაჩენი: ერთ ცნობილ უნივერსიტეტში 3-დღიანი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია გამართეს, რომელსაც მეც ვესწრებოდი. მოგვხსენება, კონფერენციის გამართვას დიდი დრო სჭირდება; ჯერ სამეცნიერო თეზისებს წამოადგინებენ მონაწილეებს ინგლისურად, მერე ქართულად. ასე რომ, საკონფერენციო მასალები ქართულ და ინგლისურ ენებზე დაიბეჭდა. კონფერენციის ყველა მონაწილემ მოხსენება ქართულ ენაზე წაიკითხა, მხოლოდ ერთმა, ეროვნებით სომეხმა, პენსიონერმა ქალბატონმა რუსულ ენაზე. აი, ასეთი მეცნიერები გვყავს. რაც იმის ნიშანია, რომ მალე ქართულიდან პირდაპირ ინგლისურ ენაზე

გადავალთ. ქართული ვის დაჰკარგვია!. ასე ვეპყრობით მშობლიურ მარგალიტს.

აქ არაფერს ვამბობ თ. ნატროშვილის ენობრივ-სტილისტურ ლაფსუსებზე, რომლებიც სწავლულ კაცს არ ეპატიება. მისი უვიცობის დამასტურებელია ისეთი ლინგვისტური ცდომილებები, როგორცაა: „აბა მითუმეტეს, ვიჩქაროდ, ცოდნები“, შინაარსის გადმოცემა მრავლობითი რიცხვით, ნაცვლად მხოლობითისა, ავლნიშნეთ, თურმე, ნუ იტყვიო, ტა - სეირნობაა, აქედან ტაში, ტარება, ტა-ატი.. მან ისიც კი არ იცის, რომ, **ტაში** არაბული სიტყვაა და საქართველოში არაბების მრავალსაუკუნოვანმა ბატონობამ შემოიტანა და მისთ..

სასაცილოა, რომ სარეცენზიო წიგნის უზადრუკი ავტორი საკუთარ თავს იბერიულ-კავკასიური ცივილიზაციის რეალურ აღმომჩენს უწოდებს (გვ. 3). თენგიზ (თემურ) ნატროშვილს მთელი წლები მცონარობაში გაუტარებია და ნეტავ, რა აღმოაჩინა, ისეთი, რაც საქართველოს მეცნიერებამ დღემდე არ იცის?

ზემოთქმულით იმის თქმა მინდა, რომ უწიგნურთა და ქურდების (ნარკომანების) ქვეყანაში ვცხოვრობთ. ქართველებო, წიგნი აიღეთ ხელში და, რაც შეიძლება, განურჩევლად წიგნისა, მეტი იკითხეთ ვაჟაფშაველასავით.

ასე რომ, „პირველყოფილ ადამიანთა სიტყვების კვალს ქართულ ენაში“, რომელაც ესაჭიროება განსამართავი სიტყვა-ტერმინის ნამდვილი ლინგვისტურ-ეტიმოლოგიური თითოეული ახნა, არავითარი მეცნიერუ-

ლი ღირებულება არა აქვს. სამწუხაროდ, ჩვენ დღეს დებილების ქვეყანაში ვცხოვრობთ, სადაც მწიგნობრობა ანუ გამართული წერა-კითხვა ცოტამდა თუ იცის.

2021 წლის #89-90, ორშაბათ-სამშაბათის გაზეთში, „საქართველოს რესპუბლიკის“ მე-7 გვერდზე, იაკობ გოგებაშვილის საზოგადოების თანათავმჯდომარემ, პროფ. გ. გოგოლაშვილმა თხოვნით მიმართა „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტს სათაურით „ინტელიგენციის ქართული“ (რუბრიკა „ო, ენავ ჩემო“), რომლის ბოლო გვერდზე ნათქვამია: „1978 წლის 14 აპრილის სიკეთით, ერთი წლის შემდეგ (1979 წლის 12 აპრილს) საქართველოს მთავრობამ მიიღო დადგენილება – რესპუბლიკის სასწავლებლებში ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“. სწორედ ამ დადგენილების შედეგი იყო ის, რომ რესპუბლიკის ყველა უმაღლეს სასწავლებელში, ყველა სპეციალობაზე შემოდებული იქნა ქართული ენის სწავლება („ქართული მეტყველების კულტურა“) შეიქმნა ამ დარგის სახელმძღვანელოები, პრაქტიკული სავარჯიშოები... ეს იყო ქართული ენის სწავლების საქმეში დიდად წინგადადგმული ნაბიჯი კომუნისტების დროს დამკვიდრებული ეს დიდად საჭირო კურსი უნივერსიტეტებში იკითხებოდა 2005 წლამდე.“ (გვ. 7).

ჩვენი აზრით, სამწუხაროდ, ამ საგანს არაერთი ჩვენი კოლეგა ცუდად ასწავლიდა, თუმცა მიზეზი ამ საგნის გაუქმებისა, სულ სხვა რამ იყო. როგორც პროფ. გ. გოგოლაშვილი წერს: „2003 წელ შემოვიდა ახალი ხელისუფლება და .. ისეთი მასშტაბური შეტევა ქართულ ენაზე, როგორც მათ განახორციელეს, ქართული ენის იტორიაში არ ყოფილა (სამწუხაროდ, ამის გამო დღემდე არავინაა დასჯილი, თვით კახა ლომიაიც კი. ბ. ცხ). კერძოდ,

– გააუქმეს საქართველოს პრეზიდენტთან არსებული სახელმწიფო ენის კომისია;

– გააუქმეს პარლამენტში ქართული ენის ქვეკომიტეტი;

– გააუქმეს ენის სახელმწიფო პალატა;

– გააუქმეს ყველა ჟურნალი და გაზეთი, რომელიც ქართულ ენას ეხებოდა;

– გააუქმეს ყველა ტელე და რადიოგადაცემა ქართული ენის შესახებ;

– შემცირეს სკოლებში ქართული ენის საათები...

– პირველ კლასში დედანის საათები გაუყვეს ინგლისურს...

– და ამ ტალღაში მოჰყვა უმაღლეს სასწავლებლებში სავალდებულო კურსი „ქართული ენა“ („ქართული მეტყველების კულტურა“) – ისიც გაუქმდა!..

– არ გაჭრა ჩვენმა პროტესტმა (თავის დროზე მივმართეთ პრეზიდენტს, პარლამენტს, მთავრობას... ვერ გადავარჩინეთ საუნივერსიტეტო საგანი „ქართული ენა“.. და სააკაშ-

ვილ-ლომაიას დამკვიდრებული „ტრადიცია“ გრძელდება..

– დღეს, ახალგაზრდობის მიერ ქართული ენის ცოდნის სავალალო დონის პირობებში, ხომ არ დადგა დრო, ქართული ენის მიმართ წინა ხელისუფლების მიერ ჩადენილი დანაშაული გამოვასწოროთ? დღეს შექმნილი მძიმე რეალობის გთვალისწინებით (ქართული ენის ცოდნის დონეს ვგულისხმობ), ხომ არ დადგა დრო, უმაღლეს სასაველებლებში აღვადგინოთ სავალდებულო საუნივერსიტეტო საგანი „ქართული ენა“. იქნებ იქცეს ეს საკითხი, ერთი მხრივ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და, მეორე მხრივ, პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის მსჯელობის საგნად..!“...

– თითქოს ჩემს გულში იჯდეს ბატონი გ. გოგოლაშვილი, მისი ეს გულისტკივილი ჩემიცაა, მაგრამ ძალიან მეექვსეა არაკომპეტენტურ სამინისტროებსა და პარლამენტს ამის თავი ჰქონდეს, უწიგნურთა ხელში კულტურა რა დღემდე არის, ყველა ვხედავთ. გელათიც ტამარი ინგრევა და ქვეყანას პატრონი არ ჰყავს. ჩემი ძირძველ კითხვაა; ნეტავ, ჩვენი პარლამენტარები, საერთოდ, წიგნს კითხულობენ თუ არა?. განა არჩვენებისას 150-კაციან პარლამენტს რომ ვირჩევთ, ასეთი პატარა ქვეყნისთვის, 50 კაცი არ კმარა?“. ღმერთო, სად არის აქ სამართალი“?!

2021 წლის მაისის მეორე ნახევარში საქართველოს ტელევიზიონიდან თავი შეგვახსენა ვინმე შონზომ (გვარად გაჩეჩილაძემ), რომელიც თავის

მონათხრობში ქართული ენის იმერულ კილოს (დიალექტს) იმერულ ენად განიხილავდა. თბილისის საკრებულოს ყოფილი დეპუტატი ადრე თუ დიდი დიდმის ავტობუსებში თავჩაქინდრული „მოენედ“ დადიოდა და ხალხის ნაუბარი საკრებულოში მიჰქონდა. „საცოდავი“ ალექო მალხაზიშვილის გადაცემაში („გაიცინე და მოიგე“) ორმარცვლიან და სამმარცვლიან იმერულ გამონათქვამებს (როგორცაა: თითითი და ა. შ.) ვითომ ხუმრობანარევი კილოთი ეხებოდა. მსგავსი გამონათქვამები ჩვენ პირადად პოსტ ტივის ეთერშიც მოგვისმენია ვინმე ნოე ჟორჟოლიანის შოუში. „გათავხედებული და „გადაფიჩინებული“ ქართველები ისე ეპყრობიან ქართულ ენას, ვითომ რამე იცოდნენ ენის რაობა-წარმოშობის შესახებ. აი, ასეთი უვიცი ქართველები და „თვინგალი“ საზოგადო მოღვაწეები გვეზრდებიან. „ნაცმოდ-რაობას, როგორც ჩანს, ძალიან ბევრი სამკელი და დიდი მოსამკალიც წინ აქვს.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ „ქართველობა ობოლი მოდგმაა, ობოლ ენაზე ლაპარაკობს, ობოლი ანბანით წერს, რასაც წერს: ობოლია, მაგრამ მრავალი ხალხით გარს შემორტყმული. „და იზრახებოდა ქართლსა შინა ექუსი ენა“ თუ ტომობრიობა თავად მასში მისი ობლობის კომპენსაცია იყო. ეს უცხო სიმრავლე მის გვერდით კონტრასტულად წარმოაჩენდა მას“ (იხ. ზ. კვიციანი, სად ვეძიოთ ქართველობის ფასეულობანი? თბილისის ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის კულტურისა და ხელოვნ-

ნების სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული, ტ. I, გვ. 7);

სამწუხაროდ, ჩვენ ახლაც ობლო-ბაში ვართ. ქართველურ-კავკასიური ცივილიზაცია დიდი ხნის გამქრალია. ობლის კვერის გამოცხოვაში, თუ ასე გაგრძელდა, ამ საუკუნის ბოლოს აღარ ვიარსებებთ. ამაზე უცხო-ენოვანი გამოცემები წერენ, თუ რამდენი დავრჩებით ქართველობა 20 წლის შემდეგ. ქართველები, ქართუ-ლი ენა ოქროს წიგნში შესატანია. ამას ჯერ კიდევ ჩემი ასპირანტობის პერი-ოდში, 50 წლის წინათ, ვამბობდი. აბა, იმ ქვეყანას რა ვუთხარი, ასეთი ისტორია გქონდეს, და განათლების მინისტრი კ. ლომაია და მისთანები სიტყვა ბავშვს ნორმალურად ვერ წერდეს?!

ჩვენ გადაშენების შესახებ ჯერ კიდევ ამ ახალი, 21-ე საუკუნის და-საწყისშივე, გვამცნო ცნობილმა ის-ტორიკოსმა, არმენოლოგმა გულაბერ კლარჯმა (იხ. **გულაბერ კლარჯი**, გა-დაშენება გვიწერია ქართველებს? დმერთო, გვიხსენი!!!, გამომცემლობა „ეგრისი“, თბ., 2012).

დღეს მსოფლიო ყალყზეა შემ-დგარი. არავინ იცის, რა დაემართება მას, თუნდაც გეოგრაფიულად. კო-რონავირუსმა ლამის წალეკა მთელი მსოფლიო, ამერიკის პრეზიდენტი მდივნის მაიკ პომპეოს გარდა, არავის ამოიღო ხმა მისი გამჩენის გამოძიე-ბის სასარგებლოდ. მაგალითად, ჩი-ნეთი მსოფლიოში მლიარდნახევრია-ნი ქვეყანაა, რომელსაც სამ წელიწად-ში რაოდენობრივად გაუსწრებს ინ-დოეთი, გაუსწრო კიდევ. ეს ორ მე-

ზობელ ქვეყანაში სამი მილიარდი ადამიანის თანაარსებობა მსოფლიოს კარგს არაფერს მოუტანს.

მსოფლიოში დღეს 8 მილიარდი ადამიანი ცხოვრობს, ეს კიდევ მეორე უბედურებაა, რადგან 8 მილიარდ ადამიანს წარმართობიდან დღემდე, დედამიწის ზურგზე დღემდე, არ უცხოვრია. მარტო აფრიკაში 80 მლნი ბავშვი შიმშილობს. ასე რომ, ამ მოცე-მულობით, ხალხი ერთმანეთს დაე-სევა, იქნება მსოფლიო შიმშილი. კა-ცობრიობას მოკლავს შიმშილობა, თუ ზოგმა სახელმწიფომ და ადამი-ანმა რომელიმე ციურ სხეულზე არ ამოყვეს თავი.

დედამიწაზე ორი ძირითადი ყი-ნულის საფარია ატლანტიდისა და გრენლანდიისა. გრენლანდიის ყინუ-ლის საშუალო სისქე 1,8 კილომეტ-რია, რომელსაც უკავია 1,8 მილიონი კვადრატული მეტრი, რაც გერმანიის, საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთისა და იტალიის საერთო ფართებს აჭარ-ბებს. აქ თავმოყრილია პლანეტის ყი-ნულის 10%, დანარჩენი 90% ანტარ-ქტიდაზე მოდის. აღნიშნული ყინუ-ლოვანი მატერიკი 13,7 მილიონი კვადრატი მეტრია. იგი 1,5-ჯერ დი-დია ავსტრალიაზე. აქ ყინულს საშუ-ალო სისქე 2,2 კილომეტრია, ხოლო მასა დაახლოებით 27 მილიონი კუ-ბური მეტრი. მათი დადნობით მსოფლიო ოკეანე აიწევს 65 მეტრით და დაიწყება ახალი მსოფლიო წარ-ღნა (რ. ოთინაშვილი, ბიზნესის უსაფრთხოება, თბ., 2022, გვ. 31).

აი, ეს მომავალი ელის მსოფლი-ოს.

ქართველთა უბადრუკობის ერთ-

ერთი ნიმუშია ტელეკომპანია ობიექტივში, კერძოდ, ჟურნალისტ ვალერი კვარაცხელიას მეთაურობით ქართველთა ერთი კოჰორტის – პოლიტიკოსთა გამოსვლა ტელევიზიით უკრაინისა და უკრაინელების შესახებ. სამწუხაროდ, ოთხი მონაწილისგან (ოთხივე პოლიტიკოს-ანალიტიკოსი) ვერცერთმა ვერ თქვა სიმართლე, რითაც თავიანთ უვიცობას გაუსვებ ხაზი, რომ უკრაინა და ბელორუსია 5 საუკუნის ენებია. ამის ცოდნა თუ არცოდნა არც ყოლბასიას, არც ვ. კვარაცხელიას არც კიდევ ძველი „აფხაზეთის“ ყოფილ ლიდერს გ. ვაზავას არ ეპატიება, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ ისინი წიგნებს, საიდანაც ცოდნის მიღება შეიძლება, არ კითხულობენ.

*** **

ჩვენი აზრით, საქართველოს პოლიტიკურ ელიტას, საქართველოს დღევანდელ პარლამენტს ენობრივი ნორმები სულაც არ აინტერესებს, ცხადია, ქართული ენის ბედიც: თითქოს გინდ ყოფილიყოს და გინდ – არა! არადა, ენათმეცნიერები დასაფასებელი ხალხია, ყოველი სიტყვაფორმის შესახებ მათ უნდა მივმართოთ. აი, რას წერს ერთი ქართველი აღმოსავლეთმცოდნე-ირანისტი, მკვლევარი და პოეტი.

ყველა ჩვენგანისთვის
მართლა მოსაფერები,
დარაჯობენ სამშობლოს
ენათმეცნიერები.

ენათმეცნიერი თუ,
მეცნიერი ენისა...

თითოეულს უჭირავს
ხელში მაჯა ერისა.
და ყოველთვის ჩვენ მათგან
რამდენ რამეს მოველით,
ო, ისინი არიან
ჩვენი მეციხოვნენი.

უნდა ნახოთ ისინი,
როს ებრძვიან ავსულებს,
როგორ ჰშვენით ფარ-ხმალი
ბრძოლის ველზე გასულებს.

ერთ რამით არიან
ო, ისინი გართული,
დაამკვიდრონ ჩვენ შორის
გამართული ქართული.

ანუ ყველა მათგანი
ერთი რამით გართულა, -
თითოეულს გვიცემდეს
მკერდში გული ქართულად (ნ.
ბართაია, „მწერლის გაზეთი“, 2012,
#7, 15 დეკემბერი-15 იანვარი, გვ. 2)

მართლაც, პოეტის ლექსის ერთი პერიფრაზირება რომ მოვახდინოთ, თუ ენათმეცნიერები „მაჯის შემტყვებრები“ არიან, დაუჯერეთ. სტილისტობა, ტექსტის კორექტირება ურთულესი საქმეა. დააჯერეთ წიგნის გამომცემლობების დირექტორები, სანამ ქართული ენა შარშანდელი თოვლივით ხელში არ გაგვდნობია, სტილისტებს სამსახურში „ჩაწყობით“ ნუ მიიღებთ, გამოცადეთ ისინი.

პატივისცემით, **ბადრი ცხადაძე**,
სტუს'თ-ნ არსებული ტექნიკური
ტერმინოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი
ცენტრის დირექტორი, ფილოლოგიის
მეცნიერებათა დოქტორი,

პროფესორი, გამომცემლობა „ტექნიკური უნივერსიტეტი“ მთავარი სპეციალისტი, საქართველოს მწერალთა

ეროვნული შემოქმედებითი კავშირის წევრი, ღირსების მედლის კავალერი.
26. 05, 2021 წ.

ლიტერატურა

1. **ბ. ცხადაძე**, ორი ქართული გვარ-სახელის „გასიტა“ და „გასიტაშვილ“-ის წარმომავლობისა და ურთიერთმიმართებისათვის. ჟ. „პარალელი“.
2. **ი. მაისურაძე**, ქართული გვარსახელები სალექსიკონო ბიბლიოგრაფიული ცნობარი), შ., ძიძიგურის რედგაქციით, თბ., 1981,
3. **აა. ივანცოვი**, ორ იბერიას შორის, დნეპროპეტროსკი, 2014, რუსულიდან თავმნეს ე. და ბ. ცხადაძეებმა, იხ. პარალელი, სალიტერატურო-სამეცნიერო ჟურნალი, #13, გვ. 155-186.
4. **ბ. ცხადაძე**, აფიქსური სიტყაწარმოება ძველ ქართულში, სადისერტაციო ნაშრომი ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბ., 1989.
5. **ს. ს. ორბელიანი**, ლექსიკონი ქართული ორ წიგნად, წიგნი პირველი 1966, ვიყენებთ 1928 წლის გამოცემასაც.
6. **ნ. ჩუბინაშვილი**, ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურ. ა. დლონტის რედაქციითა და გამოკვლევით, თბ., 1961.
7. „ელინთა ზღაპრობანი“, გამოსცა ი. აბულაძემ, ენიმკის მოამბე, ტ. X, A1941.

ირმა კეცხოველი

საქართველო-რუსეთი ზოლიტიკურ სივრცეში და XXI საუკუნე

საბჭოთა კავშირის დაშლისა და საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ რუსეთის ფედერაცია მიზანმიმართულად ატარებს პოლიტიკას, რომლის მიზანს საქართველოს სახელმწიფოს დანაწევრება და მისი სუვერენიტეტის ხელყოფა წარმოადგენს. ამ მიზნის მისაღწევად მოსკოვმა სამხედრო აგრესიის გზით მოახდინა საქართველოს ტერიტორიის ნაწილების ოკუპაცია და ოკუპირებულ ტერიტორიებზე ატარებს ტოტალურ ეთნიკურ წმენდას. ეს არის იმ პოლიტიკის გაგრძელება, რასაც რუსეთის სახელმწიფო წლების მანძილზე ახორციელებდა აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიებზე მისი კლიენტი სეპარატისტული რეჟიმების მეშვეობით. ამკარაა, რომ რუსეთის ფედერაცია ეთნიკურ წმენდას იყენებს, როგორც პოლიტიკის ინსტრუმენტს, რომლის მიზანია ოკუპირებულ ტერიტორიები დაცალოს ქართული მოსახლეობისაგან და შემდეგ განაცხადოს, რომ ამ რეგიონების მოსახლეობას არ სურს საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში ცხოვრება. ეს არის უაღრესად ცინიკური მცდელობა გაა-

მართლოს საქართველოს სუვერენიტეტის და ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის მიზნით განხორციელებული ქმედებები, რომლის კულიმინაციას წარმოადგენს რუსეთის პრეზიდენტის 2008 წლის 26 აგვისტოს განცხადება.

საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობები ყოველთვის პრობლემატური იყო. დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ პერიოდში ეს ურთიერთობები ხშირად კრიზისულ ფაზაში შედიოდა და ზოგჯერ ჩვენი სახელმწიფოსთვის უაღრესად საშიშ ფორმებს იღებდა. იყო, რასაკვირველია, ურთიერთობების დათბობის პერიოდებიც, მაგრამ ამას დროებითი, ზოგჯერ მოჩვენებითი ხასიათიც კი ჰქონდა. საქართველო ყოველთვის აცხადებდა და ჭეშმარიტადაც ესწრაფვოდა რუსეთთან კეთილმეზობლური და თანაბარპარტნიორული ურთიერთობების დამყარებას. სამწუხაროდ, რუსეთისთვის ურთიერთობების აგების ეს პრინციპები მიუღებელი იყო და დღესაც ასეთად რჩება.

რაც შეეხება საქართველოსთვის უმთავრეს საკითხს, რომელიც შეეხე-

ბა აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის აღიარებას რუსეთის მიერ, მათი ხელისუფლება არა მხოლოდ ანგრევს საერთაშორისო სამართლის საფუძვლებს, არამედ რეალურ საფრთხეს უქმნის საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად შექმნილ თანამედროვე მსოფლიო წესრიგს. ეს არის მცდელობა ევროპაში, უხეში სამხედრო ძალის გამოყენების გზით, ცალმხრივად შეცვალოს სუვერენული სახელმწიფოს საზღვრები და კვლავ დაამკვიდროს გავლენის სფეროები და გამყოფი ხაზები, რომლის იქითაც დემოკრატიული განვითარება შეჩერებული იქნება და ტოტალიტარული წესრიგი დამყარდება ისეთივე მეთოდებით, როგორსაც ამას საბჭოთა კავშირი აკეთებდა ცივი ომის პერიოდში.

ცნობილია, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა აღიარებულ იქნა მსოფლიო თანამეგობრობის, მათ შორის რუსეთის ფედერაციის მიერ. ტერიტორიული მთლიანობა და საზღვრების ურღვევობა ასევე დაცულია ყველა საერთაშორისო მრავალმხრივი ფორუმის შესაბამის დოკუმენტში. საქართველომ თავისი სახელმწიფო საზღვრები განსაზღვრა საერთაშორისო სამართლის ყველა პრინციპის დაცვით, ეყრდნობოდა რა საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციას და *uti possidetis* პრინციპს, რომლითაც საქართველოს სახელმწიფო საზღვრებად მათ საბოლოო დეტალურ დელიმიტაციამდე აღიარებულ იქნა საქართველოს სსრ ად-

მინისტრაციული საზღვრები, რაც თავისთავად მოიცავდა აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკასა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიას.

რუსეთის ფედერაციის ქმედება ასევე არღვევს გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციებს, სადაც აღიარებულია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა, მათ შორის რუსეთის ფედერაციის მიერ: 876 (1993), 881 (1993), 892 (1993), 896 (1994), 906 (1994), 937 (1994), 971 (1995), 993 (1995), 1036 (1996), 1065 (1996), 1096 (1997), 1124 (1997), 1150 (1998), 1187 (1998), 1225 (1999), 1255 (1999), 1287 (2000), 1311 (2000), 1339 (2001), 1364 (2001), 1393 (2002), 1427 (2002), 1462 (2003), 1494 (2003), 1524 (2004), 1554 (2004), 1582 (2005), 1615 (2005), 1666 (2006), 1752 (2007), 1781 (2007), 1808 (2008).

გაერო-ს წესდების 25-ე მუხლის თანახმად, უშიშროების საბჭოს რეზოლუციები სავალდებულო ძალისაა ამ ორგანიზაციის წევრი ყველა სახელმწიფოსათვის. უშიშროების საბჭოს რეზოლუცია შესაძლებელია შეიცვალოს ამავე ორგანოს შემდგომი გადაწყვეტილებით. შესაბამისად, არც ერთ სახელმწიფოს არ აქვს უფლება დამოუკიდებლად მიიღოს უშიშროების საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების საწინააღმდეგო გადაწყვეტილება ან განიხილოს უშიშროების საბჭოს კომპეტენციაში შემავალი ნებისმიერი საკითხი სხვა მრავალმხრივ ფორმატში, უშიშროე-

ბის საბჭოს წინასწარი ავტორიზაციის გარეშე. ამასთანავე, გასათვალისწინებელია გაერო-ს გენერალური ასამბლეის 2008 წლის 15 მაისის N62/249 რეზოლუცია, რომლის ტექსტის ფორმულირებაც ნათლად აღიარებს აფხაზეთს, როგორც საქართველოს ტერიტორიის განუყოფელ ნაწილს. რუსეთი ასევე მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ სახელმწიფოს უნდა ჰყავდეს ხელისუფლება, რომელიც წარმოადგენს მთელ ხალხს. იბადება რიტორიკული შეკითხვა: წარმოადგენს კი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სეპარატისტული ხელისუფლებები ასეთს, მაშინ როდესაც ამ ტერიტორიების მკვიდრი მოსახლეობის დიდი უმრავლესობა, რომელიც დაახლოებით ნახევარ მილიონ ადამიანამდეა, არ მონაწილეობდა ამ ე.წ. "დემოკრატიული ხელისუფლების" არჩევაში, რადგან რუსეთის ხელისუფლების მიერ განხორციელებული ეთნიკური წმენდის შედეგად იძულებული იყო დაეტოვებინა საკუთარი საცხოვრებელი. ცინიკურია, რომ გაერო-ს წესდების ფუძემდებლური პრინციპის, ძალის გამოყენებლობის დარღვევის შემდეგ, რუსეთი ბრალს სდებს საქართველოს იმ ქმედებების განხორციელებაში, რომელიც თავად განახორციელა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საერთაშორისო სამართლის მთელს სისტემაში შეუძლებელია მოიძებნოს ისეთი ნორმა, რომელიც, მისი კეთილსინდისიერად განმარტების შემთხვევაში, სამართლებ-

რივ ჩარჩოებში მოაქცევს რუსეთის გადაწყვეტილებას აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარების შესახებ.

რუსეთის აგრესიული ქმედებები საფრთხეს უქმნის არამხოლოდ საქართველოს სახელმწიფოებრიობას, არამედ მთლიანად თანამედროვე საერთაშორისო წესრიგს, რადგანაც მიზნად ისახავს ცივი ომის დროინდელი რეალობების აღდგენას. იგი ეწინააღმდეგება საერთაშორისო საზოგადოების განვითარების ისტორიულ პროცესს, რაც დემოკრატიის, თანასწორობისა და საერთაშორისო სამართლის უზენაესობის განმტკიცებაში მდგომარეობს. ფრიად სამწუხაროა, რომ გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრი მიზანმიმართულად არღვევს იმ ფუძემდებლურ პრინციპებს, რომელთა განუხრელად დაცვის გარეშე წარმოუდგენელია მშვიდობიანი და სამართლიანი საერთაშორისო წესრიგის არსებობა.

საქართველო-რუსეთის ურთიერთობების ყოველმხრივი ანალიზი ამ ურთიერთობების გლობალურ კონტექსტში განხილვასაც მოითხოვს. თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოსთან ურთიერთობები რუსეთის უფრო ფართე სტრატეგიის ნაწილია. ეს სტრატეგია, რომელიც ვლადიმერ პუტინის პრეზიდენტობის დროს ჩამოყალიბდა, სამ ძირითად მიზანს ისახავს: ა) ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნება არსებულ საზღვრებში; ბ) ეკონომიკური და ტექნოლოგიური მოდერ-

ნიზაცია; გ) რუსეთისთვის გლობალური მასშტაბის ზესახელმწიფოს სტატუსის აღდგენა. აღნიშნული მიზნების მიღწევის საგარეო-პოლიტიკურ წინაპირობად მიჩნეულია: პოსტ-საბჭოთა სივრცეში ერთპიროვნული ლიდერის პოზიციების შენარჩუნება და გავლენის განმტკიცება; ევროპის ქვეყნების რუსეთზე დამოკიდებულების ხარისხის გაზრდა; აშშ-ის ჰეგემონიის დაკნინება. აღნიშნულ კონტექსტში საქართველოს „შეკავება“ დემოკრატიული გარდაქმნებისა და ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციისკენ რუსეთის პოლიტიკური ელიტის მიერ სასიცოცხლო მნიშვნელობის ამოცანად აღიქმება. სხვა სიტყვებით, დაუშვებელია აღნიშნული სტრატეგიიდან საქართველოს რგოლის ამოვარდნა.

ევროკავშირის ინტერესები საქართველოში

აღსანიშნავია მნიშვნელოვანი საფრთხე, რომელიც სეეხება ურთერთობებს ევროკავშირთან და ეს ინტერესები დღეისათვის უფრო თვალსაჩინო ხდება. ევროკავშირისა და საქართველოს ურთიერთობები ბოლო დრომდე დონორსა და რეციპიენტს შორის ურთიერთობებს წარმოადგენდა. 1992-2004 წწ. ევროკავშირმა საქართველოს 450 მლნ ევროს ოდენობის დახმარება გაუწია. ამ პერიოდში არაერთი ტექნიკური და ჰუმანიტარული დახმარების, სასურსათო უზრუნველყოფისა და კონფლიქტის ზონებში სარეაბილიტაციო პროექტი

იქნა განხორციელებული. მას შემდეგ, რაც საქართველო მიწვეულ იქნა ევროპის სამეზობლო პოლიტიკაში (ENP) მონაწილეობის მისაღებად, ურთიერთობებმა ფორმალურად პარტნიორული ხასიათი მიიღო. თუმცა, „ახალი ურთიერთობების“ მიზანი საქართველოს როგორც სახელმწიფოს იმგვარი მოდერნიზებაა, რომ მოხდეს პოლიტიკური, სამართლებრივი და ადმინისტრაციული სისტემების მაქსიმალური დაახლოება ევროპულ სტანდარტებთან. განსხვავებით დსთ-ს ქვეყნებისადმი „შეთავაზებული“ რუსეთის ინტეგრაციული პროექტისაგან, ევროპის სამეზობლო პოლიტიკა, ზოგადად, ევროინტეგრაცია, ნებაყოფლობითი პროცესია და მთლიანად ევროკავშირის ატრაქციულობის ელემენტებზეა აგებული.

ევროკავშირის გააქტიურების ახალ პოლიტიკურ საფუძველს ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმა წარმოადგენს, რომელიც ორმხრივ სავალდებულო დოკუმენტია და როგორც საქართველოს, ისე ევროკავშირს გარკვეულ პასუხისმგებლობას აკისრებს. ამ დოკუმენტში მკაფიოდ არის ნათქვამი, რომ ევროკავშირმა ხელი უნდა შეუწყოს საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობების გაუმჯობესებას. გამოკვეთილია ოთხი მიმართულება: ორმხრივი „ჩარჩო“ ხელშეკრულების მიღება/განხორციელება; კონფლიქტების მოგვარებაში თანამ-

შრომლობა; საზღვრების დელიმიტირება და თანამშრომლობა საზღვრის მართვის საკითხებში; სტაბილური ეკონომიკური თანამშრომლობის ხელშეწყობა. დოკუმენტში კონფლიქტების მოგვარებასთან დაკავშირებით დამატებით ისიც არის აღნიშნული, რომ ეს საკითხები უნდა იქნას ჩართული ევროკავშირისა და რუსეთის ორმხრივი დიალოგის დღის წესრიგში. ისმის კითხვა: რა რესურსები და რა შეზღუდვები აქვს ევროკავშირს, რათა მოახერხოს რუსეთის დარწმუნება საქართველოსთან ურთიერთობების ნორმალიზაციის აუცილებლობაში? აქვე უნდა განვმარტოთ, რომ საქართველო-რუსეთის ურთიერთობების ნორმალიზაცია სულ ცოტა სამი დონის ამოცანას მოიცავს: 1. არსებული მწავე კრიზისული ფაზის განმუხტვა და 2006 წლის გაზაფხული-ზაფხულის მდგომარეობისკენ დაბრუნება; 2. რუსეთის მიერ საქართველოს ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციისკენ მიმართული კურსისადმი შეგუება და აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში კონფლიქტების რეალური მოგვარების ხელშეწყობა; 3. კეთილმეზობლური და თანაბარპარტნიორული ურთიერთობების დამყარება და ორმხრივი „ჩარჩო“ ხელშეკრულების ხელმოწერა/რატიფიცირება.

მთავარი და, შეიძლება ითქვას, ერთადერთი რესურსი, რაც ევროკავშირს ამ შემთხვევაში აქტივში აქვს, არის მისი როგორც ბროკერის პოლიტიკური კაპიტალი, შედარებით მიუ-

კერძობელი შუამავლის რეპუტაცია. მართლაც, აშშ-სგან და ნატო-სგან, ან, თუნდაც, ეუთოსგან განსხვავებით, ევროკავშირს რუსეთში უფრო „კარგი თვალთ უყურებენ“. რა თქმაუნდა, ყველაფერი შედარებითია და აბსოლუტური ნდობა რუსეთში არც ევროკავშირის მიმართ არის. თუმცა, ერთის მხრივ, ევროპის მზარდი ენერგოდამოკიდებულება რუსეთზე და, მეორეს მხრივ, თავად ევროპის შეუფერებლად მსუბუქი პოლიტიკური წონა საერთაშორისო არენაზე მას მოსახერხებელ და რუსეთისთვის ყველაზე მისაღებ პარტნიორად წარმოაჩენს. აქვე დავძენთ, რომ რუსეთისთვის პარტნიორის “მოსახერხებლობა” საუკეთესო შემთხვევაში მის მოსმენას ნიშნავს და იშვიათად – მისთვის დაჯერებას. საინტერესოა, რომ რუსეთი ახლო პერსპექტივაში ევროკავშირს პოსტსაბჭოთა სივრცეში, მათ შორის საქართველოში, კონკურენტად არ მიიჩნევს.

არის სხვა ფაქტორები, რომლებიც ევროკავშირის რუსეთზე ზემოქმედების პოტენციალს ზღუდავს:

ა) ევროკავშირის მთავარი სისუსტე მდგომარეობს გარე სამყაროს აღქმის არაერთგვაროვნებაში. შეხედულებათა „მოზაიკურობა“ განსაკუთრებით ვლინდება პოსტსაბჭოთა სივრცის მიმართ და ეს თანაბრად შეეხება რუსეთსა და დსთ-ს სხვა რეგიონებსა თუ ცალკეულ ქვეყნებს. საუბარია იმაზე, რომ, ვთქვათ, ლიტვასა და პორტუგალიას განსხვავებული ცოდნა და მოტივაცია აქვთ, როდესაც

საკითხი შეეხება საქართველოსთან დაკავშირებული პრობლემების ირგვლივ ევროკავშირის მხრიდან რაიმე გადაწყვეტილების მიღებას. როდესაც ერთიანი ხედვა არ არის, შეუძლებელია მიზანმიმართული პოლიტიკისა და ამ პოლიტიკის განხორციელების ქმედითი სტრატეგიის შემუშავება. ამიტომაც არის, რომ ევროკავშირის პოლიტიკა ხშირად უფრო იმპულსური, არათანმიმდევრული და მოვლენებით განპირობებულია, ვიდრე კარგად გათვლილ სტრატეგიაზე დაფუძნებული;

ბ) ზემოხსენებული ინტერესები, რაც ევროკავშირს საქართველოსთან მიმართებაში აქვს, ეგზისტენციალური ხასიათის არ არის. საქართველო არ არის სერბია და არც სამხრეთ კავკასიაა დასავლეთ ბალკანეთი. აქ მიმდინარე პროცესები ევროპისთვის მნიშვნელოვანია, მაგრამ არა ისეთი, რომ ევროკავშირის პირველი რიგის პრიორიტეტა შორის დადგეს. პრიორიტეტულ საკითხთა შორის ევროპისათვის დღეს, რათქმაუნდა, ენერგეტიკული უსაფრთხოების, ირანისა და კოსოვოს თემები და მხოლოდ ამის შემდეგ კავკასია და საქართველო;

გ) ევროკავშირი ერთგვარ შიგა პოლიტიკურ კრიზისში იმყოფება. გაფართოებით „დალა“ და საფრანგეთისა და ნიდერლანდების რეფერენდუმების „ჩავარდნა“ ზღუდავს მიზანმიმართული საგარეო პოლიტიკის გატარების შესაძლებლობას. გარდა ამისა, თავად ევროკავშირის

წესები და პროცედურები არ იძლევა აშშ-სავით ოპერატიული და აქტიური პოლიტიკის გატარების საშუალებას, მათ შორის ფინანსური რესურსების მობილიზების თვალსაზრისით. უფრო მეტიც, ევროპის შიგნით ხსენებული ერთიანი ხედვის არ არსებობის გამო, ამა თუ იმ რეგიონისა თუ ქვეყნის მიმართ დახმარების პროგრამების შემუშავების დროს გადაწყვეტილების მიღება რთულ კონკურენტულ პირობებში ხდება: – ზოგი სამხრეთ კავკასიას ლობირებს, ზოგი – ხმელთაშუაზღვის რეგიონს, ზოგიც ახლო აღმოსავლეთს და ა.შ.;

დ) მთავარი შემზღუდველი თავად რუსეთის ფაქტორია, რომელთანაც ევროკავშირს ბევრი ზემოაღნიშნული პრიორიტეტული საკითხი აქვს გადასაწყვეტი. ერთი მათგანი განსაკუთრებით აქტუალურია და გრძელვადიან პერსპექტივაში ევროკავშირისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობას იძენს: ესაა რუსეთიდან ენერგომატარებლების სტაბილური მოწოდების გარანტირება. აღნიშნულის გამო ევროკავშირი მოკლებულია საქართველოსთან დაკავშირებულ საკითხებზე მნიშვნელოვანი დიპლომატიური და პოლიტიკური რესურსების „დახარჯვის“ შესაძლებლობას. თანაც, ევროკავშირი თუკი აქტიურად დაიწყებს კონფლიქტების მოგვარების პროცესში ჩართვას (მათ შორის არსებული ფორმატების შეცვლის მიმართულებით), რასაც ქართული მხარე დაჟინებით მოითხოვს, ეს რუსეთს მხოლოდ გააღიზიანებს

და ამით „შუამავლის“ რესურსი მნიშვნელოვნად დაიკლებს. ამას ემატება ისიც, რომ უახლოეს პერიოდში რუსეთში საპრეზიდენტო არჩევნების მოახლოებასთან ერთად, სულ უფრო მეტ წონას შეიძენს „საქართველოს საკითხი“. საარჩევნო კამპანიის მსვლელობისას მოსალოდნელია, რომ საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობების რადიკალური ნორმალიზაციისთვის კონიუნქტურა არ იყოს ხელსაყრელი და რუსეთმაც ამის გამო ევროპელთა გზავნილებს „წაუყრუოს“.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო უნდა ვივარაუდოთ, რომ ევროკავშირის საკუთარი რესურსებით გაუჭირდება რუსეთის საქართველოსთან ურთიერთობების სრულ ნორმალიზაციაზე დათანხმება. ამისთვის მას არც ნება აქვს საკმარისი და არც პოლიტიკური რესურსი. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ევროკავშირის ამ ურთიერთობების გაუმჯობესების ხელშეწყობა არ შეუძლია. უფრო მეტიც, აშშ-სთან და სხვა საერთაშორისო აქტორებთან კოორდინაციის შემთხვევაში არ არის გამორიცხული რუსეთმა „დათმოს“ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და განვითარების არჩეული კურსის სასარგებლოდ. მაგრამ სანამ ეს ჩვენთვის იდეალური ვითარება დადგება, ევროკავშირის თავისი მნიშვნელოვანი მისიის შესრულება შეუძლია და ეს დაკავშირებულია საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობების ნორმალიზაციის ზემოაღნიშნული პირველი

დონის ამოცანის შესრულებასთან. სხვა სიტყვებით, დღევანდელი კრიზისული ვითარების განმუხტვა და 2006 წლის პირველი ნახევრის მდგომარეობის აღდგენა სავსებით მიღწევადი მიზანია.

დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ საქართველო-რუსეთის ურთიერთობები ერთ-ერთი რთული კვანძია თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში. ეს ის საკითხია, რომლის გადაჭრაზეც დამოკიდებულია მსოფლიო წესრიგის მომავალი კონტურები, თუნდაც პოსტ-საბჭოთა სივრცეში. ეს ასე რომ არ იყოს, აშშ, ანდა ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციები, როგორცაა ევროპის საბჭო, ევროკავშირი, ეუთო და გაერო, არ იქნებოდნენ მოწადინებული დღევანდელი კრიზისის მოგვარებით. იმაზე, თუ როგორ მოგვარდება საქართველო-რუსეთის ურთიერთობები, მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული როგორი იქნება ხვალ რუსეთი საერთაშორისო არენაზე. დღეს, როდესაც რუსეთი პრეტენზიას აცხადებს საერთაშორისო ურთიერთობებში ახალი თამაშის წესების შემოღებაზე, საქართველოს წინაშე არჩეული კურსის განხორციელებასთან დაკავშირებით სერიოზული გამოწვევები ჩნდება. მთავარი, რაც საქართველოს ასეთ ვითარებაში ხელეწიფება, არჩეული კურსის განუხრელად დაცვაა, თუმცა მეტი პასუხისმგებლობით და სიფრთხილით. რაც შეეხება საერთაშორისო თანამეგობრობას, მათ შორის ევროკავშირს,

კარგად კოორდინირებული ქმედებით საქართველოსა და რუსეთს შორის მოწესრიგებული და კორექტული ურთიერთობების ჩამოყალიბებაში არსებითი წვლილის შეტანა შეუძლია. თუმცა, ამოცანა არ არის მარტივი და ხსენებულ საერთო ძალისხმევაში თითოეული მონაწილის შესაძლებლობების ზედმიწევნით ზუსტი შეფასებით როლების ასევე ზუსტად განსაზღვრაა საჭირო.

აქვე მიზანშეწონილად მივიჩნევ, რათა შეგახსენოთ **ევროკავშირის მიერ საქართველოს მიმართ დაგეგმილი და განხორციელებული პროექტები:**

2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ინსტრუმენტის კონფლიქტებთან დაკავშირებული პაკეტიდან ევროკომისიამ საქართველოსთვის დამატებით გამოყო 500 მლნ ევრო, რომლის ძირითადი ნაწილი იძულებით გადაადგილებულ პირთა მხარდაჭერას მოხმარდა.

2008 წლის 22 ოქტომბერს, ქ. ბრიუსელში ევროკავშირისა და მსოფლიო ბანკის ორგანიზებით გაიმართა დონორთა კონფერენცია, რომელზეც საქართველოსთვის გამოყოფილმა დახმარებამ 2008—2010 წლებისთვის 4.5 მილიარდი დოლარი შეადგინა.

2009 წლიდან საქართველოსა და ევროკავშირის შორის არსებული პოლიტიკური დიალოგის ფარგლებში შეიქმნა თანამშრომლობის ახალი ფორმატი ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებზე დიალოგი (1130). შეხვედრები აღნიშნული

ფორმატის ფარგლებში იმართება ყოველწლიურად.

2009 წელს საქართველო ჩაერთო „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ინიციატივაში, რომელსაც ფორმალურად საფუძველი 2009 წლის 7 მაისს პრადის სამიტზე ჩაეყარა. აქედან გამომდინარე, საქართველო აქტიურად თანამშრომლობს ინიციატივის, როგორც ორმხრივი, ასევე მრავალმხრივი ურთიერთობის ფორმატში. „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი.

2009 წლის 30 ნოემბერს, ქ. ბრიუსელში ხელი მოეწერა „პარტნიორობა მობილურობისათვის“ ერთობლივ დეკლარაციას ხოლო საქართველოსა და ევროკავშირის შორის თანამშრომლობა ოფიციალურად დაიწყო 2010 წლის 16 თებერვალს.

2010 წლის 17 ივნისს ქ. ბრიუსელში ხელი მოეწერა „საქართველოსა და ევროკავშირის შორის „ვიზების გაცემის პროცედურების გამარტივების შესახებ“ შეთანხმებას.

2010 წლის 15 ივლისს მოლაპარაკებები დაიწყო საქართველოსა და ევროკავშირის შორის „ასოცირების შეთანხმებაზე“, (AA) რომლის ნაწილიცაა „ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება“ (DCFTA)

2010 წლის 22 ნოემბერს, ქ. ბრიუსელში, ხელი მოეწერა „ევროკავშირისა და საქართველოს შორის უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის შესახებ“ შეთანხმებას. შეთანხმება და-

ლაში შევიდა 2011 წლის 1 მარტს.

2010 წლის 2 დეკემბერს ქ. ბრიუსელში ხელი მოეწერა „საქართველოს და ევროკავშირსა და მის წევრ სახელმწიფოებს შორის ერთიანი საავიაციო სივრცის შესახებ“ შეთანხმებას, რომელიც ხელს შეუწყობს საჰაერო ტრანსპორტის სფეროში საქართველო ევროკავშირის ურთიერთობების განვითარებას, კერძოდ, საქართველოს ინტეგრაციას აერონავიგაციის ერთიან ევროპულ სისტემაში, ამ სფეროში საქართველოს კანონმდებლობის დახვეწასა და ევროკავშირის სტანდარტებთან მიახლოებას და ავიაციის სფეროში ევროკავშირის წესების უმრავლესობის განხორციელებას.

2011 წლის 1 მარტს საქართველოსა და ევროკავშირს შორის ძალაში შევიდა სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციისა და რეადმისიის შესახებ შეთანხმებები, ხოლო საქართველოსა და ევროკავშირს შორის დიალოგი უვიზო მიმოსვლის შესახებ გაიხსნა 2012 წლის 4 ივნისს. 2013 წლის 25 თებერვალს საქართველოს ოფიციალურად გადმოეცა სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმა.

2011 წლის 3 მაისს ქ. ბრიუსელში გაიმართა საგანგებო სხდომა, რომელზეც ოფიციალურად დაფუძნდა „ევრონესტის საპარლამენტო ასამბლეა“. ევრონესტის საპარლამენტო ასამბლეა წარმოადგენს აღმოსავლეთ პარტნიორობის პოლიტიკის საპარლამენტო განზომილებას, რომლის ფარგლებშიც ევროკავშირსა და აღ-

მოსავლეთ ევროპულ პარტნიორებს შორის წარმართება მრავალმხრივი საპარლამენტო დიალოგი საერთო ინტერესის სფეროებში, როგორცაა: მშვიდობა, სტაბილურობა, საკანონმდებლო ჰარმონიზაცია, ვაჭრობა, ენერგეტიკა, ხალხთა ურთიერთობა და სხვა.

2011 წლის 14 ივლისს ხელი მოეწერა და 2012 წლის 1 აპრილს ძალაში შევიდა საქართველო-ევროკავშირის შეთანხმებას სოფლის მეურნეობისა და სხვა საკვები პროდუქტების გეოგრაფიული აღნიშვნების ურთიერთდაცვის შესახებ.

2011 წლის 29—30 სექტემბერს, ქ. ვარშავაში გაიმართა მეორე „აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტი“.

2012 წლის 28 თებერვალს ოფიციალურად გაიხსნა მოლაპარაკებები საქართველოსა და ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველ თავისუფალ სავაჭრო სივრცეზე (DCFTA), რომელიც „ასოცირების შესახებ შეთანხმების“ ნაწილია.

2012 წლის 4 ივნისს გაიხსნა საქართველო-ევროკავშირის დიალოგი უვიზო მიმოსვლის შესახებ.

2012 წლის 5 ივნისს, ქ. კიშინიოვში გაიმართა „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ არაფორმალური დიალოგის პირველი, საინაუგურაციო შეხვედრა.

2013 წლის 12–13 თებერვალს თბილისში გაიმართა „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ არაფორმალური დიალოგის მეორე შეხვედრა, რომელიც პირველად მოიცავდა სექტორ-

რული დიალოგის შეხვედრასაც ტრანსპორტის დარგში.

2013 წლის 25 თებერვალს საქართველოს ოფიციალურად გადმოეცა სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმა.

2013 წლის 12 დეკემბერს ხელი მოეწერა საქართველოსა და ევროკავშირს შორის პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების ოქმს საქართველოსა და ევროკავშირს შორის ჩარჩო ხელშეკრულების თაობაზე ევროკავშირის პროგრამებში საქართველოს მონაწილეობის ძირითადი პრინციპების შესახებ.

2013 წლის 27–28 ივნისს თბილისში გაიმართა „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ პირველი მინისტრიალი კულტურის დარგში.

2013 წლის 12–13 სექტემბერს, ქ. ერევანში გაიმართა „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ არაფორმალური დიალოგის მესამე შეხვედრა, რომელიც მოიცავდა საგარეო საქმეთა მინისტრთა სესიასა და სექტორულ დიალოგს განათლების საკითხებზე.

2013 წლის 28-29 ნოემბერს ქ. ვილნიუსში გაიმართა „აღმოსავლეთ პარტნიორობის რიგით მესამე სამიტის“ ვილნიუსის სამიტის ფარგლებში, 29 ნოემბერს მოხდა საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების პრაფირება, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის კომპონენტის ჩათვლით (ქართულ ენაზე; ინგლისურ ენაზე). „საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმება“ ამ-

ბიციური და ინოვაციური, ე.წ. „ახალი თაობის“ შეთანხმებაა, რამდენადაც, მანამდე გაფორმებული მსგავსი შეთანხმებებისგან განსხვავებით, მოიცავს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის კომპონენტს (Deep and Comprehensive Free Trade Area – DCFTA) და ითვალისწინებს ევროკავშირთან დაახლოვების მნიშვნელოვან კონკრეტულ მექანიზმებს (იხილეთ გზამკვლევი).

იმავე, **2013 წლის 29 ნოემბერს**, ვილნიუსის სამიტზევე მიღებულ იქნა ერთობლივი დეკლარაცია და ხელი მოეწერა „ევროკავშირის ეგიდით მიმდინარე კრიზისის მართვის ოპერაციებში მონაწილეობის შესახებ ჩარჩო შეთანხმებას“. სამიტზე მიღებულ იქნა ერთობლივი დეკლარაცია.

2013 წლის 12 დეკემბერს ხელი მოეწერა საქართველოსა და ევროკავშირს შორის პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების ოქმს საქართველოსა და ევროკავშირს შორის ჩარჩო ხელშეკრულების თაობაზე ევროკავშირის პროგრამებში საქართველოს მონაწილეობის ძირითადი პრინციპების შესახებ.

2014 წლის 20 თებერვალს ოფიციალურად გაიხსნა მოლაპარაკებები საქართველოს ევროპის ენერგეტიკულ გაერთიანებაში გაწევრიანების თაობაზე.

2014 წლის 21 მაისს, ქ. ბრიუსელში ევროკავშირთან პოლიტიკური დიალოგის გაღრმავების კუთხით, გაიმართა შეხვედრა ევროკომისიის

კოლეგიასა და საქართველოს მთავრობას შორის, რომლის ფარგლებიც მიღებულ იქნა ერთობლივი განცხადება.

2014 წლის 26 ივნისს საქართველომ და ევროკავშირმა მიიღეს ასოცირების დღის წესრიგი, რომლის მიზანია ასოცირების შეთანხმების ეფექტიანი იმპლემენტაციის ხელშეწყობა და წარმოადგენს ასოცირების შეთანხმებით აღებული ვალდებულებების პრიორიტეტული საკითხების სამწლიან (2014—2016) გეგმას.

2014 წლის 27 ივნისს ხელი მოეწერა საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმებას, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის (DCFTA) ჩათვლით.

2014 წლის 9 სექტემბერს ქ. ბაქოში გაიმართა „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ არაფორმალური დიალოგის მეოთხე შეხვედრა, რომელიც მოიცავდა სექტორული დიალოგის შეხვედრას ენერჯეტიკის საკითხებზე;

2014 წლის 17 ნოემბერს, ქ. ბრიუსელში გაიმართა საქართველო—ევროკავშირის ასოცირების საბჭოს პირველი სხდომა. საბჭოს სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებით ამოქმედდა ახალი ინსტიტუციური ჩარჩო – ასოცირების საბჭო, ასოცირების კომიტეტები და დარგობრივი ქვეკომიტეტები, რომელსაც საქართველო—ევროკავშირის ასოცირების შეთანხმება ითვალისწინებს. სხდომაზე მიღებულ იქნა ერთობლივი პრეს-რელიზი.

2015 წლის 20 აპრილს ქალაქ

ლუქსემბურგში გაიმართა „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ საგარეო საქმეთა მინისტრთა რიგით მეექვსე შეხვედრა•

2015 წლის 21–22 მაისს, ქ. რიგაში გაიმართა „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ მეოთხე სამიტი. სამიტზე მიღებულ იქნა ერთობლივი დეკლარაცია.

2015 წლის 2 ივნისს, ქ. თბილისში საქართველო-ევროკავშირის პოლიტიკური დიალოგის ფარგლებში გაიმართა საქართველო—ევროკავშირის ასოცირების კომიტეტის პირველი სხდომა.

2015 წლის 29 ივნისს, ქ. მინსკში გაიმართა „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ არაფორმალური დიალოგის მეხუთე შეხვედრა, რომელიც მოიცავდა საგარეო საქმეთა მინისტრთა სესიასა და სექტორულ დიალოგს გარემოს დაცვის საკითხებზე.

2015 წლის 16 ნოემბერს, ქ. ბრიუსელში გაიმართა საქართველო—ევროკავშირის ასოცირების საბჭოს რიგით მეორე შეხვედრა, რომლის დროსაც მიღებულ იქნა ერთობლივი პრეს-რელიზი.

2015 წლის 26 ნოემბერს, ქ. თბილისში გაიმართა „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ არაფორმალური დიალოგის რიგით მეექვსე შეხვედრა, რომელიც მოიცავდა საგარეო საქმეთა მინისტრთა სესიასა და სექტორულ დიალოგს ჯანდაცვის საკითხებზე.

2015 წლის 30 ნოემბერი – 2 დეკემბერი საქართველოში იმყოფებოდ-

ნენ ევროკავშირის საბჭოს აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნების სამუშაო ჯგუფის (ჩ#Eმთ) წარმომადგენლები.

2015 წლის 18 დეკემბერს ევროკომისიამ საქართველოს მიერ სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის (VLAP) შესრულების რიგით მეოთხე, საბოლოო ანგარიში გამოაქვეყნა.

2016 წლის 9 მარტს, ევროკომისიის მიერ გამოქვეყნებული საბოლოო მეოთხე ანგარიშის საფუძველზე, ევროკომისიის მიერ ინიცირებულ იქნა საკანონმდებლო პროცედურები და ევროპარლამენტსა და ევროკავშირის საბჭოს ოფიციალურად წარუდგინა საკანონმდებლო წინადადება 539/2001 რეგულაციაში ცვლილების შეტანის შესახებ, რომელიც ითვალისწინებს საქართველოს მოქალაქეებისთვის შენგენის სივრცეში მოკლევადიანი უვიზო მიმოსვლის რეჟიმის შემოღებას.

2016 წლის 23 მაისს, ქ. ბრიუსელში გაიმართა „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ საგარეო საქმეთა მინისტრთა რიგით მეშვიდე შეხვედრა.

2016 წლის 23 მაისს, ევროკავშირის საგარეო საქმეთა საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე, ევროკავშირმა დაასრულა საქართველოსთან გაფორმებული ასოცირების შეთანხმების რატიფიკაციისთვის საჭირო ყველა პროცედურა.

2016 წლის 16 ივნისს, ქ. ბრიუსელში საქართველო-ევროკავშირის პოლიტიკური დიალოგის ფარგლებ-

ში გაიმართა საქართველო-ევროკავშირის ასოცირების კომიტეტის მეორე სხდომა.

2016 წლის 23 ივნისს, ქ. ბრიუსელში, ხელი მოეწერა საქართველოსა და ევროკავშირის შორის საიდუმლო ინფორმაციის ურთიერთგაცვლის შესახებ შეთანხმებას.

2016 წლის 1 ივლისს, საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების შეთანხმება, ძალაში შევიდა.

2016 წლის 11-12 ივლისს, ქ. კიევში გაიმართა „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ არაფორმალური დიალოგის მეშვიდე შეხვედრა, რომელიც მოიცავდა საგარეო საქმეთა მინისტრთა სესიასა და სექტორულ დიალოგს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების საკითხზე.

2016 წლის 17 ნოემბერს, ქ. ერევანში გაიმართა „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ არაფორმალური დიალოგის მერვე შეხვედრა, რომელიც მოიცავდა საგარეო საქმეთა მინისტრთა სესიასა და სექტორულ დიალოგს კვლევის, მეცნიერების და ინოვაციის განვითარების საკითხებს.

2016 წლის, 2 დეკემბერს, ქ. ბრიუსელში გაიმართა ასოცირების საბჭოს რიგით მესამე სხდომა, რომლის დროსაც მიღებულ იქნა ერთობლივი პრეს-რელიზი.

2017 წლის 28 მარტს საქართველოს მოქალაქეებისთვის ევროკავშირის/შენგენის ზონაში უვიზოდ მიმოსვლის რეჟიმი ამოქმედდა. (როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 2010 წლის 17 ივნისს ქ. ბრიუსელში ხელი მოე-

წერა „საქართველოსა და ევროკავშირის შორის „ვიზების გაცემის პროცედურების გამარტივების შესახებ“ შეთანხმებას). ამიერიდან, საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს, რომელიც ფლობს ბიომეტრიულ პასპორტს, შეუძლია იმოგზაუროს ევროკავშირის/შენგენის ტერიტორიაზე უვიზოდ ნებისმიერი 180 დღის განმავლობაში მაქსიმუმ 90 დღე.

2017 წლის 19 ივნისს, ქ. ლუქსემბურგში გაიმართა „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ საგარეო საქმეთა მინისტრთა მე-8 შეხვედრა.

2017 წლის 22 ივნისს, ქ. თბილისში საქართველო—ევროკავშირის პოლიტიკური დიალოგის ფარგლებში გაიმართა საქართველო—ევროკავშირის ასოცირების კომიტეტის მესამე სხდომა.

2017 წლის 1 ივლისიდან, საქართველო ოფიციალურად გახდა ენერგეტიკული გაერთიანების სრულუფლებიანი წევრი (2016 წლის 14 ოქტომბერს ხელი მოეწერა ენერგეტიკული გაერთიანების დამფუძნებელ ხელშეკრულებასთან საქართველოს მიერთების შესახებ ოქმს, რომელიც ძალაში შევიდა 2017 წლის ივლისს).

2017 წლის 10 ივლისს, ქ. კიშინიოვში გაიმართა „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ არაფორმალური დიალოგის მეცხრე შეხვედრა, რომელიც მოიცავდა საგარეო საქმეთა მინისტრთა სესიასა და სექტორულ დიალოგს ენერგეტიკის საკითხებზე.

2017 წლის 5-6 ოქტომბერს შედგა ევროკავშირის საბჭოს პოლიტიკური

და უსაფრთხოების კომიტეტის წევრი ელჩების ვიზიტი საქართველოში.

2017 წლის 11 ოქტომბერს, ქ. თბილისში გაიმართა საქართველო—ევროკავშირის უსაფრთხოების საკითხებზე მაღალი დონის სტრატეგიული დიალოგის პირველი შეხვედრა.

2017 წლის 20 ნოემბერს, საქართველომ და ევროკავშირმა ასოცირების განახლებული დღის წესრიგი 2017—2020 წლებისათვის დაამტკიცეს. ახალი დღის წესრიგი უფრო მეტად ამბიციურია და საქართველოს აძლევს საშუალებას, რომ 2020 წლამდე მაქსიმალურად დაუახლოვდეს ევროკავშირის სტანდარტებს და ნორმებს.

2017 წლის 24 ნოემბერს, ქ. ბრიუსელში გაიმართა „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ მეხუთე სამიტი. სამიტზე მიღებულ იქნა ერთობლივი დეკლარაცია.

2018 წლის 5 თებერვალს, ქ. ბრიუსელში გაიმართა საქართველო—ევროკავშირის ასოცირების საბჭოს მე-4 სხდომა. სხდომის ფარგლებში მიღებულ იქნა ერთობლივი პრეს-რელიზი.

2018 წლის 21—22 ივნისს, ქ. მინსკში გაიმართა „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ არაფორმალური დიალოგის მეათე შეხვედრა, რომელიც მოიცავდა საგარეო საქმეთა მინისტრთა სესიასა და სექტორულ დიალოგს ჰარმონიზაციისა და ციფრული ბაზრის საკითხებზე.

2018 წლის 26 ივნისს, ქ. ბრიუსელში საქართველო—ევროკავშირის

პოლიტიკური დიალოგის ფარგლებში გაიმართა საქართველო—ევროკავშირის ასოცირების კომიტეტის მესამე სხდომა.

2018 წლის 15 ოქტომბერს, ქ. ლუქსემბურგში გაიმართა „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ საგარეო საქმეთა მინისტრიალის მეცხრე შეხვედრა.

2018 წლის 23 ოქტომბერს, ქ. ბრიუსელში გაიმართა საქართველო—ევროკავშირის უსაფრთხოების საკითხებზე მაღალი დონის სტრატეგიული დიალოგის მეორე შეხვედრა.

2018 წლის 21 ნოემბერს, ქ. ბრიუსელში გაიმართა ევროკომისიასა და საქართველოს მთავრობას შორის მაღალი დონის პირველი შეხვედრა.

2018 წლის 10—12 დეკემბერს, ქ. თბილისში გაიმართა „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის მე-10 ყოველწლიური ასამბლეა.

2019 წლის 5 მარტს, ქ. ბრიუსელში გაიმართა საქართველო—ევროკავშირის ასოცირების საბჭოს მე—5 სხდომა. სხდომის შემდგომ მიღებულ იქნა ერთობლივი პრეს—რელიზი.

თითოეული სახელმწიფო წარმართავს ურთიერთობას სხვა სახელმწიფოებთან ამ კონკრეტული სახელმწიფოს იურიდიული სტატუსის გარკვეულ გაგებაზე მრავალ შემთხვევაში ასეთი გარკვევა არის სტატუსკო-ს აღიარება, მაგრამ უნდა გაითვალისწინოს ყველა სახელმწიფომ, რომ ამა თუ იმ წარმონაქმნის აღიარე-

ბა შეიძლება იქნეს მიჩნეული, როგორც არსებული წესრიგის შეცვლის მცდელობა.

თუმცა პატარა ერები, რომელნიც დამოუკიდებლობისთვის იბრძვიან, ამ ბრძოლას სარჩელად უდებენ ერის თვითგამორკვევის პრინციპს, რაც ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და საერთაშორისო ნორმებით აღიარებული პრინციპია, რომლის უფლება ყველა ერს აქვს.

გაეროს 1970 წლის დეკლარაცია საერთაშორისო სამართლის პრინციპების შესახებ, აგრეთვე ჰელსინკის თათბირის დასკვნითი აქტი განსაზღვრავენ, ხალხთა და ერთა თანასწორუფლებიანობისა და თვითგამორკვევის უფლებას, როგორც ყველა ხალხის უფლებას თავისუფლად, გარეგან ჩაურევლად განსაზღვროს თავისი პოლიტიკური სტატუსი, ახორციელებდეს თავის ეკონომიკურ და კულტურულ განვითარებას. თითოეული სახელმწიფო მოვალეა პატივს სცემდეს ამ უფლებას წესდების დებულებათა შესაბამისად.

თითოეული კონფლიქტი არის ინდივიდუალური მახასიათებლების მატარებელი, გამომდინარე მისი ბუნების სირთულიდან. ჩვენ გავაკეთებთ სამართლებრივ და პოლიტიკურ შეფასებებს აღნიშნულ დაპირისპირებასთან დაკავშირებით, მაგრამ აქვე სასურველია განვსაზღვროთ კონფლიქტის რეგულაციის აუცილებლობა, როგორც მომავალი კონფრონტაციის თავიდან აცილების საშუალება.

პრობლემის გადასაჭრელად არამართო ფიქრი და განსჯაა საჭირო, არამედ ქმედებაც. ქმედებისათვის საჭიროა საბაზისო თეორიული ცოდნის საფუძველზე მოქნილი დიპლომატიური გეგმის შემუშავება. შედეგის მისაღწევად ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია კონფლიქტის მართვა, რომლითაც ხერხდება ომის, შეჯახების თავიდან აცილება, რასაც უკვე რამოდენიმეჯერ ჰქონდა ადგილი საქართველოს ტერიტორიაზე. პოლიტიკური კონფლიქტების მართვა ხანგრძლივი პროცესია, მას გააჩნია თავისი საფეხურები და განვითარების პროცედურები. დაპირისპირების მართვით ხორციელდება მხარეებს შორის დამაბულობის დონის შემცირება და ძიება იმ ქმედებისა, რომლითაც მოხერხდება გაუგებრობის ახლებური დანახვა, კონფლიქტის გადაჭრისას ყურადღება უნდა მიექცეს არა მხოლოდ დაპირისპირების მიმდინარე პროცესს, არამედ მის საფუძველს და შესაძლო განვითარების გზებს. რაღა თქმა უნდა, არ არსებობს ჩამოყალიბებული ფორმულა საქართველოს გაერთიანების კუთხით, რადგან ყოველი დაპირისპირების მშვიდობიანი გზებით მოგვარების პროცესს, ხანგრძლივობას და მეთოდებს განაპირობებს დაპირისპირების ხარისხი. ერთ-ერთი, რაც ქართულ-რუსულ ურთიერთობებში ზრდის დამაბულობის ინტენსივობას, არის მხარეთა შორის ურთიერთ აღქმა, ორივე მხარის ხელისუფალთა მიერ ხდება მტრის ხატის

შექმნა. „მტრის ხატის“ არსებობა გულისხმობს „სხვის“ უარყოფით აღქმას, აგრესორის, მოძალადის იმიჯს.

ასევე მნიშვნელოვანია თვითშეფასებები, სადაც საკუთარი თავი „კარგად“ და სხვა „ცუდად“ აღიქმება. ასეთი აღქმა და ცრუ შეხედულებები ამცირებს ურთიერთობების მშვიდობიან ფარგლებში ნორმალისაციის შესაძლებლობას.

2008 წლის აგვისტოში რუსეთის შემოჭრამ საქართველოში გვიჩვენა, რომ პოსტსაბჭოთა სივრცეში რეალპოლიტიკა რჩება პოლიტიკის ინსტრუმენტად. 2008 წლის აგვისტოს ომის ანალიზისას ენტონი კორდესმანი აღნიშნავს, რომ „...შედარებით უფრო ძლიერი სახელმწიფოები ადგენენ ან არღვევენ წესებს, როდესაც არ არსებობს საპირისპირო, ანგარიშგასაწევი, სარწმუნო ძალა“.

მართალია, ქართულ-რუსულ ურთიერთობებში იყო გარკვეული პერიოდები, როდესაც ეს ურთიერთობები შედარებით მოგვარებისაკენ მიდიოდა (ერთი ასეთი პერიოდი იყო პრეზიდენტ სააკაშვილის ხელისუფლებაში მოსვლისთანავე), ამ ორ ქვეყანას შორის არსებული ურთიერთუნდობლობა არასოდეს გამქრალა და ურთიერთობებიც ყოველთვის დამაბულობი იყო. რუსეთის ანტიქართული ინტენსიური პროპაგანდა კარგად აისახა კიდევ რუსეთის მოსახლეობის დიდი ნაწილის საქართველოს მიმართ დამოკიდებულებაშიც – მათ საქართველო ყველაზე მტრულ და საშიშ (!) ქვეყნად მიიჩნი-

ეს. საქართველოს ხელისუფალნი კი, თავის მხრივ, ადანაშაულებდნენ რუსეთს ნეოიმპერიალიზმში, საქართველოში სეპარატიზმის მხარდაჭერაში, ეკონომიკურ შანტაჟში და ა.შ.

რუსმა ექსპერტმა სერგეი მარკედონოვმა მართებულად შენიშნა, რომ ორ ქვეყანას შორის არსებული მრავალი პრობლემა 1990-იანების დასაწყისიდან მოყოლებული დაგროვდა, ხოლო ახალი იმპულსი „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ მიიღო.

საქართველოს მთავრობამ სათანადოდ ვერ შეაფასა მოსკოვის გადაწყვეტილება, რადაც არ უნდა დაჯდომოდა, მიეღო ის, რაც უნდოდა და არ დაეთმო დასავლეთისათვის და განსაკუთრებით კი აშშ-სთვის, პოსტსაბჭოთა სივრცე, კერძოდ კი – სამხრეთ კავკასია. მოსკოვმა გადაწყვიტა, 2008 წლის აგვისტოში გაეცურებინა თბილისი და გამოეყენებინა საქართველოს ხელისუფლების შეცდომები, შეჭრილიყო საქართველოში არა მხოლოდ სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ანექსიის მიზნით, არამედ ასევე საქართველოს მთავრობა შეეცვალა რუსეთის მიმართ შედარებით „მეგობრულად“ განწყობილი ხელისუფლებით. დასავლეთიდან წამოსულმა დიპლომატიურმა ძალისხმევამ აიძულა რუსეთი შეჩერებულიყო და არ დაეკავებინა საქართველოს დედაქალაქი. დასავლეთის ჩარევამ მოიტანა სამშვიდობო შეთანხმება, მაგრამ რუსეთმა დაარღვია შეთანხმების პირობები, არ გავიდა საქართველოდან და 2008 წლის აგვისტოში აღიარა საქარ-

თველოს ორი ტერიტორიის – აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის – დამოუკიდებლობა. აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან ამ შეთანხმების საფუძველზე რუსეთმა მათ ტერიტორიაზე განალაგა თავისი სამხედრო ბაზები, რაც ნიშნავს საქართველოს ამ ორი მხარის – ქვეყნის ტერიტორიის 20 პროცენტის – დე ფაქტო ოკუპირებას.

მიუხედავად რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების ძალზე სავალალო მდგომარეობისა, ამ ორი მეზობელი ქვეყნის სამომავლო პერსპექტივებში მაინც არის იმედის მომცემი ხელშესახები ფაქტორები, რამაც ურთიერთობების დარეგულირებას უნდა შეუწყონ ხელი. ესაა მრავალსაუკუნოვანი კავშირები, გეოგრაფიული სიახლოვე, საერთო ინტერესები კავკასიის სტაბილურობისა და უსაფრთხოების შესანარჩუნებლად. ხაზგასასმელია ის ფაქტიც, რომ მიუხედავად აგვისტოს ომისა, ასობით ათასი ქართველი რუსეთში მუშაობას დღესაც განაგრძობს, ხოლო საქართველოში მცხოვრებ რუსებს კი ქვეყანა არ დაუტოვებიათ.

რუსეთი უარს ამბობს მოლაპარაკებებზე, არ აღიარებს საქართველოს მთავრობას, მაგრამ ბოლო დროს რუსეთის ელიტაში ახალი ძვრები შეინიშნება. რუსეთში ბევრი ადამიანი, მათ შორის ყოფილი მინისტრები, დადებითად აფასებენ საქართველოში განხორციელებულ ეკონომიკურ რეფორმებს, კორუფციის წინააღმდეგ მიმდინარე ბრძოლას, პოლიციის რე-

ფორმას, რაც, რა თქმა უნდა, დადებითი ძვრას ამ ორი ქვეყნის ურთიერთობაში.

რუსეთთან საქართველოს ურთიერთობა უნდა იყოს თანმიმდევრული, არაკონფრონტაციული და ცივილიზებულ ჩარჩოებში მოქცეული, იმისგან დამოუკიდებლად, თუ როგორ იქცევა რუსეთი, რადგანაც საქართველოს უფრო მაღალ იდეალებზე აქვს პრეტენზია.

აუცილებელია არა ომით, არამედ დიპლომატიური საშუალებებით, საერთაშორისო თანამეგობრობის მხარდაჭერით, რუსეთის პოლიტიკური ხელმძღვანელობა დავარწმუნოთ იმაში, რომ საქართველო ვერ იქცევა რუსეთის გავლენის სფეროდ.

საქართველო განხორციელებული სამოქმედო გეგმების და თანამშრომლობის შემდგომი ფორმატების შედეგად თვისობრივად ახალ დონეს მიაღწევს, რუსეთისათვის მიუღებელია, რადგან პოსტსაბჭოთა სივრცეში ჩამოყალიბდება რუსეთისაგან გაუცხოებული და განსხვავებული პოლიტიკური, სამართლებრივი და ადმინისტრაციული სისტემა, რაც დასავლეთის ინტერესებისა და გავლენის კონსოლიდაციის მყარ საფუძველს შექმნის. ამ თვალსაზრისით, რუსეთი და ევროკავშირი პოსტსაბჭოთა სივრცეში კონკურენტები არიან და ამის გამო რუსეთში ამ ორგანიზაციას ბოლომდე ვერ ენდობიან.

გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ სამხრეთ კავკასიაში, კერძოდ, საქართველოში, მიმდინარე

პროცესები ევროპისათვის მნიშვნელოვანია, მაგრამ არა ისეთი, რომ ევროკავშირის პირველი რიგის პრიორიტეტთა შორის იყოს. პრიორიტეტულ საკითხთა შორის ევროპისათვის დღეს, რა თქმა უნდა, ენერგეტიკული უსაფრთხოების, ირანის, ავღანეთის და სხვ. პრობლემებია და მხოლოდ ამის შემდეგ კავკასია და საქართველო. ევროკავშირის რუსეთთან ურთიერთობაში აფერხებს რუსულ ენერგორესურსებზე დამოკიდებულება, თუმცა „ნაბუქოს“ ალტერნატიული მაგისტრალის ამოქმედება ამ პრობლემას გადაჭრის.

დღეს დასავლეთის მთავარი ამოცანაა მოსკოვს გააცნობიერებინოს, რომ პოსტსაბჭოთა სივრცეში ძალისმიერი მეთოდებით მოქმედება დაუსჯელი ვერ დარჩება, რომ დასავლეთთან პარტნიორობა, რაც მისი ტექნოლოგიური ჩამორჩენილობის გამო სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, შეუთავსებელია მეზობელი ქვეყნების ოკუპაციასთან. ამავე დროს, ეჭვგარეშეა, რომ ევროკავშირი რთული დილემის წინაშეა: ერთის მხრივ, მას არ შეუძლია რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციაზე თვალი დახუჭოს, მეორეს მხრივ, რეგიონის სტაბილიზაციისათვის მოსკოვთან თანამშრომლობა სჭირდება, რაც მის მიმართ სადამსჯელო ხასიათის მიდგომას გამოირიცხავს. ევროკავშირმა ან რუსეთთან თანამშრომლობით უნდა შეძლოს ვითარების სტაბილიზება საქართველოში, მათ შორის კონფლიქტურ რეგიონებში, ან სერიოზულად განიხილოს

სანქციების შემოღება. რუსეთმა კი, თავის მხრივ, უნდა გააცნობიეროს, რომ მომავალში დასავლეთთან შეზღუდული თანამშრომლობა უფრო სახიფათოა, ვიდრე მოკლევადიანი დიპლომატიური სანქციები. ამიტომ ევროკავშირმა თამამად უნდა იმოქმედოს და ცეცხლის შეწყვეტის 6-პუნქტიანი შეთანხმების ფარგლებში მიაღწიოს უსაფრთხოების სათანადო რეჟიმის დამკვიდრებას და მოსკოვი დააყენოს არჩევანის წინაშე – ან ითანამშრომლოს, ან შეურიგდეს დასავლეთთან ურთიერთობების გაცეცხას.

ამრიგად, საქართველო-რუსეთის ურთიერთობები ერთ-ერთი რთული კვანძია თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში. ეს მარტო ამ ორი მეზობელი ქვეყნის პრობლემა კი არ არის, არამედ მის სამართლიან გადაწყვეტაზეა დამოკიდებული მსოფლიო წესრიგის მომავალი კონტურები, თუნდაც პოსტსაბჭოთა სივრცეში. იმაზე, თუ როგორ მოგვარდება საქართველო-რუსეთის ურთიერთობები, მნიშვნელოვნად არის და-

მოკიდებული, როგორი იქნება ხვალ რუსეთი საერთაშორისო არენაზე.

დღეს, როდესაც რუსეთი პრეტენზიას აცხადებს საერთაშორისო ურთიერთობებში ახალი თამაშის წესების შემოღებაზე, საქართველოს წინაშე არჩეული კურსის განხორციელებასთან დაკავშირებით სერიოზული გამოწვევები ჩნდება. მთავარი, რაც საქართველომ ასეთ ვითარებაში უნდა გააკეთოს, ესაა განუხრელად დაიცვას არჩეული კურსი, თუმცა მეტი პასუხისმგებლობით და სიფრთხილით. რაც შეეხება საერთაშორისო თანამეგობრობას, მათ შორის ევროკავშირს, კარგად კოორდინირებული ქმედებით მათ საქართველოსა და რუსეთს შორის მოწესრიგებული და კორექტული ურთიერთობების ჩამოყალიბებაში არსებითი წვლილის შეტანა შეუძლიათ. თუმცა ეს ამოცანა არ არის ადვილად გადასაწყვეტი და ამ საქმეში თითოეული მონაწილის შესაძლებლობების ზედმიწევნით ზუსტი შეფასებით, როლების ასევე ზუსტი განსაზღვრაა საჭირო.

ლიტერატურა:

1. გ. გელაშვილი. 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შედეგების პოლიტიკურ-სამართლებრივი შეფასება. თბ., 2011
2. Soft Power – რუსეთის საგარეო პოლიტიკის ახალი კონცეფცია საქართველოსთან მიმართებაში, თბ., 2004.
3. ალ. რონდელი. საერთაშორისო ურთიერთობები, გამომც. „ნეკერი“, 2006.
4. იუჯინ კოგანი – რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები და ევროკავშირის დამოკიდებულება, თბ., 2013.
5. ახალი რუსული იმპერიალიზმი და კავკასია. ახალი საქართველოს უნი-

ვერსიტეტი, კავკასიური ფილოსოფიისა და თეოლოგიის სამეცნიერო კვლევითი არქივი. თბ., 2015.

6. ვ. პაპავა, ფ. შტარრ, „Russis's Economic Imperialism”, Prject Syndicate, January 2006.
7. „სუვერენული დემოკრატიის” დაწვრილებითი მიმოხილვა იხ. Nicu Popescu, „Russia's Soft Power Ambitions”, CEPS Policy Brief, No. 115, October 2006. რუსეთის საგარეო პოლიტიკის იდეოლოგიური უზრუნველყოფის საკითხი მნიშვნელოვანწილად აღნიშნულ ნაშრომში მოყვანილ მოსაზრებებს ეფუძნება.
8. Медоев, Д. (2014). Южная Осетия и политика России в закавказье, Москва: Канон.
9. Breault. Y., Jolicoeur, P., & Lecesque, J. (2003). La Russie et son ex-empire, reconfiguration geopolitique de l'ancien espace Societique (რუსეთი და მისი ყოფილი სამფლობელოები, პოსტსაბჭოთა სივრცის ხელახალი გადანაწილება) Paris: Presse de Sciences Po.
10. Дзидзоев, В. Д. Ё Дзугаев. (2007). К. Г. Южная Осетия в ретроспективе грузино-осетинских отношений, Цхинвали: Владикавказский институт управления.
11. ირმა კეცხოველი, სალომე ხიზანიშვილი. საქართველო საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო სამართლის სისტემაში, სტატია – საქართველო და ევროკავშირი 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ. გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი 2019. გვ. 53-112.
12. ირმა კეცხოველი, საქართველო საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო სამართლის სისტემაში, სტატია: რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების სამართლებრივი პრინციპები. გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი 2019. გვ. 255-310.

მურად შონია

ადამიანური ჯერარსის შესახებ

ადამიანური ჯერარსის საკითხი ჩვენი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი პრობლემაა, ვინაიდან იგი ეხება ამ ცხოვრების სწორედ წესსა და რიგს, იმას, თუ როგორი უნდა იყოს ეს ცხოვრება.

საქმე ისაა, რომ ადამიანური ჯერარსის საკითხი ეხება ყველაზე მნიშვნელოვანს, იმას, თუ როგორი უნდა იყოს ადამიანი და არა უბრალოდ იმას, თუ რა არის ადამიანი, ვინაიდან სწორედ პირველი მდგომარეობაა მოსაწონი და ამდენად ჩვენი ჯეროვანი ცხოვრების განმსაზღვრელი – მისი მაორიენტირებელი ანუ მიმართულების მაჩვენებელი.

ადამიანი კი ყოველთვის იმგვარი ცხოვრებით როდი ცხოვრობს, რა ცხოვრებითაც მას უნდა ეცხოვრა. კაცი ხომ „ცოდვილი“ არსებაა და იგი ორგვარი – წესიერი და არაწესიერი ცხოვრებით ცხოვრობს, გარემოების, უპირველეს ყოვლისა, და მისი ჭკუაგონების მიხედვით.

„ცუდის“ ცხოვრებით ცხოვრობს ადამიანი, თუ იგი უზენაესი იდეალის, ანუ ღმრთის მცნებათა მიხედვით არ ცხოვრობს, ხოლო „კარგის“ ცხოვრებით ცხოვრობს ადამიანი, თუ იგი სწორედ ამ უზენაესი იდეალის მიხედვით ცხოვრობს.

საერთოდ უნდა აღინიშნოს ის, რომ ადამიანის ცხოვრება ორ ურთიერთგანსხვავებულ მხარეს მოიცავს, რომელთაგან ერთია მისი არსობრივი, ხოლო მეორე კი – მისი ჯერარსობრივი მხარეები; ერთია – მისი „მატერიალური“ და „ნორმატიული“, მეორე – „რეალური“ და „ჯეროვანი“ „მხარეები ადამიანის ცხოვრებისა“ (3,98). ისინი აუცილებელ კავშირშია ერთმანეთთან და ერთმანეთის გარეშე ვერც კი მოიაზრება.

ამიტომ ადამიანური ჯერარსის საკითხის ანალიზიც ადამიანურივე არის საკითხთან მისი შეპირისპირების გარეშე შეუძლებელია. ყოველივე ამის გათვალისწინებით კი ჩვენც ადამიანური ჯერარსის საკითხის გარჩევას, კერძოდ, ადამიანური არსის საკითხთან კავშირში შევუდგებით.

აქ კი, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა დავადგინოთ ისეთი ამოსავალი ცნებები, როგორიცაა „არსი“ და „ჯერარსი“.

არსი საერთოდ გულისხმობს იმას, რაც არის, ხოლო ჯერარსი – იმას, რაც უნდა იყოს (ამასთან დაკავშირებით იხ.: 2,260; 4,338). აქედან გამომდინარე კი, ადამიანური არსიც სხვა არაფერია, თუ არა ყოველივე,

რაც მასში არის, ადამიანური ჯერარ-
სი – რაც მასში უნდა იყოს.

ადამიანური ჯერარსის სფერო,
სხვაგვარად, იმას გულისხმობს, რა
ცხოვრებითაც იგი უნდა ცხოვრობ-
დეს და არა იმას, რა ცხოვრებითაც
იგი ნამდვილად ცხოვრობს.

თუმცა ერთი არ გამორიცხავს
მეორეს. სრულიადაც შესაძლოა ის,
რომ ადამიანური არსი ჯერარსის შე-
საბამისიც იყოს. ოღონდ შესაძლოა
საწინააღმდეგოც: როცა ეს არსი მისი
ჯერარსის შესაბამისი არ იქნება. ეს
დამოკიდებულია ადამიანის არსის
სწორედ ამა თუ იმ ხასიათზე. და
სწორედ ამაშია პრობლემაც. მთელი
„დრამატიზმი“ ადამიანის ცხოვრე-
ბისა სწორედ ისაა, თუ რამდენად შე-
საბამება ადამიანური არსი მის ჯე-
რარსს. ამ მხრივ ადამიანური არსი
ორგვარი შეიძლება იყოს – ჯერარსის
შესაბამისიცა და საწინააღმდეგოც.

როგორც ვხედავთ, ადამიანური
არსი ორგვარი შეიძლება იყოს, ხო-
ლო ჯერარსი – ერთადერთი.

„არსისა“ და „ჯერარსის“ მომენ-
ტები ანუ მოძრავი მხარეები ორი
სხვადასხვა „განზომილება“ ადამიან-
ის ცხოვრებისა. ერთი რამ „გარეგა-
ნია“ მასში, მეორე – „შინაგანი“; ერთი
„ზედაპირულია“, მეორე – „ღრმა“;
პირველი „არაარსებითია“, მეორე –
„არსებითი“; პირველი „არამირეუ-
ლია“ მასში, მეორე – „მირეული“. აქედან
გამომდინარე, არსი „მეორეუ-
ლია“ თითქოს, ჯერარსი – „პირველა-
დი“.

ყოველივე აღნიშნულის გამო,

გამსაზღვრელი, პრიორიტეტული
(უპირატესი) ამათ შორის ჯერარსია
და არა არსი, ეს იმიტომ, რომ ჯერარ-
სი წესია, ნორმაა, კანონია, არსი კი –
უბრალო ფაქტი, ხდომილება. მაგრამ
არსს აზრს სწორედ ჯერარსი ანიჭებს,
თავისი ღირებულებითი ხასიათისა
გამო: არსი მით უფრო „ფასობს“, რაც
უფრო ღირებულებითაა აღვსილი.
ჯერარსი ღირებულების სფეროა,
წრეა მოვლენებისა, ხოლო არსი – უბ-
რალოდ ყოფიერებისა. „ცარიელი ყო-
ფიერება“ არავითარ ღირებულებას
არ ქმნის, თუ მას არ გამსჭვალავს
სწორედ ღირებულება. ასე რომ, ჯე-
რარსს ამ მხრივ თვითკმარი, „სუბ-
სტანციური“ თვისება აქვს, იგი
„წმინდა ღირებულებაა“, რომელიც
მეტ-ნაკლებად „აღავსებს“ არსს, ანუ
ყოფიერებას, „გადმოიღვრება რა“
მასში.

ჯერარსი თავისთავადია, არსი -
არათავისთავადი, არსს „მადლს“ ჯე-
რარსი ანიჭებს და, მართლაც, ადამი-
ანის ცხოვრებას, მის არსს „სიცოც-
ხლეს შთაბერავს“ მისი ჯერარსი. აქ,
სხვანაირად რომ ვთქვათ, გვაქვს, ერ-
თი მხრივ, „სული“ ადამიანისა და,
მეორე მხრივ, „ხორცი“ ადამიანისა.

ადამიანური სფეროს ჯერარსუ-
ლი მხარე მისი, თუ ასე შეიძლება
ითქვას, ერთგვარი „ბალავერია“,
„ფუნდამენტია“, „საძირკველია“,
„საყრდენია“ მისი არსული მხარისა,
სწორედ პირველის „სუბსტანციურო-
ბისა“, „საწყისურობისა“ გამო, იმის
გამო, რომ სწორედ იგია „ამოსავალი“
მეორისათვის და არა, პირიქით. ჯე-

რარსი ერთგვარი „ღვთაებრივი“ საწყისია ადამიანში, რომელიც „ხატება“ და „მსგავსება“ მასში მისი. ღმერთმა იგი იმთავითვე „ჩადო“ ადამიანის არსებაში და ახლა კი უკვე ადამიანის თავისუფალი ნების საქმეა, ღმრთის მხრივ ამ ჯეროვან „ხატებას“ თუ რამდენად არ მოაკლებს იგი თავის მხრივ „მსგავსებას“. კიდევ უფრო სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ადამიანში ჯერარსი იგივე „ხატება“ ღმრთისა მასში, ხოლო არსი მასში კი – მეტ-ნაკლები „მსგავსება“ ღმრთის ამ ხატებისადმი მისი.

ყოველივე აღნიშნულისა გამო, უფრო ნათელი უნდა გახდეს ის გარემოება, რომ ჯერარსის მომენტი საფუძველმდებელი, საძირკველჩამყრელი უნდა იყოს ჩვენი მთელი ცხოვრებისა, იმდენად დიდი მნიშვნელობა აქვს მას ჩვენთვის.

„ადამიანური ჯერარსის“ ცნების აღსანიშნავად სხვა სინონიმური ანუ ტოლმნიშვნელოვანი ტერმინებიც თუ სახელწოდებანიც შეიძლება გამოვიყენოთ, ასევე „ადამიანური არსის“ ცნების აღსანიშნავადაც.

მაგალითად, „ჯერარსის“ თანაბარმნიშვნელოვან ტერმინად შეიძლება ვიხმაროთ სიტყვა „ნორმა“ (ლათ. „ნორმა“ – „წესი“), ხოლო „არსის“ აღმნიშვნელად – „ფაქტი“ (ლათ. „ფაქტუმ“ – „გაკეთებული“) (1).

აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვილაპარაკოთ ადამიანის ნორმატიულ (ნორმის შესაბამის) და ფაქტურ (ფაქტის შესაბამის) მხარეებზე.

ადამიანის ჯერარსობრივი და

არსობრივი მხარეების ურთიერთდამოკიდებულება ძირითადად ორგვარი შეიძლება იყოს: ერთი, როდესაც მათ შორის შესაბამისობაა, თანხმობაა და, მეორეც, – როდესაც მათ შორის შეუსაბამობაა, უთანხმოებაა, ანუ, უფრო სწორედ, ერთი, როდესაც მეორე შეესაბამება, ეთანხმება პირველს და, მეორე, როდესაც მეორე არ შეესაბამება, არ ეთანხმება პირველს.

ეს კი იმას ნიშნავს, რომ ადამიანის ჯერარსობრივი მდგომარეობა ერთადერთი შეიძლება იყოს და არის კიდევ, მაშინ როდესაც მისი არსობრივი მდგომარეობა შეიძლება ორი ურთიერთგანსხვავებული რამ იყოს და არის კიდევ.

ხოლო ის გარემოება, რომ ადამიანის ჯერარსობრივი მდგომარეობა ერთადერთია, ხოლო არსობრივი მდგომარეობა კი – ორგვარი, ერთხელ კიდევ მეტყველებს პირველის სუბსტანციურობაზე, საწყისურობაზე მეორის მიმართ. ერთი განსაზღვრავს ორს და არა პირიქით. პრიორიტეტიც, უპირატესობაც ამიტომ პირველს ენიჭება მეორესთან შედარებით. აქედან გამომდინარე კი, მართლაც, შემთხვევითი როდია ის გარემოებაც, რომ ადამიანის ჯერარსია კრიტერიუმი, საზომი მისი არსისა და არა პირიქით.

ადამიანურ ჯერარსსა და არსს შორის ურთიერთდამოკიდებულების ამბავში აუცილებელია აღვნიშნოთ ის გარემოება, რომ ეს დამოკიდებულება მათ შორის ლოგიკურად იდეალურისა (სულიერისა) და რეა-

ლურის (ხორციელის) დამოკიდებულებას მიაგავს. პირველი იდეალური ფენომენია (სულიერი მოვლენაა), რომელიც შესაძლებლობის, პოტენციის სახითაა მოცემული ადამიანში, ხოლო მეორე – რეალური ფენომენი (ხორციელი მოვლენა), რომელიც უკვე განხორციელებული, ნამდვილი (აქტუალური) სახითაა მოცემული მასში. ამ მხრივ კი მათ შორის გადაკვეთის წერტილი არც არსებობს და ორივე მათგანი სულ სხვადასხვა რიგის მოვლენებია. უცხოური (ლათინური) ფილოსოფიური ტერმინოლოგიით რომა ვთქვათ, ადამიანური ჯერარსი ანუ ნორმა „პოტენციური“ ფენომენია, მოვლენაა, ხოლო ადამიანური არსი, ანუ ფაქტი კი – „აქტუალური“ ფენომენი, მოვლენა.

მაგრამ ეს ურთიერთგანსხვავება ადამიანურ ჯერარსსა და არსს შორის სრულიადაც როდი უშლის ხელს მათ შორის ურთიერთკავშირს, უფრო მეტიც, ურთიერთგადასვლას. ერთი, მართლაც, მეორეში გადადის, და, პირიქით. და ეს ასე რომ არა, აზრიც კი დაეკარგებოდა ერთსაც და მეორესაც. მართლაც, რაღა იგი ჯერარსი, რაც არ შეიძლება განხორციელდეს, ე. ი. გადავიდეს არსში, თუნდაც იგი საწინააღმდეგოც იყოს მისი. სხვა შემთხვევაში იგი ვერც იქნებოდა ადამიანური არსის კრიტერიუმი ანუ საზომი. პირიქით, ჩვენ ის გვინდა სწორედ, რომ არსი ჯერარსით „განიმსკვალოს“, ჯერარსით „გაიჟღინთოს“, ე. ი. ჯერარსი ადამიანის შესაძლებლობიდან მის სინამდვილედ

უნდა იქცეს, და, პირუკუ, ასევე ადამიანური ჯერარსი, თავის მხრივ, არსით უნდა „აღივსოს“, რათა იგი ცარიელი ჯერარსი არ აღმოჩნდეს.

ასე რომ, ადამიანურ ჯერარსსა და არსს შორის მჭიდრო ურთიერთკავშირი უნდა იყოს, ოღონდ, რა თქმა უნდა, ჯერარსის შესაბამისად.

როგორც ვხედავთ, ის მდგომარეობა, რომ ადამიანური ჯერარსისა და არსიც ორივე ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული ფენომენია, მოვლენაა, სრულიადაც არ აუქმებს იმას, რომ მათ შორის ურთიერთკავშირი არ არის. და, მართლაც, ერთია ადამიანური ჯერარსი „თავის წმინდა სტიქიაში“ და ადამიანური არსიც „თავის წმინდა სტიქიაში“. მაგრამ ასეა ეს ლოგიკაში, აზროვნებაში და არა რეალობაში, ცხოვრებაში. ამ მდგომარეობიდან გამომდინარე კი, ნათელი უნდა იყოს ის გარემოებაც, რომ ადამიანური ჯერარსი შეიძლება არსებობდეს როგორც წმინდა იდეალურ (სულიერ) დონეზე, ისე რეალურ (ხორციელ) დონეზეც, ე. ი. შესაძლებლობის (პოტენციის) დონეზეც და სინამდვილის (აქტუალობის) დონეზეც. სხვაგვარად, შეიძლება გვექონდეს ჯერ განუხორციელებელი და უკვე განხორციელებული ჯერარსიც. ამასთან დაკავშირებით ჩვენი მიზანიც სწორედ ისაა, რომ ჩვენი ჯერარსი განუხორციელებელი კი არ დარჩეს, არამედ მაქსიმალურად, რაც შეიძლება უფრო სრულად განხორციელდეს იგი. „ზეცაში გამოკიდული“ იდეალები ანუ მიზ-

ნები ჩვენ რაში გვაწყობს, თუ ჩვენ მათზე ხელი არ მიგვიწვდება? ადამიანის მიზანიც ხომ ისაა, რომ სწორედ სწვდეს ღვთაებრივ – უდიადეს მიზნებს.

ადამიანური ჯერარსის ცნებას უპირისპირდება ადამიანური არაჯერარსის ცნება, აქედან გამომდინარე კი, ადამიანის ჯერარსობრივი მდგომარეობის ცნებას – მისი არაჯერარსობრივი მდგომარეობის ცნება.

ადამიანური ჯერარსისა და არაჯერარსის ცნების აღსანიშნავად შეიძლება გამოვიყენოთ ისეთი სინონიმური (ტოლმნიშვნელოვანი) ქართული ტერმინებიც, როგორცაა ადამიანური (ადამიანის) „ჯეროვნება“ და „უჯეროება“, შესაბამისად ამისა კი, ადამიანის ორგვარი მდგომარეობა შეიძლება გვქონდეს, როგორცაა: ადამიანის „ჯეროვანი“ და „უჯერო“ მდგომარეობა. ეს ტერმინები ფრიად გავრცელებული ტერმინებია განსაკუთრებით შუა საუკუნეების ქართულ მწერლობაში.

ადამიანური ჯერარსისა და არსის მკაფიო განსხვავებისათვის საჭიროა აღინიშნოს ის გარემოება, რომ პირველი ობიექტურად, თავისთავად „აქსიური“ (ღირებულებითი) მოვლენაა, მეორე კი – „ონტიური“ (ყოფიერებითი) მოვლენა. სუბიექტურად პირველი შეფასებითი („ექტიმური“), ხოლო მეორე, – შემეცნებითი („გნოსიური“) მოვლენაა. აქედან გამომდინარე კი, ადამიანური ჯერარსი აქსიოლოგიისა და ექტიმოლოგიის, ხოლო მეორე – ონტოლოგიისა და

გნოსეოლოგიის (ეპისტემოლოგიის) შესწავლის საგანია.

ონტოლოგია ყოფიერების შესახებ ფილოსოფიური მოძღვრებაა საერთოდ და ადამიანური არსიც (ყოფიერებაც) მათ შორის მისი შესწავლის საგანია. ასევე აქსიოლოგიაც. იგი ღირებულების შესახებ ფილოსოფიური მოძღვრებაა საერთოდ და ამიტომ, ბუნებრივია, ადამიანური ჯერარსიც როგორც ღირებულებითი ფენომენი, მისი შესწავლის საგანი იქნება.

რაც შეეხება გნოსეოლოგიას, იგი შემეცნების შესახებ ფილოსოფიური მოძღვრებაა საერთოდ და ამიტომაც ადამიანური არსის როგორც შემეცნებითი ფენომენის შემსწავლელიც იგი იქნება, მაშინ როდესაც ექტიმოლოგია შეფასების შესახებ ფილოსოფიური მოძღვრებაა საერთოდ, და ამის გამო, ბუნებრივია, ადამიანური ჯერარსიც როგორც შეფასებითი ფენომენი, მისი შესწავლის საგანი იქნება.

ადამიანური ჯერარსისა და არაჯერარსის, არსისა და არარსის საკითხზე მსჯელობისას კარგი იქნებოდა გაგვეჩია ეს მოვლენები ადამიანის „იგივეობისა“ და „გაუცხოების“ მოვლენათა ასპექტით.

ეს ტერმინები თუ სახელწოდებანი თავისებური და საინტერესო კუთხით წარმოგვიდგენენ ადამიანის ჯერარსულ და არაჯერარსულ მდგომარეობას.

ადამიანის „იგივეობა“ ამ შემთხვევაში, კერძოდ, გულისხმობს იგივეობას სწორედ მის ჯერარსულსა

და არსულ მხარეთა შორის. უფრო სწორად, იგი გულისხმობს ადამიანური არსის იგივეობას მის ჯერარსთან, როცა ადამიანის არსი ზუსტად ისეთივეა, როგორც იგი უნდა ყოფილიყო. ამგვარი ადამიანი, მართლაც, განა „იგივური“ არ იქნება? „იგივურის“ ნაცვლად შეგვიძლია ვიხმართ უცხოური, კერძოდ კი, ლათინური ტერმინიც „იდენტური“.

ადამიანის იგივეობა ანუ იდენტურობა იმის მანიშნებელია, რომ ასეთი ადამიანი ერთი „მონოლითია“, ერთი ურღვევი მთელია და არა გაორებული, „გახლეჩილი“ ადამიანი. ეს არის ადამიანი, რომელიც თავისთავში „მომრგვალებულია“, ამიტომ ამგვარ ადამიანს უბრალოდ არა მარტო „იდენტური“ ადამიანი უნდა ეწოდოს, არამედ თავად „თვითიგივური“ ანუ „თვითიდენტური“ ადამიანი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ამგვარი ადამიანი „თავისი თავის ტოლია“, რომელიც „თავისთავს უდრის“. და, მართლაც, განა თუ ადამიანი ისეთი ცხოვრებით ცხოვრობს („არსობს“), რა ცხოვრებითაც იგი უნდა ცხოვრობდეს („არსობდეს“), ამგვარი ადამიანი „თავისი თავის“ ანუ „თავისი შინაგანი ბუნების“ იგივური არ იქნება?

ასე რომ, ადამიანის იგივეობა, მისი იდენტურობა, უფრო მეტიც, მისი თვითიგივეობა, მისი თვითიდენტურობა, ადამიანის ჯერარსულობის კუთხით, ადამიანის უაღრესად მნიშვნელოვანი მახასიათებელია და მისი ერთგვარი იდეალია ანუ

უმაღლესი მიზანია. და, მართლაც, ადამიანის სწორი, ჯერარსული განვითარების პროცესი, მისი მსვლელობა გულისხმობს მისი მუდმივი თვითგაიგივების, თვითიდენტიფიკაციის, უფრო სწორედ კი, მისი სულ უფრო და უფრო მაქსიმალური „რაც შეიძლება მეტი თვითგაიგივების ანუ თვითიდენტიფიკაციის პროცესს.

თუ იგივეობა ანუ იდენტურობა ადამიანის პოზიტიური, დადებითი მახასიათებელია, ამას ვერ ვიტყვით ადამიანის „უცხოებაზე“, რომელიც, პირიქით, ნეგატიური, მისი უარყოფითი მახასიათებელია.

ადამიანის „უცხოება“ მისი იმგვარი მდგომარეობაა, რაც განსხვავებულია მისი ჯერარსისაგან. ადამიანის მდგომარეობა, მართლაც, „უცხოა“, „სხვაა“ ამ შემთხვევაში მისი ჯერარსის მიმართ. იგი ამ შემთხვევაში ისეთი არ არის, როგორც იგი უნდა ყოფილიყო.

ადამიანის გაუცხოების პრობლემა ეს თანამედროვეობის უმწვავესი პრობლემაა. ეს პრობლემა ახალი როდია ფილოსოფიისათვის. გერმანული კლასიკური ფილოსოფიით დაწყებული და დღევანდელი ფილოსოფიით დამთავრებული, ეს ტერმინი „გაუცხოება“, ადამიანის არანორმალური, „არაწესიერი“ მდგომარეობის აღსანიშნავად, ფილოსოფიურ და არა მხოლოდ ფილოსოფიურ ლიტერატურაში ხშირად მოიხსენიება ხოლმე.

განსაკუთრებული ბიძგი, იმპულსი ამ ტერმინის ფართო გავრცე-

ლებას მიანიჭა კარლ მარქსის ფრიად მნიშვნელოვანმა თხზულებამ „1844 წლის ფილოსოფიურ-ეკონომიკური ხელნაწერები“, რომელშიაც იგი იძლევა ადამიანის გაუცხოების უღრმეს ანალიზს (5). აქედან დაწყებული კი ადამიანის გაუცხოების პრობლემა გახდა უამრავი ფილოსოფიური სკოლისა და განსაკუთრებით ეგზისტენციალისტური ფილოსოფიის, თუ ასე შეიძლება ითქვას, „საყვარელი თემა“. ხოლო ეს კი შემთხვევითი როდია. ადამიანის გაუცხოების საკითხს, მართლაც, აქტუალური მნიშვნელობა აქვს.

ადამიანის გაუცხოება თანამედროვეობის ფრიად აქტუალური, სადღეისოდ მნიშვნელოვანი პრობლემაა. და, მართლაც, არასდროს ისე არ გაუცხოებულა ადამიანი, როგორც რომ სწორედ ისტორიის, ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ბოლო საუკუნეებში.

თუმცა ადამიანის გაუცხოება, მისი ჯერარსისაგან დაშორების აზრით, მთელი მისი „ცოდვილი“ ისტორიის, ანუ „ცოდვით დაცემის შემდგომი“ ისტორიის კუთვნილებაა. ამდენად იგი არახალია, ძველია. უბრალოდ, მანამ სანამ ამ ტერმინს – „გაუცხოებას“ შემოიღებდნენ ხმარებაში, ტრადიციულად უკვე მოიხმარებოდა რელიგიური ტერმინი „ცოდვა“.

და, მართლაც, ერთი როდი გამორიცხავს მეორეს, არამედ, პირიქით, ერთი ავსებს მეორეს. ორივე, მართალია, სხვადასხვა კუთხით, მაგრამ მაინც აღნიშნავს ადამიანის ერ-

თსა და იმავე მდგომარეობას.

ის კი არადა, არსებობს მესამე ტერმინიც, ადამიანის არანორმალური მდგომარეობის აღსანიშნავად. ესაა დღეს ფართოდ ხმარებული ტერმინი „დევიაცია“, რომელიც ლათინური სიტყვაა და ქართულად „გადახრას“ ნიშნავს (1). და, მართლაც, იგი ნამდვილად „გადახრას“ ადამიანის ჯერარსიდან, მისი ნორმალური მდგომარეობიდან. ამ ტერმინს კი იურისტები და ეთიკოსები მოიხმარენ ხოლმე. ამ ტერმინში ხაზი უკვე ესმება ნორმისაგან, წესისაგან გადახრას.

ადამიანის გაუცხოება ისტორიის თანამედროვე ეტაპზე თავის „კრიტიკულ“ წერტილსა თუ ზღვარს აღწევს. ადამიანის ეს კრიზისი ანუ დაბრკოლება მისი განვითარების გზაზე, რაც გამოწვეულია მისი სწორედ გაუცხოებით, მწვავედ აყენებს ამ უკანასკნელის გადაჭრის ამოცანას. და რაც უფრო ღრმად იჭრება გაუცხოება ადამიანის ცხოვრებაში, მით უფრო სწორედ აუცილებლობით დგება ადამიანის თავისი თავისაკენ „უკანმოზრუნების“, მისი კვლავაგივივების საკითხი.

ადამიანი, მართლაც, უნდა დაუზრუნდეს თავის თავს. ადამიანი უნდა გამოვიდეს იმ ჩიხიდან, რომელშიაც იგი თავად შევიდა სწორედ თავისი გაუცხოებით, თავისი გაუცხოებით მისი ჯერარსული ბუნებიდან. ადამიანმა უნდა შეიცვალოს თავისი ორიენტირები, მიზნები, რაკიდა ისინი ფსევდოორიენტირები, ფსევ-

დომიზნები აღმოჩნდნენ. საწინააღმდეგო შემთხვევაში მას დაღუპვა უწერია. სხვა გზა, მართლაც, არ არის. ეს არის ერთადერთი გამოსავალი შექმნილი მდგომარეობიდან. თავად გაუცხოება – ეს არანორმალური მდგომარეობა, აყენებს საკითხს მისი მოხსნის აუცილებლობისას.

ადამიანი უნდა მიუბრუნდეს თავის „არსებას“, თავის ჯერარსს თავისი „არსებობით“, „არსით“. ე. ი. მისი „არსებობა“ თანხმობაში უნდა მოვიდეს მის „არსებასთან“. უნდა აღმოიფხვრას წინააღმდეგობა ადამიანის „არსებასა“ და „არსებობას“ შორის. გაუცხოება ხომ სწორედ წინააღმდეგობას გულისხმობს მის „არსებასა“ – „ჯერარსსა“ და „არსებობას“ – „არსს“ შორის, ხოლო გაიგივება – ამ წინააღმდეგობის მოხსნას.

საქმე ის არის, რომ ზოგჯერ ადამიანის „გაუცხოებას“ როგორც მის „არსებასა და არსებობას“ შორის წინააღმდეგობად წარმოადგენენ, საიდანაც გამომდინარე, მისი „გაიგივებაც“, უკვე, როგორც საწინააღმდეგო მოვლენა, ამ „არსებისა“ და „არსებობის“ სწორედ თანხმობად უნდა ჩავთვალოთ.

და, მართლაც, ადამიანის გაუცხოება, აბა, მეტი კიდევ სხვა რაღა უნდა იყოს, თუ არა მისი „არსებობის“ სწორედ „გაუცხოება“ ანუ „განსხვავება“ მისივე „არსებისაგან“. „არსება,, კი ამ შემთხვევაში ისევ და ისევ მისი ჯერარსია. ასე რომ, ადამიანის გაუცხოება მისი „არსებობის“ ანუ არსის გაუცხოებას ნიშნავს მისი სწორედ

„არსებისაგან“ ანუ ჯერარსისაგან.

ანალოგიურადვე ითქმის ადამიანის გაიგივებაზედაც, ოღონდ საწინააღმდეგო მიმართულებით. ადამიანის გაიგივებაც სხვა არაფერია, თუ არა მისი „არსებობის“ ანუ არსის გაიგივება მისსავე „არსებასთან“ ანუ ჯერარსთან.

ადამიანის ჯერარსისა და არსის ურთიერთდამოკიდებულება ჩვენ შეიძლება სულ სხვადასხვა ტერმინით აღვნიშნოთ. ასეთი ტერმინები თუ სახელწოდებანია, მაგალითად, „იგივეობა“, „მსგავსება“, „სიახლოვე“, „თანხმობა“, „შესაბამისობა“ და მისთანანი, ანდა, საწინააღმდეგოდ ამათი, – „უცხოება“ („სხვაება“), „უმსგავსობა“, „სიმორე“, „უთანხმოება“, „შეუსაბამობა“ და მისთანანი. ეს ტერმინები ადამიანის ჯერარსსა და მის არსს შორის დამოკიდებულებას სტატიკურ (უძრავ) მდგომარეობაში აღნიშნავენ. ხოლო თუ მას დინამიკურ (მოძრავ) მდგომარეობაში განვიხილავთ, მაშინ შესაბამისად გვექნება ტერმინები: „გაიგივება“, „მიმსგავსება“ („დამსგავსება“), „დაახლოება“, „შეთანხმება“, „შესაბამება“ და მისთანანი, ანდა, საწინააღმდეგოდ ამათი, – „გაუცხოება“ („განსხვავება“), „განმსგავსება“, „დაშორება“, „შეუთანხმოება“, „შეუსაბამობა“ და მისთანანი.

ასეთია ადამიანური ჯერარსის ზოგადი, უნივერსალური და განყენებული, აბსტრაქტული ანალიზი, მისი, კერძოდ, ადამიანურივე არსთან შეპირისპირებით.

მაგრამ ამაზე შეჩერება ჯერ კი-

დევ როდია საკმარისი, არამედ, პირიქით, საჭიროა ამ საკითხის ბოლომდე გარკვევა კერძო, სპეციალური და ყოველმხრივი, კონკრეტული მიმართულებით, იმ მიმართულებით, რათა გაირკვეს, თუ კონკრეტულად რაში მდგომარეობს ადამიანური ჯერარსის კრიტერიუმი, საზომი, აქედან გამომდინარე კი, თუ რაში მდგომარეობს ადამიანური არსის კონკრეტული ჭეშმარიტი არსება, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თუ

რაში მდგომარეობს ადამიანის ჯერარსული არსი.

თუმცა კი ეს უკვე სხვა, თანაც საგანგებო მსჯელობის საგანია და მას ამჯერად ჩვენ აქ არ შევხებით.

ასე რომ, ადამიანური ჯერარსის საკითხის ის ჩვენეული ანალიზი, რომელიც ამ ნაშრომშია წარმოდგენილი, მხოლოდ, თუ ასე შეიძლება ითქვას, ზოგადი შესავალია ადამიანური ჯერარსის საკითხის შემდგომი – კონკრეტული ანალიზისათვის.

ლიტერატურა

1. უცხო სიტყვათა ლექსიკონი. – www.nplg.gov.ge.
2. Быховский Б. Виндельбанд (...), Вильгельм. – В кн.: Энци.филос.наук. т. 1. М., 1960.
3. Левада Ю. Нормы социальные. – В кн.: Энци.филос.наук. т. 4. М., 1967.
4. Лекторский В. и др. Философия. – Энци.филос.наук. т. 5. М., 1970.
5. Маркс К. Экономическо-философские рукописи 1844 года. – К. Маркс и Ф. Энгельс. Соч-ия. т. 42, сс. 41-174. – www.psilib.org.ua.

ლევან სააკაძე

**სავალუტო ურთიერთობები და
რისკების მართვა საერთაშორისო
ეკონომიკაში**

ანოტაცია

სტატიაში განხილულია საერთაშორისო სავალუტო-საფინანსო ბაზარზე განხორციელებული სავალუტო ოპერაციებისა და სარისკო სავალუტო პოზიციების შედარებითი დახასიათება. წარმოდგენილია მსოფლიო პრაქტიკაში გავრცელებული სავალუტო ოპერაციების ნაირსახეობების (ტიპების) თავისებურებები. სავალუტო ოპერაციებთან დაკავშირებული რისკებისაგან დაზღვევის (ჰეჯირების) მიზნით გაანალიზებულია სავალუტო პოზიციის თეორია და პრაქტიკა.

საკვანძო სიტყვები: სავალუტო კურსი, სავალუტო ოპერაცია, კოტირება, სპოტი, ფორვარდი, ფიუჩერსი, ოფციონი, სვოპი, სავალუტო პოზიცია

Аннотация

Леван Саакадзе. Валютные отношения и управление рисками в международной экономике

В статье рассмотрена сравнительная характеристика валютных операций и рискованных валютных позиций, которые осуществляются на международном валютно-финансовом рынке. Представлено в мировой практике распространенные особенности разновидностей (типов) валютных операций. С целью страхования (хеджирования) рисков, связанных с валютными операциями проанализирована теория и практика валютной позиции.

Ключевые слова: валютный курс, валютная операция, котирувание, спот, форвард, фьючерс, опцион, своп, валютная позиция

Summary

Levan Saakadze. Currency Relations and Risk Management in International Economy

The article discusses the comparative characteristics of foreign exchange

transactions and risk foreign exchange positions on the international currency-financial market. Presented in the international practice common features of varieties (types) of currency transactions. In order to insurance (hedging) the risks associated with exchange transactions, the theory and practice of foreign exchange position are analyzed.

Key Words: Exchange Rate, Currency Operation, Quotation, Spot, Forward, Futures, Option, Swap, Currency Position

თანამედროვე საერთაშორისო სავალუტო ბაზრის ფუნქციონირება და მისი განვითარება მნიშვნელოვნად დამოკიდებულია ისეთ პარამეტრებზე, როგორცაა უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვასთან დაკავშირებული ოპერაციები და ე. წ. პოზიციური რისკები. სწორედ ამიტომ, საექსპორტო-საიმპორტო კომპანიების საქმიანობაზე მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს სავალუტო ოპერაციებისა და მათთან დაკავშირებული სავალუტო პოზიციის აღწერა (გამოთვლა).

სავალუტო ოპერაცია წარმოადგენს ისეთი ფულად-საკრედიტო ურთიერთობების ერთობლიობას, რომელიც ყალიბდება ისეთი ტიპის საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის შედეგად, როდესაც მასში მონაწილეობას იღებს სხვადასხვა ქვეყნის ვალუტა და რომელიც დაკავშირებულია უცხოური (ძირითადად, კონვერტირებადი) ფულადი ერთეულის (ვალუტის) ყიდვა-გაყიდვასთან [6, 235; 1, 155-157; 2, 321-322].

სავალუტო კურსი წარმოადგენს ეროვნული ფულადი ერთეულის ღირებულებას, რომელიც გამოსახულია სხვა ქვეყნის ვალუტაში. საერთაშორისო პრაქტიკაში ერთი ვალუტის კურსის ფასის (ღირებულების) დად-

გენას მეორე ვალუტასთან მიმართებაში უწოდებენ კოტირებას, რომელიც არის ორი სახის (ტიპის).

პირდაპირი კოტირება წარმოადგენს ეროვნული ვალუტით გამოხატულ უცხოური ვალუტის ფასს (USD/GEL – 2, 97). ამგვარი კოტირების მეთოდი ითვლება ყველაზე „გასაგებ“ ინსტრუმენტად. ამ შემთხვევაში ამერიკული დოლარი გვევლინება ე.წ. საბაზო ვალუტად, ქართული ლარი, კი კოტირების ვალუტად.

ირიბი კოტირების დროს, კი პირიქით, ხდება პირდაპირი კოტირების სავალუტო წყვილების ადგილების გაცვლა (GEL/USD – 1, 70).

სავალუტო ოპერაციების კლასიფიკაცია ხდება შემდეგი ძირითადი კრიტერიუმების გათვალისწინებით: სავალუტო ოპერაციების სუბიექტების მიხედვით (რეზიდენტი და არარეზიდენტი ფიზიკური და იურიდიული პირები); სავალუტო ბაზრის შუამავლების მიხედვით (საქართველოს ეროვნული ბანკი, კომერციული ბანკები, უცხოური ვალუტის გადამცვლელი პუნქტები); უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ფორმების მიხედვით (ნაღდი და უნაღდი), ოპერაციის შესრულების ვადების მიხედვით (მიმდინარე საკასო და ვა-

დიანი); დანიშნულების მიხედვით (კლინტებისათვის და საკუთარი საჭიროებისათვის); ხასიათის მიხედვით (პასიური, აქტიური, საშუაშალო); მასშტაბის მიხედვით (მსხვილი და მცირე); ანგარიშსწორების ინსტრუმენტების (ფორმების) მიხედვით (აკრედიტივი, ინკასო, საბანკო გარანტია); სავალუტო გარიგებების (კონტრაქტების) ტიპების (სახეობების) მიხედვით (Spot, Futures, Forward, Option, Swap). [3, 210-213].

კომერციული ბანკის სახაზინო სამსახურში დასაქმებულებს ეწოდებათ დილერები, რომლებიც ახორციელებენ საოპერაციო საქმიანობას როგორც სავალუტო, ასევე ფასიანი ქაღალდების ბაზარზე. ისინი ასევე ასრულებენ კომერციული ბანკის კლიენტების მოთხოვნებს (დავალებებს) და საკუთარ ან/და სპეკულაციურ ოპერაციებს.

როგორც საერთაშორისო სავალუტო ბაზრის პრაქტიკა მოწმობს, ნებისმიერი სავალუტო ოპერაციის (გარიგების) ნაირსახეობის არჩევა დამოკიდებულია მთელ რიგ გავლენიან ფაქტორებზე. მაგალითად, მარტივი Spot-გარიგებისგან შედარებით, ვადიანი სავალუტო კონტრაქტები (Futures, Forward, Option) და Swap-ოპერაციები უცხოური ვალუტით მოვაჭრეებს აძლევს პოტენციურ შესაძლებლობას თავი დაიზღვიონ მომავალში გაცვლითი კურსის ნეგატიური ცვლილებებისაგან. სავალუტო ოპერაციის გაცვლითი კურსი ფიქსირდება გარიგების ხელმოწერის

დროს და არ იცვლება კონტრაქტის დასრულების ვადამდე. გარდა ამისა ეს წარმოადგენს სავალუტო ოპერაციასთან დაკავშირებული რისკის ჰეჯირების (Hedging) ინსტრუმენტს/ბერკეტს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ვალუტის ყიდვა-გაყიდვის კონტრაქტის (გარიგების) შედარებით მარტივ ფორმას (ტიპს) წარმოადგენს Spot-ოპერაცია, როდესაც უცხოური ვალუტის მიწოდება ხორციელდება არა უგვიანეს მომდევნო საბანკო დღეს. გარდა ამისა, იმის მიხედვით, თუ რა პირობით ხდება ვალუტის მიწოდება („ვალუტირების თარიღი“) Spot-ოპერაციაში განასხვავებენ სამ ნაირსახეობას (ტიპს). პირველი, გარიგება TOD, რომლის დროსაც ვალუტის მიწოდება ხდება სავალუტო კონტრაქტის დადების (ხელმოწერის) დღეს. მეორე, გარიგება TOM, რომლის დროსაც უცხოური ვალუტის მიწოდება ხდება კონტრაქტის დადების მომდევნო საბანკო დღეს. მესამე, გარიგება, რომლის დროსაც ვალუტის მიწოდება ხორციელდება კონტრაქტის დადების მეორე საბანკო დღეს. ამ ტიპის სავალუტო გარიგებებში დაფიქსირებულ გაცვლით კურსს მოიხსენიებენ, როგორც სპოტ-კურსს.

ვადიანი სავალუტო გარიგებებს მიეკუთვნება ისეთი ტიპის სავალუტო ოპერაციები, როდესაც სავალუტო ანგარიშსწორება ხორციელდება სავალუტო კონტრაქტში აღნიშნული გარკვეული პერიოდის შემდეგ. მათი

საშუალებით გარიგების მონაწილეები ახდენენ რისკების შემცირება (ჰეჯირებას/დაზღვევას). როგორც საერთაშორისო გამოცდილება გვიჩვენებს, ამგვარი ტიპის სავალუტო გარიგების ნაირსახეობას წარმოადგენენ ე.წ. დერივატივები (Derivative) – წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები („სავალუტო ფორვარდები“, „სავალუტო ფიუჩერები“, „სავალუტო ოფციონები“). გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ დერივატივის ე.წ. საბაზო აქტივს (ყიდვა-გაყიდვის საგანს) შეიძლება წარმოადგენდეს, როგორც საკუთრივ უცხოური ვალუტა, ასევე ფასიანი ქაღალდები.

სავალუტო ფორვარდი წარმოადგენს ისეთი ტიპის სავალუტო კონტრაქტს, რომლის თანახმად, უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ფასი გაწერილია წინასწარ, ხოლო უშუალოდ სავალუტო ოპერაცია ხორციელდება დაფიქსირებული ვადის შემდეგ კონტრაქტის ხელმოწერის დროს შეთანხმებულ ფასად.

მაგალითი: საქართველოში საექსპორტო-საიმპორტო საქმიანობით დაკავებული კომპანია ელოდება (პირობითად) ორ-სამ თვეში შემოსავლებს ქართულ ლარში, რომლის საშუალებითაც აპირებს შეისყიდოს ამერიკული დოლარი და გადაურიცხოს იმპორტიორს. ამავდროულად, კომპანიის ხელმძღვანელობა თვლის, რომ დღევანდელი გაცვლითი კურსი არის ოპტიმალური ამ ოპერაციის განსახორციელებად. სწორედ იმის გამო, რომ კომპანიას სურს თავი და-

იზღვიოს მომავალში სავალუტო კურსის ნეგატიური რყევისაგან, იგი შეიძენს სავალუტო ფორვარდს (იყიდის ლარით აშშ დოლარს), იმ პირობით, რომ გაცვლითი კურსი იქნება შეთანხმებული კონტრაქტის ხელმოწერის დღეს. ანგარიშსწორება კი განხორციელდება (პირობითად) ერთი-ორი თვის შემდეგ, როდესაც კომპანია მიიღებს შემოსავლებს ქართულ ლარში. მაშასადამე, ფორვარდული გარიგების დროს არ ხდება არც ქართული ლარის და არც ამერიკული დოლარის გადარიცხვა (კომპანია შეიძენს კონტრაქტს შესყიდვაზე გარკვეული/შესაბამისი პირობებით).

როგორც წესი, ამ ტიპის კონტრაქტების მოქმედების ვადა ცვალებადია (სამი დღიდან ხუთ წლამდე). მსოფლიო პრაქტიკაში ყველაზე გავრცელებულ ფორმად ითვლება ერთთვიანი, სამთვიანი, ექვსთვიანი, ცხრათვიანი და თორმეტთვიანი კონტრაქტები.

ფორვარდული კონტრაქტი წარმოადგენს საბანკო კონტრაქტის ისეთ ნაირსახეობას, რომლის სტანდარტიზებული ფორმა, როგორც წესი, არ არსებობს, ხოლო სავალუტო კურსის გაანგარიშება ხორციელდება სპოტ (ანუ მიმდინარე)კურსით, რომლის კორექტირება/ჩასწორება ხდება პრემიით (Discount).

ფორვარდული კონტრაქტები, თავისი ბუნებით (გარკვეულწილად) სპეკულაციური ხასიათისაა, რადგან ხშირად გამოიყენება დამატებითი მოგების მისაღებად.

სავალუტო ფიუჩერსი განეკუთვნება სტანდარტული (ვადიანი) კონტრაქტების ისეთ ნაირსახეობას, რომელიც გულისხმობს ერთი ვალუტით ყიდვას/გაყიდვას მეორე უცხოური ვალუტით გარიგებაში დაფიქსირებული პერიოდის დასრულების შემდეგ სავალუტო კონტრაქტის ხელმოწერის დროს აღნიშნული გაცვლითი კურსით. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ სავალუტო ფიუჩერსი გარკვეული თავისებურებით წააგავს სავალუტო ფორვარდს. მაგრამ, პირველი, სავალუტო ფორვარდების მიმოქცევა/რეალიზაცია ხორციელდება ბანკთაშორის ბაზარზე, ხოლო სავალუტო ფიუჩერსების – საბირჟო ბაზარზე. მეორე, ფორვარდული ბაზრის მონაწილე ოპერატორების შემადგენლობა შეზღუდულია (წარმოდგენილია მსხვილი კომპანიებით), ფიუჩერსულ ვაჭრობაში კი მონაწილეობის უფლება აქვთ, როგორც მსხვილ, ასევე საშუალო და ინვესტკომპანიებს (ფიზიკური პირების ჩათვლით). მესამე, ფორვარდულ გარიგებებში/კონტრაქტებში კოტირებული ვალუტების ჩამონათვალი, როგორც წესი, მრავალფეროვანია. მეორეს მხრივ, კი სავალუტო ფიუჩერსები წარმოდგენილია მხოლოდ და მხოლოდ კონვერტირებადი (მყარი) უცხოური ვალუტებით. მეოთხე, ფორვარდები განეკუთვნება ე.წ. ინდივიდუალური კონტრაქტების ტიპს, სადაც გარიგების შესრულების პირობები შეთანხმებულია მხარეების (პარტნიორების) მიერ. ფიუჩერსები კი – სტანდარტიზებულია, როგორც შეს-

რულების ვადების, ასევე მოცულობებისა და პირობების გათვალისწინებით. მეხუთე, საერთაშორისო სავალუტო პრაქტიკაში ფორვარდული კონტრაქტები დაფარულად ითვლება, როდესაც უცხოური ვალუტის მიწოდება ხდება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად. ფიუჩერსული კონტრაქტები კი „იხურება“ ე.წ. უკუგარიგებით (Offset). ამ დროს, კონტრაქტში მონაწილე მხარეების მიერ არ ხორციელდება უცხოური ვალუტის მიწოდება, რადგან ისინი იღებენ სხვაობას/მოგებას, რომელიც ითვალისწინებს სავალუტო გარიგების ფასსა და კონტრაქტის დასრულების დროს ფასებს შორის სხვაობას.

აღსანიშნავია, რომ საბაზრო (სავაჭრო) აქტივის სახეობების მიხედვით განასხვავებენ ორი ტიპის ფიუჩერსულ კონტრაქტს: სასაქონლო (ნავთობი და ნავთობპროდუქტები, ძვირფასი ლითონები, მარცვლეული და სხვა სახის სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია); ფინანსური, სადაც საბაზრო აქტივის სახით გვევლინება ნებისმიერი ფინანსური ინსტრუმენტი (მაგ. ფასიანი ქაღალდები).

საკუთრივ საბაზო აქტივის მიხედვით ასევე გამოყოფენსამი სახეობის ფინანსურ ფიუჩერსს: საპროცენტოს (საბაზო აქტივია სავალო ფასიანი ქაღალდები, სადეპოზიტო სერტიფიკატები, სახაზინო ობლიგაციები, თამასუქები); სავალუტოს; საფონდო ინდექსების ფიუჩერსს (NASDAQ, DowJones).

სავალუტო ოფციონი (წარმოებუ-

ლი ფინანსური ინსტრუმენტი – დერივატივი) მყიდველს აძლევს უფლებას (მაგრამ არ ავალდებულებს) განახორციელოს უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ოპერაცია კონტრაქტით განსაზღვრულ ვადაში, მოცულობით და გაცვლითი კურსით. ოფციონის ვადაში იგულისხმება პერიოდი, რომლის გასვლის შემდეგ ოფციონის მყიდველი კარგავს უცხოური ვალუტის ყიდვის/გაყიდვის უფლებას, ხოლო გამყიდველი იხსნის ვალდებულებას მყიდველის მიმართ.

გამოწერის მიხედვით (უცხოური ვალუტის ყიდვა ან გაყიდვა) განახვავებენ ოფციონს გაყიდვაზე (Put) და ოფციონს ყიდვაზე (Call). მეორეს მხრივ, შესრულების პრინციპის თანახმად გამოყოფენ „ამერიკულ“ (მყიდველს უფლებას აძლევს საკუთარი უფლების რეალიზაცია მოახდინოს ოფციონის მოქმედების პერიოდის ნებისმიერ მოწაკვეთში) და „ევროპულ“ ((მყიდველს უფლებას აძლევს საკუთარი უფლების რეალიზაცია მოახდინოს ოფციონის მოქმედების ვადის დასრულების დროს – კონკრეტული თარიღისათვის) ოფციონს. ამასთანავე, ოფციონის მომსახურება ითვალისწინებს „ოფციონურ“ პრემიას (ოფციონური კონტრაქტის ფასს), როდესაც მყიდველი იხდის შემენისას და რომელიც არ ექვემდებარება უკან დაბრუნებას (მიუხედავად იმისა, შესრულდა თუ არა კონტრაქტით გათვალისწინებული პირობები).

საერთაშორისო პრაქტიკაში

Swap-ოპერაციას უკავშირებენ ორ ურთიერთსაპირისპირო ე.წ. საკონვერსიო შეთანხმებას (კონტრაქტს). პირველი – წარმოადგენს Spot-გარიგებას, მეორეს კი გააჩნია ვადიანი სავალუტო კონტრაქტის ფორმა.

მაგალითი. საექსპორტო-საიმპორტო საქმიანობით დაკავებულ კომპანიას საბანკო ანგარიშზე გააჩნია მხოლოდ და მხოლოდ ერთი მილიონი აშშ დოლარი და მას აქვს დასაფარავი ვალდებულებები ქართულ ლარში, რომლის ფულადი რესურსი არ გააჩნია. ამასთანავე მას, გაცვლითი კურსის პროგნოზირებადი ნეგატიური რყევის გამო, არ სურს ანგარიშზე არსებული უცხოური ვალუტის (თუნდაც მისი ნაწილის) კონვერტირება (ობიექტური მიზეზების გამო). სწორედ სვოპ-ოპერაციის საშუალებით კომპანიას აქვს პოტენციური შესაძლებლობა საბანკო ანგარიშზე არსებული უცხოური ვალუტით იყიდოს ქართული ლარი (გადაცვალოს იგი ლარში), ხოლო მომავალში კი კონტრაქტში წინასწარ დაფიქსირებული გაცვლითი კურსით დაიბრუნოს მის მიერ გაყიდული (უნაღდო) უცხოური ვალუტა.

სავალუტო გარიგებებთან დაკავშირებული რისკების მინიმიზაციის მიზნით საერთაშორისო პრაქტიკა იცნობს ჰეჯირების (დაზღვევის) რამოდენიმე ინსტრუმენტს (ბერკეტს). საქართველოში კომერციული ბანკები ხელმძღვანელობენ საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აპრობირებული და დამტკიცებული „საერთო

ღია სავალუტო პოზიციის ლიმიტის დადგენის, გაანგარიშებისა და დადგენის წესით“. ამ დოკუმენტის თანახმად, სავალუტო პოზიცია განიხილება, როგორც სხვაობა კომერციული ბანკის უცხოური ვალუტით ფორმირებულ აქტივებსა და ვალდებულებებს (პასივებს) შორის.

იმ შემთხვევაში, თუ კომერციულ ბანკს მოზიდული აქვს ათი მილიონი აშშ დოლარის დეპოზიტები (ვალდებულებები), ხოლო აქტივში განთავსებულია თხუთმეტი ან შვიდი მილიონი დოლარი, სავალუტო პოზიცია შესაბამისად დაფიქსირდება პლუს ხუთი ან მინუს სამი მილიონი აშშ დოლარი. ცხადია, კომერციულ ბანკს შეუძლია უზრუნველყოს ის, რომ აქტივშიც ათი მილიონი აშშ დოლარის უცხოური ვალუტა ჰქონდეს, მაგრამ გარკვეული ობიექტური (თუნდაც, სუბიექტური) ვითარებიდან გამომდინარე, ყიდის „მოზიდული“ უცხოური ვალუტის ნაწილს (ან „მოზიდული“ ლარით იძენს უცხოურ ვალუტას). უნდა აღინიშნოს, რომ სავალუტო პოზიციის გაანგარიშების დროს კომერციული ბანკის აქტივებსა და ვალდებულებებში (პასივებში) გათვალისწინებული უნდა იქნას, როგორც საბალანსო, ასევე ბალანსგარეშე აქტივები და პასივები (სპოტური, ფიუჩერული, ფორვარდული, სვოპური კონტრაქტები, ოფციონები). ორივე მაჩვენებლის ჯამს ხშირად მოიხსენიებენ, როგორც კრებულ საავალუტო პოზიციას.

საერთაშორისო პრაქტიკა იცნობს

ორი ნაირსახეობის სავალუტო პოზიციას: დახურულს და ღიას. დახურული სავალუტო პოზიციის შემთხვევაში უცხოურ ვალუტაში განთავსებული კომერციული ბანკის აქტივებისა და პასივების თანხობრივი მოცულობები ერთმანეთს; შესაბამისად სავალუტო პოზიცია ჩაითვლება ღიად, როდესაც ზემოაღნიშნული პარამეტრები არ არის ტოლფასი. თავის მხრივ, ღია სავალუტო პოზიცია არსებობს ორი სახის:

1) გრძელი – როდესაც ერთი და იმავე სახეობის უცხოურ ვალუტაში განთავსებული კომერციული ბანკის აქტივები მეტია მის ვალდებულებებზე;

2) მოკლე – როდესაც ერთი და იმავე სახეობის უცხოურ ვალუტაში განთავსებული კომერციული ბანკის აქტივები ნაკლებია მის ვალდებულებებზე.

გარდა ამისა, არსებობს საერთო ღია სავალუტო პოზიცია, რომელიც ასახავს კომერციული ბანკის ანგარიშზე „თანაბრად“ არსებული ყველა უცხოური ვალუტის მიხედვით გრძელი ღია სავალუტო პოზიციების ჯამსა და მოკლე ღია სავალუტო პოზიციების ჯამს შორის უდიდესს. მაშასადამე, ხდება გრძელი და მოკლე ღია სავალუტო პოზიციების გადაანგარიშება „შედარებით“ კონვერტირებადი ვალუტების მიხედვით (ამერიკული დოლარი, ევრო, გირვანქა სტერლინგი, იაპონური იენა, რუსული რუბლი). მომდევნო ეტაპზე კი

ხდება ცალკე გრძელი ღია და ცალკე მოკლე ღია სავალუტო პოზიციების დაჯამება ამ ვალუტების მიხედვით. სწორედ მათ შორის უდიდესი ჩაითვლება საერთო ღია სავალუტო პოზიციად, რომელიც შეიძლება იყოს ან დადებითი, ან უარყოფითი.

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილია ღია სავალუტო პოზიციის ლიმიტირებული ზღვარი.

პირველი. თითოეული უცხოური ვალუტის მიხედვით საბალანსო და კრეზსითი სავალუტო პოზიცია არ უნდა შეადგენდეს საზედამხედველო კაპიტალის 20%-ზე ნაკლებს. და მეორე. კომერციული ბანკის საერთო ღია სავალუტო პოზიცია (როგორც საბალანსო, ისე კრეზსითი) დაფიქსირებული უნდა იყოს საზედამხედველო კაპიტალის 20%-ის დონეზე.

ლიტერატურა

1. ვლადიმერ (ლადო) პაპავა. საქართველოს ეკონომიკა. რეფორმები და ფსევდორეფორმები. – თბილისი: გამომცემლობა „ინტელექტი“, 2015. – 238 გვ.
2. რ. ასათიანი. თანამედროვე ეკონომიკის ენციკლოპედიური ლექსიკონი. – თბილისი: გამომცემლობა „სიახლე“, 2012. – 515 გვ.
3. პ. კრუგმანი, მ. ობსტფელდი, მ. მელიცი. საერთაშორისო ეკონომიკა: თეორია და პოლიტიკა. – თბილისი: უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2017.
4. Козак Ю.Г., Шенгелиа Т.Х. и др. Международная экономика: учебник для студентов высших учебных заведений. – Тбилиси-Одесса, 2011. – 503 с.
5. G. Bannock, R.E. Baxter, E. Davis. Dictionary of Economics. – London: Penguin Books, 1987. – 431 p.

როინ რეხვიაშვილი

**გაბრიელ ქიქოძე აზროვნების
ფორმებისა და კანტის აზროვნების
შესახებ**

აბსტაქტი

სტატიაში განხილულია სულისა და მატერიის ურთიერთმიმართების საკითხი, გნოსეოლოგიური მოსაზრებანი, ლოგიკის საკითხები, რომლებიც ყოველთვის აქტიურ და საკამათო პრობლემებს წარმოადგენდა. გამონაკლისს არ წარმოადგენს ამ პრობლემებზე გაბრიელ ქიქოძეს მოსაზრებანი. ლოგიკის საკითხები ქიქოძის მოძღვრებაში მჭიდროდ არის შემეცნების თეორიის საკითხთან კავშირში, ლოგიკური პრობლემები გადაჭრილია ზოგად გნოსეოლოგიური პრინციპების საფუძველზე.

განსხვავებით ტრადიციული ლოგიკისგან, აზროვნების ფორმების ანალიზს გ. ქიქოძე იწყებს აზროვნების ისეთი ფორმით როგორცაა მსჯელობა, შემდეგ დასკვნა, ბოლოს კი ცნება. ამით იგი მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ ცნებით კი არ იწყება შემეცნების აბსტრაქტული საფეხური, არამედ მთავრდება შემეცნების გარკვეული ეტაპი. კრიტიკულია მეცნიერის დამოკიდებულება კანტის აპრიორიზმის მიმართ, იგი უკუაგდება კანტის აპრიორულ თეორიას,

რომლის მიხედვითაც თითქოს ცნობიერებაში იმთავითვე მოცემულია გარკვეული, ცდისაგან დამოუკიდებელი ცოდნა. აკრიტიკებს რა კანტის თეორიას ანალიზური და სინთეზური მსჯელობების შესახებ, წერს, რომ „ყოველგვარ მსჯელობაში მსჯელობის სუბიექტს მიეწერება მხოლოდ ის, რაც უკვე მოცემულია ჩვენს წარმოდგენაში ამ სუბიექტზე და რის აღმოჩენაც ხდება ამ წარმოდგენის ანალიზის შედეგად. ასეთ მსჯელობათა გვერდით კანტი იგონებს, გაბრიელ ქიქოძის აზრით რაღაც სხვა სინთეზურ მსჯელობებს, რომლებიც ანალიზური მსჯელობებიდან განსხვავდება იმით, რომ ასეთ მსჯელობებში პრედიკატი გაუცხოებულია სუბიექტთან მიმართებით, მიუხედავად იმისა, რომ კავშირშია მასთან, სინთეზური მსჯელობების ეს კანტისეული განსაზღვრება თავის თავში ამკარა წინააღმდეგობრივია. გ. ქიქოძის აზრით, იარსებებს ისეთი მსჯელობები, რომლებშიც პრედიკატი გაუცხოებულია სუბიექტის მიმართ და ასეთი მსჯელობები უარყოფითი მსჯელო-

ბებია, დადებით მსჯელობებში კი მსგავსი რამ შეუძლებელია.

საკვანძო სიტყვები: ემპირიზმი, აპრიორიზმი, შემეცნების თეორია, ონტოლოგია, გნოსეოლოგია, ანალიზური და სინთეზური მსჯელობები.

შესავალი

ქართული ფილოსოფიური და ფსიქოლოგიური აზრის განვითარებაში უდიდესი წვლილი შეიტანა იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელ ქიქოძემ. მეცნიერულ ლიტერატურაში ცნობილია, როგორც ზნეობრივად ამალღებული პიროვნება, დიდი საზოგადო მოღვაწე, ღრმად მოაზროვნე სწავლული პედაგოგი, ფსიქოლოგი და ფილოსოფოსი. გაბრიელ ქიქოძის მიერ წიგნში „ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლები“ ჩამოყალიბებულ მსოფლმხედვრობრივ მოსაზრებებს დიდი შეფასება მოჰყვა მეცნიერულ წრეებში. კარგად იყო ცნობილი მისი მაღალზნეობრივი პათოსით გამსჭვალული საეკლესიო ქადაგებანი როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საზღვარგარეთ. იაკობ გოგებაშვილი გაბრიელ ქიქოძის შესახებ ამბობს, რომ „გ. ქიქოძის გულში ღვიოდა, ენთო ძლიერი შეურყეველი სარწმუნოება, გონებაში კი საფუძვლიანი და მრავალმხრივი განათლება და ორივე – სარწმუნოება და მეცნიერება ჰარმონიულად იყვნენ შეთავსებულნი, შეზრდილნი, შეთანხმებულნი და შეადგენდნენ ერთ რთულს, მომხიბლავ სასულიერო ძალას ინტელექტისა“ (გოგებაშვილი, 1954). „მე არ ვიცი,

აღნიშნავდა გ. ქიქოძის მიმართ დიდი ილია, იმისთანა სხვა კაცი, საერო თუ სამღვდლო – რომლის გულშიაც მომეტებული მშვიდობის ყოფნით, მომეტებული და ძმობით ერთად დაბინავებულიყოს სამოქმედოდ მეცნიერება და სარწმუნოება“ (ჭავჭავაძე, 1903). ილიას მსგავსად ი. გოგებაშვილი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ გ. ქიქოძე მთელი თავისი მოღვაწეობის მანძილზე შეუნელებელ ყურადღებას იჩენდა მეცნიერებისადმი და განუხრელად ცდილობდა მეცნიერული მიღწევებით ჭეშმარიტი მართლმადიდებლური რწმენის განმტკიცებას. ილიასა და იაკობის აქ მოყვანილ მოსაზრებებში ყურადღებას იპყრობს ის გარემოებაც, რომ ისინი ხაზს უსვამდნენ აზრისა და რწმენის, მეცნიერებისა და რელიგიის ჰარმონიულად განვითარების შესაძლებლობას.

მსჯელობა

ლოგიკის საკითხები თავისი არსით განეკუთვნება შემეცნების თეორიის საკითხთა რიგს, ამიტომ ტრადიციულად ამ საკითხებს ერთმანეთთან მჭიდრო ურთიერთ კავშირში განიხილავენ. გ. ქიქოძე ამ ტრადიციის ერთგულ გამგრძელებლად გვევლინება, რაც იმის საფუძველს იძლევა, რომ მასთან ლოგიკისა და შემეცნების თეორიის საკითხები ურთიერთ მტკიცე კონტაქტში განვიხილოთ და გავაანალიზოთ.

საერთოდ, ცნობილია, რომ შემეცნების პროცესი მეტად რთული და მრავალწახნაგოვანია, მის ძირი-

თად სტრუქტურას შეადგენენ ისეთი პრობლემები, როგორცაა შემეცნების ობიექტის, შემეცნების სუბიექტისა და შემეცნების საშუალებებისა და ხერხების პრობლემა.

ზოგადად შემეცნების თეორია ეხება შემეცნების სტრუქტურას მის მთლიანობაში. რაც შეეხება ლოგიკას, იგი განიხილავს შემეცნების სტრუქტურის ისეთ ნაწილს, როგორცაა შემეცნების საშუალება, შემეცნების მეთოდები და ხერხები.

იმდენად, რამდენადაც ლოგიკური პრობლემების გადაჭრის ხასიათი განპირობებულია ზოგად გნოსიოლოგიური პრობლემების გადაჭრის ხასიათით, აუცილებელია ზოგად გნოსიოლოგიური პრინციპების საფუძველზე ლოგიკურ პრობლემათა გადაჭრა.

ფილოსოფიის ისტორიაში ადგილი აქვს ზოგადად გნოსიოლოგიური და ლოგიკური პრობლემების სხვადასხვაგვარ გადაწყვეტას. ეს კი დამოკიდებულია იმაზე, როგორაა გადაწყვეტილი ფილოსოფიურ სისტემაში ონტოლოგიური პრობლემები ანუ როგორია ეს გადაწყვეტა, ემპირიული თუ რაციონალური. ამრიგად, ამა თუ იმ მოღვაწის კონკრეტული ლოგიკური მოსაზრებების ანალიზი უნდა ემყარებოდეს მის ონტოლოგიურ და ზოგად გნოსეოლოგიურ პრინციპებს, რადგანაც პირველები, ანუ ონტოლოგიური პრინციპები, განსაზღვრავენ ზოგად-გნოსეოლოგიურ ანუ შემეცნების თეორიის მიმართულებას, ხოლო ამ უკანასკნელზე კონკრეტულად დამოკიდებულია ამა თუ იმ მოაზროვნის შეხედულებ-

ბანი ლოგიკის საკითხებზე. მაგალითად, არისტოტელეს ლოგიკა განპირობებულია მისი შემეცნების თეორიით, ხოლო ეს უკანასკნელი განსაზღვრულია საერთოდ მისი ფილოსოფიის მოძღვრებით, ონტოლოგიით. ვაჯამებთ რა ზემოთ ნათქვამს, ვასკვნით, რომ ყოველ ფილოსოფიურ მოძღვრებას შეადგენენ მისი ისეთი ძირითადი ნაწილები, როგორცაა ონტოლოგია ანუ მოძღვრება სინამდვილის არსის შესახებ, გნოსეოლოგია ანუ შემეცნების თეორია, ლოგიკა ანუ მოძღვრება შემეცნების, აზროვნების, ფორმებსა და კანონებზე.

მოცემულ დასკვნაზე დაყრდნობით ჩვენ შრომაში ლოგიკურ საკითხებზე გაბრიელ ქიქოძის მოსაზრებათა ანალიზს ვახდენთ, მის მიერ ზოგად ფილოსოფიურ, ონტოლოგიურ და გნოსეოლოგიურ პრობლემათა გადაწყვეტის შუქზე.

როგორც ცნობილია, სამყაროს არსის ობიექტურ იდეალისტური გაგებიდან გამომდინარეობს შემეცნების, კერძოდ, ლოგიკური შემეცნების თავისებური სახე. მაგალითად იდეალიზმის მიხედვით სამყაროს არსის იდეალურობაში, ანუ სულიერებაშია. შესაბამისად შემეცნების მთლიანი სტრუქტურა განპირობებული და განსაზღვრულია შემეცნების სუბიექტით აბსოლუტური იდეით, მსოფლიო გონებით, ასეთი გაგების მიხედვით ცნობიერების უნარები განაპირობებენ შემეცნების საწყისის მის ობიექტს შემეცნების საშუალებებს აზროვნების ლოგიკურ ფორმებს, ცნებებს, მსჯელობებს დასკვნებს.

ასეთი გაგებით ფაქტურად იხსნება შემეცნების სუბიექტის გარეშე, შემეცნების საგნის მისი ობიექტის არსებობის პრობლემა. შესაბამისად შემეცნების ლოგიკური ფორმები ცნება, მსჯელობა, დასკვნა, არ წარმოადგენენ შემეცნებელი სუბიექტის გარეთ არსებული რაიმე საგნის შემეცნების საშუალებას.

თითქმის იმავე, მხოლოდ საპირისპირო მხრიდან მიიღება ონტოლოგიური პრობლემის ვულგარულმატერიალისტური გადაწყვეტის საფუძველზე, სადაც იდეალური, სულიერი საწყისი ფაქტურად დაყვანილია მატერიალურზე, ფიზიკურზე, გრძნობებში მისაწვდომ საგანზე. საკითხისადმი ასეთი მიდგომა შედეგად იწვევს შემეცნების ობიექტის როლის გაზვიადებას, შემეცნების პროცესში შემეცნების სუბიექტის აქტიური როლის დაკნინებასა და უფლებელყოფას. ჩვენი აზრით, გაბრიელ ქიქოძესთან ადგილი არა აქვს ასეთ უკიდურესობებს შემეცნების ობიექტისა და შემეცნების სუბიექტის როლის გაგებაში, რაც იმაზე მიუთითებს, რომ გაბრიელ ქიქოძე დგას მისი თანამედროვე მოწინავე მეცნიერ-მოდერნიზატორებისა და ლოგიკის საკითხების მისეული გაგება ცოცხლად ეხმაურება საკითხებისადმი თანამედროვე მიდგომას. უდგება რა კრიტიკულად შემეცნებისა და ლოგიკის საკითხებზე მის თანამედროვე რუსეთსა და ევროპაში გავრცელებულ თეორიებს იგი თავის ფუნდამენტურ ნაშრომში „ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლები“ ხაზს უსვამს იმ გა-

რემოებას, რომ ჭეშმარიტება უმეტეს შემთხვევაში არის შედეგი საგანზე მრავალ შეხედულებათა შეჯერებისა და კამათისა, ერთ ცალკე აღებულ პიროვნებას, რაც არ უნდა განსწავლული და ნიჭიერი იყოს იგი არ შეუძლია ამა თუ იმ საკითხის მის ყოველმხრიობაში სრულყოფილად განხილვა (ქიქოძე, 1858: 228). თავისი ლოგიკური შემეცნებითი კონცეფციის გადმოცემას გაბრიელ ქიქოძე იწყებს მტკიცე რწმენით იმის შესახებ, რომ ადამიანის გარშემო არსებობს ობიექტური რეალობა.

იგი აღნიშნავს, რომ ჩვენ ურყევად გვწამს გარე სამყაროს ყოფიერება და ის, რომ შევისწავლით, ვიმეცნებთ გარედან საგნებს. ჩვენს გარეშე არსებულ მოვლენებს, განაგრძობს ქიქოძე, აქვს ძალა, იმოქმედონ ჩვენს გრძნობათა ორგანოებზე და გამოიწვიონ მათში შთაბეჭდილებები. „ჩვენი შთაბეჭდილებები გარე საგანთა ჩვენზე ზემოქმედების ნაყოფია“ გ. ქიქოძე „ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძველი“ (ქიქოძე, 1858: 23).

„გარეგანი მიზეზი, რომელიც ჩვენში იწვევს შთაბეჭდილებებს, ნამდვილად არსებობს ბუნებაში. ასე რომ არ იყოს, იძულებული ვიქნებოდით გვემტკიცებინა, რომ შთაბეჭდილებებს ჩვენში ჩვენ თვითონ ვიწვევთ (ქიქოძე, 1858: 80).

„შეგრძნებებს აღნიშნავს ქიქოძე, ყოველგვარი ეჭვის გარეშე თავის მიზეზად გააჩნია ნამდვილი, რეალური ობიექტური მოვლენები, რომ არ იყოს ჰაერის ტალღისებური რხევები არ გვეცოდინებოდა სმენითი შეგრძნებები, რომ არ იყოს ატომები,

რომლებს არც აქვთ უნარი იმოქმედონ ჩვენი ყნოსვის ორგანოზე არ გვექნებოდა სუნის შეგრძნება. ერთი სიტყვით ყველა ჩვენი შეგრძნება წარმოადგენს საგანთა ობიექტური თვისების შესწავლის შემეცნების შედეგს (ქიქოძე, 1858: 23). ამ სიტყვებიდან ჩანს, რომ ქიქოძე შემეცნების მიზეზს, წყაროს, ხედავს ობიექტურ სინამდვილეში მარადიულ მატერიაში. მატერია, აღნიშნავს ქიქოძე, ამოღებულია მოსპობადი მოვლენების რიგიდან. თუ ჩვენ სინამდვილეში, განაგრძობს ქიქოძე, ვამჩნევთ ერთი რიგი მოვლენების მოსპობას და მათ ადგილზე სხვა მოვლენების წარმოშობა აღმოცენებას, ეს სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ ამ შემთხვევაში სრულიად ისპობა სხეულის შემადგენელი ნაწილები, სინამდვილეში ისპობა ყოფიერების კერძო გამოვლინებანი და არა მისი შინაარსი (ქიქოძე, 1858: 82). წინააღმდეგ ვულგარული მატერიალიზმისა, რომელსაც მეტად მკაცრად და სრულიად სამართლიანად აკრიტიკებს გაბრიელ ქიქოძე, ერთი მეორესაგან თვისობრივად განასხვავებს შემეცნების ობიექტს და შემეცნებელ სუბიექტს, გარე სამყაროს, როგორც შემეცნების ობიექტს ქიქოძე უპირისპირებს ადამიანში არსებულ სულიერ საწყისს, როგორც სინამდვილის შემეცნების საშუალებას. ადამიანში აღნიშნავს იგი, არსებობს მისი ორგანიზმისაგან სრულიად განსხვავებული საწყისი, ეს არის თავისი ბუნებით არამატერიალური არამედ იდეალური, საწყისი სუბსტანცია, რომელიც ადამიანში შეგრძნებებს ახორციელებს, ქიქოძის

აზრით სრულიად განსხვავებულია ადამიანის ტვინისაგან და საერთოდ ადამიანის ორგანიზმისაგან. ეს არ არის მატერიალური სუბსტანცია არამედ, სულიერი სუბსტანცია, რომლის ძირითად ძალას წარმოადგენს შეგრძნება (ქიქოძე, 1858: 85).

„სული არის არსება სრულიად არამსგავსი რაიმე მატერიალურისა“ (ქიქოძე, 1858: 33).

ამრიგად, გაბრიელ ქიქოძის თანახმად მატერია და სული ერთი მეორეს უკავშირდება, როგორც რაღაც ნივთობრივი თვალსაჩინო გარე შეგრძნებების ორგანოებით მისაწვდომი და რაღაც იდეალური, სულიერი, გრძნობებით მიუწვდომელი შემეცნებელი სუბიექტი. ამ შემთხვევაში ობიექტური რეალობა გამოდის როგორც წყარო, გამომწვევი მიზეზი სულით, ანუ ცნობიერების შემეცნებით უნარებისა, „ყველაფერი რაც მოიპოვება შეგრძნების მეშვეობით წერს გაბრიელ ქიქოძე, წარმოადგენს მთელი ჩვენი შემეცნების მასალას“ გ. ქიქოძის „ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლები“ (ქიქოძე, 1858: 52).

„გაბრიელ ქიქოძე აღნიშნავს: „ადამიანი იბადება სულიერი უნარების გარეშე. ეს უნარები მასში თავიდან მხოლოდ პოტენციის სახით არსებობს და მათი გაელვება გამოვლინება ხდება ბავშვის დაბადებიდან რამდენიმე კვირის შემდეგ, რაც იმით გამოიხატება, რომ ბავშვი იწყებს ყურადღების მიპყრობას სმენისა და სხვა გამაღიზიანებლებზე გ. ქიქოძის „ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლები“ (ქიქოძე, 1858: 53).

გაბრიელ ქიქოძე ობიექტურ რეა-

ლობას არ მიიჩნევს შემეცნების ერთადერთ საგნად. იგი მასში ხედავს შემეცნების მხოლოდ ერთ-ერთ წყაროს. შემეცნების საგნად გ. ქიქოძე მიიჩნევს ასევე ადამიანის სულიერ სამყაროს. „სულს უნარი აქვს, ყურადღება მიაქციოს და შეიმეცნოს თავისი საკუთარი მოქმედებანი. სულს უნარი შესწევს, საკუთარი ყოფიერება აქციოს თავისი მსჯელობისა და დასკვნების ობიექტად. სულის ეს მოქმედება არის ცნობიერების სხვანაირად თვითცნობიერება. განსხვავებას გ. ქიქოძე იმაში ხედავს, რომ ცნობიერება უმთავრესად არის ხილულ საგანთა შემეცნების სფერო, თვითცნობიერება კი ადამიანის შინაგანი სულიერი სამყაროს მოვლენათა შემეცნების სფერო „ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძველები“ (ქიქოძე, 1858: 53).

გ. ქიქოძე თვლის, რომ ადამიანში სულიერი საწყისის არსებობას ადასტურებს ორი რამ, შემეცნება და შემოქმედება (ქიქოძე, 1858: 211). სულის მთავარ უნარს, მთავარ ფუნქციას წარმოადგენს შემეცნების უნარი, რაც, უპირველეს ყოვლისა, გამოიხატება შეგრძნებებში. შეგრძნებები წარმოადგენენ შემეცნების საწყისს. შეგრძნებები აღმოცენდებიან შთაბეჭდილებათა საფუძველზე. რაც შეეხება შთაბეჭდილებებს, ისინი თავის მხრივ წარმოადგენს ადამიანის გრძნობის ორგანოებზე საგანთა და მოვლენათა ზემოქმედების შედეგს. გ. ქიქოძის აზრით, ყოველგვარ შეგრძნებას სამი რამ განაპირობებს: ფიზიკური მოვლენა ანუ გარეგანი მიზეზი, ფიზიოლოგიური შთაბეჭდი-

ლება ანუ ცვლილებანი, რასაც ადგილი აქვს სხეულის ორგანოებში და ბოლოს თითონ საკუთრივ შეგრძნებები თავის მხრივ საწყის საფუძველს უქმნიან ჩვენს აზრებსა და განსჯას“ (ქიქოძე, 1858: 70,71).

სხეულის ყველა ნაწილი და ორგანო უშუალოდ შეხებაშია გარე სამყაროსთან და აწოდებენ მისგან მიღებულ შთაბეჭდილებებს ადამიანის თავის ტვინს ნერვების საშუალებით. „ფიზიოლოგიამ ცხადად დაამტკიცა, რომ ყველა შთაბეჭდილება გადაეცემა ტვინს-იქიდან კი სულს“ (ქიქოძე, 1858: 55).

სულის შემეცნებითი უნარიდან ქიქოძეს გამოყავს სულის ქმედითი უნარი.

იგი ამტკიცებს, რომ ადამიანის სული, არის ენერგიული არსება, რომელიც თავის თავში მოიცავს განვითარების და სრულყოფილების ყველა პირობას.

ადამიანის სული იღებს შთაბეჭდილებებს არა მონურად, პასიურად, არამედ აქტიურად ზემოქმედებს მათზე, არკვევს მათ შესაბამისობას ერთი რიგი შთაბეჭდილებების მეშვეობით ამოწმებს სხვა შთაბეჭდილობათა სისწორეს (ქიქოძე, 1858: 59).

სული დაუსრულებლად სრულყოფილდება, ადამიანის აზროვნებას არ აქვს საზღვარი. გონება ყოველი ახალი შემეცნების შედეგად, გაუმძღარი ხდება, ყოველი ახალი აღმოჩენა სულში ხდება საფუძველი და სტიმული ახალი მეცნიერული წარმატებისა და აღმოჩენებისა. ის გარემოება, რომ სულის უნარები სუს-

ტდება ადამიანის სიბერეში, სრულიად არ ეწინააღმდეგება აზრს იმის შესახებ, რომ სული უსაზღვროდ ვითარდება. სიბერეში სულის უნარების ერთგვარი დასუსტება გამოწვეულია იმით, რომ ადამიანის სხეულის ორგანოები, რომლებიც განიცდის საგანთა ზემოქმედებას, იღებენ შთაბეჭდილებებს და აწოდებენ მათ ადამიანის ცენტრალურ ნერვულ სისტემას თავის ტვინს, რომელიც წარმოადგენს აზროვნების ორგანოს (ქიქოძე, 1858: 39).

ამრიგად, ქიქოძის ზემოთ მოყვანილ მოსაზრებათა საფუძველზე აუცილებლობით გამოიყვანება დასკვნა, იმის შესახებ, რომ გ. ქიქოძის შეხედულებანი შემეცნებისა და ლოგიკის საკითხებში არ თავსდება ობიექტური იდეალიზმის შემეცნების თეორიის ჩარჩოებში, რომელიც გარკვეულად გამორიცხავს პიროვნების სუბიექტის აქტიურ შემოქმედებით როლს შემეცნების პროცესში, კიდევ უფრო მეტ დაპირისპირებაშია გ. ქიქოძის შეხედულებანი, ამ მხრივ ვულგარულ-მატერიალისტურ შემეცნების თეორიასთან, რომელიც სრულიად უარყოფს პიროვნების, შემეცნებლის სუბიექტის აქტიურ როლს შემეცნების პროცესში. გ. ქიქოძის წარმოდგენებში შემეცნებისა და ლოგიკის საკითხებზე გამორიგებულია აგრეთვე სუბიექტური იდეალიზმი, რომელშიაც მეტად გაზვიადებულია პიროვნების ანუ შემეცნებელი სუბიექტის როლი შემეცნების პროცესში.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ გ. ქიქოძის შეხედულებებში უკუგ-

დებულია აგნოსტიციზმის ყოველგვარი სახე. ეს აზრი ნათლად დასტურდება გ. ქიქოძის მსჯელობებში იმის შესახებ, რომ „არ დაგვავიწყდეს, რომ საგნის დანახვა ხმის მოსმენა, იმას ნიშნავს, რომ შევიმეცნოთ საგანი, ვიმსჯელოთ ფენომენზე, მოვლენაზე“.

„როცა მე ვეხები ხელით საგანთა სიმჭიდროვეს ან მათ ფიგურას, ამ შემთხვევაში გამორიცხულია ყოველგვარი ეჭვი, იმის თაობაზე, რომ საგანი მისგან გამოწვეული შეგრძნება ერთმანეთთან სრულ შესაბამისობაშია“ (ქიქოძე, 1858: 17). არსებობს მსჯელობები, ხაზს უსვამს გ. ქიქოძე, „რომლებიც თავისთავში არ შეიცავენ მცდარობას ჩვენს გარეთ არსებული საგნის არსის მიმართ“ (ქიქოძე, 1858: 87).

ამრიგად, ქიქოძის აქ მოცემული მსჯელობიდან ნათლად ჩანს ის გარემოება, რომ მისი ავტორი უშვებს არა მარტო მოვლენების არამედ მათი არსის შემეცნების შესაძლებლობასაც. გ. ქიქოძის აზრით, სულის ყოველი შემეცნებითი უნარი ემყარება შეგრძნებებს. „პირველჩანასახებს ჩვენი მომავალი შემეცნებისათვის წერს გ. ქიქოძე, ვიღებთ შეგრძნებებიდან“ (ქიქოძე, 1858: 88).

სწორედ შეგრძნებები აიძულებენ სულს გამოიჩინოს ყურადღება ამა თუ იმ მიმართულებით. შეგრძნების ღირებულება, აღნიშნავს ქიქოძე, ისაა, რომ ისინი ჩვენში აღძრავენ, იწვევენ ყურადღებას. ადამიანს, რომ დახურული ჰქონდეს შეგრძნებათა მიმღები ორგანოები განაგრძობს გ. ქიქოძე, მაშინ სული აღმოჩნდება

გარკვეული მიმნარე, მთვლემარ მდგომარეობაში და არაფერი გამოიწვევდა მასში ყურადღებას (ქიქოძე 1858: 55). სწორედ შეგრძნებები ხაზს უსვამს გ. ქიქოძე, აიძულებენ სულს იაზროვნოს, წარმოიდგინოს, მიმართოს ფანტაზიას იმსჯელოს, დაასკვნას, შეიმუშაოს იდეები, ცნებები. გრძნობებით მიღწეული იწოდება იდეებად, წარმოდგენებად და ცნებებად. შეგრძნებები უბიძგებენ სულს, რათა მან შეიმუშაოს და შეინახოს ცნებები და საჭიროებისამებრ ცდილსეული აღქმის და თეორიული გააზრების საფუძველზე მათი მეშვეობით ჩამოაყალიბოს მატერიალური სამყაროს იდეალური სახე. სილის ყველა შემეცნებით უნარს გ. ქიქოძე ყოფს დაწყებით და შემდგომ ნაკლებად ზუსტ უფრო მეტად სრულ და უფრო მეტად ზუსტ სახეებად (ქიქოძე, 1858: 90).

სულის შემეცნებით დაწყებით უნარს გ. ქიქოძე მიაკუთვნებს შეგრძნებებს და მათ საფუძველზე აღმოცენებულ წარმოდგენებს, ხოლო მეტნაკლებად სრულ და ზუსტ შემეცნების უნარად მიიჩნევს მსჯელობას, განსჯას, დასკვნას, ცნებას... სულის უნარებიდან ყველაზე ადრე აღმოცენდება შეგრძნება, ის წარმოადგენს ყველა სხვა შემეცნებითი უნარის საფუძველს. მაგრამ გრძნობებს შეუძლიათ, ფიქრობს გ. ქიქოძე, ხშირად შეგვიყვანონ შეცდომაში თუ მათ არ აკონტროლებს, არ ამოწმებს განსჯა-აზროვნება გ.ქიქოძის „ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძველები“. „წარმოდგენებშია, გ. ქიქოძის აზრით, ჩანასახი ყოველგვარი მსჯელობისა“

(ქიქოძე, 1858: 55). ქიქოძის „ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძველები“. ლოგიკური აზროვნების ისეთ ფორმა, როგორცაა მსჯელობა ნათელს და გააზრებულს ხდის, რაც მეტნაკლებად ცხადააა მოცემული წარმოდგენაში, ასწორებენ და ავსებენ წარმოდგენით მასალას. წარმოდგენები შემეცნებითობით ძალას იძენენ მას შემდეგ, რაც მათ მსჯელობები ანაწევრებენ“ (ქიქოძე, 1858: 97). „გრძნობებით მოცემული შთაბეჭდილებანი გ. ქიქოძის აზრით, ყოველთვის უნდა მოწმობდნენ და ანალიზირდებოდნენ გონებით“ (ქიქოძე, 1858: 93). ჩვენი წამოდგენები საგანზე, როგორც უშუალო შედეგები, ჩვენი შეგრძნებებისა ხშირად არიან მცდარი არასრული და არასაკმარისნი, „მაგრამ, როცა მას შეეხება გონება ისინი სწორდებიან, რაც მცდარია მასში ამოვარდება, და ჭეშმარიტი რჩება“ (ქიქოძე, 1858: 77). აღნიშნული მსჯელობიდან სრულიად ნათელი ხდება ის გარემოება, რომ იგი აქ მიუთითებს შემეცნების პროცესის ორ ძირითად საფეხურზე, როგორცაა ცოცხალი განჭვრეტა (შემეცნების პირველი საფეხური) და აბსტრაქციული აზროვნება (შემეცნების მეორე საფეხური). „ადამიანი მთელ თავის შემეცნებას იძენს ან ცდით ან გონებრივი გააზრებით“. ქიქოძის აზრით, შემეცნების საფეხურებს შორის მჭიდრო ურთიერთკავშირი და ურთიერთგანპირობებულობაა, ისინი ერთმანეთის გარეშე არ ფუნქციონირებს. „ყურადღება არის შემეცნებითი ძალის საწყისი, მოაცილეთ იგი სულს და ნახავთ, რომ იგი ვერანაირ

შემეცნებას ვეღარ განახორციელებს“ (ქიქოძე, 1858: 189). ხაზს უსვამს რა შემეცნების აბსტრაქტული საფეხურის როლს, იგი ამავე დროს მიუთითებს შემეცნების გრძნობადი საფეხურის დიდ მნიშვნელობაზე, მისი აზრით, რაც უფრო მაღალია ესა თუ ის საფეხური შემეცნებაში, მით უფრო მეტად მჭლავნდება მასში სულის ანუ შემეცნებელი სუბიექტის როლი.

განსჯა, აზროვნება, წერს გ. ქიქოძე, გამომდინარეობს ყურადღებიდან, ხოლო ეს უკანასკნელი თავის მხრივ გამომდინარეობს შეგრძნების უნარიდან. განსჯაში აზროვნებაში, როგორც ყურადღებაზე უფრო მაღალ საფეხურში კიდევ უფრო მეტი სიცხადით და ძალით ვლინდება სულის თავისუფლება და აქტივობა (ქიქოძე, 1858: 82).

ეხება რა შემეცნების უმაღლეს საფეხურს, აბსტრაქტულ აზროვნებას, ქიქოძე მის დახასიათებას იწყებს ლოგიკური აზროვნების ისეთი ფორმის ანალიზით, როგორცაა მსჯელობა. „მსჯელობა, როგორც გონების გამოვლინება და აზროვნების ფორმა ადგენს საგნებსა და მოვლენებს შორის არსებულ მსგავსებებს და განასხვავებს, დამოკიდებულებებს საგნებს შორის, საგნებსა და მათ თვისებებს შორის“ (ქიქოძე, 1858: 81). მისი აზრით, „ვინც უფრო სწრაფად და სწორად ადგენს საგანთა შორის მსგავსება-განსხვავებას, ის სჯის და აზროვნებს უკეთესად“ (ქიქოძე, 1858: 20).

მსჯელობა შეიძლება იყოს ჭეშმარიტი მაშინ, როცა მასში სწორადაა

დადგენილი საგანთა და მოვლენათა შორის რეალურად არსებული ურთიერთობანი. მსჯელობა მაშინაა მცდარი, როცა მასში არასწორადაა მოცემული რეალურ საგანთა ნამდვილად არსებული ურთიერთმართებანი.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ გ. ქიქოძე არ მისდევს არისტოტელეს დროიდან დამკვიდრებულ ერთგვარად მცდარ ტრადიციას. აზროვნების ფორმების დახასიათებას იწყებს არა ცნების განმარტებით, არამედ მსჯელობის დახასიათებით.

ტრადიციული ლოგიკის თანახმად, რაც დღესაც ძალაშია, აზროვნების ფორმების ანალიზი იწყება ცნების დახასიათებით, მას მოსდევს მსჯელობის და ბოლოს დასკვნის განხილვა. ასეთ შემთხვევაში გამოდის, თითქოს ცნება აბსტრაქტული აზროვნების ფორმებს შორის უმარტივესია და თითქოს მსჯელობა და დასკვნა მასზე უფრო მაღალი და რთულია. არადა საქმე პირიქითაა. ცნების მეშვეობით ხორციელდება სინამდვილეში არსებულ საგანთა და მოვლენათა არსში წვდომა, საგანთა არსებითი ნიშნების დადგენა, რაც სინამდვილის ლოგიკური გააზრების საწყის ეტაპზე კი არა, ამ გააზრების შედეგად და მის ბოლო საფეხურზე ხორციელდება. ამდენად საგულისხმოა და გასათვალისწინებელია ავტორის მიერ შემოთავაზებული აზროვნების ფორმების განხილვა-ანალიზის თანამიმდევრობა. რა თქმა უნდა, ლოგიკური აზროვნების ფორმების განხილვა უნდა დავიწყოთ მსჯელობის დახასიათებით შემდეგ

გადავიდეთ დასკვნაზე და ბოლოს მოვახდინოთ ცნების, როგორც აზროვნების უმაღლესი ფორმის ანალიზი.

ტრადიციული ლოგიკით დამკვიდრებული თანამიმდევრობა ერთგვარად აბუნდოვნებს კავშირს შემეცნების საფეხურებს შორის ქიქოძისეულ გაგებაში კი ეს კავშირი ნათლად და სრულყოფილად გამოხატული. იგი მსჯელობას ტრადიციული ლოგიკისგან განსხვავებით არ მიიჩნევს მხოლოდ ცნებათა შეერთება-შეპირისპირებად. ავტორის აზრით, მსჯელობა მჭიდროდაა დაკავშირებული შეგრძნებებთან, აღქმებთან და უპირველეს ყოვლისა, წარმოდგენებთან, ანუ სინამდვილის შემეცნების პირველ საფეხურთან, მის ფორმებთან.

გ. ქიქოძე შემეცნების პირველი საფეხურის ისეთ ფორმაში, როგორცაა წარმოდგენა, ხედავს ყოველგვარი მსჯელობის საფუძველს და აღნიშნავს, რომ წარმოდგენაშია ყოველგვარი მსჯელობის ჩანასახი.

აგრძელებს რა მსჯელობის განხილვას, ქიქოძე აღნიშნავს, რომ „მსჯელობაში საგანს მიეწერება ან არ მიეწერება რაიმე თვისება, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მსჯელობაში რაღაც დასტურდება ან არ დასტურდება, ანუ ყოველგვარი მსჯელობა ან დადებითია ან უარყოფითი“ (ქიქოძე, 1858: 99). გ. ქიქოძის მსჯელობებს აკავშირებს არა მხოლოდ წარმოდგენასთან, არამედ ხაზს უსვამს მის კავშირს ცნებებთან. მისი აზრით, მსჯელობებს, რომლებსაც უმეტესად კავშირი აქვთ წარმოდგენასთან, ნაკლებ

ბი შემეცნებითი ღირებულებისანი არიან. უფრო მეტი ღირებულება აქვს ამ მხრივ მსჯელობებს, რომლებიც უმეტესად ემყარებიან ცნებებს, აბსტრაქტულ იდეებს ყველაზე მნიშვნელოვანი კეთილნაყოფიერი მოქმედებაა აბსტრაქცია, განყენება. ადამიანების მსჯელობათა უმეტესი ნაწილი დამყარებულია იდეებზე. სიტყვათა უმრავლესობა წარმოადგენს განყენებულ ცნებებს (ქიქოძე, 1858: 100).

გ. ქიქოძე განიხილავს რა ცნებას, მსჯელობას და დასკვნას, ამით იგი მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ ცნებით კი არ იწყება შემეცნების აბსტრაქტული საფეხური, არამედ მთავრდება შემეცნების გარკვეული ეტაპი. ცნება შედეგია მთელი რიგი მსჯელობებისა და დასკვნებისა და ცოცხლად ეხმაურება აზროვნების ფორმათა შორის არსებულ კავშირ ურთიერთობისა და ურთიერთგანპირობებულობის გაგებას თანამედროვე მეცნიერებაში. ამის ერთ-ერთი დადასტურებაა აღნიშნულ საკითხზე მსოფლიოში კარგად ცნობილი დიდი ქართველი ლოგიკოსის კოტე ბაქრამის მოსაზრებანი. ბაქრამის აზრით, ცნება ყოველი მეცნიერების საბოლოო მიზანი და შედეგია. ცნება, როგორც შედეგი, რიგი მსჯელობებისა და დასკვნებისა, შემდგომში თვითონ ხდება ახალ მსჯელობათა და დასკვნათა შემადგენელი ნაწილი და ასე ვითარდება სინამდვილის შემეცნების პროცესი, ანუ ხორციელდება გადასვლა ერთი რიგის შედარებით ნაკლები სიღრმის არსიდან საგანთა უფრო სიღრმისეული არსის შემეცნე-

ბაზე. ქიქოძისა და ბაქრაძის მოსაზრებანი თითქმის იდენტურია იმ მხრივაც, რომ, როგორც ერთი, ისე მეორე მოაზროვნე, არ მიიჩნევენ მსჯელობას, როგორც მხოლოდ ცნებათა კავშირს, როგორც ერთი, ისე მეორეც, მსჯელობას გარკვეულწილად თვლის შეგრძნების აღქმისა და წარმოდგენის ნაყოფად. მეტი სიცხადისა და თვალსაჩინოებისათვის ჩვენ აქ გვსურს ერთი მეორის გვერდით მოვიტანოთ საკითხზე გ. ქიქოძისა და კ. ბაქრაძის გამონათქვამები:

გ. ქიქოძე:

„Судить о предмете значит что-либо ему приписать или отрывать от него, значит находить сходство и различие его с другими, или находить отношение одного предмета к другим“ (ქიქოძე, 1858: 95).

კ. ბაქრაძე:

„Сравнивая вещи и явления их свойства, связи отношения, мы познаем различие между ними так же, как их сходство все эти акты познания выражаются в первую очередь в суждениях“ (ბაქრაძე, 1948: 136).

ქიქოძის მოყვანილი გამონათქვამებიდან ნათლად ჩანს ის გარემოება, რომ მას მსჯელობა არ მიაჩნია მხოლოდ ცნებათა კავშირად, სუბიექტსა და პრედიკატის ურთიერთდამოკიდებულებად, ხაზს უსვამს იმ აზრს, რომ მსჯელობა საგანთა და მოვლენათა ურთიერთმიმართების მაჩვენებელია. რაც შეეხება კოტე ბაქრაძეს, ისიც ასევე თვლის, როგორც ქიქოძე, რომ მსჯელობაში პრედიკატი დასტურდება ან არ დასტურდება საგნის მიმართ და არა მსჯელობის სუბიექტის, როგორც ცნების მიმართ (ქიქო-

ძე, 1858: 136) გამოდის რა ქიქოძის მსგავსად სწორი მოსაზრებიდან, რომ ცნება შედეგია მთელი რიგი მსჯელობებისა და დასკვნებისა, ბაქრაძე შესაძლებლად თვლის აზროვნების ფორმათა შესწავლის დაწყებას არა ცნებიდან, როგორც ეს ტრადიციულ ლოგიკაშია, არამედ მსჯელობიდან, რაც ქიქოძეს განხორციელებული აქვს თავის ნაშრომში 1858 წელს. ამაშია ზოგიერთი იდენტური მომენტი და შეხების წერტილი ქიქოძისა და ბაქრაძის მოსაზრებებში. ეს გარემოება სრულ საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ ბევრი რამ გაბრიელ ქიქოძის მოსაზრებიდან დღესაც არ კარგავს თავის დიდი მნიშვნელობისა და ქართული ფილოსოფიური აზრის განვითარებაში გარადუვალ ღირებულებას.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს გაბრიელ ქიქოძის კრიტიკული დამოკიდებულება კანტის აპრიორიზმის მიმართ. აძლევს რა დიდ შეფასებას კანტს, როგორც დიდ გამოჩენილ მოაზროვნეს, რომელიც გაბრიელ ქიქოძის აზრით სხვებზე უკეთ ძლიერად და სწორად ხსნის შემეცნების პრობლემებს, გაბრიელ ქიქოძე ამავე დროს უკუაგდებს კანტის აპრიორულ თეორიას, რომლის მიხედვითაც თითქოს ცნობიერებაში იმთავითვე მოცემულია გარკვეული, ცდისაგან დამოუკიდებელი ცოდნა.

გაბრიელ ქიქოძე თვლის, რომ საყოველთაოობისა და აუცილებლობის ნიშნები, რომლებითაც კანტი ახასიათებს მთელი რიგი მსჯელობების აპრიორულობას, სინამდვილეში არ მიუთითებს იმაზე, რომ ისინი ცდამდე-

ლი ხასიათისაა, „თუ ამ ნიშნებს მივიღებთ მხედველობაში, გაბრიელ ქიქოძის აზრით, მოგვიწევს აშკარა ცდისეული მსჯელობების დიდი უმრავლესობა აპრიორულ ანუ ცდამდელ მსჯელობად მივიჩნიოთ“ (ქიქოძე, 1858: 139) გაბრიელ ქიქოძე ამტკიცებს, რომ საყოველთაოობისა და აუცილებლობის ნიშნები ახასიათებს მხოლოდ მარტივ მსჯელობებს, ანუ ისეთ მსჯელობებს, რომლებშიც შემასმენელი ანუ პრედიკატი იმაზე ახალს არ გამოხატავს, რაც უკვე მოცემულია ქვემდებარეში, ანუ მსჯელობის სუბიექტში. კანტის მიხედვით გამოდის, რომ სწორედ ასეთი მსჯელობებია აპრიორული, ცდამდელი. გაბრიელ ქიქოძე ყველა ასეთ მსჯელობას ცდისეულ მსჯელობად თვლის.

აკრიტიკებს რა ანალიზურ და სინთეზურ მსჯელობებზე კანტის თეორიას, ქიქოძე წერს, რომ „ყოველგვარ მსჯელობაში მსჯელობის სუბიექტს მიეწერება მხოლოდ ის, რაც უკვე მოცემულია ჩვენს წარმოდგენაში ამ სუბიექტზე და რის აღმოჩენაც ხდება ამ წარმოდგენის ანალიზის შედეგად. ასეთ მსჯელობათა გვერდით კანტი იგონებს, გაბრიელ ქიქოძის აზრით, რაღაც სხვა სინთეზურ მსჯელობებს, რომლებიც ანალიზური მსჯელობებიდან განსხვავდება იმით, რომ ასეთ მსჯელობებში პრედიკატი გაუცხოებულია სუბიექტთან მიმართებით, მიუხედავად იმისა, რომ კავშირშია მასთან „სინთეზური მსჯელობების ეს კანტისეული განსაზღვრება, თავისთავში აშკარა წინააღმდეგობრივია. ისეთი მსჯე-

ლობა, რომელშიც შემასმენელი, პრედიკატი სრულიად გაუცხოებულია ქვემდებარის ანუ მსჯელობის სუბიექტის მიმართ, არის მცდარი, არარსებული მსჯელობა. შესაძლებელ და ჭეშმარიტ მსჯელობაში სუბიექტსა და პრედიკატს შორის ყოველთვის უნდა იყოს ნამდვილი დამოკიდებულება, მსგავსება, იგივეობაც კი“ (ქიქოძე, 1858: 140). გაბრიელ ქიქოძის აზრით, არსებობს ისეთი მსჯელობები, რომლებშიც პრედიკატი გაუცხოებულია სუბიექტის მიმართ და ასეთი მსჯელობები უარყოფითი მსჯელობებია, დადებით მსჯელობებში კი მსგავსი რამ შეუძლებელია.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ გაბრიელ ქიქოძე ერთმანეთისგან არ გამორიცხავს ისეთ ლოგიკურ მოქმედებას, როგორცაა ანალიზი და სინთეზი, მეტაფიზიკურად არ აზვიადებს რომელიმე მათგანს, არც წყვეტს მათ ობიექტური სინამდვილიდან, განიხილავს მათ მჭიდრო კავშირსა და ურთიერთგანპირობებულობაში. პირდაპირ მიუთითებს, რომ სინთეზი და ანალიზი წარმოადგენს სულის ანუ გონების ერთიან, მთლიან მოქმედებას... თუ დავიყვანთ და არ გავაანალიზებთ სხვადასხვა წარმოდგენას, ჩვენ ვერ შევძლებთ შევადგინოთ მათზე რაიმე მსჯელობა“ (ქიქოძე, 1858: 142). შემეცნების პროცესში, ფიქრობს ქიქოძე, ანალიზს მოსდევს სინთეზი, როგორც მისი აუცილებელი მომენტი და არა საფუძველი რაიმე დამოუკიდებელი განცალკევებული მსჯელობებისა.

გაბრიელ ქიქოძის ზოგიერთი გამონათქვამი ანალიზისა და სინთე-

ზის, ანალიზური და სინთეზური მე-
თოდების შესახებ გვაფიქრებინებს,
რომ თითქოს იგი აზვიადებს ანალი-
ზის როლს და უარყოფს სინთეზის
მნიშვნელობას, „ერთადერთ მე-
თოდს, რაც გვასწავლა ბუნებამ ცხოვ-
რების პირველი დღიდანვე, რითაც
ჩვენ ვიძენთ, ვამრავლებთ და ვამოწ-
მებთ მთელ ჩვენს შემეცნებას, წარმო-
ადგენს ანალიზი. ამ აზრს ადასტუ-
რებს, განათლების მთელი ისტორია,
ზუსტი საბუნებისმეტყველო და მა-
თემატიკურ მეცნიერებათა წარმატე-
ბები, ყველა ისინი ამ წარმატებებში
მკაცრ ანალიზს უნდა უმადლოდეს“
(ქიქოძე, 1858: 145). გაბრიელ ქიქოძის
ამ სიტყვებში, თითქოს მართლაც
გაზვიადებულია ანალიზის როლი
და უგულვებელყოფილია სინთეზის
მნიშვნელობა, მაგრამ სინამდვილეში
ეს ასე არ არის.

გნოსეოლოგიურ შემეცნებით ას-
პექტში გაბრიელ ქიქოძე განიხილავს
სინთეზს, როგორც ანალიზის აუცი-
ლებელ, თუმცა დაქვემდებარებულ
მომენტს, ონტოლოგიურ ასპექტში კი
სრულიად გამორიცხავს სინთეზს
ანალიზისადმი დაქვემდებარებუ-
ლობას, რაც ნათლად ჩანს ქვემოთ-
მოყვანილ მის სიტყვებში: „შემოქ-
მედმა უკვე მოაწყო ეს საუცხოო მან-
ქანა ყველა მის ნაწილებში. მან უკვე
მოახდინა სინთეზი, ჩვენ გვრჩება
ანალიზის მოხდენის მოვალეობა“
(ქიქოძე, 1858: 63).

მსჯელობის შემდეგ, როგორც
უკვე იყო აღნიშნული, გაბრიელ ქი-
ქოძე გადადის აზროვნების ისეთ
ფორმის ანალიზზე, როგორცაა დას-
კვნა, დასკვნის უნარი, სხვა სიტყვე-

ბით დასაბუთების ხელოვნება, რაც
აუცილებელია მეცნიერებაში. მის მი-
ერ მიჩნეულია სულის (ცნობიერე-
ბის) შემეცნებითი უნარის გამოვლი-
ნებად, ადამიანის გონიერულობის
გამომხატველად. გაბრიელ ქიქოძის
აზრით, ყველა მეცნიერება თავის
განვითარებას დასკვნის დასაბუთე-
ბის უნარს უნდა უმადლოდეს. სწო-
რედ ამ უნარის მეშვეობითაა შესაძ-
ლებელი, ხაზს უსვამს გაბრიელ ქი-
ქოძე, სინამდვილის განვითარების
კანონების აღმოჩენა, მოვლენათა ახ-
სნა. დასკვნა იძლევა შესაძლებლობას
ერთი რიგი მოვლენების შესწავლის
საფუძველზე ვიმსჯელოთ სხვა მოვ-
ლენათა შესაძლებლობის და სინამ-
დვილის შესახებ.

გ. ქიქოძის განსაზღვრებით დას-
კვნა ეს არის მსჯელობათა სისტემა,
რომელიც თავის თავში მალავს სხვა
მსჯელობებს, უფრო ზუსტად დას-
კვნა წარმოადგენს ცხადი მსჯელობე-
ბიდან მათში დაფარული მსჯელობე-
ბის გამოვლინებას. გამოყვანილი
მსჯელობები ყოველთვის წარმოად-
გენენ რაღაც ახალს, ანუ დასკვნა აზ-
როვნების ისეთი ფორმაა რომელსაც
მივყავართ ახალ ცოდნასთან. ის
აფართოვებს და აღრმავებს ჩვენს
ცოდნას ჩვენს ირგვლივ არსებული
მატერიალური სინამდვილის და
ადამიანის სულიერი სამყაროს შესა-
ხებ.

მეცნიერებაში დასკვნის ყველაზე
გავრცელებულ სახეებად ქიქოძეს მი-
აჩნია დასკვნა მიზეზიდან შედეგზე
და შედეგიდან მიზეზზე.

გაბრიელ ქიქოძის მოსაზრებებს
ლოგიკის საკითხებზე ჩვენ დავამ-

თავრებთ აზროვნებისა და მისი კანონების შესახებ ავტორისეული მსჯელობების განხილვით. იგი აზროვნებას განიხილავს როგორც ფართო, ისე ვიწრო გაგებით. ფართო გაგებით მასთან აზროვნების ცნება გულისხმობს ცნობიერებას საერთოდ და მოიცავს ყველა სულიერ-ფსიქიკურ გამოვლინებას. ვიწრო სპეციფიკური გაგებით კი გაბრიელ ქიქოძე გულისხმობს შემეცნებით პროცესებს, რასაც ადგილი აქვს ცნობიერებაში, ანუ სამყაროს გრძნობადი და რაციონალური ათვისების ფორმებს.

„სიტყვა აზროვნება, არის ყველა სულიერი მოქმედების აღმნიშვნელი საერთო სახელი. ვიზროვნოთ, ნიშნავს მივაქციოთ რამეს ყურადღება, ვიმსჯელოთ, ვიფიქროთ, ვაკეთოთ დასკვნები, შევიმუშაოთ ცნებები, გვკონდეს სურვილები, იმედები, ნებისყოფა, ერთი სიტყვით იაზროვნო ნიშნავს გამოავლინო სულის ყველა უნარი“ (ქიქოძე, 1858: 70). „აზროვნება ზოგადი გამოვლინებაა მთელი სულიერი შემოქმედებისა, კერძოდ კი აზროვნების ცნების ქვეშ უნდა ვიგულისხმოთ ცნობიერების მხოლოდ და მხოლოდ შემეცნებითი უნარები, ანუ წარმოდგენები, მსჯელობები დასკვნები და ასე შემდეგ“ (ქიქოძე 1858: 72). იგი აზროვნებას განიხილავს როგორც კანონზომიერ პროცესს, რომელიც ექვემდებარება ჯერ კიდევ არისტოტელეს მიერ შემუშავებულ სამ კანონს: იგივეობის, წინააღმდეგობის და გამორიცხვითი მესამის კანონს. ამ კანონებს შორის გაბრიელ ქიქოძის აზრით, მთავარია წინააღმდეგობის კანონი. ამ კანონების

დაცვა, ფიქრობს ქიქოძე, უზრუნველყოფს ჩვენი აზროვნების სისწორის გარანტს. „აზროვნებას გააჩნია თავისი კანონები, თავისი ფორმები და წესები, რომლებსაც იგი აუცილებლობით ემორჩილება და მათგან გადახვევა ნიშნავს აზროვნებაში შეცდომების დაშვებას“ (ქიქოძე, 1858: 130). უმაღლესი ლოგიკური კანონი რითაც უნდა შემოწმდეს ნებისმიერი მსჯელობის ჭეშმარიტობა, რომელიც ავლენს ყველა იგივეობრივი მსჯელობის სისწორეს არის წინააღმდეგობის კანონი... მისი ფორმულაა: არ შეიძლება ერთსა და იმავე დროს ერთსა და იმავე საგნის მიმართ რაიმე კიდევაც ვამტკიცოთ და კიდევაც უარყოთ, ანუ არ შეიძლება ვთქვათ რომ ა არ არის ა. აზროვნების ყველა ეგრეთ წოდებული კანონი წარმოადგენს წინააღმდეგობის კანონის სახესხვაობას. ა არის ა სხვანაირად ჩავარდებით წინააღმდეგობაში არ შეიძლება ვამტკიცოთ, რომ ა არის და არც არის ა. იგივე ეხება გამორიცხვითი მესამის კანონს. საგნის მიმართ ან რაიმე უნდა ვამტკიცოთ ან რაიმე უნდა უარყოთ სხვა რამ ანუ მესამე გამორიცხულია. რადგან ეს იქნებოდა წინააღმდეგობის დაშვება“ (ქიქოძე, 1858: 149-150).

გაბრიელ ქიქოძე არაფერს ამბობს საკმაო საფუძვლის ლოგიკურ კანონზე, რაც იმის მაჩვენებელია, რომ მტკიცედ მისდევს არისტოტელეს გზას და არ აფიქსირებს მას, როგორც აბსტრაქტული აზროვნების კანონს.

დასკვნის სახით აღვნიშნავთ, რომ გადაჭარბებულია ქიქოძის აზრი იმის შესახებ, თითქოს ლოგიკის კა-

ნონების დაცვა აზრთა ჭეშმარიტების უტყუარი გარანტიაა. ჩვენი აზრით, ამ კანონების დაცვა უპირველეს ყოვლისა გარანტიაა ჩვენი აზროვნების სისწორისა. რაც თავის მხრივ აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობაა ჭეშმარიტი აზროვნების განხორციელებისათვის. ჩვენი აზრით, დასაზუსტებელია აგრეთვე ქიქომის მტკიცება იმის შესახებ, რომ აზროვნების კანონების კვლევა ლოგიკის ამოცანაა, ლოგიკა თავის მხრივ ნაწილია ფსიქოლოგიისა, ასეთი გაგება საფუძველს აცლის ლოგიკას როგორც დამოუკიდებელ მეცნიერებას, რისი მტკიცებაც დაუშვებელია.

დასკვნა

გაბრიელ ქიქომის მოძღვრება მისი საბუნებისმეტყველო, ფილოსოფიური, ონტოლოგიურ-გნოსეოლო-

გიური და ლოგიკური მოსაზრებანი არ თავსდება არც ობიექტური იდეალიზმის ჩარჩოებში, რომელიც უზომოდ აზვიადებს სამყაროს იდეალურ მხარეს, არც სუბიექტური იდეალიზმის თვასაზრისში, სადაც გადაჭარბებულადაა შეფასებული პიროვნების როლი. მითუმეტეს შეუსაბამოა გ. ქიქომის მოძღვრება ვულგარულ-მეტაფიზიკურ, მჭვრეტელობით მატერიალიზთან, რომელშიც პიროვნებისა და იდეური საწყისის როლით თითქმის ნულამდეა დაყვანილი.

კვლევის მეთოდები

კვლევის მეთოდად გამოყენებულია ზოგადფილოსოფიური და მეცნიერული მეთოდი, რის საფუძველზეც ანალიზი უკეთდება გაბრიელ ქიქომის შრომას „ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლები“.

ლიტერატურა

- ბაქრაძე, 1951** – ბაქრაძე კ., ლოგიკა, თბ., 1951.
გოგებაშვილი, 1954 – გოგებაშვილი ი., თხზ. ტ.3., თბ., 1954.
კელენჯერიძე, 1913 – კელენჯერიძე მ., გაბრიელ ეპისკოპოსი იმერეთისა, თბ., 1990.
ნიკოლეიშვილი, 1990 – გაბრიელ ეპისკოპოსი, თბ., 1990.
ტაბიძე..., 1993 – ტაბიძე ო., გოგობერიშვილი ვ., გ. ქიქომის ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლები (თარგმანი რუსულიდან), თბ., 1993.
ქიქომე, 1858 – ქიქომე გ., ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლები, კიევი, 1858.
ჭავჭავაძე, 1955 – ჭავჭავაძე ი., თხზ. ტ. 4, თბ., 1955.

Gabriel kikodze about forming thoughts and Kants Apriorism

The article represents briefly and in general outline the logical views of Bishop Gabriel (Kikodze). He quite distinctly divided cognition into two degrees: spontaneous perception and mediocre – logical conclusion. In the same time he did not contrast one degree to another in the process of cognition.

As a result, the logical cognition of Bishop Gabriel (Kikodze) ranks aside from the narrow empiricism and the vapid rationalism.

ღ ღია ნახუცრიშვილი

**სანთლები რომ ანთო, თავად უნდა
ატარებდე გულში ასეთ ცეცხლს**

ლექტორის მოლოდინში გასულყო მთელი ჯგუფი „სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის“ მე-9 სართულის „ბ“ ბლოკის დერეფანში, სადაც ორიოდე წუთის წინ მიწყდა სტუდენტების ხმაური: საშუალო სიმაღლის, ტანმსხვილი ახალგაზრდა კაცი, რომელსაც შავი ქურთუკი ეცვა და ამ ბლოკის ზედამხედველობას უძღვებოდა. ახლაც, როგორც შესვენებისას, მოზომილი ზანტი ნაბიჯებით განაგრძობდა სიარულს. ეს გრძელდებოდა მანამ, სანამ ლექციაზე არ შევიდოდა ყველა ლექტორი, რომელთაც სტუდენტები ელოდებოდნენ...

აუდიტორიაში პედაგოგი იყო თუ არ იყო, ზარის დარეკვის შემდეგ, ყველა თავის ადგილას უნდა ვმსხდარიყავით გასუსული – ზედამხედველი დათოც ამიტომ დააბიჯებდა დერეფანში.

პროფესორის გამოჩენამდე ზოგიერთები ჩუმად მაინც ახერხებენ ოინზაზობას. თავშეკავებული სიცილი წამით ჩაურბენდა სტუდენტებს და მერე ისევ გაისუსებოდნენ.

დერეფანში გამოჩნდა გარეგნულად

ლად საოცრად მომხიზველი, გემოვნებიანი, საშუალოზე ოდნავ მაღალი ქალბატონი. იგი ენერგიული, სწრაფი ნაბიჯებით მიუახლოვდა 909 ბ აუდიტორიის ოდნავ ღიად დარჩენილ კარს და შიგნით ისე შევიდა, თითქოს ამავე ჯგუფთან წინა ლექციაც მასვე ჩაეტარებინოს.

112450 ა ჯგუფში სინამდვილეში პირველად შემოდიოდა, კარი სწრაფად მიიხურა, წამით იქვე შეჩერდა, ფეხზე წამომდგარ სტუდენტებს შემოგვხედა და მოგვესალმა:

– მოგესალმებით!

პასუხიც ასეთივე მოკლე, მაგრამ მოკრძალებული იყო.

– დაბრძანდით! – მოგვმართა პროფესორმა სტუდენტებს და ტრიბუნისკენ გაემართა. ჟურნალი იქვე ტრიბუნაზე დადო და ისევ შემოგვხედა აუდიტორიაში მსხდომთ.

ახალგაზრდები ცნობისმოყვარეობით შევცქეროდით სინაზით, სიკეთით სათნოებით გამორჩეულ ქალს. მის ყოველ მოძრაობას ინტერესით ვადევნებდით თვალს.

სია არ ამოუკითხავს, სათითაოდ შეგვათვალიერა, თუმცა ხმა არ ამოუ-

ღია. შემდეგ დინჯად წარმოთქვა სიტყვები: სამეწარმეო სამართლის საგანს მე წაგიკითხავთ, ჩემი გვარი ქოქრაშვილი გახლავთ, სახელი ქეთი... თქვენ კი თანდათან გაგიცნობთ და იმედია, ერთ მთავარ რამეს გაითვალისწინებთ: „სიზარმაცე არის სათავე ყოველგვარი მანკიერებისა“, ამიტომ ყველაზე წარმატებული სტუდენტი ის არის, ვინც საკუთარ თავს დაიპყრობს, დაიმორჩილებს და მის საქმიანობას ქვეყნის სასიკეთო მიმართულებას მისცემს. მხოლოდ ფიზიკურად და გონებრივად ძლიერები უძლებენ ადამიანთა მოდგმის განვითარებას....

– ახლა კი უშუალოდ საგანს შევხებით.

მეტყველებდა ლაღად, თამამად, გაბედულად, ზომიერი ხმით, ხმის მომხიზვლელი ჟღერადობით ამთავრებდა ყოველ წინადადებას. ზედმეტს არაფერს ამბობდა. თითოეული სიტყვა მნიშვნელოვანი და იოლად დასამახსოვრებელი იყო. ის ჩვენს ყურადღებას ადვილად იპყრობდა, ინტერესიანი თვალებით შევცქეროდით და ვცდილობდით, მისი თითოეული სიტყვა დაემახსოვრებინათ, ჩაეწერათ... გადაღლილ, წამით ყურადღებაგაფანტულ სტუდენტებს საუბარში ფაქიზად ჩართული ხუმრობებით ამხიარულებდა და ასე ახერხებდა მან განტვირთვას, ისევ თემისაკენ მიბრუნებას. მისი ჩატარებული ლექციები არასდროს ყოფილა მოსაწყენი, პირიქით... აუდიტორია ყოველმხრივ გუმხურვალე მსმენე-

ლებით იყო სავსე.

მის პირველსავე ლექციაზე მოვიხიბლეთ ამ ქალბატონის უკიდურესი არისტოკრატიული დახვეწილობით... იგრძნობოდა, რომ იგი არც ახლოს მიგიშვებდა თავისთან, არც გაგწირავდა, ოსტატურად გვაგებინებდა იმას, რასაც ამოხდა და გამოხატავდა.

იმ დღეს საუბარი ჰქონდა სამეწარმეო სამართლის განვითარების ისტორიულ ასპექტებზე. სამეწარმეო საქმიანობასთან დაკავშირებული სამართლებრივის ურთიერთობების საკანონმდებლო რეგულაციების დახვეწისა და უნიფიცირების საკითხებზე. მთელი ჯგუფი სულგანაბრული უსმენდა და ყოველთვის, როცა კი პროფესორი შეისვენებდა, სანამ ახალ წინადადებას წამოიწყებდა, ჩემს გონებაში ისევ და ისევ მოისმოდა სულ ცოტა ხნის წინათ, ქეთის მიერ შთაგონებული სიტყვები: მხოლოდ გონებრივად და ფიზიკურად ძლიერნი გაუძლებენ ადამიანთა მოდგმის განვითარების სიმძიმეს...”

სწორედ ასეთი ფიზიკურად და გონებრივად განვითარებული ქალბატონი ჩანდა ქეთი ქოქრაშვილი. ეს სიტყვები სწორედ მისი ბუნების, მისი ქალღობის, მისი ადამიანურობის შესატყვისი იყო და ეს მაშინვე, იმ პირველსავე ლექციაზე შევიგრძენით.

პროფესორმა ქეთი ქოქრაშვილმა, უწინარეს ყოვლისა, მოკლედ მიმოიხილა საგნის ცნება, მიზნები და ამოცანები, დეტალურა გაგვაცნო სამეწარმეო სამართლის სილაბუსი, განსაკუთრებული ყურადღება გაამახვი-

ლა სამეწარმეო საქმიანობის სპეციფიკურ შინაარსზე. დრო სწრაფად გარბოდა, ისე მოულოდნელად გაისმა ზარის ხმა, მოწაფეებს წამოდგომაც კი არ უნდოდათ, მაგრამ პედაგოგმა, რომელსაც ზარმა კი არ შეაწყვეტინა თბრობა, არამედ ზუსტად განსაზღვრულ ბოლო სიტყვაზე მოუსწრო ლექციის დამთავრების ნიშანმა, ტრიბუნას მიაშურა. ჟურნალი აიღო, როგორ შემოსვლისას, ახლაც მდუმარედ შეხედა გოგო-ბიჭებს და გულში კმაყოფილმა იგრძნო, რომ ისინი ისე მორჩილნი და ყურადღებიანი იყვნენ.

ზარის ხმა მიწყდა. მაგრამ სტუდენტები მაინც არ განძრეულანდ. ქეთიმ ჩვენს თვალეში მადლიერების გრძნობა ამოიკითხა და ასე არასდროს მონდომებია ჯგუფში ერთხანს კიდევ გაჩერებულიყო. დერეფანში სხვა აუდიტორიიდან უკვე ხმაურით გამოიშალნენ ახალგაზრდები. ქეთის სტუდენტები შეეცოდა, რომელთაც ბავშვური განტვირთვისთვის მცირე დრო წაართვა. სწრაფად შებრუნდა და კარს მიაშურა.

მე უკვე მღელვარებით ველოდი სამეწარმეო სამართალში მომდევნო ლექციას და ამ დღისთვის განსაკუთრებულად ვემზადებოდი. თავისთვად საგანი მომხიბვლელი იყო. საინტერსო, პირველი თემის საკითხების დეტალურად ინქა მიმოხილული, მაგრამ მთავარი მაინც ლექტორი აღმოჩნდა, რომლის საამებლდაც საგანგებოდ ჩაუჯდა – ქალიშვილი.

სამი დღე მამორებდა ლექციიდან

სემინარამდე, მაგრამ ამ შუალედში ყოველ საღამოს ისე ვიმეორებდი განვილი თემა, ვამზადებდი კითხვებს, რომელთა დასმასაც ვაპირებდი ლექტორისთვის.

თითქოსდა სადებიუტო სპექტაკლზე გამომსვლელი ახალგაზრდა მსახიობი ვყოფილიყავი, რომელსაც ერთთავად ასეტივე მაყურებელი უდგას თვალწინ, მე კი თვალწინ ქეთი ქოქრაშვილი მედგა. ის ერთდაერთი ქალი, რომლის წინაშეც მე, ლიკა ნახუცრიშვილი, თავის გაოჩენას ვლამობდი. ეს იყო სტუდენტური მღელვარება. თავისებური ანარეკლი პედაგოგიკის ქვევისა.

სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტზე ბევრი კარგი ლექტორია. სწავლის დასაწყისში გაცეხული დავრჩი მათი დიდსულოვნებით, ცოდნის სიღრმით, ადამიანური სითბოთი, გულისხმიერებით. მოგვიანებით ყოველივე ამას შევეჩვიე და წარმოვიდგინე რომ სხვანაირი ლექტორები არც არსებობენ ქვეყნად... განა მარტო მე, თითქმის ყველას ასეთი შეგრძნება დაეუფლებოდა.

ფაკულტეტის დეკან ირაკლი გაბისონიას მეცადინეობითა და მონდომებით წლობით ყალიბდებოდა პროფესორ-მასწავლებელთა მართლაც სამაგალითო გუნდი ფაკულტეტს შეემლო საკუთარი ძალებით ნებისმიერი სამართლებრივი საკითხი გადაეწყვიტა, რადგან არ არსებოდა დაბრკოლება, რომლის გადალაზვაც კოლექტივს გასჭირვებოდა.

„სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი ტექნიკური უნივერსიტეტის მფეთქავი გულია“, – ხშირად იტყვიან ხოლმე ასე, აქ მოხვედრილი სტუდენტი უთუოდ განიცდიდა, გრძნობდა რომ იმ მაცოცხლებელ ენერგიას, რაც დღითიდღე ძლიერდება. ამბობენ, სანთელიბ რომ აანთო, თავადაც უნდა ატარებდე გულში ასეთ ცეხლსო. სწორედ ასეთი გახლდათ ქეთი ქოქრაშვილი. მას შეეძლო, სტუდენტების გული გაენათებინა. შეეყვარებინა სწავლა, დაეყენებინა სწორ გზაზე.

ცდა იმისა, რომ ქალბატონისთვის მომდევნო ლექციაზე მეჩვენებინა ჩემი უნარი, მღელვარებაში გადამეზარდა... და აი, დადგა ეს დღეც. ლექტორი ზარის დარეკვისთანავე შემოვიდა აუდიტორიაში, წამით შეყოვნდა. ასე იქცევა ადამიანი, რომელსაც რაღაც დაავიწყდა და გატრიალებას აპირებს. მე და ჩემი მეგობრები კი მოუთმენლად ველოდით ამ წუთებს. შეიძლება, სტუდენტთა შორის იყო ისეთი, ლექტორი ერთი ლექციით რომ ვერ შეიცნეს, ერ გაუგეს, მის მიმართ გულგრილობა გამოიჩინეს, მაგრამ ისინიც კი გარეგნულად არ განსხვავდებოდნენ იმათგა, ვინც ახლა გულსი ფანცქალით ელოდა ქალბატონი ლექტორის ლექციას. ქალბატონმა ქეთიმ კარი მოიხურა. ფეხზე დამომდგარ სუტდენტებს მიესალმა. პასუხი რომ მიიღო, ტრიბუნას მიაშურა, ჟურნალი გადაშალა და წინა ლექციაზე თუ არ ჩაუხედავს, ახლა სიის ამოკითხვა დაიწყო. გვა-

რებს დამარცვლით, გაოკვეთილად წარმოთქვამდა, წაიკითხავად თუ არა გვარს, ჟურნალს მაშინვე მოაცილებდა თვალს და სტუდენტს შეხედავდა.

„ახლა იწყება გაცნობა“, გავიფიქრე ჩემთვის.

პროფესორი მართლაც გამომცდელად უცქერდა სტუდენტს, რომლის გვარსაც მკაფიოდ და ლამაზად კითხულობდა ლექტორი.

ლექტორს არავისთვის მიუცია შენიშვნა: შენ რატომ იქცევი ასე თამამად, შენ კი სულაც არ შემომხედეო. მას ამჯერად მხოლოდ ის აინტერესებდა, ვინ რა გვარისა იყო, ვის რა სახელი ერქვა. და აი, გაისმა ჩემი სახელი და გვარიც.

– ღია ნახუცრიშვილი...

ჩუმად, უხმაუროდ წამოვდექი. გული გამალებით მიცემდა. თვითონაც ვერ მივმხვდარიყავი, ასე რატომ მემართებოდა, მაგრამ აშკარად ვგრძნობდი, ვლეღავდი, თითქოს იმდღევანდელი ლექციის მთელი სიმძიმე მხრებზე დამწოლოდეს და ამიტომ მე უნდა ვყოფილიყავი ყურადღების საგანი.

ლექტორმა შემომხედა და მითხრა. დაბრძანდითო, სულ ეს იყო...

ქალბატონი ტრიბუნას მოშორდა, მერხებს შუა მწკრივების თავში გაჩერდა და სუტდენტებს თვალი შეავლო.

– აბა, ვის რა კითხვა აქვს წინა ლექციასთან დაკავშირებით?

დადგა ნანატრი წუთი, რომელსაც ასე მოუთმენლად ველოდი. რო-

ცა სპროტსმენები ერთმანეთს ეჯიბრებიან, აქ ძალთა გამოცდაა და არა შური, გრძნობა დაჯაბნის, დაჩაგვრისა და დამცირებისა. სწორედ ასეთი „სპროტსმენი“ ვიყავი იმ დღეს, რომელსაც მსურდა ყველასთვის დაესწრო და ლექტორისთვის პირველი კითხვა დამესვა.

სწრაფად ავწიე ხელი. მხოლოდ რამდენიმე ხნის შემდეგ გაბედა და ხელი აწია ზოგიერთმა „გულადებს“, „მხდალნიც“ აჰყვენ და მალე ყველას ჰქონდა ხელი აწეული, მაგრამ ეს იყო მოჩვენებითი ერთსულოვნება.

ბედი არ გინდა! ლექტორმა ჯგუფში მე ამომირჩია, მანიშნა, დამესვა შეკითხვა; უმაღლვე შვება ვიგრძენი, მაგრამ, როგორც კი ავდექი და ყურადღების ცენტრში მოვექეცი, წამით დავიბენი; თავი ისე ვიგრძენი თითქოს დამავიწყდა ყველაფერი, თუმცა გონებას მალე მოეფინა ნათელი. ჯერ მკრთალად, გული გამალეობით მიცემდა აშკარად ვღელავდი. უცბად მხარზე ლექტორის ხელი ვიგრძენი და ხმაც გავიგონე:

– დამშვიდდი... ჩვენ არსად გვეჩქარება...

მერე გაშორდა. კარისკენ გასწია, თითქოსდა დერეფანში უნდა გავიდესო. კართან ლექტორი შემობრუნდა და შემომხედა. სრულიად მშვიდად დავიწყე კითხვის დასმა და აზრის გამოთქმა. პედაგოგმა კი რამდენიმე ნაბიჯი ისე ჩუმად, ისე ფრთხილად გადმოდგა, თითქოს მძინარე ბავშვს უახლოვდებოდა. მერე შეჩერდა და აღარ განძრეულა.

ჯგუფში მხოლოდ ლიკას ხმა ისმოდა, ოდნავ მღელვარე, მაგრამ დახვეწილი.

როცა კი მეგობარს სათანადოდ არ აქვს მომზადებული მასალა და კითხვის დასმისას ისე ტორტმანებს, როგორც აქაფებულ ტალღებზე ნავი, მაშინ მღელვარება ყველაფერს ედება, ისმის ჩურჩული, ვიღაც წრიალებს, თითქოს ჰაერი არ ყოფნიდეს... და ყოველივე ეს გრძელდება მანადმე, სანამ ლექტორი არ იტყვის: „საკმარისია!“ მაგრამ, როცა ჯგუფელი ნებიერად მიცურავს ცოდნის ოკეანეში, როცა თავისუფლად, ლაღად ნავარდობს უკიდველანო სივრცეში, როცა შვებით გასიმის მისი ხმა, აუდიტორიაში სამარისებული სიჩუმე ისადგურებს, ისევე როგორც საკონცერტო დარბაზში, სადაც ტკბილხმოვანი მომღერალი გალობს.

ჩვენს ჯგუფშიც არიან ასეთი რჩეულნი, რომელთა კითხვების და საკუთარი აზრის გამოთქმა ყოველთვის სიამოვნებას ანიჭებს.

ამასობაში მეც დავასრულე დასმა და საკუთარი მოსაზრებაც გამოვხატე და ლექტორს ყურადღებით შევაცქერდი.

– გვარი? ჰკითხა პორფესორმა.

რატომღაც მეგონა, რომ სიის ამოკითხვისა და სტუდენტთა შეთვალეერების შემდეგ ქეთის ოცდაშვიდივე სტუდენტის სახელი და გვარი ეცოდინებოდა, მაგრამ ცოტა არ იყოს ამ მოულოდნელი შეკითხვის გამო, შევცბი.

– ნახუცრიშვილი გახლავართ,

ქალბატონო ქეთი, – მივუგე.

– დაბრძანდით!

თანაკურსელებმა თვალი გამაყო-
ლეს, ზოგის ჩურჩული გავიგონე...
კითხვას განიხილავდნენ და ინტერე-
სით ელოდებოდნენ პროფესორის
სიტყვებს... ლექტორმა მთელი ჯგუ-
ფის გასაგონად თქვა:

– სასიამოვნოა, რომ სტუდენტი
საფუძვლიანად არის მომზადებული,
იმედია მომავალშიც ასე იქნება!

ლექცია გაგრძელდა, მაგრამ რა-
ღაც დროის განმავლობაში სასიამოვ-
ნოდ თავბრუდახვეული და გაშეშე-

ბული ვიჯექი, მაგრამ, როდესაც
ქალბატონმა ახალი ლექციის ახსნა
დაიწყო, იმ წამსვე გამოვცოცხლდი,
მოვიკრიბე ყურადღება და უფრო მე-
ტის მონდომებით ვუსმენდი საყვა-
რელ ლექტორს.

პირველი შეხვედრიდან საკმაო
დრომ გაიარა, მაგრამ ის პირველი
შთაბეჭდილება, ის პირველი აღქმა,
არასოდეს წაიშლება ჩემი მეხსიერე-
ბიდან. ქალბატონი ქეთი დღემდე სა-
ნიმუშო ლექტორად, ადამიანად და
პიროვნებად რჩება ჩემთვის.

დავით სოლომნიშვილი

**კოტე მარჯანიშვილი ქართულ
ესტრადაზე დაბადებიდან
150 წლისთავი**

კოტე მარჯანიშვილი სინთეზური თეატრის ჩინებული წარმოუდგენელია. მისი აზრით მსახიობს უნდა შეეძლოს ყველა ჟანრში თამაში: ოპერა, ბალეტი, დრამა, ოპერა, ტრაგიკომედია, ფარსი, ფოლკლორი, პანტომიმა, მიუზიკლი, ესტრადა, ცირკი.

მსახიობ თამარ წულუკიძე იგონებს.

„მახსენდება კდივე ერთი საქველმოქმედო „სადამო კაბარე“, რომელიც რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში მოაწყო და მონაწილეობდა კონსტანტინე ალექსანდრეს ძე მარჯანიშვილი. გაშლილი იყო მაგიდების რამდენიმე რიგი, კუთხეში, ამალეებულ ადგილას, უკრავდა საესტრადო ორკესტრი. სადამოს ორი შესანიშნავი დიასახლისი – ოლია სვანიშვილი და ელიზავეტა მედნიკოვა, სმოკინგში გამოწყობილი, სადამოს განმკარგულებელი დათიკო ჩხეიძე, სტუდიელი გოგონები, მაქმანიანი წინსაფრებით, ოფიციალის როლში გამოდიოდნენ და სწრაფად ემსახურებოდნენ სტუმრებს.

კაბარე იწყებოდა სახუმარო წარ-

მოდგენით სათაურით „თეატრის ისტორია“. იგი შედგებოდა რამდენიმე პაროდიული ეტიუდისაგან, რომელიც ასახავდა თეატრალური ხელოვნების განვითარების ეტაპებს: „კომედია დელ არდე“, „რეალისტური თეატრი“, „ფსიქოლოგიური დრამა“, „ბიომექანიკა“, მეიერჰოლდის სტილში. მონაწილენი, რა თქმა უნდა, სტუდიელები იყვნენ, პროგრამას ჩვენთან ამზადებდა თვით კონსტანტინე ალექსანდრეს ძე.

საესტრადო პორგრამის დამთავრების შემდეგ ტიციან ტაბიძემ ივლიტა ჯორჯაძე მიიწვია თავის მაგიდასთან“.

ქართული ესტრადის კონფერანსიე. ვასო ურუშაძე: „1928-1930 წლებში ბათუმს თავისი დასი არ ჰყოლია და მომსახურეობას უწევდა ქუთაისის დრამატული თეატრი. ცნობილი რეჟისორის კოტე მარჯანიშვილის ხლემძღვანელობით.

ახალ წელს ქუთაისის დასი ბათუმში შეხვდა ერთ-ერთ რესტორანში, რომელიც შესაფერისად თვით მორტული. იდგა გაწყობილი ნაძვის

ხე, წინასწარ მომარაგებული იყო ახალი წლის პროგრამა: მხატვრული კითხვა, სცენები, საახალწლო კუპლეტები, ცეკვები და შარფირებული ბოშათა გუნდი ვერიკო ანჯაფარიძის ხელმძღვანელობით პროგრამის წამყვანი და კონფერენციე იყო თვით კოტე მარჯანიშვილი, მანვე თქვა შესავალი სიტყვა და სრულ 12 საათზე დამსრეთ ახალი წელი მიულოცა“.

მწერალი კუკური გოგიაშვილი გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ (1972 წ. 30 ივნისი, გვ. 3) კოტე მარჯანიშვილის დაბადების ასი წლისთავისადმი მიძღვნილ სტატიაში „დაუვიწყარი წლები“, წერს:

„1929 წლის 31 დეკემბერი, ბათუმი.

სახალწლო შეხვედრა სასტუმრო „ფრანციაში“, სადამოს სპექტაკლის შემდეგ ამ სასტუმროს რესტორანი მთლიანად ჩვენმა თეატრმა დაიკავა. დარბაზი სავსეა. ესტრადაზე კოტე კონფერანსიობს. წინასწარ გამოცხადებული იყო, რომ ეწყობოდა კონკურსი საუკეთესო საესტრადო ნომეზე.

ნომერი ნომერს ცვლის, დარბაზში დაუსრულებელი ხარხარია. მოვიდა ჩვენი ჯერიც.

იმ სადამოსთვის გ. შავგულიძემ, ალ. ბეგაშვილმა, აკ. მამრიკიშვილმა, მ. სანიკიძემ, რ. თოდუამ და მე საგანგებოდ მოვამზადეთ ჩვენი პაროდია „სეზონზე“.

ამ პაროდიაში სხვადასხვა პიესის ნაწყვეტები და ჩვენი თეატრის ბუმბერაზები იყვნენ გამარჯვებული. საგან-

გებო ჟიურიმ კოტეს მეთაურობით პირველი ადგილი ჩვენ მოგვაკუთვნეს“.

ქართული თეატრის ისტორიიდან: კოტე მარჯანიშვილმა თეატრში დადგა უილიამ შექსპირის „ოტელო“. ოტელოს თამაშობდა შალვა ღამბაშიძე, დეზდემონას ნუნუ მაჭავარიანი, რომელიც სცენაზე გასვლის წინ არამარტო ღელავდა, არამედ ცხარე ცრემლით ტიროდა. კოტემ შეამჩნია ყოველი ეს და კულისებში დეზდემონას დასამშვივლებლად საინტერესო ხერხს მიმართა: მსახიობის წინაშე დაიწყო ცეკვა და მხიარული სცენების მოწყობა. დეზდემონას გაადავიწყდა ნერვიულობა და სიცილით სცენისაკენ გაემართა.

კოტე მარჯანიშვილმა კარგად იცოდა იუმორის ფასი. ისიც კარგად ესმოდა, რომ რაოდენ მნიშვნელოვანია მსახიობისათვის განწყობილების შექმნა.

რეჟისორი ესტრადაზე გამოდის როგორც საკონცერტო პროგრამის წამყვანი, ე. ი. მის ხელშია მთელი კონცერტის პროგრამა. რეჟისორი ესტრადაზე მთავარ როლშია – კონფერანსიობს, რაც იმას ნიშნავს, რომ შემოქმედისათვის სათეატრო და საესტრადო ხელოვნება განუყოფელია.

კოტე მარჯანიშვილი, მდიადრ შემოქმედებითი ენერჯის წყალობით, მუდმივ მიებაში იყო როგორც რეჟისორი თეატრში და ესტრადაზე.

მასალა ქვეყნდება პირველად, დიდი შემოკლებით.

დამოწმებული ლიტერატურა:

1. თ. წულუკიძე. „მხოლოდ ერთი სიცოცხლე“. „ხელოვნება“, თბ. 1983 წ. გვ. 112-113 (რუს. ენაზე).
2. ვასო ურუშაძე. მოგონებანი. „გამომც. „ხელოვნება““ თბ., 1951 წ. გვ. 108-109.

✍ გიული მურადაშვილი

ნ ა ძ ვ ე ბ ი

ქარიშხალმა მიდამო შეძრა, ფოთოლთა კორიანტელი მწველი მზით აშრეტილი...

მდგრადია ნაძვების ტევრში დასადგურებული სიმშვიდე, უდრტვინველი და, ლალი ვარდი – გზის პირად – მედგარ ტოტებს შეფარული... ახსენდება გამაღებულ გამვლელს

„საცა პირიმზეს ახარებს, იქავ მთხრელია ზვავისა,
მაინც კი ლამაზი არის, მუდამ სიტურფით ჰყვავისა“.
(ვაჟა)

* * *

თოვლის ფანტელის კორიანტელს – იდუმარლ ჩქამად მოსული... არ ჩამორჩა გალიპული ოდრო-ჩოდრო, ყინულის ლოლოები ფაფუკი თვლით დაფენილ ხეებზე, სახურავებზე...

მოულია განგებას წყალობად ნაძვების ტევრში ძველთაგან გაკვალული ბილიკი; მედგარ ტოტებს ატანს წინაპართა ხსოვნისადმი აღვლენილი; გადაჰყურებს არემარეს ეკლესიის სამრეკლო, გუმბათი.

2022 იანვარი

ე ლ ე გ ი ა

ხალისიანია დღე გვიანი შემოდგომისა –
დათალხული ცის გამოდარება...
ნაწვიმარის სილბო, სურნელი...
ფოშფოში ნისლით დატალღული ნაირფერი ღრუბელი,
... მიდამოს ოქროსებრი ნათება მზის სხივთა ბნელში.


11 მარტი 2022 წელი

ნაზი ხანიაშვილი

აფხაზეთის შავკანიანები

სულ ცოტა ხნის წინ ფბ-ზე აღმოვაჩინე საიტი „Allnews.ge.ოლნიუსი“, რომელზედაც იდო მეტად საინტერესო და საოცარი ინფორმაცია სათაუ-

რით: „ვინ იყვნენ სინამდვილეში შავკანიანი კოლხები და სად ცხოვრობს დღეს მათი შთამოავლობა“. გთავაზობთ ამონარიდს ამ სტატიიდან.



მის იყვნენ სინამდვილეში შავკანიანი კოლხები

დაახლოებით 200 წლის წინ თავადმა შერვაშიძემ სტამბოლის მონათა ბაზარზე იყიდა ნეგროიდული რასის შავკანიანი მონები, ჩამოიყვანა აფხაზეთში და დაასახლა აძიუბჟასა და კოდორის მიმდებარე რამდენიმე სოფელში: ჭლოუ, ფოკვერი, აგდარა, მერკულა, სადაც დღემდე ცხოვრობენ. ისინი გარიყულნი არიან აფხაზეთის მთებში, უაღრესად გაუნათლებელი და ღარიბი ხალხია. არ იციან თვლა, არა აქვთ რელიგია, ლაპარაკობენ მხოლოდ აფხაზურ ენაზე, რომელიც ენათესავება მხოლოდ ამ-

ჰარულ ენას, რაც ეთიოპიელებთან სავარაუდო ეთნიკურ კავშირს უსვამს ხაზს.

ამჰარული ენა – ამჰარელთა ენა მიეკუთვნება სემიტურ ენებს. ოფიციალური ენის სტატუსი აქვს ეთიოპიაში. აფხაზეთის შავკანიანი კოლხები თავს თვლიან ეთიოპიელი კოლხების შთამომავლებად და ყველაზე უცნაური ტომია დედამიწაზე.

ძველი ბერძენი ისტორიკოსი ჰეროდოტე (დაახლ. ძვ. წ. 485 წ.) ასე ახასიათებს კოლხებს: მათ მკაფიო მოგონებები აქვთ შემორჩენილი ეგ-

ვიპტელების შესახებ. ისინი მუქკანიანები არიან, ხველული თმებით, რაც ეთიოპიელი წევროიდული რასისთვისაა დამახასიათებელი. მხოლოდ სამი ერი მიმართავს წინადაცვეთას – კოლხები, ეგვიპტელები და ეთიოპიელები. (ჰერიოდოტე, ისტორია ცხრა წიგნად, წიგნი II).

პირველი ადამიანი, ვინც კოლხები იხილა და შემდეგ აღწერა, ჰეროდოტე იყო: „ბერძნული მუქი კანის გათვალისწინებით, ჰეროდოტეს კოლხები ნევროიდული რასის ხალხად მიაჩნდა“.

ჰეროდოტეს გარდა კოლხებზე ინფორმაციას გვაწვდის ბერძენი პოეტი პინდარე (ძვ. წ. 522-448 წწ.) იგი კოლხებს მოიხსენიებდა შავკანიანებად.

არის ვერსია, რომ აფრო-აფხაზები ეთიოპიელი შავკანიანი კოლხების შთამომავლები არიან, რომლებიც იუდეველები იყვნენ.

მეცნიერული კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ შავკანიან აფხაზთა ენა ენათესავება ამჰარულ ენას, რაც ეთიოპიელებთან სავარაუდო ეთნიკურ კავშირს უსვამს ხაზს. ამას ადასტურებს ასევე ჰეროდოტეს მოგზაურობა ეთიოპიაში, სადაც ის მოიხსენიებს ქ. „აიაი“-ს, საიდანაც წარმოდგება სიტყვა „აიეტი“, რომელიც უკავშირდება ეთიოპიელ შავკანიან კოლხებს.

სურათზე გამოსახულია ქართულ ჩოხა-ახალუხში გაოწყობილი აფხაზეთში მცხოვრები ეთიოპიელი შავკანიანი კოლხები.

ჩემი კვლევებით, საქართველოს საპატრიარქოს საზღვარგარეთ ქველმოქმედების საბჭოს წევრმა გიორგი ანდრიაძემ (ენდეროლი) მათ მიერ ჩატარებული საქართველოში მცხოვრები ქალდეველ-მეგრელ-ლაზების გენეტიკური კვლევის შედეგები ორჯერ გამოაქვეყნა სათაურით: „ჩვენი უახლოესი ნათესავები ებრაელები, არაბები და ქურთები არიან“ (გაზ. „რეზონანსი“, 2013 წ. 27 მაისი, 25 ნომერი). აქვე წერია: „ე. წ. ქართლის ტომი აქ ფიქსირდება“. მაშასადამე, მათი კვლევებით ქალდეველები, მეგრელები და ლაზები არიან სემიტური რასის ხალხი და ლაპარაკობენ ერთ-ერთ არამეულ ენაზე, რომელთა უახლოესი წინაპრები არიან ებრაელები, არაბები და ქურთები და მათ არა აქვთ გენეტიკური კავშირი ქართლის ტომის ხალხთან.

მეტად საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის აბაშის რაიონის სოფ. გულეკარის წმინდა გიორგის ეკლესიის მოძღვარი კონსტანტინე კაჭარავა იმედის არხზე გადაცემაში „სხვა რაკურსი გია ჯაჯანიძესთან ერთა“ (19.12.2019). იგი ყვება აფხაზეთში არაბთა შემოსევი შესახებ (735-737 წწ.): „არაბთა ჯარი აბაშთა ტომებისგან შედგებოდა, იმ დროს აბაშებს უწოდებენ ეთიოპიელ არაბებს. ბრძოლების შემდეგ მათი ნაწილი დარჩა დღევანდელი აბაშის ტერიტორიაზე და სამუდამოდ დასახლდნენ საქართველოში“. რამდენად შეესაბამება ეს სინამდვილეს, ეს კიდევ გამოსაკვლევი.

ამ გადაცემის შემდეგ დამინტერესა ეთიოპიის რუკამ და იქ მცხოვრებმა ხალხებმა (ქ.ს.ე. ტ.4. გვ. 50). აღმოვაჩინე, რომ დღევანდელი ეთიოპიის ხალხების დიდი ნაწილი არიან გალები (6,2 მლნ.) და ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქალაქია „აიაიე“, რომელსაც უკავშირდება სიტყვა „აიეტი“. სიტყვა „გალი“ წარმოსდგა სიტყვა „კალი“-დან. საინტერესოა და გამოსაკვლევი, რამდენად შეესაბამება მეგრული ენა ეთიოპიელი გალების სამეტყველო ენას.

ყოველივე ზემოთ განხილული ადასტურებს, რომ ქალდეველები, მეგრელები, ლაზები და კოლხები არიან ეთიოპიელი სემიტურ-იუდაისტური მოდემის არაბები და შავკანიანი კოლხების შთამომავლები. კოლხები მხოლოდ შავკანიანი რასის ხალხია ეთიოპიაში.

მეგრელები საქართველოში XV ს-ში შემოვიდნენ რუსეთიდან. მანამდე საქართველოს ტერიტორია თითქმის წყლით იყო დაფარული და იქ ხალხი არ ცხოვრობდა. ჯერ კიდევ XVIII ს-დე მეგრელები ენგურს აქეთ გადმოსულები არ იყვნენ და საქართველოს ტერიტორიაზე საერთოდ არ არის მოხსენიებული კოლხეთი, საეგრელო, ლაზეთი, ფაზისი, ეგრისი. ამას ადასტურებს დავით აღმაშენებლის რუკა „საქართველოს ნიკოფსითგან დარუბნადისა ზღუამდე“ (1125 წ.) და სამეგრელოს სამთავროს რუკა (ქ.ს.ე. ტ. 8. გვ. 713).

მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობის დროს მეგრელებმა და

სვანებმა მცირე ერების საერთაშორისო ორგანიზაციაში გააკეთეს განაცხადი, რომ ისინი არიან საქართველოში მცხოვრები მცირე ერები, რომელთაც აქვთ საკუთარი ენა და არა აქვთ საკუთარი ანბანი, რის შედეგადაც დღემდე იღებენ სათანადო დახმარებას. ამ განაცხადით მეგრელებმა და სვანებმა აღიარეს, რომ არ არიან ქართველები, არც საკუთარი ანბანი აქვთ და არც ქართული ანბანია მათი.

დედამიწაზე მცხოვრები კოლხები რომ მხოლოდ შავკანიანი – ნეგროიდული სემიტური მოდემის ხალხია, ამას ადასტურებენ ძვ. წ. V-VI სს.-ის ბერძენი ისტორიკოსები ჰეროდოტე და პინარი, ასევე აფხაზეთში მცხოვრები შავკანიანი ეთიოპიელი კოლხები. მაშინ როგორ არიან თეთრკანიანი ქალდეველ-მეგრელ-ლაზები შავკანიანი კოლხები?! ეს ხომ აშკარა სიცრუეა?! ასევე უდიდეს ცოდვად მიმაჩნია, რომ ე. წ. ქართველებს ქართველებად ყოფნა და ქართული ენა არ გინდათ და ეთიოპიულ შავკანიან ნეგროიდული რასის ხალხად სიამოვნებით აცხადებთ თავს?! საკითხის უკეთ გაცნობის მიზნით ნახეთ ჩემს ფბ-ზე დადებული პოსტები: „ვინ არიან ლაზები“ და „დედამიწის აბორიგენი მოსახლეობა ქართველებია“.

ჩემი კვლევებით სიტყვა „მეგრელი“ ქართული წარმომავლობისაა, მეგრელთა გვარების ქართული წარმომავლობა ადასტურებს, რომ ისინი ქართველები არიან და ეთიოპიელებთან არაფერი აქვთ საერთო. დაუბ-

რუდით თქვენს ქართულ წარმომავლობას და ქართულ საწყისებს.

ქართველი არიან შუმერთა წინაპრები და დედამიწის პირველსაწყისი არიული თეთრი რასის ხალხი, რომლებიც ყოველთვის ცხოვრობდნენ კავკასიაში – საქართველოში და არსაიდან მისულები არ არიან.

საქართველო წმინდა სამების „სამშობლო და სამკვიდრებელი“ ქვეყანაა. ხოლო ჟამს ღმერთმა ქვეყანა ქართულ ენაზე უნდა განიკითხოს. კოსმოსი და უცხოპლანეტელები ქართულ ენაზე აზრებით ლაპარაკობენ. ახ. წ. 2000 წელს დედამიწაზე დაიწყო ბოლო ჟამის ორიათასწლეული.

ჟურნალ „პარალელის“ პასუხისგებელი მდივნის, პროფ ბ. ცხადაძის კომენტარი.

შენიშვნა 1: ნ. ხანიაშვილის ეს წერილი სხვა რამითაც იწვევს ჩვენს ყურადღებას. სტუ-ს პროფესორის საინჟინრო-ეკონომიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელის ბატონ ალ. სიჭინავას თქმით. ერთხელ თურმე ქართული გემი აფრიკის ჩრდილოეთით, ხმელთაშუაზღვის სამხრეთ სანაპიროზე, შეჩერდა. ტვირთის გადმოსატვირთად გემს ადგილობრივი ზანგი მუშები ეახლნენ, როლებიც რაღაც კოლხურის მსგავს დიალექტზე მეტყველებდნენ. რომ ჰკითხეს ქართველებმა, საიდან ხართო. ჩვენ

დიდი ხნის გადმოსახლებული ვართ და მეტყველებად ჩვენს ძველ ენას ვირჩევთო.

შენიშვნა 2: ერთ-ერთ პარასკევს სტუ-ს პროფესორმა ანზორ ძამაშვილმა თავისი მობილურით ტექსტი მიჩვენა. ეს ციტატა ჩემს ქალიშვილმა მომცა, ქალაქ ბარსელონას ბიბლიოთეკაში იპოვა. იქნებ დაადგინო, ხელნაწერი ძველი ქართულია თუ არაო? ამ საკითხს მთელი შაბათ-კვირა მოვანდომე. აღმოჩნდა, რო ტექსტი ეთიოპური დამწერლობის ნიმუში იყო. საკითხავია, როგორ აღმოჩნდა ეთიოპური დამწერლობის ნიმუში ბარსელონაში? როგორც ისტორიიდან ცნობილია, ადრე ეს ხარე არაბებს ეკავათ, როელთაც შუასაუკუნეების ესპანეთში შექმნეს ძლიერი, კულტურული სახელმწიფო კორდობა, რომელსაც მნახველი აღფრთოვანებაში ახლაც მოჰყავს. ასე რომ, საფიქრებელია, ეთიოპელთა ეს ხელნაწერი აქ სწორედ არაბი ეთიოპელების დანატოვარია იყოს. სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია, რომ ძველი ქართული აბაზი ეთიოპურად ზანგს ნიშნავს. ასე რო, ტოპონიმი აბაშა და გვარ-სახელები აბაშია, აბაშიძე თავდაპირველად ეთიოპიელი ზანგები უნდა ყოფილიყვნენ. ამ საიტხს, ცხადია, სპეციალური შესწავლა სჭირდება როგორც საქართველოში, ისე ხმელთაშუა ზღვის აუზის შესასწავლად.

გელა ღვინეფაძე

**წეალი, როგორც ფენომენი,
და მისი როლი ცივილიზაციების
დაბადება-განვითარებაში**

შესავალი

წყლის განსაკუთრებულობის შესახებ, უწინარეს ყოვლისა, მეტყველებს ის ფაქტი, რომ დედამიწაზე სიცოცხლე სწორედ ოკეანეში ჩაისახა და, სპეციალისტების მტკიცებით, ეს უდიდესი მოვლენა ვერ შედგებოდა ამ ნივთიერებისთვის დამახასიათებელი 70-მდე უნიკალური თვისებიდან თუნდაც ნაწილის არარსებობის პირობებში!

სტატიაში ძირითადად განიხილება თემა, თუ რა როლი შეასრულა წყლის ფენომენმა ენის (ენების) წარმოშობა-განვითარებაში; საუბარი იქნება პროცესზე, რომელიც, თავის მხრივ, მჭიდროდ უკავშირდება ცივილიზაციების დაბადება-წინსვლის ისტორიას.

...

უხსოვარი დროიდან დაწყებული დღევანდლობამდე ადამიანის საქმიანობა უდიდეს გავლენას ახდენდა და ახდენს ენის (ენების) მარაგსა და სტრუქტურაზე. ამასთან, ადგილი აქვს უკუკავშირსაც – მდიდარი შესაძლებლობების ენა ადამიანს დიდად ეხმარება ნებისმიერი სა-

ხის სამუშაოთა სრულყოფაში. ასე რომ, ენის ფენომენი და მისი სრულყოფის საკითხები, ენათმეცნიერთა გარდა, ყველა დარგის სპეციალისტთა ინტერესის საგანია, თუნდაც მხოლოდ საკუთარ სფეროში ტერმინოლოგიის გამართულობაზე ზრუნვის კუთხით.

და ბუნებრივია, რომ მეცნიერებს (და არამართო მათ) ჯერ კიდევ დიდი ხნის წინ დაჰბადებოდათ კითხვა:

მაინც როგორი უნდა ყოფილიყო მეტყველ არსებად ანუ ადამიანად გადაქცევის მსურველთა მიერ შექმნილი ენის (ან ენების) საწყისი ლექსიკის მარაგი?

ძალიან დიდი პერიოდის გავლის გამო მეტად რთულდება ლექსიკის თავდაპირველი მარაგისა და მით უფრო მისი ელემენტებისათვის ეტიმოლოგიის მოძიება, და იმდენადაც კი, რომ პროფესიონალი ლინგვისტები ამ პროცესს, ფაქტობრივად, აზრს მოკლებულ საქმიანობად მიიჩნევენ:

ჰიპოთეზური (ე. წ. ნოსტრატული) და კიდევ უფრო გაბედული თეორიის მომხრე (ანუ თავდაპირველი

ერთი ენის არსებობის დამშვები) ენათმეცნიერებიც კი შეუძლებლად თვლიან სავარაუდო საწყისი ენის (თუ ენების) მარაგისთვის ეტიმოლოგიის დადგენას – ისინი მათ **უმოტივაციო სიტყვებად** მიიჩნევენ!

ისე კი, კაცობრიობის ისტორიაში იყო და არის მცდელობები, არამც თუ ეს მარაგი მოემიათ, არამედ მეტიც, ეპოვათ მისი საწყისი – **პირველი სიტყვა**, დღეს ენათა უზარმაზარი გორგლის განმშლელი „არიადნას ძაფის“ წვერო.

***შენიშვნა:** აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ აღნიშნულ ქმედებათა დისკრედიტირებაში დიდი როლი შეასრულა ლინგვისტიკისათვის კარგად ცნობილმა მითოლოგიურმა სიუჟეტმა (სავარაუდოდ, მითოლოგიურმა, თუმცა მოცემულ შემთხვევაში ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს) – რომელიღაც აღმოსავლელი დესპოტის მიერ განხორციელებულმა არაადამიანურმა ექსპერიმენტმა, ამასთან, დასახული მიზნის მიღწევის მხრივაც კრახით დამთავრებულმა, მიეგნო სწორედ ზემოთ აღნიშნული „წვეროსთვის“.*

მოსაზრებას ამ ძიებათა უპერსპექტივობაზე, რომელსაც ჩვენ, სულ ცოტა, საკამათოდ მივიჩნევთ, ნამდვილად აქვს არგუმენტები, კერძოდ, ის, რომ პირველყოფილ არსებებს, რომელმაც გადაწყვიტა მომდევნო რეალიზაციებში დედამიწას ჰომო საპიენსის სტატუსით მოვლინებოდა, ენის შექმნის გზაზე პირველი ნაბიჯების გადადგმაში უდავოდ ხელს შეუშლიდა სამეტყველო აპარატის განუვითარებლობა!

მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ათასწლეულების განმავლობაში, უკვე გადატანილი და პირდაპირი მნიშვნელობით, წელგამართულმა არსებამ ეს საქმეც მოაგვარა, ოღონდ დიდად სავარაუდოა, რომ ენის შექმნის პირველ ეტაპზე ობიექტების, სუბიექტებისა თუ ქმედებებისთვის და ა. შ. შერქმეულ სახელებს ის დღევანდელი ყურისათვის ძნელად აღსაქმელი მოკლე ბგერათკომპლექსებით გამოხატავდა და არა, ვთქვათ, ამგვარი უგრძესი ტერმინებით:

არასაპლანეტათაშორისო,
частнопредпринимательский,
Donaudampfschiffahrtselektrizitaeten
hauptbetriebswerkbauunterbeamtengesellschaft,

ანდა ინგლისური ენის კუთვნილი სიტყვით -

Pneumonoultramicroscopicsilicovolcanoconiosis (სხვათა შორის, ამ ენაში 190 ათასამდე სიმბოლოს შემცველი სიტყვაც მოიძვევა, ოღონდ ეს საოცარი რეკორდი ქიმიკოსების შემოქმედებიდანაა).

დავუბრუნდეთ პირველი სიტყვის თემას:

– ასე იყო, თუ ისე, ჩვენმა ძალიან შორეულმა წინაპარმა მოახერხა მისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ობიექტის, სუბიექტისა თუ ქმედებისათვის რომელიღაც ბგერათკომპლექსის მეშვეობით სახელი დაერქვა. გავიდა ათასწლეულები, დაიხვეწა მისი შთამომავლობის სამეტყველო აპარატი და პირველწარმოთქმული სიტყვა ადამიანმა სხვა უამრავიც მოაყოლა... ამ მეტად ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში თავდაპირველმა სა-

კომუნიკაციო ელემენტებმა დღევანდელი სიტყვების სახე მიიღეს, ამასთან, მნიშვნელოვნად განსხვავებულის თვით საერთო წარმოშობის მქონეთათვისაც. თუმცა, ლინგვისტთა ძიებების წყალობით, რიგ შემთხვევაში მაინც დასტურდება ტერმინებს შორის ნათესაური კავშირი დღეს ენების სხვადასხვა ოჯახის წევრებს შორისაც კი.

ახლა კი იმის თაობაზე, ჩვენ თვითონ როგორ აღმოვჩნდით ამ პერიპეტეებში (გაუგებრობაში):

ჯერ ერთი, 50 წელზე მეტი ხნის წინ სრულებითაც არ ვაპირებდით ენის წარმოშობის თაობაზე რაიმე (მით უფრო ორიგინალური) ვერსიის წამოყენებას; უბრალოდ, ჰობის დონეზე დაინტერესებული ვიყავით ქართულ ენაში არსებული ე. წ. გაორმაგებულფუძიანი ტერმინების სიის შედგენით, სიტყვებისა, რომლებიც, ვფიქრობთ, სავსებით საფუძვლიანად შეიძლება მივიჩნიოთ ენის მეტად ძველი პლასტის წარმომადგენლებად. ამასთან, ვვარაუდობდით, რომ მათი ნაწილისათვის შესაძლებელი იქნებოდა დღეისათვის გაუგებარი დატვირთვის მქონე ძირების მნიშვნელობის დადგენა.

და, მაგალითად, მოვიძიეთ, რომ სიტყვა *ლაპლაპ*-ში ძირეული *ლაპ* მარცვალი ქართლში თურმე დიდ ცეცხლს აღნიშნავს, მაგრამ ნამდვილად მოჩენად იქცნენ ტერმინები:

ლიკლოკი, ლიკლიცი, ლიკლივი, კაშკაში, რაკრაკი, ქათქათი და კიდევ 20-მდე სიტყვა.

მათ ჩვენი ფრიად მწირი ლინგვისტური ცოდნის პირობებშიც კი

(ოღონდ აქ ინტერნეტი დავიხმარეთ) საკმაოდ ბევრი ენის ტერმინებისთვის მოგვცეს ურთიერთდამაკავშირებელი ხიდების არსებობაზე ჰიპოთეზების წამოყენების საშუალება.

მეტიც, მიღებულმა შედეგებმა მიგვიყვანა ასეთ მოსაზრებამდე:

ნებისმიერ ენაზე არსებული ბევრი მარცვალი აპრიორი „ეჭვმიტანილად“ ჩაგვეთვალა პირდაპირი თუ ირიბი გზებით წყლის ცნებიდან წარმოშობაზე.

ამ მიმართებით განვიხილოთ ერთი ასეთი მარცვალთაგანი **L*K**.

დასაშვებად ჩავთვალოთ, გამოგვეთქვა მეტ-ნაკლებად საფუძვლიანი ვარაუდები მისი, როგორც სათავის, არსებობაზე რიგი ტერმინისათვის.

ქვემოთ მოგვყავს ამონარიდი გერმანული ინტერნეტგამომცემლობის – LAP Lambert Academic Publishing შეთავაზებით დაწერილი ჩვენი მონოგრაფიიდან, რომლის გამოქვეყნების უფლება სხვა ქვეყნების ინტერნეტ-გამომცემლობებმაც შეიძინეს [1, 2]:

*LAK → lūx (ლათ. свет), ლაშა (лаша – сияющий), луч, лакать, лакомый, лик (ликовать), лик (лицо), лик (число), лук (раст.), лук (оружие – название дано из-за формы), лукавый (ср. со словом лукавь – извилистый (о течении реки)), лагун (1. деревянный сосуд для жидкости, 2. металл. бак для питьевой воды), лагуна, лекарь (← праслав. *lěкъ. Лекари лечили и микстурой), лизать, ложь, ложка, лажа, луг, лужа, лицо, лох (кустарник), лох=лосось, лах=лосось, лещ, лес, лоза, лазить, лишь (ср. др.-русс. лише «больше, кроме»), лишний, лысый, лесо (др.-русс. – озеро), леший,

лежать, ложе, лоск, ласкать, ликер, liquid (анг. жидкость), Lake (анг. озеро), lacus (лат. озеро, яма), like (англ. подобный), lakus (лат. озеро), lusus (лат. роща), lose (англ. терять, лишаться), lecken (нем. 1. лакать, облизывать, 2. течь), lassen (нем. пускать), lösen (нем. растворять), leche (исп. молоко); водоемы в Грузии: озеро Лиси, реки: Лакбе, Ласили, Ласкадура, Лашипса, Лазвиани, Лазвиантхеви, Лакатхеви, Лахами, Ликоки, Лехура, Лочини, Лухуни, Лухута; ლოკვა (лок-ва – лакать), ლიც (лиц – на сванском вода), ლიცლიცი (лицлиц-и – мерцание водной глади) ლიკლიკი (лик-лик-и: 1. журчание, 2. лепет), ლოყა (лока – щека), ლაკანი, ლეკნა (лак-ან-ი, лек-на – большая тарелка), ლაყვა (лак-ვა – лужа), ლაჟი (лаж-ი – рыба), ლასლასი, ლაკლავი, ლაღლაღი, ლახლახი (ლასლას-ი, ლაკლაკ-ი, ლაღლაღ-ი, ლახლახ-ი – движения), ლაყავი, ლაშლაში, ლუღლუღი, ლაქლაქი (лак-აპი, ლაშლაშ-ი, ლუღლუღ-ი, ლაკლაკ-ი – бормотать, тараторить), ლისი, ლაქაში (ლისი, ლაკაში – виды трав, растущих у водоемов), ლიხი (лих-ი – высокая трава), ლაგ-ობა – ликовать), ლაკლავა (ლაკლავა – водянистая пища), ლაყი (лак-ი – яйцо тухлое), ლაში (ლაშ-ი – нижняя губа), ლეზვი (лез-ვი – слюна), წალეკვა (ცა-ლექ-ვა – унесение, разрушение водой), ლექი (ლექ-ი – осадок), (ლექ-ერი – сырые дрова), ლექა (ლექა – перепивший), ლელმა (ლელ-მა – снег, начинающий таять), ლემტერი (ლექ-ტერი – дождь с градом), (ლექ-ხი – сочившаяся роса), ლიქნა, ლაქუცი (ლაკ-უცი, ლიქ-ნა – льстить, ласкать), ლეკონ (არმ. миф., огромная рыба, обвинившая

землю), ლოკოკონა, ლოქორა (ლოკოკინა, ლოკორა – улитка), ლოქო (ლოკო – сом), ლოცვა (ლოც-ვა – молиться), ლუწი (ლუც-ი – четный), ლხინი, ლხენა (ლხინი, ლხენა – пир, пировать, радоваться), ლხოზა (ლხ-ობა – таять), ლელვი (ლელ-ვი – инжир); реки в России: Лаке, Лис, Лиса, Луха, река во Франции Lys, река в Польше Лаговица; location (англ. – местонахождение), look (англ. – глядеть), lux (лат. – свет), lusin (არმ. – луна), лошадь; ликь (русс.-церк. – собрание, сонм, множество), лик (изображение, икона), lik (словенск. – фигура, образ), lice (чешск., польск. – «щека, лицо», ликь (др.-русс. – ликовать), лик (укр. – толпа, собрание), лик (болг. – хор), laiks готск. – танец).

მიგვაჩნია, რომ ზემოთ წამოყენებული ვარაუდები ეყრდნობა რიგ საფუძვლიან არგუმენტს, რომლებიც აღწერილი გვაქვს ნაშრომებში [3, 13].

...

კვლევების პროცესს, ჩვენი აზრით, ხელი შეუწყობს იმ გარემოებებმა, რომ სტატიის ავტორი:

1. ლინგვისტი არ გახლავთ. შესაბამისად, ის „იმულებული“ იყო, ეტიმონების ძიება დაეწყო არა ლინგვისტებისათვის კარგად ცნობილი პოზიციებიდან და, აქედან გამომდინარე, სხვადასხვა ენაზე არსებული უამრავი სიტყვისთვის (ენების ხეზე ფოთლებად აღქმულებისთვის) სათავის მოსაძებნად დაყრდნობოდა **ინდუქციის მეთოდს**, არამედ მიემართა **დედუქციისათვის** და ეცადა, როგორღაც პირდაპირ გასულიყო დღეისათ-

ვის ენათა უზარმაზარი სამყაროსათვის საწყის, ფესვურ ცნებაზე;

2. ინფორმატიკის დარგში მომუშავე დეველოპერს წლების განმავლობაში კოლეგებთან ერთად უხდებოდა სხვადასხვა პროფილის დაწესებულებების ხელმძღვანელობის წინაშე ჯგუფის წარდგენა დაახლოებით ასეთი („თავხედური“) შესავლით:

„ჩვენთვის ნაკლებად ცნობილია თქვენი საქმიანობის სპეციფიკა, მაგრამ ორგანიზაციაში (პროფკომში, წყალკანალტრესტში, სამინისტროში, მერიაში, მეტალურგიული თუ ქიმიური ბოჭკოს ქარხანაში, ბამბულის კომბინატში, სამინისტროში, მეტეოროლოგიის ინსტიტუტში, სამივე ინსტანციის სასამართლოებსა თუ პოლიკლინიკაში) მოვედით იმ მიზნით, რომ დაგეხმაროთ თქვენივე სამუშაოს გაცილებით მაღალ დონეზე შესრულებაში!“;

3. ინფორმატიკის და მართვის სფეროს მუშაკებს, როგორც წესი, შემჭიდროებულ ვადებში უხდებათ გაცემული დაპირებების აღსრულება, თუმცა ისინი ამ საქმეში მარტონი არ არიან, რადგანაც, როგორც წესი, აქტიურად იყენებენ გადაწყვეტილებების მიღების სფეროში მსოფლიო მასშტაბით აღიარებული სპეციალისტების მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებს, მეთოდებს და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, – თანამედროვე კომპიუტერული ტექნოლოგიების შესაძლებლობებს.

სწორედ ასეთი ძალისხმევის შედეგად გავედით ზემოთ ნახსენებ „მავის წვეროზე“, რომელიც აღმოჩნდა

წყლის ცნება

კვლევებისთვის მთავარი დამახასიათებელი ნიშანი იყო ის, რომ ვედებდით არა კონკრეტულ პირველ სიტყვას, არამედ იმ პირველ ცნებას, რომლის სახელდებაც უნდა ქცეულიყო უპირველეს ამოცანად „ჰომო მეტყველუსობაზე“ პრეტენზიის მქონე შორეული წინაპრისათვის.

და სწორედ ეს მიდგომა განასხვავებდა ჩვენს მცდელობებს ნიკო მარის ძიებებებისაგან, დიდი მეცნიერისა, რომელსაც, ფაქტობრივად, აღმოჩენილი ჰქონდა წყლის თეორია – საქმე ისაა, რომ ნ. მარის ოთხელემენტოვან მოძღვრებაში არგუმენტებად მოყვანილ სიტყვათა მწკრივებში მათ წევრებს ერთმანეთთან სწორედ წყლის ცნება აკავშირებდა!

წყალი რომ მართლაც განსაკუთრებული ფენომენია და არა მარტო ენების წარმოშობასთან მიმართებით, ამის თაობაზე მრავალი ფაქტი მეტყველებს. მოვიყვანოთ ზოგიერთი მათგანი ზემოთ ნახსენები წყაროებიდან:

- ფრიად ნიშანდობლივია, რომ წყლის ცნებიდან, როგორც ფესვურიდან, ენების წარმოშობის თეორია ეთანხმება ბიბლიურს და დროსა და სივრცეში დიდად დაცილებული ხალხების მითოლოგიურ წარმოდგენებს, რომელთა მიხედვითაც თავდაპირველ ლექსიკურ მარაგს ადამიანი ქმნიდა წყლის ცნებასთან რაიმე სემანტიკურ კავშირში მყოფი არსების, ქმედებების, მათი ატრიბუტების და ა. შ. სახელდებისათვის;

- ეს თეორია არ ეწინააღმდეგება ენის (ენების) წარმოშობის შესახებ

აქამდე არსებულ მეცნიერულ თეორიებსაც. ვთვლით, რომ ყოველი მათგანი უდავოდ შეიცავს რაციონალურ მარცვალს, ახალი თეორია კი, უბრალოდ, მათ აერთიანებს;

- როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, წყლის თეორია, ფაქტობრივად, აღმოჩენილი ჰქონდა ნიკო მარს. **ჩვენ მხოლოდ გავაგრძელებთ მისი გზა;**

- ვეყრდნობოდით სხვადასხვა მეცნიერული დარგისთვის (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, მართვის თეორია, ...) ცნობილ ფაქტებს და კვლევებში გამოყენებულ მიდგომებს, ემპათიის მეთოდის ჩათვლით (ეს უკანასკნელი ტრადიციული „ინსტრუმენტი“ გახლავთ გამომგონებლის, მწერლის, მსახიობისა თუ გამომძიებლისათვის);

- აღნიშნული თეორიის არსის შესახებ **1994** წელს ინფორმაცია გავავრცელებთ ინტერნეტით ე. წ. მსოფლიო საინფორმაციო დაფაზე, რუბრიკით „მეცნიერება. ენები“;

- დაბოლოს, თემასთან მიმართებით ხარკი გადავუხადოთ საკრალურ მომენტებსაც:

- ჩვენი ვარაუდით, წყლის, როგორც ენათა წარმომშობი ფენომენზე, მინიშნებები არსებობს იოანე-ზოსიმეს „ქებაი“-ში; აქ კიდევ განსაკუთრებით საინტერესოა ის, რომ სწორედ ეს მცირე ფორმის, უდავოდ მისტიკის შემცველი ნაწარმოები, ამასთან, ქრონოლოგიის აშკარა დარღვევით, ხსნის მრავალსაუკუნოვანი ქართული ლიტერატურის ანთოლოგიას. და ეს ხდება საბჭოთა ეპოქაში!

- არსებობენ განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული ისეთი პირები, რომელთაც ძალუძთ, „ცოტა

მეტი“ რამ დაინახონ, შეიგრძნონ, დააფიქსირონ, ვიდრე – ჩვეულებრივმა, თუნდაც სხვა სფეროებში ძალიან დიდად წარმატებულმა ადამიანებმა. ერთი მათგანი, რუსი მკვლევარი სერგეი ლაზარევი წერს, რომ ადამიანის ეთერული სხეული, მისი შინაგანი სამყარო თუ განვლილი ცხოვრების გზა (მომავლის დანახვაზე ის პრეტენზიას არ ცხადებს, მეტიც, – ამას თავს უკრძალავს) მას წყლის სტრუქტურის მსგავსი სახით წარმოუდგება.

- არის კიდევ სხვა მომენტებიც, რომლებზეც ამჯერად არ შევჩერდებით.

წყლის თეორიის თაობაზე ჩვენი მოსაზრებების უფრო დეტალურად გასაცნობად მკითხველს შეუძლია მიმართოს სტატიის ბოლოში მითითებულ წყაროებს. მოგვყავს მათგან მოხმობილი ზოგიერთი ამონარიდი:

- საგამომგონებლო თეორიების შემსწავლელთათვის რეკომენდებულია ასეთი ამოცანის დასმაც – სად და როგორ დამალავდით ოთახში ქვას ისე, რომ მისი მიგნება, რაც შეუძლებელია მეტად გამწვანდეს?

პასუხია: ... *იშავორგ სიბეჭე!*

- აზიაში ერთ-ერთი მდინარის ხუთმარცვლიან სახელწოდებაში თითოეული მარცვალი ახლომახლო მცხოვრები (ან უკვე გამქრალი) ტომების ენაზე აღნიშნავს წყალს (ან მდინარეს)! სხვა ქვეყნებსა და მათ შორის საქართველოშიც მრავლად გვხვდება ორი და სამი მარცვლისგან შემდგარი ამგვარი სახელების მქონე წყალსატევები.

• **დაბოლოს (კიდევ ერთხელ!), წყალი ის ნივთიერებაა, რომლის 70-მდე უნიკალური თვისების გარეშე, სპეციალისტების მტკიცებით, დედამიწაზე სიცოცხლე ვერ იარსებებდა!**

აქამდე საუბარი იყო სხვადასხვა პერიოდში ჩვენი ძიებების ამსახველი, გამოქვეყნებული ნაშრომების შესახებ.

ამჯერად მიზნად ვისახავთ, მკითხველს გავაცნოთ ძირითადად ბოლო წლების კვლევების შედეგები და, მათგან გამომდინარე, ზოგიერთი, შესაძლოა საკამათო მოსაზრება.

...

ვიწყებთ ცივილიზაციების განვითარებაში ასტრონომიულ ობიექტებზე დაკვირვებების როლის ილუსტრირებით.

თავდაპირველად ერთი მეტად შთამბეჭდავი ფაქტის შესახებ:

არც ისე დიდი ხანია, რაც ფიზიკოსებთან თანამშრომლობის შედეგად გაირკვა არქეოლოგების მიერ აღმოჩენილი არტეფაქტების ასაკი და დადგინდა, რომ თურმე, სულ ცოტა, **18 000** წლის წინ ჩვენი წინაპრები აკვირდებოდნენ და აფიქსირებდნენ მთვარის ფაზებს!

ამკარაა, რომ მათი ეს საქმიანობა არ იყო რაიმე უსაგნო ინტერესით გამოწვეული – საყოველთაოდ ცნობილია, თუ რაოდენ სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს მიწათმოქმედი ადამიანებისთვის დროის გარკვეული მონაკვეთებისთვის ამინდისა და მასში მოსალოდნელი ცვლილებების შესახებ ინფორმაციის წინასწარ მიღებას.

ამასთან, ზემოთ მოყვანილი ინ-

ფორმაცია ჩვენთვის იმ მხრივაც არის საინტერესო და მნიშვნელოვანი, რომ ქართველები სწორედ უხსოვარი დროიდან ვეწეოდით სამიწათმოქმედო საქმიანობას, რაც დასტურდება ჩვენს ენაში არსებული შესაბამისი პლასტებით და მრავალი არქეოლოგიური არტეფაქტით.

მათგან ნიმუშად მოვიყვანთ შედარებით ახალი კვლევების მასალებს [9, 12] წყაროებიდან.

პირველ მათგანში მსჯელობა მიდის ტერმინ **ღვინის** ქართული ნიშნის დაგვიან ადმოცენების თაობაზე. ამ მოსაზრების საფუძვლიანობის დასამტკიცებლად ვეყრდნობოდით, ჯერ ერთი, ყველასათვის კარგად ცნობილ ფაქტებს:

- საქართველოში არსებობს ვაზის 500-ზე მეტი ჯიშში;
- მრავლად გვხვდება აგრეთვე ველური ვაზის სახეობები;
- მსოფლიოში არსებული ღვინის დაყენების 3 წესიდან 2 ქართულია;
- ბოლო წლებში საზღვარგარეთის სამეცნიერო ცენტრებში ჩატარებული კვლევებით გაირკვა, რომ საქართველოში კულტურული ვაზის გაშენების და მისგან ღვინის დაყენების ისტორია თარიღდება არა უგვიანეს ძვ. წელთაღრიცხვის მე-6-მე-5 საუკუნეებით!

შემდეგ, ჩვენი ვარაუდით, სიტყვა ღვინისთვის ამოსავალ ცნებად უნდა ქცეულიყო უძველესი ტერმინი **ხევი** (წყლის ცნების აღმნიშვნელი), რომლისგანაც, ქართული ენისათვის დამახასიათებელი ტიპური გადასვლით, მიღებული იქნა ხეა → ხე, ხო-

ლო, ხის ზოგიერთი ჯიშის (ამ შემთხვევაში ვაზის) ნიშან-თვისებიდან გამომდინარე, სიტყვა **ხვიამ** (ხვია-რამ) წარმოშვა **ღვინო!**

გადის წლები და ეს ტერმინი, ამა თუ იმ მოდიფიკაციით, სხვა ენებშიც გადადის შემდეგი „ნამსხვრევების“ სახით:

ევროპაში – vinum, wine, vin, vino, Wein, вино;

სომხეთში – գինი (გინინ);

და, ფაქტობრივად პირვანდელი სახის შენარჩუნებით, ვალიურ ენაში – gwin!

მიგვაჩნია, რომ ბოლო ფაქტი სრულებითაც არ გახლავთ შემთხვევითი – დღევანდელი უელსელების წინაპრები იყვნენ კელტ-იბერები!

მეორე სტატიაში განიხილებოდა საკითხები:

- როგორი გზებით იღებდნენ ძველი ადამიანები (მათ შორის ჩვენი წინაპრები) სეზონების დადგომისა და მოსალოდნელი ამინდის შესახებ ინფორმაციას, რათა გაეგოთ – როდის მოეხნათ, დაეთესათ, მოეწიათ ჭირნახული და ა. შ.

- რა განსაკუთრებულ როლს ასრულებდა მნათობებზე დაკვირვებების საქმეში ის პირველყოფილი ობსერვატორიები, რომლებიც შემდგომ (ან აგებისთანავე) თავანისცემის საკულტო ობიექტებადაც იქცნენ ჯერ წარმართული, შემდგომში კი -ფუნდამენტური რელიგიების ძეგლთა სახით.

ჩატარებული კვლევების შედეგად მივედით ასეთ დასკვნებამდე:

- წარმართული ეპოქის ძეგლები, მათ ახლომდებარე მთებზე განლაგე-

ბულ მზისა და მთვარის („ქალის“ და „მამაკაცის“) კერპებთან „თანამშრომლობით“ (და ხშირად ორი მდინარის შეერთების ადგილას) თავისებურ სამკუთხედს ქმნიდნენ ასტრონომიული დაკვირვებებისთვის.

- სავსებით ბუნებრივია, რომ მრავალ შემთხვევაში სწორედ აღნიშნული ფაქტორების ზეგავლენით ხდებოდა ადგილზე მცხოვრებთა მიერ თეონიმებისა და, მეტონიმის გზით, ტოპონიმების სახელდება!

საერთოდ, მნათობების ცხოველქმედებას და მათ მიმოქცევაზე დაკვირვებით მიღებულ ინფორმაციას იმდენად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ადამიანისათვის, რომ შორეულ წარსულში წარმართულ სარწმუნოებათა მიმდევარ ერებს მნათობები და პლანეტები სულიერი არსებების, მეტიც – ღვთაებების რანგში აჰყავდათ, რისი გამოძახილიცაა, მაგალითად, ეს კოლხური ლექსი:

„მზეა დედაჩემი, მთვარე მამაჩემი, და წვრილ-წვრილი ვარსკვლავები და-ძმებია ჩემი“.

ცივილიზაციის მომდევნო ეტაპებზე:

- ქრისტიანები წმინდანებს მნათობთა შარავანდედით ამკობენ;

- მთვარის და მზის ტრაქტორიების მონაცვლეობასთან დაკავშირდა ძველებრავალი კალენდარი, ასევე, – მზისა და მთვარე-მზის სახელწოდების მქონე ჩინური კალენდრის სახეობები და ამ უკანასკნელის ბაზაზე შექმნილი იაპონური კალენდარიც;

- მაჰმადიანობის სიმბოლოდ იქცა მთვარისა და ერთ-ერთი ცდომილის გამოსახულება, ტრადიციულ

მუსლიმანურს კი სწორედ მთვარის კალენდარი წარმოადგენს.

ამ და სხვა ფაქტებზე დაყრდნობით გამოვთქვით ჰიპოთეზები, რომელი მექანიზმების დახმარებით რასახის მნიშვნელოვანი ცოდნა დააგროვა კაცობრიობამ განვლილი ათასწლეულების მანძილზე შემეცნების სხვადასხვა სფეროში.

ძირითადად ქართველური ენების მასალებიდან ამოვდიოდით, მაგრამ, ამინდის პროგნოზირება, რათქმა უნდა, მარტო ჩვენი წინაპრების ზრუნვის საგანი არ იყო.

გარდა იმისა, რომ ადამიანები დედამიწის სხვადასხვა კუთხეში ასტრონომიული ცოდნის დასაუფლებლად აშენებდნენ პირამიდებს და მთელ კომპლექსებსაც კი, როგორც აღმოჩნდა, დასახული მიზნის მისაღწევად ისინი ყოველდღიურ ცხოვრებაშიც იყენებდნენ სპეციფიკურ, მცირე ზომის, ასე ვთქვათ, მობილურ ხელსაწყოებს...

მოგვყავს ამონარიდი სტატიიდან [12]:

„ძალიან დიდი ინტერესი გამოიწვია ამ საუკუნის დასაწყისში ევროპის ტერიტორიაზე აღმოჩენილმა, ნებრას დისკოს სახელით ცნობილმა არტეფაქტმა. სხვადასხვა დარგის მეცნიერთა მჭიდრო თანამშრომლობის შედეგად, ანუ ინტერდისციპლინური მიდგომის საფუძველზე, გაირკვა, რომ ნაპოვნი დისკო უძველესი ასტრონომიული მოწყობილობაა, რომელიც ნებრას და მის სიახლოვეს მცხოვრებ ადამიანებს ეხმარებოდა მზის ბუნიობის დღეების დადგენაში – დისკოზე განთავსებული ოქროს

რკალებით შემოსაზღვრული 82-გრადუსიანი კუთხის ზომა ზუსტად ემთხვევა ამ ტერიტორიაზე ბუნიობის მომენტებისათვის მზის ჩასვლა-ამოსვლის პოზიციებს შორის ფიქსირებული კუთხის სიდიდეს.“



ნახ. 1 ნებრას დისკო

უფრო შორეული ისტორია კი ასეთი გახლავთ:

ძველ საბერძნეთში ჩაისახა ასტროლაბიად წოდებული მეცნიერული მიმართულება, რომელიც ეყრდნობოდა სფეროზე განთავსებული წრეხაზების სიბრტყეზე დატანის პრინციპს; მიღებულ პროექციაზე დაყრდნობით ხდებოდა მომავალში მნათობების ტრანეპტორიების დადგენა და შესაბამისად, მნიშვნელოვანი ასტრონომიული მოვლენების დადგომის დროთა გაანგარიშება.

შემდგომში ასტროლაბიის დარგი დიდად განავითარეს ისლამისტმა მეცნიერებმა მათემატიკური მეთოდებისა და ამ საქმისათვის საჭირო ხელსაწყოების სრულყოფის გზით.

მათი მიღწევებით დაიწყო სარ-

გებლობა ევროპაშიც – ასტროლაბით დაინტერესება აქ მონარქების კარზე პრესტიჟის საქმედაც იქცა, კვლევების ჩასატარებლად შესაბამისი ხელსაწყოების, რომლებიც ამავე დროს ხელოვნების ნამდვილ ნიმუშებსაც წარმოადგენდნენ, ფლობა კი – ფუფუნების დონის მაჩვენებლად! მაგრამ, რადგანაც ყველაფერს თავისი დასაწყისი აქვს, ასტროლაბებად წოდებული ხელსაწყოებისთვისაც უნდა არსებულიყო „ადამი“ და ჩვენც უფრო შორეულ წარსულში გადავინაცვლოთ.

...

ადამიანი უხსოვარი დროიდან ცდილობდა, საკუთარი თავისათვის შრომა შეემსუბუქებინა. ამ მიზნით, ის ჯერ ქმნიდა პრიმიტიულ საფხეკებს, დანებს, შუბებს, შემდეგ კი ხელი მიჰყო ისეთი ინსტრუმენტების დამზადებას, როგორცაა ცეცხლის გამჩენი ხელსაწყოები, მაკრატელი, მარწუხი, მშვილ-ისარი და ა. შ.

შენიშნავთ, რომ ჩვენი წინაპრებისათვის ეს საქმიანობა უზარმაზარი წინგადადგმული ნაბიჯი იყო არა მარტო სამეურნეო საქმის, არამედ ინტელექტის განვითარების თვალსაზრისითაც!

ჯერ კიდევ იმ ეპოქაში, როდესაც ადამიანი მხოლოდ შემგროვებლობით საქმიანობას ეწეოდა (ძირხველების, კენკრის მოძიებას) ანდა მონადირეობას მისდევდა, მას მაშინაც სჭირდებოდა სეზონების დადგომისა და მოსალოდნელი ამინდის შესახებ ინფორმაციის მიღება (თუნდაც იმის გასაგებად, ტყეში შემოღამებისას ცა მთვარიანი იქნებოდა თუ უმთვარო).

ჰორიზონტზე მზის ამოსვლა-

ჩასვლის წერტილების მონაცვლეობასა და მთვარის განსხვავებული სი-სავსის მქონე ფაზებზე დაკვირვება სწორედ ასეთი ცოდნის დაუფლების საშუალებას იძლეოდა!

აღსანიშნავია, რომ ბოლო ხანებში მნიშვნელოვნად იცვლება წარმოდგენები კაცობრიობის განვითარების ეტაპების შესახებ:

აღმოჩნდა, რომ ათეულ ათასობით წლის წინათაც კი ადამიანები არცთუ ისე პრიმიტიული არსებები იყვნენ, ვიდრე ეს აქამდე წარმოედგინა მეცნიერებას.

არქეოლოგებმა საკმაოდ ბევრი არტეფაქტი მოიპოვეს ქვებზე, ცხოველების ძვლებსა თუ გამოქვაბულების კედლებზე დატანილი ნახევარმთვარეების მწკრივთა სახით, რაც მეტყველებს იმ ფაქტზე, რომ ადამიანმა ამ მნათობის ფაზების მონაცვლეობაზე დაკვირვება ძალიან დიდი ხნის წინ დაიწყო.

გადიოდა წლები, საუკუნეები, ათასწლეულები და იცვლებოდა როგორც ადამიანების ცხოვრების წესი, ასევე იცვლებოდა და ვითარდებოდა მნათობებზე დაკვირვების ხერხებიც.

ბუნებრივია, რომ ცოდნის მოძიება-ფიქსირების მხრივ მეტი შესაძლებლობებით გამოირჩევა მთვარემზის კომბინირებული კალენდარი და საუკუნეთა განმავლობაში ადამიანი ასეთი კალენდრების სრულყოფით მეტად დიდ ცოდნას აგროვებდა, რომელსაც შემდგომში იგი წარმატებით იყენებდა თავისი საქმიანობის მრავალ განსხვავებული სახის სფეროში.

თუმცა, მიუხედავად დამკვიდ-

რებული აზრისა, ჩვენ ვთვლით, რომ ძველი, მუდამ მოძრაობაში მყოფი ადამიანებისათვის მაინც მზის საათი უნდა ყოფილიყო ასტრონომიული დაკვირვებების მიზნით შექმნილი პირველი, ამასთან, უმარტივესი ინსტრუმენტი.

და იგი გახლდათ მიწაზე შემოხაზული რკალის ან წრის ცენტრში ჩასმული შუბი, თვით წრეწირი კი მასზე განთავსებული მცირე ფოსოებით, ქვებით ან მარგილებით (შდრ. პროფესია მემარგეს. იხ. ქვემოთ) თავისებური ციფერბლატის როლში გვევლინებოდა.

დროთა განმავლობაში მზის ეს პრიმიტიული საათი შეცვალეს სტაციონალურმა **ქვაკაცებმა, ქვასვეტებმა, ჭორტებმა.**

საქართველოს მთიანეთში დღემდე შემორჩა სწორედ ასეთი სახის (რაც მათ არქაულობაზე მეტყველებს), მოსახლეობის მიერ მზის ბუდეებად წოდებული ძეგლების ნაშთები.

როგორც მკვლევარი გიორგი გიგაური აღნიშნავს, ადრე ჩვენს სოფლებში დროისა და ამინდის შესახებ ინფორმაციის მოძიებას, მზისა და მთვარის ჩრდილებზე დაკვირვების გზით, **მემარგედ** წოდებული სპეციალურად გამწესებული კადრიც კი ემსახურებოდა.

ზემოთ ჩვენ სწორედ მზისა და მთვარის სახელების წყვილს დავუკავშირეთ რიგი ტოპონიმების და ზოგიერთი სხვა დატვირთვის ტერმინის წარმოშობა.

ამჯერად უფრო დაწვრილებით განვიხილოთ საკითხი, თუ რა როლი

ითამაშეს აღნიშნული სახის დაკვირვებებმა შემეცნების ისეთი უზარმაზარი მნიშვნელობის სფეროს, როგორცაა მათემატიკაა, კერძოდ, მისი საწყისის – **თვლისა და ანგარიშის** პროცესების და მათ საფუძველზე რიგი სხვა უმნიშვნელოვანესი დარგების, მაგალითად, არქიტექტურის, წარმოშობა-განვითარებაში.

ჯერ ყურადღება მივაქციოთ შემდეგ საინტერესო მომენტს:

როგორც ჩანს, რომ ჩვენი ტაძრების ხუროთმოძღვრები თავიანთი საქმიანობისათვის ემზღებოდნენ **გონიოს** მიიჩნევდნენ, ხოლო დასავლელი არქიტექტორი მასონები (ეს ტერმინი მოდის ქვისმთლელთა პროფესიიდან) – **ფარგალსაც**, და მათ იმდენად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ, რომ, ერთ-ერთი ვერსიით, ამ ინსტრუმენტებზე დატანილი G ასოთი ღმერთის (God) მიერ ამ ორდენის მფარველობაზე მიანიშნებდნენ.

ქვემოთ სურათზე აღბეჭდილი მეტად ცნობილი გამოსახულება ხომ არ გვაუწყებს, რომ გონიო – აღმშენებლობის სიმბოლო მხოლოდ გონიერ ადამიანებს უნდა ეპყრათ ხელთ ?!



ნახ. 2 სვეტიცხოველი

მართლაც, ციურ სხეულებზე დაკვირვებით მიღებულმა შედეგებმა უზარმაზარი გავლენა იქონია ინტელექტის განვითარებაზე. სწორედ მათი დამსახურებაა წელიწადის დაყოფა დღეებად და კვირებად, ცის თაღის 12 ზონად წარმოდგენა, ასტრონომიული მოვლენების დადგომის მომენტების გათვლისათვის საჭირო მეთოდების შემუშავება და შესაბამისი აპარატურის შექმნაც.

მთვარე, მნათობი თავისი „არასტანდარტული“, ამინდის ცვლილებების დიდად განმაპირობებელი მოძრაობებით, ბუნებრივია, რომ უხსოვარი დროიდან იქცევა ადამიანის ყურადღებას!

აქედან გამომდინარე, სავსებით ლოგიკურია მოსაზრება, რომ ამ ციური სხეულისგან გამოწვეულ მოვლენებს, სახელებს, ფაზებში განსხვავებულ ფორმებს თუ ზომებს, ასევე – ამ ფაზების იდენტიფიცირება-დათვლის საჭიროებას მრავალი სხვადასხვა შინაარსის ცნებისათვის დაედო სათავე, რომელთა დაფანტვაც შემდგომ მრავალ ენაში მოხდა!

ვთვლით, რომ მთვარის ფორმებთან მიმსგავსებამ განაპირობა შემდეგი ტერმინების შემოღება:

ნამგალა (← მანგალა, მანგი), სა-ვ * ს-ე, ნავი (ბოლო ტერმინი მრავალი ენის საკუთრებაა), მნათობის ფაზებზე დაკვირვებებით კი შეიქმნა ასევე მრავალ ენაში არსებული ტერმინები: new, новый.

მეტ-ნაკლები სიცხადით შეიმჩნევა წყლის ცნებასთან მთვარისა და უძველესი კალენდრების დასახელებების ეტიმოლოგიური კავშირები,

ასევე, რიგი ღვთაებების და საკულტო ნაგებობების სახელებთან;

ჩვენი ვარაუდით, სწორედ მნათობებზე დაკვირვება გახდა ერთ-ერთი (თუ ერთადერთი არა) წყარო ისეთი ფენომენების დაბადებისა, როგორცაა თვლისა და ანგარიშის პროცესები (ამის თაობაზე ქვემოთ ვისაუბრებთ).

შემდეგ, ცნობილია, რომ *თეთრ გიორგის – მთვარის კულტთან გაიგივებულ ღვთაებას* – გაზაფხულზე ჩვენში ხარს სწირავდნენ. მკვლევარები იმ მომენტზე ამახვილებენ ყურადღებას, რომ წარმართი ქართველები ნამგალა მთვარის ფორმის ხარის რქებზე სანთლების ანთებით სწორედ მთვარეს მიაგებდნენ პატივს. ინტერესს იწვევს ტერმინი *ლაზა*, რომელსაც ეთნოლოგები ასეთ განმარტებას აძლევენ – *რქებდახრილი ხარი*.

საერთოდ, ხარს იმდენად დიდ პატივს სცემდნენ ძველი სამყაროს ადამიანები (და არა მარტო ქართველები), რომ თვით ბიბლიურ მოსეს („წყლიდან ამოყვანილს, გადარჩენილს“) სწორედ მისი რქებით შემკულს გამოსახავდნენ, ხოლო ოლიმპოს მეუფე ზევსი – ცის, ელვის და ქუხილის ღმერთი, თქმულების მიხედვით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მისიის შესრულებისას სულაც ხარის სხეულის ფორმას იღებდა!

ამ, ცოტა არ იყოს უცნაურობის მიზეზი, ვფიქრობთ, კარგადაა ახსნილი წყაროში [13]:

«Дело в том, что «рог» был одной из древних метафор земной и боже-

ственной власти, которая в библейском тексте относится не только к различным царствам (Илл. 2), но и к самому Господу. Влиятельный богослов и энциклопедист Исидор Севильский (ок. 560-636) сравнивал с двумя рогами две части Писания – Ветхий и Новый Заветы».

დავუბრუნდეთ ტერმინ ლაბას:

რადგანაც ხარს, როგორც გამწვევ ძალას, იმდენად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მეურნე ადამიანისათვის, რომ ის საკულტო ობიექტადაც კი იქცა, გამორიცხული არ არის, რომ სწორედ ლაბამ დაუდო სათავე სიტყვა labor-ს (ლათ. მუშაობა). არ გამოვრიცხავთ მისგან დღეს ასობით ენაში არსებული და შინაარსით ახლოს მყოფი ტერმინების შექმნის შესაძლებლობასაც, მათ შორის ძველბერძნული, მრავალი ფუნქციური დატვირთვის მქონე λαβία სიტყვის, ასევე, დამკვიდრებული მოსაზრებისაგან განსხვავებით, – სლავური работа-სიც.

წყლის ცნებასთან ეტიმოლოგიური კავშირის კუთხით საინტერესო სიტყვაა ლაბადაც – წვიმისას გამოყენებული წამოსასხამი. ლაბადა ქართულ ენაში სპარსულიდან შემოსულად მიაჩნიათ, თუმცა, უფრო სავარაუდოა, ეს ტერმინი მეტად შორეული წარსულიდან მოდიოდეს და ორივე ენის კუთვნილება იყოს!

-ლუმპ- და Λάμψα სიტყვების წყალთან კავშირი სხვა ენებშიც შეიმჩნევა, მაგალითად, რუსეთში გვხვდება Ламба სახელის რამდენიმე მდინარე და ტბა, ხოლო ფინეთსა და რუსეთისგან მიტაცებულ კარელიის ტერიტორიაზე – lampi ან lambi სა-

ხელწოდების ასობით ტბა.

ცნობილია, რომ ჭურჭლისა და სასმისების სახელებისათვის ეტიმონი ხშირად წყლის აღმნიშვნელი ესა თუ ის ტერმინია. შესაძლებლად ვთვლით სიტყვა ლამბაქის დაკავშირებას ლამბ ტერმინთან.

შემდეგ, გვსურს ხაზი გავუსვათ იმ უზარმაზარ როლს, რომელიც კაცობრიობის ისტორიაში და კერძოდ, რიგი თეონიმების და ტოპონიმების წარმოშობაში შეასრულა მნათობებზე დაკვირვებებმა და ამ მიზნის მისაღწევად შექმნილმა უმარტივესმა ხელსაწყოებმაც.

საერთოდ, ეტიმოლოგიების თაობაზე ძალიან ხშირად ვხვდებით ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებულ მოსაზრებებს და ამ მხრივ განსაკუთრებით სცოდავს ხალხური ეტიმოლოგია.

მაგრამ ზოგჯერ ასეთი ვერსიების დამბადებელი, ე. წ. გადააზრების მოტივის გაანალიზება იძლევა შესაძლებლობას, რომ აშკარად მცდარ ვერსიებშიც რაციონალური მარცვალი აღმოვაჩინოთ.

მაგალითად მოვიყვანოთ მოსაზრება ტერმინ ინგლისის – Anglia-ს – წარმოშობის თაობაზე. დომინანტური შეხედულება ასეთია:

Заимствовано из латинского Anglus, в свою очередь заимствовано из германского источника (сравните древнеанглийский Ængle / Engle («Угол»)). Вероятно, происходит от топонима Angle, связанного с протогерманским * anguz «узкий, плотный; сужающийся, угловатый», что означает либо «узкую» воду (то есть эстуарий Шлей), либо «угловатую» форму полуострова.

Народная этимология, связывающая это слово с английским ангелом или каким-либо предшествующим ему, явно неверна (ხაზგასმა ჩვენია).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სიტყვა *ანგელოზი* (ძვ.-ბერძნ. ἄγγελος), ლინგვისტიკის ვარაუდით, **უცნობი აღმოსავლური ენიდან იღებს სათავეს**.

ვიკილექსიკონიდან ზემოთ მოყვანილ ამონარიდში განსაკუთრებით საინტერესო ის გახლავთ, რომ, განსხვავებით იქ მოყვანილი და ჩვენგან ხაზგასმული მტკიცებისა, ამ კონკრეტულ შემთხვევაში ხალხური ეტიმოლოგია დიდად არ გასცილება სინამდვილეს და მისი ვერსია ემთხვევა ჩვენსას.

შევნიშნავთ, რომ ეს თემა უფრო დაწვრილებით გვაქვს განხილული ნაშრომში [14], რომელშიც, ἄγγελος და Anglia ტერმინების გარდა, სხვა თეონიმებისა და ტოპონიმებისთვისაც წარმოვაჩინეთ მსგავს სახელდებათა გამომწვევ მიზეზებს. მათ შორის ერთ-ერთ საფუძვლიანად მივიჩნევთ სწორედ ზემოთ ამონარიდში ნახსენებ Ængle / Engle (კუთხე) ტერმინს, ოღონდ სულ სხვა დასაბუთების საფუძველზე:

საქმე ისაა, რომ მრავალ ენაში პირდაპირი თუ ამა თუ იმ მოდიფიცირებული სახით გადასული ლათ. Angulus კუთხეს აღნიშნავს.

ვევარაუდობთ, რომ შორეულ წარსულში სწორედ ანკუს-სტრეკალი-goadaდ წოდებული, ორწევრიანი ფორმის (სანსკრ. <https://ru.wikipedia.org/wiki/%D0%A1%D0%B0%D0%BD%D1%81%>

D0%BA%D1%80%D0%B8%D1%82अङ्गुश, IAST: aṅkuśa) იარაღების თუ ინსტრუმენტების მსგავსი ხელსაწყოები ასრულებდნენ მონაკვეთებისა და კუთხეების სიდიდის გამოზომის როლს (მსგავსად თანამედროვე ზუსტმზომისა) და ეს ფორმა იდენტური გახლდათ ძველბერძნული ალფავიტის რიგით მე-12, λάμβα-დ სახელდებული Λ (λ) ასოსი (მივაქციოთ ყურადღება ამ სიმბოლოს გრაფიკულ სახეს).

λάμβα სიმბოლოსთან მიმართებით ყურადღებას იქცევს კიდევ რამდენიმე გარემოება:

- ასტრონომიის სფეროსთან უშუალო კავშირში მყოფი ზოდიაქოს წრის მე-12 თანავარსკვლავედი თევზების სახელს ატარებს;
- ზოდიაქოს მე-12 თანავარსკვლავედს ასევე თევზის სახელით მოიხსენიებდნენ ძველი ქართველები;
- ასომთავრულის მე-12 **ლას** ასონიშანიც თევზის სახელს ატარებს და, აკად. გ. ჩიტაიას კვლევებით, ქართულ წარმართულ პანთეონში **ლას** გახლდათ თევზის ღვთაება;
- საქმე ისაა, რომ თევზის ცნება და მისი კონკრეტული სახეობების დასახელებანი მრავალ ენაში ეტიმოლოგიურად წყლის ცნებიდან მომდინარეობს;
- სწორედ წყლის ცნებასთანაა კავშირში ტერმინი გა-**ლუმპ**-ვა;
- აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დღეს ყველასათვის კარგად ცნობილი სამედიცინო ტერმინი **ლიმფა** ლათინური ენიდან მომდინარეობს და

ის ანკარა წყლის მნიშვნელობით გამოიყენებოდა. ამასთან, ეტიმოლოგიურ ლექსიკონებში *Lympha* სიტყვის წარმოშობა დაუდგენლად მიიჩნევა.

• ღვთაებად აღქმულ მთვარეს ძველი ქართველები (და არა მარტო ისინი) სწორედ წვიმის გამოგზავნას ევედრებოდნენ!

შემდეგ, სიტყვა **ლუმბა**, რომელსაც დიდად სავარაუდოა, ძველბერძნულ *λάμβα*-სთან ერთად საერთო წინაპარი ჰყავდეს, საბას მიხედვით, გახლავთ *საჭედარი* ანუ იგივე **ნალი**;

კერვის ერთ-ერთი სახეა **ლამზვა**, რომლის დროსაც ხდება ნაჭრის, ლეიბის დალიანდაგება ერთმანეთის მონაცვლე ახალი მთვარის მსგავსი ნახევარკალებით. ვთვლით, რომ ამ ტერმინს სათავე დაუდო მთვარის ფორმასთან მისმა მსგავსებამ.

როგორც მკვლევარი ელენე კოჟორიძე აღნიშნავს, თავის შედევრ „ნატურის ხეში“ გიორგი ლეონიძე *ნალისა* და *საჭედრის* ნაცვლად სწორედ *ლუმბას* ანიჭებს უპირატესობას: „გამოჩნდა რკალი ახალი მთვარისა, ვერცხლის ლუმბა“ (ლეონიძე 1980: 60). თუმცა თვლის, რომ მწერალი ამ ტერმინს მეტაფორული მნიშვნელობით იყენებს.

ჩვენი მოსაზრებით, სიტყვებს *ლუმბას* და *ნიმბს* (ლათ. *nimbus*) ერთი შორეული საერთო წინაპარი-ეტიმონი გააჩნიათ.

უფრო დაწვრილებით განვიხილოთ ბოლო პუნქტი და მასთან დაკავშირებული სხვა საკითხები:

ნიმბს სპეციალისტები ასეთ განმარტებას აძლევენ: – ღრუბელი, ქრისტიანულ და ბუდისტურ ხე-

ლოვნებაში თავის გარშემო შარავანდედის სტილიზებული გამოსახვა, სიწმინდის ან ღვთიურობის სიმბოლო.

აქვე უნდა ითქვას, რომ მთვარე – მნათობი, რომელიც ძველ ქართველებს (და, არა მარტო მათ) გაღმერთებულიც კი ჰყავდათ, სხვა აღმატებული ცნებების, მაგალითად, შარავანდედის ეტიმონადაც გვევლინება.

ლუმბა და *ნიმბ* ტერმინების თავკიდური თანხმოვნები ქართველურ ენებში ერთმანეთს ენაცვლიან ხოლმე, მაგალითად, წყლის აღმნიშვნელ სვანურ *ლიც*-სა და *ნიც*-ში, ასევე, – წყვილში *ნემსი-ლეფსი*. უკანასკნელი მონაცვლეობა გვარებშიც პოულობს გამოძახილს: *ნემსიწვერიძე-ლეფსიწვერიძე* და სხვ. [15];

წყლის ცნების აღმნიშვნელი ტერმინები რამდენიმე ასოციაციური მიმართებით ეტიმოლოგიურ კავშირშია *სინათლის*, *შუქის*, *მთის*, ღვთაებების და ასეთად აღქმული მთვარის მაიდენტიფიცირებელ სიტყვებთან [8].

არ გამოვრიცხავთ შემდეგი ვერსიების მართებულობასაც:

რომ *ლუმბა* ეტიმონია ძველი ბერძნების მიერ ღმერთების სამყოფელად მიჩნეულ *Οὐλύμπος* (*Oúlumpos*) – **ოლიმპისათვის**.

ჩვენს მონოგრაფიაში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი წყლისა და სინათლის ცნებებს შორის ეტიმოლოგიური კავშირის მიზეზების ახსნას. იგივე ითქმის მარადიული ყინულით დაფარული, მზისა და მთვარის სხივებით გაბრწყინებული მწვერვალების შესახებაც, რომლებიც

ადამიანში განსაკუთრებული მოწიწების, ღვთიურობის, სინათლე-სიწმინდედ აღქმის შეგრძნებებს აღძრავდა.

შესაძლებლად მიგვაჩნია ასეთი კავშირების არსებობაც შემდეგ ტერმინებს შორის:

- *ლუმბა* – (ლათ.) lampas, (ძვ.-ბერძნ.) λάμπας (ეს სიტყვა ბერძნებისათვის არა მხოლოდ სინათლის, ასევე, – *დღისა* და *მზის* ცნებებთანაც ასოცირდებოდა), აგრეთვე, ადრე ნახსენებ *ლაპლაპთან*.

- სავარაუდოდ, ქართლურ დიალექტში დიდი ცეცხლის აღმნიშვნელი *ლაპ* სიტყვა *lap (lamp) სახით ენათა მარაგის უძველესი ფენის კუთვნილებათ.

ნიშანდობლივია, რომ შორეულ წარსულში ხმელთაშუაზღვისპირეთი ეკავა არაინდოევროპული წარმოშობის ხალხებს და, მკვლევართა ვარაუდით, ტერმინი ოლიმპო-Όλυμπος სწორედ წინაბერძნული ენიდან მომდინარეობს;

ასევე, მეცნიერები გვიმტკიცებენ, რომ ორი უმთავრესი ეგვიპტური ღმერთის **თოთის** და **ოსირისის** სახელები ქართულენოვანი სამყაროდან წარმოსდგება.

ცნობილია, რომ *თოთი* გახლდათ მთვარის, დამწერლობის და აღრიცხვის ღმერთი! [11]. ასევე ვიცით, რომ ორშაბათის მეგრული დასახელებაა **თუთაშა** და ეს სიტყვა მთვარის დღეს აღნიშნავს. *თვის* აღმნიშვნელ ძველქართულ *თთუე*-სთან ქართველი მეცნიერები სწორედ *თოთ*-თან აკავშირებენ.

ბოლო მოსაზრებას ჩვენ კითხვა-

საც დავუმატებდით – ხომ არ აღნიშნავდა სიტყვა **თოთო** ახალ მთვარესაც?

შემდეგ, ცნობილია, რომ ტერმინები, მით უფრო ისინი, რომლებიც ლექსიკური მარაგის უძველეს ფენას განეკუთვნებიან, შინაარსის მხრივ მნიშვნელოვნად განსხვავებული მრავალი და არცთუ იშვიათად ანტონომიური დატვირთვის სიტყვებისთვისაც, ეტიმონების როლში გვევლინებიან.

მაგალითისთვის საკმარისია დავასახელოთ ტერმინი თავი და მისგან რაიმე ასოციაცია– ლოგიკის მეშვეობით წარმოშობილი ა ს ო ბ ი თ სიტყვა.

აქედან გამომდინარე, გასაკვირი არ უნდა იყოს ათიათასობით წლის წინ მცხოვრები ადამიანის მიერ, რომლისთვისაც მნათობებზე დაკვირვების გზით ინფორმაციის მიღებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, ამ და მომიჯნავე საქმიანობებთან დაკავშირებული უამრავი ტერმინის შექმნა და დღეს ფრიად ძნელდება ენათა ვრცელ სამყაროში გაფანტული სიტყვების ეტიმონებზე გასვლა! მ ა გ რ ა მ, თუ მივმართავთ ემპათიის ფენომენს, ანუ ვეცდებით, თავი წარმოვიდგინოთ პროცესის სათავეებთან, ვვიქრობთ, რომ შესაძლებელი უნდა იყოს გარკვეული შედეგების მიღწევა.

ცხადია, ზემოთ ხსენებული ნებრას დისკო (და მისი მსგავსი ხელსაწყოები) ასტრონომიული დაკვირვებებისთვის გამოყენებული ერთადერთი ინსტრუმენტი არ იქნებოდა, მაგრამ, სწორედ ამ დისკოს „არქიტექ-

ტურა“ და გამოყენების პრინციპი გვკარნახობს, როგორც უნდა ყოფილიყვნენ მისი წინამორბედები და შემდგომ ეტაპებზე – ამ მიზნით აგებული სტაციონარული ძეგლებიც!

დასმულ საკითხთან მიმართებით გამოთქმული გვაქვს ასეთი მოსაზრებები:

- ძეგლებისათვის, რომლებიც ჯერ წარმართული და დროთა განმავლობაში ფუნდამენტური რელიგიების საკულტო ობიექტებად იქცნენ, სპეციალურად შეირჩეოდა ადგილები და ნიშნულებთან – სამკუთხედის 2 წვეროსთან მიმართებით კუთხე;

- იგივე ითქმის ზემოთ ხსენებული სამკუთხედის 2 სხვა წვეროს შესახებაც;

- სტაციონარული დაკვირვების პუნქტიდან ხდებოდა ჰორიზონტზე მნათობების ჩასვლა-ამოსვლის წერტილებს შორის კუთხის გაზომვა და ამა თუ იმ ასტრონომიული მოვლენის, მაგალითად, ბუნიობის თუ მზებუდობის ფიქსირება;

მომრავი ადამიანი კი დაკვირვებებისათვის იყენებდა უფრო მარტივი სახის ინსტრუმენტს – შაბლონს შესაბამისი სიდიდის კუთხეებთან შესადარებლად;

ასტრონომიული მოვლენების დადგომის გასაგებად მიმართავდნენ სხვა გზებსაც, მაგალითად, აკვირდებოდნენ, თუ როდის მოხვდებოდა მნათობი ორიენტირად მიჩნეულ მთებს შორის არსებულ „ღრეჩოში“ [იხ. დანართი].

ბოლო პუნქტთან დაკავშირებით უნდა ითქვას – როგორც ჩანს, შორე-

ულ წარსულში ეს ხერხი საქართველოში ისე გავრცელებული ყოფილა, რომ ძველი ცივილიზაციის ხალხები ჩვენს ქვეყანას (კერძოდ, რაჭას, რომელთანაც მათ მჭიდრო კავშირები ჰქონდათ) ისეთ ქვეყნად მიიჩნევდნენ, სადაც **მზე ორჯერ ამოდის**.

ეს ფრიად საინტერესო საკითხი შესანიშნავად აქვთ განხილული-ახსნილი ქართველ მკვლევარებს ქ-ნ ნ. ფოფხაძეს და ა. გიორგობიანს და მან გაგრძელება იპოვა ნაშრომში [11].

შემდეგ, ბუნებრივია, რომ ადამიანი აკვირდებოდა კვირის განმავლობაში ხილული მთვარის ფორმასაც და, ჩვენი ვარაუდით, სწორედ მთვარის რკალების თანმიმდევრობის დაფიქსირებამ განაპირობა უზარმაზარი ნაბიჯების გადადგმა ადამიანის ინტელექტის განვითარების საქმეში და ეს გახლდათ მის მიერ ჯერ **თელის**, შემდეგში კი **ანგარიშის** პროცესებში გარკვევა და მათი საფუძვლიანად ათვისება!


მოგვყავს ამონარიდი იმავე წყაროდან:

„2013 წელს არქეოლოგებმა შოტლანდიაში აღმოაჩინეს უძველესი მთვარის კალენდარი, რომელიც მეზოლითის ხანისაა და რამდენიმე ათასი წლით უფრო ძველია, ვიდრე აქამდე უძველესად მიიჩნეული მესოპოტამიური კალენდარი.

გათხრების შედეგად ნაპოვნი იქნა 12 ორმო. ისინი მთვარის მდებარეობასა და ფაზებს თვეების მიხედვით იმეორებს. ორმოების მწკრივი ემთხვევა ზამთრის შუა პერიოდში მზის ამოსვლასაც და ეს, ბირმინჰემის უნივერსიტეტის მკვლევართა ვა-

რაულით, მონადირე-შემგროვებელთა საზოგადოებას აძლევდა სეზონების ცვლის დადგენის შესაძლებლობას. მათივე მოსაზრებით, ეს მონუ-

მენტი დაახლოებით 10 ათასი წლის წინ შეიქმნა. კვლევათა შედეგები გამოქვეყნდა ჟურნალ "Internet Archeology-ში".



ნახ. 3. შოტლანდიაში ნაპოვნი უძველესი საკალენდრო კომპლექსის ნაშთები

როგორც ზემოთ აღვნიშნავდით, რომ სწორედ მნათობების ტრანექტორიებზე დაკვირვებებმა და ამ მიზნით შექმნილმა ასტროლაბებმა ითამაშეს დიდი როლი ზუსტი მეცნიერებებისა და ტექნოლოგიების განვითარების საქმეში. მაგრამ, საქმე ისაა, რომ კაცობრიობა ყოველთვის მიდიოდა მარტივიდან უფრო რთული საშუალებების შექმნისაკენ. და ერთმანეთს რომ შევადაროთ პირველყოფილი ადამიანის მიერ დამზადებული საფხეკები და სხვა პრიმიტიული ინსტრუმენტები შემდგომ პერიოდებში შექმნილ ათასგვარ ინსტრუმენტებს, დავასკვნით, რომ ასტროლაბებსაც

უნდა ჰყოლოდათ წინაპრები და, ჩვენი შეხედულებით, ისინი იქნებოდნენ მნათობების ამოსვლა-ჩასვლის წერტილებს შორის კუთხის გამზომი მეტად მარტივი საშუალებები.

ზემოთ მოყვანილი ფაქტების შეჯერებით და ძველბერძნული Λ სიმბოლოს ფორმისა და ლამბდა-სახელწოდებიდან გამომდინარე, მივდივართ შემდეგ მოსაზრებამდე:

ერთ-ერთი ასეთი საშუალება უნდა ყოფილიყო ფორმით სწორედ Λ სიმბოლოს მსგავსი ხელსაწყო!

მთვარე კი, მნათობი თავისი „არასტანდარტული“, ამინდის ცვლილებების დიდად განმაპირობე-

ბული მოძრაობებით, ბუნებრივია, რომ უხსოვარი დროიდან იპყრობდა ადამიანის ყურადღებას!

აქედან გამომდინარე, ლოგიკურად წარმოგვიდგება ეს მოსაზრებაც:

სწორედ ამ ციური სხეულის დასახელებას (დასახელებებს), მისგან გამოწვეულ მოვლენებს, ფაზებში განსხვავებულ ფორმებსა და ამ ფაზების იდენტიფიცირება-დათვლის საჭიროებას უნდა დაედო სათავე მრავალი სხვადასხვა შინაარსის ცნებისათვის, რომელთა დაფანტვაც შემდგომ მრავალ ენაში მოხდა!

ვთვლით, რომ სწორედ მნათობების ტრექტორიებსა და ფაზების მონაცვლეობაზე დაკვირვებებმა ჩაუყარა საფუძველი თელისა და ანგარიშის პროცესების და რიგი არითმეტიკული ცნებების სახელდებას, როგორცაა, მაგალითად, ბრიტანული სამყაროს კუთვნილი ტერმინები:

number, nombre, nombre, nombre (ნომერი, რაოდენობა, რიცხვი, ციფრი, დიდი სიმრავლე, ჯამი), ასევე, – იმავე მნიშვნელობების მქონე ძვ. ფრანგ. Nombre-ს.

ამასთან, ჩვენი ვარაუდით, ამ სიტყვებს უფრო აქვთ შენარჩუნებული პირველსაწყისი სახე, ვიდრე ნომრის აღმნიშვნელ ლათინურ numerus-ს (თუმცა სპეციალისტებს დღეს მათ ამოსავლად მიაჩნიათ პროტონიდოევროპული *nem- (დაყოფა).

ჩვენ ამ ტერმინების წარმოშობასაც ვაკავშირებთ მთვარის ან მასთან ამა თუ იმ ასოციაციით კავშირში მყოფ უძველეს სახელწოდებებთან, რომელთა შემეგობით ხდებოდა მნათობებზე დაკვირვებისას მოპოვებული ინფორმაციის ფიქსირება.

დადასტურებულია, რომ ძველი ადამიანები 29,25 -29,83 დღე-ღამის განმავლობაში ერთმანეთისგან განარჩევდნენ და აფიქსირებდნენ მთვარის მოძრაობა-მდგომარეობის 8 ფაზას, რომლებსაც აჯგუფებდნენ 4 ძირითად პერიოდად:

ახალმთვარეობა (როცა მნათობი არ ჩანს), პირველი კვარტალი (ხდება მისი მატება), სავსე მთვარე, დაბოლოს, – (კლების) კვარტალი.

გამოვთქვამთ ვარაუდს, რომ ეს ადამიანები მთვარის 8 ფაზის აღმნიშვნელად იყენებდნენ სწორედ ამ ციფრებს:

I II III IV V VI VII VIII

შენიშვნა: დღეს მათ რომაული (ლათინური) ციფრების სახელით მოიხსენიებენ, თუმცა, ცნობილია, რომ რომაელებმა ისინი ეტრუსკებისგან გადაიღეს, ხოლო ამ უკანასკნელებმა, მკვლევართა ვარაუდით, – პროტოკელტებისაგან (ამ ციფრების ნაწილი მაინც).

ვთვლით, რომ V სიმბოლო აღნიშნავდა სავსე მთვარის ფაზას (შემთხვევითი არ უნდა იყოს მისი მსგავსება ძველბერძნულ Α სიმბოლოსთან), ხოლო I, II, III, IV და VI, VII, VIII ციფრები – ზრდადი და კლებადი მთვარის ფაზებს!

აქვე აღვნიშნავთ, რომ, როგორც მეცნიერებს მიაჩნიათ, ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესო V სიმბოლოს შემოღების მოტივთან დაკავშირებით დამაკმაყოფილებელი ახსნა-განმარტება არ არსებობს.

რომაულ ციფრებთან დაკავშირე-

რომაულ ციფრებთან დაკავშირე-

ბით ისიც უნდა ითქვას, რომ I, II, III სიმბოლოები, როგორც ჩანს, **თითები თვლის პროცესზე** უნდა მიგვი-თითებდნენ (რასაც თანამედროვე ადამიანიც ხშირად მიმართავს).

აღსანიშნავია, რომ ინდოევროპულ ენებში სიტყვა **ციფრის** აღმნიშვნელი digit ტერმინის ეტიმონად მკვლევარებს *თითი* მიაჩნიათ.

შენიშვნა: *ჟურნალ „პარალელის“ 2011 წლის №2 ნომერში გამოქვეყნებულ სტატიაში „ზოგიერთი მოსაზრება წარმართული პანთეონის და დამწერლობის წარმოშობის სათავეების შესახებ“ ებრაული წარმოშობისად მიჩნეულ ციფრ სიტყვას ჩვენ ეტიმოლოგიურად ვაკავშირებდით სვანურ-ჭანურ წიფრასთან (წიფელთან), რომელსაც, თავის მხრივ, გავყვართ ტერმინ ბიქილაზე ამ სიტყვის, მართლაც, ეტიმოლოგიური აღმასის აღმოჩენა კი ეკუთვნის ბატონ ზურაბ ქავიანიძეს.*

ვაგრძელებთ თემას, იბადება კითხვა – ხომ არ არის სიტყვა *თითი* ეტიმოლოგიურ კავშირში ძველევროპულ **თით** ღვთაებასთან, რომელიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მთვარის, დამწერლობის და აღრიცხვიანობის ღმერთად იყო შერაცხული!

რა თქმა უნდა, თითების დახმარებით თვლის პროცესის ჩასახვა მეტად ბუნებრივი მოვლენა უნდა ყოფილიყო და ამ მიმართებით ინტერესს იწვევს ასევე *თითის* აღმნიშვნელი მეგრული **კით** ტერმინი და მისი შესაძლო კავშირი *კით-ხვასთან*.

აქ უპრიანია, ისიც გავიხსენოთ, რომ ძველად მცირე ზომის სიგრძის

მონაკვეთების გაზომვის „ინსტრუმენტი“ გახლდათ სწორედ თითის ნაწევარი *გოჯიცი* (დაახლოებით 3,16 სმ).

შემდეგ, ლინგვისტები მრავალ ინდოევროპულ ენაში *თვის* აღმნიშვნელი ტერმინის, მაგალითად, ლათინური Mensis-ის ეტიმონად მიიჩნევენ მთვარისა და თვის გამომხატველ პროტონდოევროპულ *meh₁ns-ს. მას კი აკავშირებენ *meh₁-თან («გაზომვა») და ვარაუდობენ, რომ დროით ფაქტორზე ეს გადასვლა განპირობებული იყო მთვარის ფაზებზე დაკვირვებით.

ამ მოსაზრებას ჩვენც ვეთანხმებით, თუმცა ერთი დამატებით:

ზომ-გაზომვის ცნებებთან დაკავშირებული ტერმინების წარმოშობა ჩანს, ისეთ შორეულ წარსულში იღებს სათავეს, როდესაც ენები არცთუ ისე დიდად იყვნენ ერთმანეთისგან დაშორებულნი და ამ სიტყვებს, ჩვენ ვარაუდით, სხვა ენებშიც უნდა მოემბნებოდეთ მონათესავე ტერმინები, მაგალითად, როგორებიცაა:

ლათინური mensura (ზომა), ქართული *მანძილი*, არაბული *მანზილ*.

...

სტატიაში დასმულ პრობლემატიკასთან დაკავშირებით, ცხადია, ბევრი საკითხია გამოსაკვლევ-დასაზუსტებელი. დარწმუნებული ვართ, რომ ამ მიმართულებით მნიშვნელოვან ეფექტს მოიტანს სხვადასხვა დარგის სპეციალისტის ერთობლივ ძალისხმევები, ანუ ინტერდისციპლინურ კვლევები, რაც პრაქტიკამ არაერთხელ აჩვენა (ზოგიერთი მაგა-

ლითი ამ სტატიაშიც არის მოყვანილი).

დაბოლოს, ჩამოვთვლით რამდენიმე, ვფიქრობთ, საინტერესო, თუმცა „ნედლ“ მოსაზრებას, რომლებიც სწორედ ასეთი კვლევების ჩატარებას საჭიროებს:

ხომ არ არის არაბული *მინდორი* (მინ-დორი) ის უძველესი წარმოშობის კომპოზიტი-ტერმინი, რომლის სახელდება განაპირობა მიწათმოქმედი ადამიანების მიერ მოშიშვლებული ტერიტორიის ცენტრში საკულტო ობიექტის აღმართვამ?

ამ ტერმინის სიძველის დამადასტურებელია ის ფაქტი, რომ *მინდორი* მეგრულადაც და სვანურადაც თითქმის ასევე გამოითქმის და სავარაუდოა მისი მონათესავე სიტყვების არსებობა სხვა ენებშიც, როგორცაა, მაგალითად, *termin* (ter+min). ეს სიტყვა პროტოინდოევროპულიდან მომდინარედ ითვლება და საზღვრების გამმიჯნავ ქვას აღნიშნავდა. შევნიშნავთ, რომ სავსებით შესაძლებელი არის მას საკულტო ობიექტის და ტომთა კუთვნილი ტერიტორიების დამფიქსირებლის ფუნქციაც დაკისრებოდა! *termin* სიტყვის მცირედ სახეცვლილ ფორმად გვევლინება თითქმის იმავე დანიშნულების ირლანდიური *termon*-იც.

იქნებ სახელი ამ ძეგლისა, რომლის ძირითადი ფუნქცია მაინც მნათობებზე დაკვირვება უნდა ყოფილიყო, კავშირშია ტერმინ *ამინდთან*?

ამ მიმართებით ყურადღებას იმსახურებს აგრეთვე ასეთივე შინაარსის მქონე სიტყვები:

ტაროსი (ტარ = დარ(?!)) და მეგ-

რული *ხანდარა* (ხ-ან-დარ-ა(?!))

მკვლევარ გიორგი გიგაურის ინფორმაციით:

„*აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, ციხე-კოშკებში და ზოგიერთ საცხოვრებელ სახლის ფასადზე შემორჩენილია ჰორიზონტალური 'მზის საათის' მსგავსი ქვები. ერთ-ერთი ასეთი 'მზის საათი' დავაფიქსირეთ თუშეთის სოფელ ინდურთას (ხაზი ჩვენია) ერთ-ერთი სახლის ფასადზე*“.

ამავე მიმართებით ინტერესს იწვევს აგრეთვე სნოს თემის სოფ. ჯუთაში დღემდე შემორჩენილი **ღალანგურის** (ღალ-ან-გურ (?)) ნიში და მზის ბუდე.

თემში ინფორმაციის ზემოდან მიღება (*ზემოდან* სიტყვის გადატანითი და პირდაპირი მნიშვნელობებით) ეკისრებოდათ მის გამორჩეულ წევრებს (ქადაგებს, შამანებს, ...), რომლებიც ისეთი „სპეციალურებით“, როგორცაა რიტმული სახის რიტუალური ცეკვა-სიმღერები და ჰალუცინაციური საშუალებების გამოყენება, ტრანსში გადადიოდა!

შესაძლოა, ერთ-ერთი ასეთი საშუალება ყოფილიყო მანდრაგორიც (*Mandragora*). ამ ძალიან ძველი ტერმინით აღინიშნება ძალღყურძენასებრთა ოჯახში შემავალ მცენარეთა გვარი. მანდრაგორის ფესვები ზოგჯერ ადამიანის სხეულს ემსგავსება და მას მაგიურ ძალას მიაწერდნენ, რაც, ჩანს, ამ მცენარის ძლიერმოქმედი სპეციფიკური თვისებებით იყო განპირობებული.

სავარაუდოა, რომ ტრანსში გადასული შამანები და ქადაგნი თავიანთ

მრევლს მენტორების (მრჩეველების, ჭკუისდამრიგებლების) როლში ევლინებოდნენ. ლინგვისტიკის რეკომენდაციაა, ტერმინი Μένταρ შევადასწავლოთ სანსკრიტულ მანტრას (mantr) – აღმოსავლეთში ფართოდ გავრცელებულ ეზოთერულ ტრადიციას, რომელსაც ეს დატვირთვაც აქვს!

მთვარის სინონიმადაა მიჩნეული ძველქართული *მანგი*, რომელიც, ვფიქრობთ, ნაკლულ მთვარეს აღნიშნავდა და თუ ასეა, გამორიცხული არაა, მისგან მოდიოდეს ტერმინი *მანკი* (და *მანკიერი*).

+ (პლუს) და – (მინუს) სიმბოლოები და მათი დასახელებანი, სავარაუდოა, გამოძახილს პოულობდეს ჩინურ ფილოსოფიურ მოძღვრებაში *იან* და *იან* ელემენტების თაობაზე.

ვუშვებთ შესაძლებლობას, რომ ნამგალა მთვარის ძველსლავური სახელი Сепи ეტიმოლოგიურ კავშირში იყოს ქართულ და სომხურ *კერპთან*, ასევე – *srebro-სთან (ამ უკანასკნელისათვის კი დამაჯერებელი ეტიმოლოგიური ვერსია არ არსებობს).

ცნობილია, რომ ფუნდამენტური რელიგიების მიერ ხდებოდა ყოველგვარი წარმართული კულტის და მასთან დაკავშირებული რიტუალების შერისხვა. თუმცა, მათი ნაშთები, ამა თუ იმ არტეფაქტების სახით, მაინც შემორჩებოდა ბუნებასა თუ ადამიანების მეხსიერებაში, ხოლო ამ რიტუალების აღმნიშვნელი ტერმინების ახსნა-განმარტება ხდებოდა მნიშვნელოვანი გადაზრებით (როგორც, სავარაუდოდ, სიტყვა *ობერის* შემთხვევაში). აქედან გამომდინარე, გამორიცხული არაა, რომ ტერმინებს:

მონასტერი (ლათ. monasterium), *მონსტრი* (ლათ. Monstrum) და *მინისტრი* (ლათ. minister) ერთი ფუძე-წინაპარი ჰყავდეთ.

შევნიშნავთ, რომ ამ სიტყვების წარმოშობის შესახებ დღეს განსხვავებული მოსაზრებები არსებობს. ჩვენი ვარაუდით, შესაძლოა ეს წინაპარი ყოფილიყო მთვარესა და მზეზე დაკვირვებებისათვის განკუთვნილი ობიექტი, რომელსაც ადრე წარმართული საკულტო ობიექტის ფუნქციაც ჰქონდა შეთავსებული.

კალენდართან და მის უმნიშვნელოვანეს საზომ „ერთეულ“ კვირასთან მიმართებით, ვიტყვი:

მართლაცდა, საოცარია, როდესაც ამ სიტყვის ფესვებს ქართველი კაცი სადღაც სხვაგან ეძებს! და ეს ხდება მაშინ, როცა ქართულ სამყაროში ამ ნაყოფიერების ღვთაების სახელის ექო მოისმის, ფაქტობრივად, სიცოცხლის ნებისმიერი გამოვლინებიდან, როგორცაა ტერმინები:

კვირია (ნაყოფიერების სიმბოლო), **კვირტი**, **კვერცხი**, **კვერცხი** (ყვერი), **ქვირითი**.

არ გამოირიცხება *კვირას* ეტიმოლოგიური კავშირი ტერმინ **კვერთანაც** (როგორც რიტუალურ პურთან, ქადასთან, ...)

სავარაუდოდ, სიტყვა და-**კვირ** ვეზაც სწორედ მთვარის ფაზების ფიქსირების პროცესს უკავშირდება, შესაძლოა – სლავური на-внлюд-ениеც.

მანგალი არის *ნამგლის* ძველქართული სახელი, რომლისგანაცაა წარმოშობილი ტოპონიმი **მანგლისი**.

ხომ არ მდებარეობდა ადრე ამ

პუნქტში ასტრონომიული დაკვირვებებისათვის გამოიზნული ობიექტი?

უპრიანია გავიხსენოთ ეს სიტყვებიც (მზესთან მიმართებით):

ქათქათა, ქათინაური, ქადაგი, ქადაგება.

დაბოლოს, კალენდრების შექმნა-გამოყენებიდან ათასწლეულებია გასული და თუ გავითვალისწინებთ იმ მოსაზრებას, რომ მაშინ ენები არცთუ ისე დაშორებულნი უნდა ყოფილიყვნენ ერთმანეთისგან, უსაფუძვლოდ არ უნდა მოგვეჩვენოს ქვემოთ მოყვანილი სიტყვებისათვის საერთო ეტიმონიდან წარმოშობის თაობაზე ამ ვერსიების წამოყენება:

დაღი, დღე (დღა) და პროტოგერმანული *dagaz-იდან მომდინარე (გერმ.) Tag (დღე), ასევე, ამავე მნიშვნელობის მრავალი სიტყვა ინდოევროპულ ენებზე;

ებრაული **דיו** (იომ – დღე)-ის კავშირი სხვადასხვა, მათ შორის ქართულ ენაზე არსებულ ტერმინებთან: **ჟამი, ზომა, ზონა, ზამ, зима, зема, ...**

მრავალ ენაში ზაფხულის აღმნიშვნელი **Summer** შესაძლოა მომდინარეობდეს ტერმინ **ზომა-დან**, რომელიც ეტიმოლოგიურად კავშირში უნდა იყოს ტერმინებთან:

ზამ (ჟამი) სანსკრიტულ **सम** (sámā, «полгода, время года, погода, год»),

ასევე, **ზონასთან** (ძვ.-ბერძნ. – ღვედი, რომელიც, სავარაუდოდ, სიგრძის საზომ საშუალებადაც გამოიყენებოდა).

დაბოლოს, ვთვლით, რომ, სულ ცოტა, ყურადღებას იმსახურებს ყველა ის მოსაზრება, რომელთა თაობაზეც საუბარი გვექონდა წარმოდგენილ სტატიაში.

დასკვნის სახით:

საერთოდ, ყოველივე რთული იწყება ძალიან მარტივიდან, რომელიც ამავე დროს ფუნდამენტურიცაა:

1. გეომეტრია – წერტილის, მონაკვეთის, წრის, კუთხის ცნებებიდან და ინფორმაციის რაიმე მატარებელზე მათ დასატანად ჩხირის, ცარცის, სახაზავისა და ფარგლის შემადგენლობით ინსტრუმენტარიუმის მომზადებით;

2. კომპიუტერი – ორობითი სისტემიდან;

3. სამყაროს მოწყობის კანონების შეცნობა – უმარტივესი კითხვების დასმით, მაგალითად, ასეთის:

– *რატომ დაეცა ვაშლი დედამიწაზე და არ გაეშურა, ვთქვათ, ... მთვარისკენ?*

ჩვენ ვცადეთ, ერთ ასეთ შეკითხვაზე გაგვეცა პასუხი:

„რა იყო ... დასაბამითგან“ ?

ლიტერატურა

1. https://www.morebooks.de/gb/search?q=+%D0%93%D0%B5%D0%BB%D0%B0+%D0%93%D0%B2%D0%B8%D0%BD%D0%B5%D0%BF%D0%B0%D0%B4%D0%B7%D0%B5&via_keyword=1
2. <https://glavkniga.su/book/581342?from=bookler>

3. http://gtu.ge/View/index.html#http://gtu.ge/book/monografiebi/G_Gvinepadze_she moqmedebiTi_azrpvneba.pdf
4. გ. ღვინეფაძე. ზოგიერთი მოსაზრება წარმართული პანთეონის და დამწერლობის წარმოშობის სათავეების შესახებ. აკ. ი. ფრანგიშვილის დაბადებიდან 80 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია “საინფორმაციო და კომპიუტერული ტექნოლოგიები, მოდელირება, მართვა”. თბილისი. 2011. გვ. 536-539.
5. გ. ღვინეფაძე. “ენების წარმოშობის ახალი, წყლის თეორია მითოლოგიური, ბიბლიური და მეცნიერული შეხედულებების ჭრილში”. აკად. ივერი ფრანგიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი მესამე საერთაშორისო კონფერენცია “მეცნიერება და რელიგია”. მოხსენებათა თეზისები. თბილისი, 2014 ნოემბერი. გვ. 72-74.
6. გ. ღვინეფაძე. „მართვის თეორიის მეთოდების გამოყენება ენის წარმოშობის პრობლემატიკისათვის და ვიკილექსიკონის სრულყოფის საკითხი“. სტუ, შრომები. საინფორმაციო და კომპიუტერული ტექნოლოგიები, მოდელირება, მართვა. 2015, გვ. 191-197. ISBN 978-9941-20-575-0.
7. გ. ღვინეფაძე. “ენათა წარმოშობის საკითხი და პროექტორების მეთოდი”. ჟურნალი "პარალელი". 2015, N7. ISSN 0235-8417. გვ. 114-121.
8. გ. ღვინეფაძე. აკად. ივერი ფრანგიშვილის დაბადებიდან 85-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია “მეცნიერება და რელიგია”. მოხსენებათა კრებული. „ენების წარმოშობის ახალი, წყლის თეორია მითოლოგიური, ბიბლიური და მეცნიერული შეხედულებების ჭრილში“. თბილისი. სტუ-ს გამომცემლობა. 2015. გვ. 313-322.
9. გ. ღვინეფაძე. “ღვინის სახელდებისათვის”. ჟურნალი "პარალელი". 2019, №11. ISSN 0235-8417. გვ. 233-235.
10. გ. ღვინეფაძე. „ინტერდისციპლინური მიდგომის დახმარებით ზოგიერთი რთული ლინგვისტიკური ამოცანის გადაწყვეტა“. თბილისი. სტუ-ს გამომცემლობა, „შრომები“, 2019, №1 (511), გვ. 80-88. ISSN 1512-0996.
11. გ. ღვინეფაძე. „არქიტექტურა – მეცნიერების, რელიგიის და ხელოვნების და სფეროთა ურთიერთდამაკავშირებელი ფენომენი“. ირაკლი ციციშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი კონფერენციაზე 2018, 17 დეკემბერს წაკითხული მოხსენება. გამოქვეყნდა სამეცნიერო-ტექნიკურ ჟურნალში „არქიტექტურის და ქალაქთმშენებლობის თანამედროვე პრობლემები.“ 2019, № 10, გვ. 89-98, ISSN 2233-3266.
12. გ. ღვინეფაძე. „ინტერდისციპლინური მიდგომის დახმარებით ზოგიერთი რთული ლინგვისტიკური ამოცანის გადაწყვეტა (ტერმინ Georgia-ს ეტიმოლოგიისათვის)“. თბილისი. სტუ-ს გამომცემლობა, „შრომები“, 2019, №2 (512), გვ. 40-54. ISSN 1512-0996.
13. <https://meduza.io/feature/2018/01/28/otkuda-u-moiseya-vzylis-roga>
14. G. Gvinepadze. Version of the origin of the term Anglia. Tbilisi, Publishing House

„Technical University“, 2022, №4 (526), ISSN 1512-0996.

15. ლ. სულამანიძე. „ქართული გვარები. ეტიმოლოგიური ძიებანი“. თბილისი, 2017.
16. გ. ღვინევაძე, “ქაშუეთის ტაძრის ეტიმოლოგიისათვის”, სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი „არქიტექტურის და ქალაქთმშენებლობის თანამედროვე პრობლემები“, 2021, № 14– 15, გვ. 133-138, ISSN 2233-3266.

რეზიუმე

სტატიაში ასახულია იმ კვლევების შედეგები, რომლებიც ძირითადად უძველესი ქართველური ენების მასალებზე დაყრდნობით ტარდებოდა. ამასთან ერთად, სხვადასხვა ენაზე არსებული ტერმინების და არტეფაქტების ერთმანეთთან შედარებისას გამოყენებული იყო ინტერდისციპლინური მიდგომები. ყოველივე ამის საფუძველზე წამოყენებული იქნა რიგი ჰიპოთეზისა, თუ კაცობრიობის მიერ დაგროვილი ცოდნის რომელ პლასტებში აისახა მნათობების ტრექტორიებზე დაკვირვებების შედეგად მიღებული ინფორმაცია. ეს პროცესი ძალიან შორეული პერიოდიდან იღებს სათავეს, როდესაც ენები არცთუ ისე დიფერენცირებული იყო დღევანდელი ვითარებასთან შედარებით. იმ პერიოდის ადამიანების მიერ ამინდის პროგნოზირების პროცესში დაგროვილი ცოდნის გაანალიზება საშუალებას იძლევა წამოყენებული იქნას რიგი ახალი ეტიმოლოგიური ჰიპოთეზებისა მრავალი საინტერესო ტერმინისათვის, რომლებმაც შემდგომში ასახვა იპოვა ადამიანის მოღვაწეობის სხვადასხვა სფეროში, მაგალითად, თვლისა და ანგარიშის პროცესებში.

დანართი:



ნახ. 1 უშბა



ნახ. 2 მარუ-პიკჩუ

როზა გაფრინდაშვილი

**„ჰუმანისტური ფსიქოლოგიის“
არაჰუმანური შედეგები**

ჰუმანიზმი – (humanus) – ლათინური სიტყვაა – და **ადამიანურს** ნიშნავს, რაც გაცილებით უფრო ახლოა მის ნამდვილ მნიშვნელობასთან, ვიდრე აღორძინების ხანაში შეძენილი – „ადამიანის სიყვარული, მისი ღირსების პატივისცემა, და კაცთმოყვარეობა“. მას შემდეგ იგი პროგრესულ მიმდინარეობად ითვლება, რომელმაც პიროვნების თავისუფალი განვითარების პრინციპი და ფეოდალიზმისა და კათოლიციზმის ბორკილებისგან განთავისუფლება გამოაცხადა“ (უცხო სიტყვათა ლექსიკონი, 1989, „განათლება“), რასაც, სამწუხაროდ, კაცობრიობის „გაადამიანურება“, ჯერჯერობით, რეალურად არ მოჰყოლია!

ამ სტატიაში „ჰუმანისტური ფსიქოლოგიის“ გაკრიტიკებას ვაპირებ:

მისმა შემქმნელებმა წინა საუკუნეში, ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის კვლევის მთავარ მიზნად დასახული – **ინტელექტის კვლევა** „განზე გასწიეს“, მას ადამიანის გაუცხოებაში, ტექნიკური პროგრესის „უზომოდ განვითარებაში“, ადამიანის პიროვნულობისადმი უყურადღებობა-გაუბრალოებაში, „მანქანის დანამა-

ტად“ მის გადაქცევაში დასდეს ბრალი და ფსიქოლოგებს, სამომავლოდ, ფსიქიკური ფუნქციების – გრძნობებისა და ემოციების კვლევისაკენ განაცვლება შესთავაზეს, რის სანაცვლოდაც „საკუთარი დავიწყებული თავის“ („თავისთავის“, ადამიანის პიროვნულობის ფაქტორის კვლევაზე და საზოგადოების წევრთა ორიგინალური ინდივიდუალური შესაძლებლობების აღმოჩენა-განვითარების კვლევა) შესთავაზეს.

თუმცა, უნდა ვაღიაროთ, რომ, თუ კაცობრიობამ წარსულში შეცდომა დაუშვა – ყურადღება გრძნობებისა და ემოციების ნაცვლად ინტელექტს დაუთმო, რითაც ტექნიკის სფეროში „არნახულ წარმატებებს მიაღწია“, ანუ დაარღვია „სამყაროული – წონასწორობის პრინციპი (წესრიგი)“ და ახლა ამ შეცდომის (ცალმხრივობის) გამოსწორების საშუალებად „წარსული შეცდომის“ სხვა, ახალი შეცდომით „(ცალმხრივობით“) ჩანაცვლებით „სამართლიანობის აღდგენას“ („სამყაროულ წესრიგის აღდგენას) იმედოვნებს – რაც არ გამოვა! (ვერ აღადგენს!) რაკი **ადამიანის გრძნობა და გონება დიალექტიკურ მთელს წარმოადგენს და განვითარე-**

ბის ადამიანურ საფეხურზე მათი ერთიმეორისგან მოწყვეტა – დაუშვებელია!

მეჩვიდმეტე საუკუნის ფილოსოფოსმა რენე დეკარტმა პირველმა აღწერა გონებისა და სხეულის დუალიზმი. მისი აზრით, “ეპიფიზის ჯირკვალის ტვინის ის უბანია, სადაც აზროვნება მოთავსებული და, მაშასადამე, ის სულის სამყოფელიცაა; ანუ, ისინი, (სხეული და გონება) ერთმანეთისაგან განუყოფელია“ . . . [1. 21].

საქმე ისაა, რომ, მეცხრამეტე – საუკუნის 50-60-იანი წლებიდან, ცნობილმა ფილოსოფოსებმა – მარტინ ჰაიდეგერმა, ფრიდრიხ ნიშემ და სიორენ კირკეგორმა, „კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენეს სოციალური დოგმები და ადამიანის თვალსაწიერის გაფართოება მოითხოვეს“, რათა უფრო სრულად ამოეხსნათ ადამიანის არსებობა ეგზისტენციალიზმის კონტექსტში.

1950 წელს, ფილოსოფოსმა როლო მემი „პირველად შემოიტანა ადამიანზე ცენტრირებული ფილოსოფიური მიდგომა ფსიქოლოგიაში; ამიტომ, მას, ხშირად „ეგზისტენციალური ფსიქოლოგიის მამად“ მოიხსენიებენ“.

ჰუმანისტური ფსიქოლოგია, რომელიც – ეგზისტენციალიზმის „პოზიტიურ პრინციპებს ეფუძნება“, ამოღო იმედოვნებს კაცობრიობისგან კულტურის გეზის შეცვლას, რაკი სხვაგვარად ადამიანის „ახალი“ სურვილებისა და ნიჭების აღმოჩენა-განვითარება ნაკლებად მოსალოდნელი და შესაძლებელია (უფრო მოსალოდ-

ნელი – სექსუალური თავისუფლების კიდევ უფრო ფართო მასშტაბებით ლეგალიზაცია (გავრცელება) და დემოგრაფიული აფეთქებაა და არა „ფსიქიკის საცავებში“ „დამალულ-დავიწყებული“ ნიჭებისა და უნარების აღმოჩენა-განვითარება). ანუ, დღევანდელი „ჰუმანისტური ვარაუდები“, საუკუნეების შემდეგ, ინდივიდის თვითშეფასებისა და რეალურ პოტენციალს შორის „დაკარგული ჰარმონიის“ აღდგენის იმედი, მხოლოდ „ცრუ ოპტიმიზმის“ ვარაუდის შედეგებს უნდა ელოდოს და არა – „ყოველ ადამიანში არსებულ პიროვნული ნიჭისა და პიროვნულობის დამატკიცებელი უნარების – ეგზისტენცების აღმოჩენას!.

ჰუმანისტური ფსიქოლოგიის ერთ-ერთ ფუძემდებლად კარლ როჯერსი ითვლება; (წარმომადგენლები: აბრაამ მასლოუ – ჰუმანისტური ფსიქოლოგიის დამაარსებელი; ალფრედ ადლერი; ერის ფრომი; მარტინ სელიგმანი; როლო მემი და სხვები) [1.138]. ისინი ხაზს უსვამენ ინდივიდის თავისუფალ ნებას, თვითრეალიზაციას, და თვითეფექტურობას; მიზნად აქვთ, დაეხმარონ ადამიანებს რათა მათ სრულად და მაქსიმალურად გაზარდონ საკუთარი პოტენციალი და კეთილდღეობა [1].

მათი აზრით, ადაპტაციისა და თვითრეალიზაციის საუკეთესო გზა – ახალი გამოცდილების მუდმივი ძიებაა! მათი დევიზია „შევექმნათ პირობები, რომელიც უნიკალურობისკენ, საკუთარი თავისკენ შემოგვაბრუნებს!“ პათოლოგიების გამოვლენების მიზეზად კი რეალობის უარ-

ყოფა თუ არასწორი აღქმა მიაჩნიათ, რაც ადამიანს ხელს უშლის **მიიღოს სამყარო ისეთად, როგორც ის სინამდვილეშია!**

დღეს ევროპელი და ამერიკელი ფსიქოლოგები ინდივიდუალისტური კულტურის ხალხთა ფსიქიკით და ინდუსტრიული შრომის შედეგებით იწონებენ თავს, რასაც „არნახული მატერიალური კომფორტიც“ თან ახლავს. ამიტომ მათ „სიახლეების შიშს“ – „არა!“ გამოუცხადეს. თუმცა, ამ ფილოსოფოსების აზრით, სახეზეა „დიდი ბიოლოგიური და სოციალური კრიზისები“, ადამიანის **გაუცხოება**, ატომური იარაღის საფრთხე, დემოგრაფიული აფეთქებები, სხვადასხვა სახის ეპიდემიები, აგრესიები, ომები, ბუნებრივი კატაკლიზმები და ა. შ.

ავსტრიელ ფსიქოლოგს – **ოტო რანკს** (1920 წ.) უთქვამს – „თანამედროვე გაუცხოებულ ადამიანთა მოძველებული ფიქრების, ემოციებისა და ქცევებისაგან განთავისუფლება აუცილებელია ფსიქიკური ზრდისა და განვითარებისთვისო!“ **ფრიც პერლზი** კი პოპულარიზებას უწევს ადამიანის საკუთარი, ჭეშმარიტი სელების პოვნის იდეას, „სხვათა მოლოდინის“ გვერდზე გადადების სანაცვლოდ!“ [1960], [1.132]; **„სხვათა მოლოდინში“** „სხვაზე ზრუნვა, სხვისი დახმარება-ქველმოქმედება იგულისხმება; „საკუთარი შთამომავალზე ზრუნვასაც“ კი „სხვაზე ზრუნვას“ უწოდებენ, რის საფასურია **„ყოველ ადამიანში არსებული ეგზისტენცი“** (ნიჭი, ნასახი, რომლის პოვნა და განვითარება – ანუ საკუთარი ეგზისტ-

ტენცის – პიროვნულობის დასტური (შექმნა-განვითარება“ თითოეულის საღვთო ვალია“. ვინც ამას ვერ/არ ახერხებს, ის **ადრიბებს სამყაროს!** ასეთია ეგზისტენციალიზმის დასკვნა („სამყაროს გადარიბება“ ნიშნავს საკუთარი ნიჭისა და უნარის („ეგზისტენცის“) უყურადღებოდ დატოვებას, დაკარგვას!).

ინდივიდუალისტური-ინდუსტრიული კულტურის ხალხთა დევიზია – „**მე იმიტომ არ გავჩნდი, რომ შენი მოლოდინი გავამართლო; მე ჩემი მიზნები და სურვილები მაქვს და ჩემი შესაძლებლობები; შენ – შენი; მე ჩემ თავს – ნიჭს, უნარს, უნდა მივხედო, შენ – შენსას მოუარე ისე, რომ ერთმანეთს ხელი არ შევეშალოთ!**“

აღმოსავლეთის (განვითარებად) ქვეყნებში კი, მეტწილად, ისევ **კოლექტივისტური კულტურის ფსიქიკა დომინირებს**, რაც ასე ჟღერს: **შენ მართო არა ხარ ამ ქვეყანად! იქონიე პასუხისმგებლობა სხვების წინაშე და რაც შეგიძლია, ყველას დაეხმარე!**“ ამიტომ, ამ ქვეყნების ნიჭი და პოტენციური ენერჯია „სხვებზე ზრუნვაში“ იხარჯება; ადამიანებს ერთმანეთის დახმარების იმედი აქვთ, რის გამოც იქ (ანუ განვითარებად ქვეყნებში) სტრესები, სუიციდები და შიგა კონფლიქტები გაცილებით უფრო მცირეა, ვიდრე ინდივიდუალისტური კულტურის ხალხთა ცხოვრებაში.

მაშ ასე: ინდივიდუალისტური კულტურის ფსიქოლოგთა იდეები – ადამიანთა მოთხოვნილებებისა და სურვილების განვითარება-სრულყოფის“ საჭიროების შესახებ, უთუოდ სასარგებლოა, მაგრამ ის, დღეს, კა-

ცობრიობის განვითარების თანამედროვე ეტაპზე, მხოლოდ ვარაუდებია, რაც სამომავლოდ საექვო ხდება, რაკი მისი მთავარი იდეა, „სხვა ჰუმანისტებთან“ და თანამედროვე საზოგადოების მორალურ და ფსიქიკურ მონაცემებს თუ გავითვალისწინებთ, მთლად ასე „მორალურად“ როდი გამოიყურება, რაკი სინამდვილეში საქმე გვაქვს მეორე უკიდურესობა-დაპირისპირებასთან ანუ – გრძობებისა და ემოციებით გონების ჩანაცვლებასთან! ეს ვარაუდები კი მთლად საიმედოდ არ გამოიყურება; (ამიტომ იწყებენ ფსიქოლოგიის ისტორიას მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისიდან, როცა ფსიქოლოგიის „ვარაუდები“ ექსპერიმენტტებით გაამყარეს! ებინგჰაუსთან).

ბრიტანეთის ფილოსოფოსსა და სოციოლოგს – ჰერბარტ სპენსერს (1820-1903 წწ), ამ პრობლემისათვის ნაშრომი მიუძღვნია, სახელწოდებით – „ეგოიზმი ალტრუიზმის წინააღმდეგ თუ ალტრუიზმი ეგოიზმის წინააღმდეგ“ (ალტრუიზმი – უმეტესად სხვაზე ზრუნვას გულისხმობს), სადაც ყოველგვარი ზედმეტობის მანიკერი ბუნებაა გამოკვეთილი/ახსნილი. მას შემდეგ, კაცობრიობამ, თითქოს ალტრუიზმისკენ უფრო აიღო გეზი, ანუ „სხვაზე ზრუნვას – კოლექტივისტური ფსიქიკის მახასიათებელს – მიანიჭა უპირატესობა“ ანუ მთელი ყურადღება – ინტერესი, დრო და ენერგია ჭეშმარიტების პრობლემას (შემეცნებას) დაუთმო, ხოლო როგორც მათ მიაჩნიათ, „საკუთარი თავი კი დაავიწყდათ“ – მოთხოვნილებები, სურვილები, ინ-

ტერესები, ნიჭი და უნარი კი ჩრდილში მოექცა; მაგრამ როცა მეცნიერული პროგრესი საგრძნობლად გასცდა ნორმალურ საზღვრებს (დაირღვა წონასწორობა გრძობა-გონების შესწავლას შორის, გამოჩნდნენ ფილოსოფოსები (ეგზისტენციალისტები), (ფრიდრიხ ნიცშე), რომლებმაც ეს „უსამართლობა“ გააპროტესტეს და როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რომელთა იდეებზეც „ჰუმანისტური ფსიქოლოგია“ წარმოიშვა და განვითარდა! ნიცშეს დევიზი გვახსოვს (მარქსიზმისთვის მიუღებელი) – „შორს ყოველგვარი მორალი!“, „ღმერთი – მოკვდა!“).

ახლა კი დროა შევითხვევზე შევითხვევითვე პასუხის გაცემით ვუპასუხოთ სათაურშივე დასმულ პრობლემას: რაში მდგომარეობს ჰუმანისტური ფსიქოლოგიის არაჰუმანური შედეგები?

1. უფლება გვაქვს ვამტკიცოთ, რომ „ყველა ადამიანს შეუძლია ისეთი გახდეს, როგორც მას სურს, რომ იყოს?“ ანუ, საკუთარ თავში იპოვნოს და განვივითაროს ეგზისტენცი? სადაა ამ ვარაუდის გარანტია? ვარაუდი ხომ მეცნიერული მტკიცებულების მიუღებელია? ამაზე ხომ უკვე არსებობს პასუხი ფილოსოფიაში – თუ ნიჭი (უნარი) სიცოცხლის უნარიანია (მლიერია) მას განსაკუთრებული ძეგნა არ სჭირდება – უსათუოდ იპოვნის გზას! თუ სუსტია და რეალიზაციას თავად ვერ ახერხებს, მაშინ არც ღირს მისთვის ბრძოლა!

2. თუ მე/ჩვენ ზნეობრივი აღზრდის მიზნით ხელს ვუწყობთ ადამიანის/ახალგაზრდის გაუცხოებას...

ეს ცუდია? მაშ გაუუცხოებელი ადამიანი ჯობია? თუ, სჯობს მის აღზრდაზე თავის დროზე ვიფიქროთ?

3. იქნებ თანამედროვე მოზარდებს აღზრდა აღარ სჭირდებათ?, უკვე ჩახშობილი აქვთ თანატოსური (ემოციური, ბოროტი) საწყისები? შეიძლება რომ უკვე ვენდოთ ბუნებრივადამიანს? ვითომ დღეს აღარ იზადებთან „დაპირისპირებულთა ბრძოლერთიანობის“ კანონის პერსონაჟები? აგრესია მომატებული ადამიანები? აკი ახლახანს დატრიალებული ომის ტრაგედიები, ცხოვრებისეული შემზარავი დანაშაულობები (ოიდიპოსის კომპლექსი, ინცესტები, ომები, მშვიდობიანადამიანთა შორის ცალკეული კონფლიქტები (ქალმა – საყვარელს თავი მოაჭრა; ახლახანს შუააზიაში, ორ მილიციელს თავი მოაჭრეს, ტერორიზმი, უკრაინის ომი და სხვაც უთვალავი, ადამიანის ხელით დატრიალებული ცალკეული უბედურობები? ამასწინათ „რუსთავი -2-ის მიერ“ გამოცხადებული ინფორმაცია რამდენიმე ათეული ათასი სკოლის მოსწავლის მიერ გაკეთებული აბორტების შესახებ? რას ამბობს ამაების შესახებ ჰუმანისტური ფსიქოლოგია? ესაა „თითოეულ ადამიანში ღვთის მიერ ნაჩუქარი უნიკალურობის ნიჭი და ეგზისტენცი?“ იქნებ მხოლოდ განვითარებადი ქვეყნებისაა ეს უბედურობები? თუ ფაშიზმის მიერ ნავარაუდევ ერთა შორის ბუნებრივად არსებულ განსხვავებულობებს ჰგავს ადამიანთა ჯიშებს შორის ამ მხრივ არსებული განსხვავებულობები? ვფიქრობ, ამ კითხვების პასუხი არ აქვს ჰუმანისტურ ფსიქოლოგიას.

ანუ, ჰუმანურობის პრეტენზია ჯერ – ძალზე ნაადრევია! მანამ, სანამ კაცობრიობა კოსმოსს არ დაიპყრობს, დემოგრაფიული აფეთქებებისგან თავს არ დაიზღვევს და „თანატოსურ საწყისს (ემოციას! სიკეთესთან „ბრძოლისა და დაპირისპირებულობის კანონს“) არ შეცვლის! (თუკი ეს შესაძლებელი იქნება!).

ლიტერატურა:

„დიდი წიგნი ფსიქოლოგიაზე“, „პალიტრა L“ 2020;

„უცხო სიტყვათა ლექსიკონი“, განათლება“, 1989.

P. S. ბატონო კოკა!

ამ სტატიით „ჰუმანისტური ფსიქოლოგიის“ მთავარი იდეის – ჰუმანიზმის გაგების გაკრიტიკებას ვაპირებ, რაკი მგონია, რომ კაცობრიობა ჯერ არაა იმ დონეზე განვითარებული, რომ ახალი თაობის ზნეობრივ-სამართლებრივ აღზრდაზე უარი თქვას; ანუ საჭირო აღარ იყოს ახალი თაობის ღზრდა; როგორც ვიცით, ექსისტენციალიზმი, თითქმის ერთი საუკუნეა ებრძვის კულტურის მიერ „გაუცხოებული“ ადამიანების „წარმოებას!“ (ერთ-ერთი იმათგანის ცნობილი ფრაზა – „ფაბრიკა არის ადგილი, სადაც ადამიანებს აწარმოებენ!). ამიტომ დაუსახეს მიზნად ფსიქოლოგიას იკვლიონ და განავითარონ ადამიანთა შინაგანი, ფსიქიკური (პიროვნული) უნარები – მოთხოვნილებებისა და ემოციების სახით „უყურადღებოდ რომ დატოვა“ „ინტელექტუალურმა (აზროვნებაზე ორიენტირებულმა) საზოგადოებამ“ (ძვ. ბერ-

მწულმა ფილოსოფიამ) და ფსიქოლოგიური მეცნიერებებს კვლევის მიზნად მოთხოვნილებებისა და ემოციების კვლევისაკენ მოუწოდა, რაკი სწორედ აქ ჩანს ადამიანის ბუნებრივი, პიროვნული სახე.

...არადა, საზოგადოება, სადაც ცოცხალ კაცს მისივე მსგავსი არსება – ყელს გამოჭრის (კაცი კაცს, ქალი კაცს და ა. შ.), კაცები რომ შვილიშვილებზე ან შვილიშვილებზე სექსუალურ ძალადობას (ინცესტს) მიმართავენ, უკრაინის შემზარავ სიტუაციებს ქმნიან, სკოლის მოსწავლეთა აბორტებმა რომ (კურიერში იყო ინფორმაცია ამის შესახებ), ლამის წალეკოს ჩვენი სკოლები და ა. შ. შეიძლება, რომ ზნეობრივ აღზრდაზე უარი თქვას რაიმეგვარმა ფსიქილოგიამ? (საზოგადოებამ?)

ისეთი რა „ეგზისტენცი“ შეიძლება აღმოაჩინონ საკუთარ ფსიქიკაში დამალული, რომ უარი ითქვას მოზარდთა ზნეობრივ აღზრდაზე? (გახსოვთ, ალბათ, ფილმი – „არაჩვეულებრივი გამოფენა“, სადაც ნიჭიერი მხატვარი თავის ეგზისტენცს – „ღვთიურ ნიჭს“ ვერ ავითარებს, რაკი მას მოვალეობები, სამსახურები, საზ. აზრი, საფლავის ქვების დამკვეთები უფლებას არ აძლევს „თავის ნიჭებსა და სურვილს“ (ოცნებებს) მიხედოს და სხვათა (ოჯაების, მეზობლების, ნათესავების, მეგობრების და ა.შ.) ხუმტურებზე უნდა იფიქროს (იზრუნოს)! ამიტომ, ის „კვდება, როგორც პიროვნება“ და ცხოვრება „სხვათა მოლოდინის“ მიხედვით გაჰყავს, „ღვთიური ნიჭი“ კი უშედეგოდ იკარგება და ასე ღარიბდება სამ-

ყარო!“ (ამიტომაა დღეს, „ბავშვებს რომ აღარაფერს უშლიან!“)

არ ვიცი, იქნებ კაცობრიობის მხოლოდ რჩეული ნაწილი უკვე იბადება „უმაღლესი ზნეობრივი განვითარებით“ (ფაშიზმის იდეოლოგია!“) და დროა უარი ვთქვათ აღზრდაზე?“ საეჭვოა! (თუმცა, კომუნიზმის თეორიაში ხაზგასმითაა ნათქვამი – „კომუნიზმი მხოლოდ უმაღლესი ზნეობრივი შეგნების ადამიანთა ხვედრიაო!“ ანუ, შესაძლოა რომ (?) დროთა განმავლობაში, შეიძლება კულტურალური დაკვეთები შინაგან მოთხოვნილებებად ჩამოყალიბდნენ (?).

იქნებ! მაგრამ დღეს, თუ ადამიანი „ბუნებაზე გამარჯვებას“ („ძალადობას“) თავს არ დაანებებს, ხოლო ზნეობრივ აღზრდაზე უარს იტყვის, სანამ ადამიანი/მოზარდი „თავის უფლებებს“ კარგად არ გაითავისებს („მე არ მაქვს უფლება სხვას წავართვა!, დავჩაგრო, ვიძალადო“, მშურდეს) და ა. შ. მანამ აღზრდაზე უარის თქმა – უგნურება იქნება და არა „ჰუმანიზმი!“ .

ანუ, ჯერ კაცობრიობამ „თავის უფლებები უნდა ისწავლოს!, დაიჯეროს. გაითავისოს! „სიყვარულის თავისუფლებაც“ მოიპოვოს! ჯერჯერობით კი ეს მხოლოდ ოცნებაა და არა – გაუცხოების საფრთხე! (ჩემ შვილს, მოსწავლე გელას, ფიზიკის რვეულის ყდაზე წაუწერია – „რა ბედნიერებაა ადამიანი რომ გაუცხოებულიაო!“ მე დავეთანხმე, რაკი გაუუცხოებელი ადამიანი – ტრაგედიაა!). „თავისუფალი სიყვარული“, დღეს, მხოლოდ სიძვის, აბორტების, ვენერიული დაა-

ვადებების და ა. შ. საფრთხეა!

P. S. მჯერა, რომ არც ამ თეორიის ფუძემდებლები არიან ამ საფრთხეებს მომხრეები, მაგრამ „როცა რაიმე იდეა პოპულარული გახდება, ის უსათუოდ ვულგარული ფორმით ვრცელდება, მახინჯდება და საფრთხეს უქმნის კაცობრიობას!“ ანუ, სჯობს მოვამზადოთ ბროშურები,

ბავშვთა უფლება-მოვალეობების შესახებ ისე, როგორც იმანუელ კანტი ვარაუდობდა – „თავის უფლება“ – მხოლოდ სრულწლოვანი ასაკის შემდეგ!

მივუძღვნათ ერთი კონფერენცია ამ საკითხს?

გმადლობთ ყურადღებისთვის!

10. 05. 2022.

გეორგი ვარდიშვილი

**კონფლიქტის ტრანსფორმაციის
მხარდაჭერა სამხრეთ კავკასიისა და
მოლდოვას რესპუბლიკაში**



Photo: Vladimir Valishviki/UNDP

მიმოხილვა

EU4Dialogue: კონფლიქტის ტრანსფორმაციის მხარდაჭერა სამხრეთ კავკასიისა და მოლდოვას რესპუბლიკაში“ ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ერთობლივი ინიციატივაა, რომელიც სამხრეთ კავკასიის ქვეყნებსა და მოლდოვაში ხორციელდება. პროექტის სრული ბიუჯეტი 9.1 მილიონ ევროს შეადგენს.

ეს ევროკავშირის (EU) მრავლმხრივი პროგრამის ნაწილია, რომელიც აღმოსავლეთ პარტნიორობის

ქვეყნებში დიალოგისა და ადამიანებს შორის ურთიერთობისათვის ხელსაყრელი გარემოს განვითარებას ისახავს მიზნად.

პროექტის საქმიანობა ვრცელდება კონფლიქტით დაზარალებულ საზოგადოებებსა და სოციალურ ჯგუფებზე და მათი ყოველდღიური ცხოვრების გაუმჯობესებას ემსახურება. მისი მიზანია, არავინ დარჩეს განვითარებისა და შესაბამისად დახმარების მიღმა. ყველა აქტივობაში გათვალისწინებულია გენდერული თანასწორობის დაცვის პრინციპი და ბავშვებისა და ახალგაზრდების ინტერესები.

აქტივობები

EU4Dialogue ხელს უწყობს სამხრეთ კავკასიის ქვეყნებსა და მოლდოვაში მდგარი სათემო ინიციატივების განხორციელებასა და მოსახლეობის ცხოვრების გაუმჯობესებას, სადაც შესაძლებელია, პროექტის განხორციელებაში ჩართული არიან კონფლიქტით დაზარალებული რეგიონებისა და განყოფილი ხაზების გასწვრივ განლაგებული სოფლების მაცხოვრებლები, ლტოლვილები, იძულებით გადაადგილებული პირები და კონფლიქტით დაზარალებული სოციალური ჯგუფების წარმომადგენლები.

EU4Dialogue ორი ძირითადი კომპონენტისგან შედგება:

1. **საგრანტო პროგრამა**, რომლის მიზნად ისახავს სამოქმედო საზოგადოების ინიციატივების ხელშეწყობას, პროფესიული ექსპერტიზისა და ცოდნის გაცვლას კონფლიქტით გაყოფილ საზოგადოებებს შორის და კონფლიქტით დაზარალებული თემების ცხოვრების სტანდარტის გაზრდას.


2. მოქნილი **ხელსაწყო**, რომლის დანიშნულებაა კონფლიქტის გარდაქმნის ხელშეწყობა და ამ მიზნით, EU4Dialogue კომპონენტების ფარგლებში გამოვლენილ პრიორიტეტულ საჭიროებებზე რეაგირება.

საგრანტო პროგრამა გამოავლენს ადგილობრივი სათემოების დონეზე ინიცირებულ პროექტებს, რომლებიც ხელს უწყობენ „არავინ დარჩეს განვითარების მიღმა“ პრინციპის პრაქ-

ტიკულ განხორციელებასა და მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევას. საგრანტო კონკურსები მოიცავს მონაწიელთა ფართო სპექტრს, განსაკუთრებით ადგილობრივი და სათემო ორგანიზაციების რიცხვიდან. მათთვის გათვალისწინებულია სხვადასხვა სხის სასწავლო და სატრენინგო პროგრამები, სასწავლო ტურები და საერთაშორისო პრაქტიკის გაცნობა კონფლიქტის მიმართ სენსიტიური მიდგომებისა და ამ მხრივ, სათემო პრაქტიკების დანერგვის საკითხებში.

მოქნილი ხელსაწყო მუშავებით, EU4Dialogue პასუხობს სხვადასხვა სახის საჭიროებას, რომელთა გამოვლენა ეყრდნობა პოლიტიკური დიალოგის განვითარებას, რაც EU4Dialogue პროგრამის ერთ-ერთ კომპონენტს წარმოადგენს, ან ევროკავშირისა (EU) და UNDP-ის სხვა მსგავსი ინიციატივების ფარგლებში მიმდინარე კონფლიქტის გარდაქმნის პროცესს.

მოსალოდნელი შედეგები



სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში განხორციელდა სამოქალაქო საზოგადოების 100-ზე მეტი ინიციატივა, რომელიც, გენდერული თანასწორო-

ბისა და ინკლუზიურობის პრინციპების გათვალისწინებით, კონფლიქტით დაზარალებული თემების ხელშეწყობას მოემსახურება.

ადგილობრივი ორგანიზაციები მიიღებენ შესაბამის მხარდაჭერას მათი შესაძლებლობების გაზრდის მიზნით.

კონფლიქტით დაყოფილ საზოგადოებებს შორის გაიზდება პროფე-

სიული ექსპერტიზისა და ცოდნის გაცვლა, რაც ხელს შეუწყობს საერთო პრობლემებისა და გაოწვევების გადაწყვეტას.

პროექტის განხორციელების შედეგად, მოხდება იმ სტრატეგიული მიმართულებების გამოვლენა, რომლებიც კონფლიქტის გარდაქმნას შეუწყობს ხელს.

ღ ლაშა ზარგინავა

**რუსეთ-უკრაინის ომის
დარეგულირების გზები**

უკრაინაში რუსეთის შეჭრამ და ამ ქვეყნის ოკუპაციის მცდელობამ, მსოფლიო პოლიტიკაში, ისევ გააცოცხლა საქართველოს საკითხი, მათ შორის რუსეთ საქართველოს 2008 წლის ომის თემა.

რუსეთმა უკრაინაში სრულმასშტაბიანი შეჭრა 2022 წლის 24 თებერვალს განახორციელა, რაც 2014 წელს დაწყებული რუსეთ-უკრაინის ომის ესკალაციის შედეგია. რუსეთის უკრაინაში შეჭრა ყველაზე დიდი სამხედრო აგრესიაა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, რომელიც ევროპაში, სუვერენულ სახელმწიფოზე განხორციელდა. ხუთ მილიონზე მეტმა ადამიანმა უკვე დატოვა ქვეყანა და ეს რიცხვი დღითიდღე იზრდება. თუმცა, მოსახლეობის უმრავლესობა ჯერ ისევ სამშობლოში რჩება და იბრძვის. ჩვენი ანალიტიკოსები ყოველდღიურ რეჟიმში აკვირდებიან და აფასებენ განვითარებულ მოვლენებს.

„არ არსებობს კარგი ომი და ცუდი მშვიდობა“ – ეს სიტყვები ბენჟამინ ფრანკლინს, ამერიკის ერთ-ერთ დამფუძნებელს (1706 – 1790) ეკუთვნის და ყველა დროში აქტუალურია. შეიძლება ითქვას, 2008 წელს რუსეთის საქართველოში შემოჭრის შემ-

დეგ, დასავლეთმა ამ ციტატის სულისკვეთებით იხელმძღვანელა. ზემოთ არაერთგზის აღინიშნა, რომ რუსეთმა ხელმოწერიდან ორ კვირაში დაარღვია 6-პუნქტიანი ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება, რომლის მიხედვითაც, საქართველოდან ჯარები ომამდე არსებულ დისლოკაციის ადგილას უნდა დაებრუნებინა. ამის ნაცვლად, კრემლმა აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის დამოუკიდებლობა აღიარა და ოკუპირებული რეგიონების მასობრივი მილიტარიზაცია დაიწყო.

ამ მოვლენების ფონზე, საქართველოს დასავლურ იარაღზე წვდომა შეზღუდული ჰქონდა და სამხედრო თანამშრომლობაზე უარს ეუბნებოდნენ. რუსეთმა დასავლეთის მოთხოვნების სრული უგულვებელყოფით გააგრძელა საქართველოს რეგიონების მიტაცების პროცესი, მაგრამ საპირწონე პასუხი ვერ მიიღო. მეტიც, ამერიკამ რუსეთს თანამშრომლობის ხელი გაუწოდა და 2009 წელს გადატვირთვის პოლიტიკა შესთავაზა. მაშინ გათვლა იმაზე გაკეთდა, რომ რუსეთი მნიშვნელოვანი ძალის და რესურსების მქონე ქვეყანაა და მისთვის სრულად ზურგის

შექცევა ამერიკის ინტერესებსაც და მშვიდობასაც ავნებს.

შედეგად, რუსეთი დარწმუნდა, რომ სამხედრო ძალის გამოყენების შემდეგ თუ წნეხს გარკვეული პერიოდი გაუძლებს, დასავლეთთან გაფუჭებულ ურთიერთობასაც აღადგენს და წართმეულსაც მიითვისებს. ასე მივედით 2014 წლის ყირიმის ანექსიამდე და რუსეთის აღმოსავლეთ უკრაინაში შეჭრამდე.

ახალი პრობლემის მოსაგვარებლად დასავლეთმა ისევ იმ პრინციპით იხელმძღვანელა, რომ “არ არსებობს კარგი ომი და ცუდი მშვიდობა”. შედეგად, საფრანგეთისა და გერმანიის შუამდგომლობით მინსკის შეთანხმებები გაფორმდა. რა გასაკვირია, რომ რუსეთს საქართველოში მიღებული გამოცდილებით, ამ მოლაპარაკებებშიც დასავლეთის სისუსტის იმედი ჰქონდა. მართლაც, მინსკის შეთანხმებები ისეთივე წარმატებით დაირღვა როგორც იქამდე 2008 წლის 6 პუნქტიანი შეთანხმება. ასე მივედით 2022 წლის 24 თებერვლამდე, როდესაც რუსეთმა უკრაინაზე უკვე სრულმასშტაბიანი შეტევა მიიტანა.

კრემლი სავარაუდოდ ფიქრობს, რომ საკმარისი ბერკეტი აქვს იმისთვის, რომ უკრაინასთან დაპირისპირებაში დასავლეთი დაღალოს. უკრაინის ომმა ევროპისთვის მასშტაბური უსაფრთხოების კრიზისი წარმოშვა. რუსეთი ამჟამად ევროპის წინააღმდეგ მის ხელთ არსებულ ყველა ბერკეტს იყენებს. მათ შორის არის გაზის მიწოდების შეზღუდვა და უკრაინის ხორბლის ექსპორტით მანი-

პულირება. რუსეთმა ასევე იცის, რომ მის ბირთვულ არსენალს დასავლეთი შიშის თვალთ უყურებს. კრემლის ინტერესშია, მსოფლიოს ეგონოს, რომ უკრაინაში რუსეთის მარცხი შესაძლოა სამყაროს დასასრულს უდრიდეს.

დღეს თითქოს აღარ უნდა იყოს საჭირო იმის მტკიცება, რომ რუსეთს პოლიტიკური მიზნების ომით მიღწევა სურს და ამ დროს დათმობებზე წასვლა კიდევ უფრო დიდ პრობლემებს შექმნის. ამის საპირისპიროდ, პუტინი ხედავს, რომ უკრაინის შეიარაღების საკითხზე დასავლეთი ჯერ კიდევ მერყეობს. იმისთვის, რომ რუსეთს უკან დაახვეინოს, უკრაინას მაღალი სიზუსტის შორი რადიუსის იარაღი და საჰაერო თავდაცვის სისტემები სჭირდება. უკრაინისთვის მხოლოდ შეიარაღების ნაწილის გადაცემა ომს ახანგრძლივებს.

ამ მოვლენების ფონზე, როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ, მნიშვნელოვანია იმის გააზრება, რა განვითარება ექნება უკრაინაში მიმდინარე ომს ადა რა გავლენა მის წარმატებას, ან წარუმატებლობას, საქართველოში არსებულ კონფლიქტებზე.

საბჭოთა ისტორიის მკვლევარის, დავით ჯიშკარიანის მოსაზრებით რუსეთ-უკრაინის ომს, საქართველოში არსებული კონფლიქტების მოგვარების გზაზე, არავითარი გავლენა არ ექნება.

„საქართველოს საკითხი არასდროს იყო და ვერ იქნებოდა მსოფლიო ტანამეგობრობის ცენტრში. უკრაინასთან საქართველოს შედარება როგორ შეიძლება როდესაც უკრაინას

საქართველოზე დაახლოებით 12-ჯერ მეტი მოსახლეობა ჰყავს და ტერიტორიულად და გეოგრაფიულად რამდენჯერმე აღემატება მას. აგვისტოს ომის დროსაც რამდენიმე დღეში საქართველო აღარ იყო საინფორმაციო ეპიცენტრში და ოლიმპიადა უფრო მნიშვნელოვანი იყო მსოფლიოსათვის, – ამბობს ჯიშკარიანი.

მისივე შეფასებით, უკრაინაში ომმა თვალსაჩინო გახადა, რომ საქართველოს მოქალაქეები და პოლიტიკური ელიტა უკრაინის და მისი პარტნიორების მხარდამჭერია, ხოლო საქართველოს ტერიტორიას გამოყოფილი პოლიტიკური ჯგუფები იბრძვიან რუსეთის ფერადიის ან ფედერაციის მიერ მხარდაჭერილ დონეცკის სახალხო რესპუბლიკასა და ლუგანსკის სახალხო რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალების შემადგენლობაში. პოლიტიკურ კრიზისების დროს ისინი სხვადასხვა მხარეს აღმოჩნდნენ.

„ეს კი კიდევ ერთი რთული საკითხი იქნება, რომელიც ამ კონფლიქტების მოგვარების ხანგრძლივ საქმეს წინ გადაედობება“.

ჯიშკარიანის მოსაზრებას, უკრაინის მოვლენების გავლენებთან მიმართებით, არ იზიარებს კონფლიქტოლოგი, ლალი დევიძე.

„საკითხის აქტუალურობას განაპირობებს ქვეყნის შიდა და გარე პოლიტიკა, მაგრამ უკრაინის ომმა საერთაშორისო თანამეგობრობის ხედვა და დამოკიდებულება ამკარად შეცვალა, რაც გამოიხატება რუსეთთან არა ლოიალურ დამოკიდებულებაში, არამედ მის დადანაშაულებაში

ოკუპაციის, ანექსიის თუ სამხედრო დანაშაულის ჩადენის კუთხით. საერთაშორისო თანამეგობრობა ცდილობდა რუსეთთან გაკვეული თანამშრომლობითი ურთიერთობების აწყობას და მის ჩართვას სამშვიდობო არქიტექტურაში. ხშირ შემთხვევაში მათი პოზიციები არ იყო მყარი რუსეთის „არგალიზიანების“ პოლიტიკის გათვალისწინებით. უკრაინაში მიმდინარე ომმა ერთიანი გახადა ევროპა, ამერიკა, საერთაშორისო ორგანიზაციები თუ გაერთიანებები. რატომ? იმიტომ რომ რუსეთმა დაიწყო და ღიად განაცხადა „სპეცოპერაციის“ შესახებ, რომელიც აღმოჩნდა ომის დაწყების წინა ფაზა, და ამის ფონზე, საერთაშორისო თანამეგობრობასთან კომუნიკაციის გათვალისწინებით და ჩართლობით, უკრაინა ირჩევს თავადაცვით პოზიციას. საკმაოდ დიდხანს დარჩა ის ამ პოზიციას, სანამ შეტევით ბრძოლაზე გადავიდოდა. ესეც იყო გარკვეული სტრატეგიისა და ტაქტიკის ნაწილი. აქ რუსეთმა პროვოკაციაზე ვერ წამოაგო უკრაინა და უკრაინაში შეჭრა, შეიარაღებული საბრძოლო მოქმედებები საფუძველი სრულად გაამიშვლა,“ – ამბობს მკვლევარი.

კიდევ ერთი მკვლევარი, გიორგი შაიშმელაშვილი თვლის, რომ დასავლეთი უკრაინის ომმა „გააღვიძა“. მისი შეფასებით, მსგავსი პოლიტიკური და შეიარაღებით დახმარება, რასაც ახლა უკრაინაში ვუყურებთ, პოსტსაბჭოთა სივრცეში ჯერ არ გვინახავს. მისი თქმით, დასავლეთი, როგორც წესი, მოდიოდა მედიაციისთვის, მოლაპარაკებებისთვის, ჰუმან-

ნიტარულ საკითხებზე, მაგრამ არა ასეთი დახმარებით, რასაც ახლა ვხედავთ უკრაინაში.

„დიდი ხანი, რაც საბჭოთა კავშირი დაიშალა, მსოფლიო ცხოვრობდა ლიბერალური ენთუზიაზმის პარადიგმაში, რაც გულისხმობს იმას, რომ რუსეთი უნდა გამხდარიყო წესებზე დაფუძნებული მოთამაშე. ევროპის უსაფრთხოების არქიტექტურის ნაწილი და ტიპური ევროპული სახელმწიფო. ამ ამბავს წყალი შეუდგა, ნელა და გვიან. ჩვენი ომი, არ აღმოჩნდა სკმარისი სამწუხაროდ, არც ყირიმის ანექსია აღმოჩნდა საკმარისი და არც აღმოსავლეთ უკრაინაში მიმდინარე მოვლენები. ამ ყველაფერმა კუმულატიური ეფექტი იქონია. რუსეთსაც კი არ უცდია ამ ომის, როგორც ჩვევია, მანკიერი ლოგიკით გამართლება, ღიად დაიწყო ისეთი მოქმედებები, რისი „გადაყლაპვაც“ დასავლეთმა არ და ვერ შეძლო.

ამ ფაქტმა ჩვენ (საქართველოს) მოგვცა საშუალება, დასავლეთისთვის დაგვეჩვენებინა რეტროსპექტივაში, რომ რასაც ჩვენ ვამბობდით ჩვენს კონფლიქტებთან დაკავშირებით, სიმართლეა. რომ ჩვენც ვიყავით მსხერპლი, რუსეთის ამ იმპერიული, თუ ნეოიმპერიული პოლიტიკისა,“ - ამბობს შაიშმელაშვილი.

2008 წლის ომის გაკვეთილებზე საუბრობს, ანდრო გოცირიძე, უსაფრთხოების საკითხების ექსპერტი: „2008 წელს რუსეთისთვის სანქციები არ დაუწესებიათ, 2014-ში დაუწესეს, თუმცა უფრო სიმბოლური – ევროპამ შეზღუდვები მალევე შეარბილა. დღეს სულ სხვა სურათი გვაქვს, და-

სავლეთის ეკონომიკური სანქციები ბევრად ხისტი და დამანგრეველია, შესაბამისად, მთელი ცივილიზებული სამყაროს პოზიცია, ამერიკის ლიდერობით, გაცილებით შეუვალა, ვიდრე რამდენიმე წლის წინ. რუსეთის დაშლაზე უკეთესი როგორც მისი სამეზობლოსთვის, ასევე მსოფლიოსთვის, მისი დემოკრატიზაცია, თანამედროვე საზოგადოებად გარდაქმნა, თუმცა ასეთ ცვლილებასაც აუცილებლად მოჰყვება მისი დაშლა. დემოკრატიზებული იმპერიები, ადრე თუ გვიან, იშლება. კაცობრიობამ ეს ნაბიჯი უკანასკნელად მე-20 საუკუნის შუახანებში გადადგა. ამჟამად, 21-ე საუკუნეში, არსებობს ერთადერთი რუსეთის იმპერია და ის აუცილებლად დაიშლება. რუსეთის დაშლა და დეზინტრეგაცია, თუ ის უკონტროლო იქნება, დიდი რისკის შემცველია. მათ შორისაა ჩრდილო კავკასიის რადიკალური ისლამის მიმდევარი კვაზისახელმწიფოების წარმოქმნა, რაც საქართველოსთვის არანაკლებ სახიფათოა, ვიდრე რუსეთის დღევანდელი სახით არსებობა,“ – აღნიშნავს გომოცემის კორესპონდენტთან საუბრისას ანდრო გოცირიძე.

საქართველოს ხელისუფლება, უკრაინის ომთან და რუსეთთან ურთიერთობის პოლიტიკაში თავშეკავებას იჩენს. ხელისუფლების უმაღლესი თანამდებობის წარმომადგენელთა პოზიციაა, რომ „არავითარი მეორე ფრონტი არ იქნება, არც მეორე ომი არ იქნება საქართველოში, ჩვენ და ჩვენს ხალხს გვინდა მშვიდობა, სტაბილურობა და განვითარება“, ამი

შესახებ საქართველოს პრემიერ მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა 2022 წლის 6 ივნისს, ჟურნალისტებთან კომენტარისას განაცხადა.

ხელისუფლების ამ დამოკიდებულებას, საქართველოში ყავს მოწინააღმდეგეებიც. სამოქალაქო საზოგადოების ერთი ნაწილი და ოპოზიცია თვლის, რომ საქართველომ მკაფიო პოზიცია უნდა დააფიქსიროს რუსეთის საოკუპაციო აგრესიასთან დაკავშირებით უკრაინაში.


ამ საკითხთან დაკავშირებით, საზოგადოებაში მიმდინარე პოლემიკისა და პოლარიზაციის ფონზე, ჩვენს მიერ მომზადებული რაოდენობრივი კვლევის ერთ ერთ მიმართულებას, სწორედ უკრაინის ომის გავლენა წარმოადგენდა საქართველოზე.

საზოგადოების აღქმა, საკითხისადმი არაერთგვაროვანია. ამის გასარკვევად, დისერტაციაზე მუშაობისას, ინტერნეტრესურსების დახმარე-

ბით, ორი რაოდენობრივი კვლევა ჩატარეთ, რომელიც 2021 წლის 15 ივნისიდან 15 ივლისამდე პერიოდს(გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 543-მა ადამიანმა) და 2022 წლის 15 ოქტომბრიდან 15 ნოემბრამდე (გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 420-მა ადამიანმა) პერიოდს მოიცავდა.

კითხვაზე, რუსეთ-უკრაინას შორის არსებული ომის ფონზე, ელოდებით თუ არა ურთიერთობების გამწვავებას რუსეთ-საქართველოს შორის? გამოკითხვაში მონაწილეთა პასუხები, შემდეგნაირად გადანაწილდა: 27.8% ფიქრობს, რომ უკრაინის ომი რუსეთ-საქართველოს შორის სამომავლო ურთიერთობებზე პირდაპირ გავლენას მოახდენს. გამოკითხვაში მონაწილეთა 49.6% მიიჩნევს, რომ ეს გავლენა ირიბი იქნება, 10.3% აზრით არანაირი გავლენა არ ექნებნა, კითხვაზე პასუხი არ აქვს გამოკითხულთა 12.3%-ს.

იხ. დიაგრამა #1




იგივე კითხვა, რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში, გასულ წელსაც დავსვით, 2021 წლის 15 ივნისიდან 15 ივლისის პერიოდში, მაშინ, როცა უკ-

რაინაში მართომასშტაბიანი საბრძოლო მოქმედებები დაწყებული არ იყო. კვლევის შედეგად, საზოგადოების დამოკიდებულება საზოგადოე-

ში, ფაქტობრივად არ შეცვლილა, თუ არ ჩავთვლით პირდაპირი გავლენის ალბათობის ნაწილს, სადაც 8.9%-ითაა შემცირებული საზოგადოების იმ ნაწილის მოლოდინები, რომლე-

ბიც თვლიან, რომ უკრაინის ომის შედეგი პირდაპირ განსაზღვრავს, რუსეთ-საქართველოს შორის ურთიერთობების გამწვავება-არ გამწვავების საკითხს.


იხ.დიაგრამა#2



კიდევ ერთი საკითხი, რომელმაც ქართული საზოგადოების პოზიციები ორად გაყო, საქართველოს შეკავებული პოზიციის კვალობაზე, უკრაინის ომის შედეგების ჩვენს მიერ დასმულ კითხვაზე-ექნება თუ არა უკრაინაში მიმდინარე ომის შედეგებს გავლენა, საქართველოს ევროინტეგრაციაზე?

გამოკითხული 406 ადამიანის 56.4% თვლის, რომ პირდაპირი გავლენა ექნება, 30.8% მიიჩნევს, რომ გავლენა ირიბი იქნება, 9.6%-ს კითხვაზე პასუხი არ აქვს და მხოლოდ 3.2% გვპასუხობს, რომ საქართველოს ევროინტეგრაციის გზაზე, უკრაინის ომის შედეგებს, გავლენა არ ექნება.


იხ.დიაგრამა#3



ამასთან, 2022 წლის 14 ოქტომბრიდან 15 ნოემბრის პერიოდში ჩატარებულ რაოდენობრივ კვლევაში მონაწილეთა აბსოლუტური უმრავლესობა-77.5% თვლის, რომ რუსული აგრესია საქართველოსთან მიმართე-

ბით კვლავ გრძელდება, გამოკითხულთა 19.6% მიიჩნევს, რომ რუსული აგრესიის დასრულება ნაკლებსა-ვარაუდოა, ხოლო კითხვაზე პასუხი არ აქვს 2.7%-ს.

იხ.დიაგრამა#4




კიდევ ერთი საკითხი, რომელიც ჩვენს კვლევაში წამოვჭერთ, რუსეთთან ეკონომიკური და დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენის შესაძლებლობას შეეხებოდა. იმის მიუხედავად, რომ ამავე გამოკითხვის თანახმად, ჩვენს მიერ გამოკითხული ადამიანების 77.5% თვლის, რომ რუსეთის აგრესია საქართველოსთან მი-

მარტებით კვლავ გრძელდება, მათი 47.3% იქვე მიიჩნევს, რომ წინაპირობების გათვალისწინებით, რუსეთთან დიპლომატიური და ეკონომიკური ურთიერთობები უნდა აღდგეს, 28.4% წინააღმდეგია, 13.7% მიიჩნევს, რომ საერთოდ არ უნდა აღდგეს, 7.4% თვლის, რომ უნდა აღდგეს.

იხ.დიაგრამა#5

უნდა აღდგეს თუ არა რუსეთთან დიპლომატიური და ეკონომიკური ურთიერთობები?
408 პასუხი



საზოგადოებრივი აზრის კვლევა, ყველაზე ნათლად გვიჩვენებს საზოგადოების დამოკიდებულებას ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით. ამ შემთხვევაშიც, გამოიკვეთა, რომ საზოგადოების დიდ ნაწილს საქართველოში, არ აქვს მოლოდინი, რომ რუსეთი შეცვლის მის მტრულ დამოკიდებულებას, უკრაინის ომის ფონზე საქართველოსთან მიმართებით. ამასთან, მათი უმრავლესობა მიიჩნევს, რომ უკრაინაში მიმდინარე პროცესები, მეტწილად განაპირობებს, საქართველოს ევროინტეგრაციას და ირიბი გავლენა ექნება, საქართველოს მიმართ რუსეთის ფედერაციის მიერ უკრაინაში ომის დაწყებამ, მსოფლიოში თუ არა, ევროპაში საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემა ნამდვილად შეცვალა.

საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ შექმნილი პოლიტიკური გარემო სწრაფად და დინამიკურად იცვლება, ისევე როგორც მსოფლიო პოლიტიკური გარემო. ეს ცვლილებები რას მოიტანს, განსაკუთრებით რუსეთ-უკრაინის ომის ფონზე, ახლართული სათქმელია, შეუძლებელიც კი, მაგრამ ცვლილებები გარდაუვალია.

ფაქტი ერთია, უკრაინის ომი არამარტო საქართველოს შიდაპოლიტიკურ დისკურსზე ახდენს გავლენას. ის ნეგატიურად მოქმედებს საქართველოში არსებულ კონფლიქტურ რეგიონებზე, ჩიხურ სიტუაციას უფრო ართულებს და მომავალს მეტად ბუნდოვანს ხდის. კონფლიქტების ტრანსფორმაციაზე, მოგვარებაზე და საქართველოს სივრცეში ინტეგრაცია-

ზე საუბარი უფრო რთულდება. ემოციური სურვილების მიღმა, არსებობს პოლიტიკური რეალობები, რომელიც არც თუ ისე დამაიმედებელია. ფაქტია ასევე ისიც, რომ უკრაინაში მიმდინარე ომმა, ერთი მხრივ, საქართველოს მოქალაქეებს, მეორე მხრივ კი, გამყოფ ხაზებს მიღმა მცხოვრება აფხაზებსა და ოსებს შორის გაუცხოება კიდევ უფრო გაზარდა.

უკრაინაში მიმდინარე ომის პირველი დღეებიდან საქართველოს მოქალაქეები ომის ერთ მხარეს აღმოჩნდნენ, აფხაზები და ოსები კი – მეორე. ონლაინ სივრცეში ინტენსიურად ვრცელდება კადრები, სადაც ჩანს, თუ როგორ იბრძვის აფხაზებისგან დაკომპლექტებული სამხედრო შენაერთი დონეცკის სახალხი რესპუბლიკის შემადგენლობაში.

ამ ომმა გაზარდა ქართულ საზოგადოებრივ ჯგუფებს შორის აგრესიული დისკურსი, რაც კონფლიქტების მოგვარების პერსპექტივას, კიდევ უფრო ბუნდოვანს ხდის.

ანალიტიკოსები ტანხმდებიან, რომ რუსეთ-უკრაინის ომი, მიუხედავად ზედაპირული მსგავსებისა, არ ჰგავს აგვისტოს ომს. თუ აგვისტოს ომში რუსეთის ამოცანები უფრო ლოკალური მასშტაბისა იყო (აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთზე კონტროლის განმტკიცება, საქართველოს დასჯა, დასავლეთისათვის დემონსტრირება, რომ ამ რეგიონში კრემლი ჰეგემონად რჩება), უკრაინის ომში რუსეთის ოკუპაციური მიზნები უფრო გლობალური გახდა და მიზნად დაისახა მსოფლიო წესრიგის შეცვლა.

დეკემბერ-იანვარში მოსკოვის მიერ ომის თავიდან აცილების სანაცვლოდ დაყენებული პირობები: ნატოს გაფართოებაზე უარის თქმა, ნატოს სამხედრო ინფრასტრუქტურის დაბრუნება 1997 წლამდე არსებულ საზღვრებში, რეალურად, ცივი ომის შედეგების გადახედვის მცდელობა იყო და არა – მხოლოდ უკრაინისათვის დამატებითი ტერიტორიების წართმევის ან თუნდაც უკრაინაში ხელისუფლების შეცვლისა და მარი-

ონეტული რეჟიმის ჩამოყალიბების მცდელობა.

ანალიტიკოსების ნაწილი თანხმდება, რომ იგივე პირობებს აამოქმედებს მოსკოვი, ყველა ქვეყანასთან, მათ შორის საქართველოსთან მიმართებაში, თუ ის გონივრულ პოლიტიკას არ გააგრძელებს. ამ მოსაზრებას არ იზიარებს მათი ნაწილი, რომლებიც მოსკოვის საოკუპაციო მიზნების შემაკავებლად, საერთაშორისო თანამეგობრობის ძალისხმევას მიიჩნევენ.

სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია

„თანამედროვე მსოფლიო წესრიგი – პოლიტიკურ-სამართლებრივი გამოწვევები“.

კულტუროლოგიის სექცია

თავმჯდომარე პროფ. რევაზ მიშველაძე

ირაკლი გაბისონია

გადასახადისთვის თავის აწილების საგადასახადო და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ხანდაზმულობის ურთიერთთავსებადობა

საბაზრო ეკონომიკის პირობებში სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს ქვეყანაში ბიზნესის განვითარება, საზღვარგარეთიდან რაც შეიძლება მეტი ინვესტიციების მოზიდვა, გადასახადის გადამხდელებისთვის ხელსაყრელი და კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნა, რაც ბუნებრივია, პროდუქციის ზრდაზე, ეკონომიკის გაჯანსაღებასა და მოსახლეობის ცხოვრების დონეზე სასიკეთოდ აისახება. ამიტომაც, დღის წესრიგში დგას არამარტო საგადასახადო სისტემის გაუმჯობესება, არამედ ამ მიმართულებით სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობის დახვეწა, ლიბერალიზაცია და პასუხისმგებლობასთან ერთად უმეტესად წამახ-

ლისებელი ნორმების გათვალისწინება. სახელმწიფო მნიშვნელოვანი ინტერესების უზრუნველსაყოფად ადგენს კონკრეტულ საკანონმდებლო ჩარჩოებს, რომლის მიხედვითაც ფუნქციონირებს ქვეყნის ეკონომიკური სივრცე.

საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა საკანონმდებლო ცვლილებები და ხანდაზმულობის 6 წლიანი ვადა შემცირდა 3 წლამდე. საგადასახადო ხანდაზმულობის თავისებურება სწორედ იმაში მდგომარეობს რომ საგადასახადო ორგანო ვერ დააკისრებს საგადასახადო პასუხისმგებლობას გადასახადის გადამხდელს ხანდაზმულობის გასვლის შემდეგ, კანონმდებელმა ეს გადაწ-

ყვეტილება იმიტომ მიიღო რომ მეტად შეზღუდა მაკონტროლებელი ორგანოს ფუნქციები და კიდევ უფრო მეტად დაიცვას გადასახადის გადამხდელთა უფლებები.

როგორც ცნობილია, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 218-ე მუხლის „გადასახადისაგან თავის არიდების“ პირველი ნაწილი გულისხმობს დიდი ოდენობით გადასახადისათვის განზრახ თავის არიდებას, რომელიც ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ხუთ წლამდე, აღნიშნული განეკუთვნება ნაკლებად მძიმე დანაშაულს, რომლის ხანდაზმულობის ვადა არის 6 წელი, ამავე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული იგივე ქმედება ჩადენილი: ა) არაერთგზის, ბ) განსაკუთრებით დიდი ოდენობით, გ) წინასწარ შეთანხმებით ჯგუფის მიერ – განეკუთვნება განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის კატეგორიას და ხანდაზმულობის ვადა არის 10 წელი, ხოლო მესამე ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული ქონების ან მისი ნაწილის გასხვისება გადასახადისათვის თავის არიდების მიზნით განეკუთვნება ნაკლებად მძიმე დანაშაულის კატეგორიას და გულისხმობს ხანდაზმულობის 6 წლიან ვადას.

ცხადია, საგადასახადო სამართალი და მათ შორის საგადასახადო დავები ძალზედ სპეციფიკურია, საგადასახადო დანაშაული გამორჩეულია თავისი სუბიექტებითა და დანაშაულის ჩადენის ხერხებითაც. შესა-

ბამისად, მიგვაჩნია, რომ შესაძლებელია სამომავლოდ მოხდეს გადასახადისაგან თავის არიდებისათვის და სხვა საფინანსო საქმიანობის სფეროში ჩადენილი დანაშაულების დეკრიმინალიზაცია, თუმცა ამ ეტაპისთვის უმჯობესი იქნება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსსა და საგადასახადო კოდექსში განხორციელებული შემდეგი ცვლილებები:

- საქართველოს სისხლის სამართლის 218-ე მუხლით გათვალისწინებული სასჯელები პირველ და მესამე ნაწილთან მიმართებაში არ ითვალისწინებდეს თავისუფლების აღკვეთას და გათვალისწინებული იქნეს ჯარიმა, შიდა პატიმრობა გამასწორებელი სამუშაო საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა ან/და მსგავსი შემთხვევები გახდეს პირობითი მსჯავრის დანიშვნის საფუძველი;

- საქართველოს სისხლის სამართლის 218-ე მუხლით მეორე ნაწილისათვის გათვალისწინებული დანაშაულისათვის პირი ისჯებოდეს თავისუფლების აღკვეთით 2 წლამდე;

- საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-4 მუხლში გათვალისწინებული ხანდაზმულობის 3 წლიანი ვადა გახდეს 2 წელი;

აღნიშნული ცვლილებებით თანხვედრაში მოვა საქართველოს სისხლის სამართლისა და საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადები და სისხლის

სამართლის 218-ე მუხლი გახდება შესაბამისი საქართველოს სისხლის სამართლის 71-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეკუთხუთით გათვალისწინებულ ხანდაზმულობის ვადის.

აქვე უნდა აღინიშნოს რომ სრულიად გასაგებია ის განსხვავება, რაც ახასიათებს სისხლის სამართალსა და საგადასახადო სამართალს, თუმცა ისინი მაინც წარმოადგენენ ერთიან სამართლებრივ სისტემას. აქედან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ სამართლიანი იქნება საგადასახადო და სისხლისსამართლებრივი ხანდაზმულობის ვადების ურთიერთთავსებადობა, რაც ბევრ გაუგებრობას თავიდან ააცილებს გადასახადის გადამხდელებს. აღნიშნული იქნება კიდევ ერთი სწორად გადადგმული ნაბიჯი გადასახადის გადამხდელის უფლებათა დაცვისათვის, რაც ხელს

შეუწყობს გადამხდელთა ნდობას საგადასახადო კანონმდებლობისა და ადმინისტრირების კუთხით და ამდღებს საგადასახადო კულტურას.

აღნიშნული ცვლილებებით საგადასახადო ორგანო მეტად შეითავსებს სერვისების მიმწოდებლის ორგანოს ფუნქციებს და დაკარგავს მაკონტროლებელი ორგანოსთვის დამახასიათებელ ნიშნებს. ცალსახაა, რომ საგადასახადო ორგანო და მათ შორის სხვა მაკონტროლებელი ორგანოები უნდა იქცნენ სწორედ რომ სერვისების მიმწოდებელ ორგანობად, რაც კიდევ უფრო მეტად აამაღლებს გადასახადის გადამხდელთა საგადასახადო კულტურას, ხელს შეუწყობს ინვესტიციების მოზიდვას და თავისუფალი ბიზნესგარემოს შექმნას.

ქვეყნის გაბეჭდილი

**სასამართლო და პოლიტიკური
მჭევრმეტყველება**

საორატორო მჭევრმეტყველებას რამდენიმე სახე აქვს და ერთ-ერთი მათგანია სამოსამართლო მჭევრმეტყველება. სამოსამართლო მჭევრმეტყველება განიმარტება როგორც სააგიტაციო მჭევრმეტყველების სახეობა, რომლის დანიშნულებაცაა ზეგავლენის მოხდენა სასამართლოს წევრებზე იმ მიზნით, რომ მიიღონ ორატორისათვის სასურველი გადაწყვეტილება პირის შესახებ. იურისტის საქმიანობა ზოგადად უკავშირდება გადაწყვეტილების მიმღები პირის/პირთა კონსულტირებას კანონის თუ ნორმის სწორედ ინტერპრეტაციისათვის აუცილებელი გადაწყვეტილების მიღებაში ან კლიენტის დახმარებას სწორი სამართლიანი პოზიციის ჩამოყალიბებაში. ამ დროს იურისტს ხშირად უწევს მიმართოს საორატორო მჭევრმეტყველების სხვადასხვა სახეს, მაგალითად, სააგიტაციო, სადისკუსიო, აკადემიურ მჭევრმეტყველებას, რადგან ძალიან ხშირად გადაწყვეტილების მიმღები პირი ან კლიენტი არ არის დაკავშირებული იურიდიულ პროფესიასთან და მისთვის არ არის ცნობილი ან სა-

ერთოდ ნორმა ან/და მისი ახსნა-განმარტების სხვადასხვა მეთოდი.

ორატორი თავის მსჯელობას, აზრების დალაგებას და მეტყველების ყოველგვარ სხვა საშუალებას წარმართავს იმ მიზნით, რომ გამოიწვიოს მსმენელში მისთვის სასურველი დასკვნა, გადაწყვეტილება მსჯელობის საგნის შესახებ, წარმართოს მსმენელი ისეთი მოქმედებისაკენ, რასაც თვით ორატორის აქვს გამიზნული და შექმნას მსმენელში ზემოაღნიშნულისათვის შესაფერი განწყობილება.

როგორც ვიცით, საჯარო გამოსვლები და კარგი კომუნიკაციის უნარი გადამწყვეტ როლს თამაშობს სამართლის დარგში კარიერულ წარმატების მიღწევაში. აქედან გამომდინარე, საჯარო გამოსვლის უნარების განვითარება ძალიან მნიშვნელოვანია სამართლის და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სტუდენტისთვის. გამართული მეტყველების და ორატორული უნარი ეხმარება არა მხოლოდ უნივერსიტეტში სასწავლო წარმატებაში, არამედ სამომავლო პროფესიულ მოწყობაში.

დავით ხუფენია

**ელიტების რეკრუტირების
ინსტიტუციონალური პრობლემატიკა**

საზოგადოება არასოდეს განიცდის ელიტური პოზიციების დაკავების მსურველთა ნაკლებობას, რაც განპირობებულია აღნიშნული საქმიანობის მაღალი სტატუსით, პრესტიჟით და რიგი პრივილეგიის მოპოვების შესაძლებლობით (მათ შორის მატერიალურის). სხვა საკითხია, რამდენად კვალიფიციური აღმოჩნდებიან ახალი ელიტები თავის პოზიციებზე და როგორია მათი მორალური და პროფესიული ნიშან-თვისებები. დაკომპლექტების ელიტარულ სისტემას უდიდესი მნიშვნელობა აქვს პოლიტიკური სისტემისათვის: მას შეუძლია უზრუნველყოს ძალაუფლების წვდომის მეტ-ნაკლებად თანაბარი შესაძლებლობა ყველა მოქალაქისთვის, ან შეზღუდოს ეს შესაძლებლობები, ან თუნდაც საერთოდ წაართვას ისინი. ჭეშმარიტად დემოკრატიული პოლიტიკური სისტემის ერთ-ერთი უმთავრესი დამახასიათებელი ნიშანი არის თითოეული მოქალაქისთვის პოლიტიკური და ეკონომიკური ინსტიტუტებისადმი თავისუფალი წვდომის უზრუნველყოფას, რისი უფლებაც მას კონსტიტუციურად აქვს.

პოლიტიკური ელიტის რეკრუტირების პროცესში ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტებია სოციალური ბაზის სიდიდე – პირთა წრე, რომლებიც ირჩევენ ელიტას (სელექტორი) და თვითონ პროცედურა, ანუ შერჩევის მექანიზმი. ბოლო ორი-სამი ათასწლეულის გამოცდილება, განსაკუთრებით პოსტსაბჭოთა სივრცის სახელმწიფოების მაგალითი მიგვითითებს იმაზე, რომ დახურული ელიტა, რომელიც კომპლექტდება ვიწრო, პრივილეგირებული ფენის წარმომადგენლებისაგან და მხოლოდ საკუთარ შეზღუდულ ბაზაზეა ორიენტირებული – აუცილებლად დეგრაдиრდება და დაიშლება, რის შედეგადაც, ადრე თუ გვიან, ადგილს დაუთმობს უფრო რადიკალურად, ხშირად პოპულისტურად, განწყობის ჯგუფებს. რაც უფრო დახურულია ელიტა, მით უფრო ვიწროა მისი სოციალური ბაზა, მით ნაკლები შანსი აქვს გააგრძელოს თავისი ბატონობა და გადარჩეს სხვა სოციალურ-პოლიტიკურ სისტემებთან კონკურენციის პირობებში. უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული თეორია მოქმედებს მით უფრო, რაც უფრო განვითარებულია

სოციალური კომუნიკაციების სისტემა, მათ შორის ურთიერთობები ქვეყნებს, კულტურებსა და ცივილიზაციებს შორის.

თუ გავითვალისწინებთ, რომ არსებობს ელიტის სამი ძირითადი ტიპი – სისხლის ელიტა (არისტოკრატია); სიმდიდრის ელიტა (ბურჟუაზია); უნარის ელიტა (მერიტოკრატია), მაშინ შეგვიძლია განვასხვავოთ ელიტის რეკრუტირების სამი ძირითადი ტიპი: კეთილშობილების, სიმდიდრისა და უნარის კრიტერიუმის მიხედვით. ყველაზე ხშირად, ეს კრიტერიუმები შერეულია, მაგრამ როდესაც პოსტ-ინდუსტრიულ საზოგადოებას ვუახლოვდებით, ეს კრიტე-

რიუმები მით უფრო ორიენტირებულია ნიჭისა და შესაძლებლობების (პროფესიონალიზმის) ირგვლივ. ყველა შემთხვევაში, ეს კრიტერიუმები მჭიდროდ არის დაკავშირებული იმ საზოგადოების ტიპებთან, რომელშიც ხდება რეკრუტირება. ზოგადად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ელიტის ხარისხი დამოკიდებულია მისი დაქირავების მეთოდებზე, იმაზე, თუ რამდენად „გამჭვირვალეა“ ელიტა, რამდენად ღიაა ყველაზე პოლიტიკურად აქტიური ადამიანებისათვის, რამდენად ღიაა ინოვაციებისთვის და ყველა კლასისა და ფენის წარმომადგენლებისთვის.

რეგაზ მიშველაძე

**კულტურა და რუსეთ-უკრაინის
ომის რეციდივები**

რუსეთ-უკრაინის ომმა ოცდამე-
ერთე საუკუნის მსოფლიო წესრიგი
შეცვალა.

სანამ პუტინი უკრაინის საზ-
ღვრებთან, აქაოდა მანევრებს ვატა-
რებო, ჯარებს აგროვებდა, საერთა-
შორისო ინსტიტუტების პოლიტი-
კურ-დიპლომატიური აზრი ორად
იყო გაყოფილი: ერთნი ამტკიცებ-
დნენ, რომ ომი მოახლოებული იყო
და რუსის ჯარის მიერ უკრაინის
საზღვრების გადალახვამდე საათები
რჩებოდა; მეორენი კი კატეგორიუ-
ლად აცხადებდნენ: ყოველგვარი ში-
ში ამაოა, ახლა XX საუკუნის ორმო-
ციანი წლები არ არის და რუსეთი
მსოფლიოს თვალწინ ასეთ ყაჩაღობას
ვერ გაბედავსო.

თვით რუსეთის პოლიტიკური
ხელმძღვანელობა გულდასმით არ-
წმუნებდა მსოფლიოს, ომზე არც მი-
ფიქრია, მხოლოდ და მხოლოდ ჩემი
არმიის გეგმურ წვრთნას ვახორციე-
ლებო.

მალე, ერთბაშად, ღიად, საერთა-
შორისო მასმედიის თვალწინ პუტინ-
მა თავისი გენერალიტეტის თათბი-
რი ჩაატარა და სამხედრო ხროვის

დასტურით უკრაინისთვის „ჭკუის
სწავლების“ მომიზეზებით სპეცოპე-
რაცია დააანონსა.

პროგრესული საზოგადოებრივი
აზრი, მორალურ-ფსიქოლოგიური
კულტურა ეთბაშად შოკში ჩავარდა.

გონებამ ვერ დაიჯერა, რომ
მსოფლიო კულტურის მუხლჩაუხრე-
ლი რუდუნება, მეორე მსოფლიო
ომის გაკვეთილებზე დაწერილი მი-
ლიონობით თხზულება, ფილმები
და სპექტაკლები, ისტორიკოსთა სამი
თაობის მიერ ერთსულოვნად უარ-
ყოფითად შეფასებული კაცთაკვლის
არნახული გაკვეთილები ასე სავალა-
ლოდ გაითელებოდა მსოფლიოს ერ-
თ-ერთი უდიდესი სახელმწიფოს მი-
ერ; რომ რუსეთი ნეოფაშისტის ჩაფ-
ხუტს მოირგებდა და ტანკებს დამ-
რავდა მომმე ხალხის წინააღმდეგ, იმ
ერის წინააღმდეგ, ვისთანაც მრავალ-
საუკუნოვანი კულტურულ-ეკონო-
მიკური ურთიერთობა ჰქონდა, სა-
დაც ჩაისახა და განვითარდა პირვე-
ლი რუსული სახელმწიფო („კიევის
სამთავრო“) და ვისთანაც ერთად რუ-
სეთი ერთ სახელმწიფოდ იყო გაერ-
თიანებული მსოფლიოს ყველაზე

დიდი იმპერიის – საბჭოთა კავშირის შემადგენლობასი.

სახელმწიფოებს შორის ურთიერთობა ძირითადად ორი არხით მიმდინარეობს. ერთი გახლავთ ეკონომიური და მეორე – კულტურული ურთიერთობა. ომის შედეგად, მოგეხსენებათ, ერთბაშად დაინგრა უკრაინასა და რუსეთს შორის ეკონომიკურ-სამრეწველო ურთიერთობა. ოკუპანტის შეტევებისაგან მისაწთან გასწორდა ორმოცამდე ქალაქი და ათასამდე სოფელი, დაიღწა ფაზრიკა-ქარხნები, შეწყდა საბაზრო ურთიერთობა და განადგურდა სამხედრო ინფრასტრუქტურა. ათეული წლები დასჭირდება ომით მიყენებული ზარალის გამოსწორებას, ხოლო ის, რაც აღდგენას არ ექვევდება, მოგეხსენებათ ათასობით ადამიანის ფიზიკური მოსპობა გახლავთ.

რაც შეეხება ორივე მხარეს კულტურისთვის მიყენებულ დანაშაულებრივ ქმედებებს, არანაკლებ ცხადი და საგულისხმოა.

უპირველესად ეს გახლავთ მორალურ-ფსიქოლოგიური ტრავმა. ადამიანებმა არა მარტო რუსეთსა და უკრაინაში, ლამის მთელ მსოფლიოში რწმენა დაკარგეს კეთილი ნების, ხალხთა შორის მშვიდობის მიმართ, რწმენა დაკარგეს ერებს შორის ჰედონიზმისა და მეგობრული დამოკიდებულების მიმართ, რასაც კულტურა საუკუნეთა განმავლობაში ნაბიჯ-ნაბიჯ აშენებდა.

მილიონებმა ირწმუნეს, რომ თურმე კაცობრიობა დღესაც დაუცველია.

თურმე შუასაუკუნეობრივი თავდასხმებისა და მსოფლიო გლობუსის წაღმა-უკუღმა ტრიალის, სახელმწიფოთა საზღვრების წარამარა ცვლის და ადამიანთა განადგურების საშუალებების (გილიოტინიდან, კოცონზე დაწვიდან ატომურ იარაღამდე...) ფეირვერკის შემდეგ ჯერ კიდევ შესაძლებელი ყოფილა წამოუაროს სატანის ქარბორიამ რომელიმე მეზობელს და ცეცხლითა და მახვილით მოგადგეს გასანადგურებლად.

„რომელი აღმადლდეს მახვილითა, მახვილითავე წარხდეს იგი“ – თურმე ამაოდ მოსძახოდა 21 საუკუნის განმავლობაში ქრისტე კაცობრიობას და ეს ჭეშმარიტება პირველს იმას დავიწყებია, რომლის ტერიტორიაზე უხვადაა მართმადიდებელი სარწმუნოების ერთგულების დამადასტურებელი სალოცავები.

ამ ომმა თანამედროვე მოქალაქის სულს არნახული ვნება მიაყენა. ყველა ჩვეგანის სულში რაღაც ჩაწყდა. თურმე არც 21-ე საუკუნე ყოფილა უდანაშაულო კაცობრიობის მშვიდობიანი თავშესაფარი.

ასე რომ, ამ ომისგან მიყენებული მორალური ზარალი არანაკლებია, ვიდრე ეკონომიკური.

მახსენდება გერმანელი მწერლის თედორ ადორნოს სიტყვები, რომელიც მან ოსვენციმის დათვალიერების შემდეგ წარმოთქვა: „ოსვენციმის შემდეგ ლექსები საერთოდ არ უნდა დაიწეროს“.

მიუხედავად იმისა, რომ ლამის მთელი მსოფლიო გაერთიანდა რუ-

სეთის წინააღმდეგ, ახლაც, ამ წუთშიც, პუტინის გამანადრურებელი მანქანა უმოწყალოდ სპობს უკრაინის სამხედრო და მშვიდობიან იფრასტრუქტურას. ოც მილიონამდე მშვიდობიანმა მოქალაქემ თავისი სამშობლო დატოვა. ოკუპანტი არ ინდობს ლტოლვილთა კოლონებსაც კი. დღემდე დაღუპულია 10 ათასამდე უკრაინელი ჯარისკაცი, რვა ათასამდე მშვიდობიანი მოქალაქე და მათ შორის – ოთხასზე მეტი ბავშვი.

ზემოთ მოგახსენეთ, ლამის მსოფლიო გაერთიანდა-მეთქი უკრაინის დასაცავად, მაგრამ ვისღა დავუმალოთ, ეს გაერთიანება დღემდე არაქმედითია. უკრაინას ევროუპული სახელმწიფოები და ამერიკა აწვდიან იარაღს, მაგრამ აწვდიან არასაკმარისი რაოდენობით. ეს სამხედრო დახმარება მაძღრის მიერ მშვიდობისათვის პურის წვრილად დაფშვნის ანდაზას მაგონებს. ესეც არ იყოს, უკრაინას არ აძლევენ სამხედრო თვითმფრინავებს, შორი მოქმედების რაკეტმცორცნებსა და ლაზერულ იარაღს რუსული სამხედრო ტექნიკის ეფექტიანად გასანადგურებლად. შთაბეჭდილება ისეთი რჩება, რომ აშშ, ევროკავშირი და ნატო თითქოსდა არ არიან დაინტერესებული ომის სწრაფად, დროულად დამთავრებით. არადა, დრო არ იცდის.

ამერიკის პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა ისიც კი განაცხადა: ჩვენ უკრაინას იარაღს ვაძლევთ მხოლოდ თავდაცვისთვის, თანაც მკაცრად ვაფრთხილებთ, რომ ეს იარაღი რუსე-

თის ტერიტორიის დასაბომბად არ გამოიყენოსო. პოლიტიკური სიბეცე უფრო შორს ვეღარ წავა.

ომი განურჩევლად ანგრევს უკრაინის სულიერი და მატერიალური კულტურის ძეგლებს.

ფრთოსანი რაკეტების იერიშის შედეგად დაინგრა ეკლესია-მონასტრები მარიუპოლში, სევეროდონეცკში, ხარკოვში, ხერსონსა და ბუჩაში; მიწასთან გასწორდა ასობით თეატრი და მუზეუმი, დაიბომბა კინო-თეატრები და სამხატვრო გალერეები; ყუმბარის ნამსვრევები მოხვდა ტარას შევჩენკოსა და ლესია უკრაინკას ძეგლებს; დაიღწა სკოლები, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები და უმაღლესი სასწავლებლები. 4 მაისს რუსეთმა დაბომბა მარიუპოლის თეატრი. ამ დროს დაიღუპა 120-მდე თეატრის შენობას შეფარებული მოქალაქე, მიუხედავად იმისა, რომ თეატრს ეწერა „ბავშვები“.

ერთბაშად მოიშალა კულტურული კავშირები.

– გაუქმდა სპორტული ღონისძიებანი. საერთაშორისო სპორტულმა უწყებებმა – უეფამ და ფიფამ – რუს სპორტსმენებს აუკრძალეს საერთაშორისო შეხვედრებსა და ოლიმპიადებში მონაწილეობა.

შეჩერდა მხატვრულ კოლექტივთა გასტროლები.

აიკრძალა კონცერტები.

გაუქმდა მთარგმნელობითი ბიუროები.

უკრაინისთვის დაიხურა კულტურის დიდი მექა – მოსკოვი.

შეჩერდა უკრაინაში რუსული და რუსეთში უკრაინული წიგნების გამოცემა.

შეწყდა სწავლა უმაღლეს სასწავლებლებში თითქმის მთელი უკრაინის ტერიტორიაზე.

მთელ მსოფლიოს მოედო უკრაინელთა გოდება.

ყოველ ქალაქში შეხვედებით ქერათმიან, თვალცრემლიან, ულამაზეს უკრაინელ ლტოლვილებს.

აქვე სიამაყით უნდა დავსძინო, რომ საქართველოში ლტოლვილი უკრაინელი მოსწავლეებისთვის გაიხსნა სკოლები მათს მშობლიურ უკრაინულ ენაზე, რაც, ჩვენი ქვეყნის გარდა, არც ერთ სხვა სახელმწიფოს არ გაუკეთებია. მიუხედავად იმისა, რომ პოლონეთსი 5 მილიონი ლტოლვილია, ხოლო მოლდოვაში – 1,5 მილიონი.

გარდა ზემოჩამოთვლილისა, რაც თვალშისაცემია და ცხადლივ ამაზრზენი გახლავთ, არანაკლებ დამაფიქრებელია მომავლის სურათი: რუსეთ-უკრაინის ომს უსათუოდ მოჰყვება კულტურულ-შემოქმედებით ფასეულობათა წყება ხელოვნების სხვადასხვა სფეროში. რუსეთის დანაშაულზე სულ მცირე 50 წელი მაინც იმსჯელებენ, ჩატარდება სასამართლოები და რუსეთი კარგა ხანს ვერ მოიშორებს მსოფლიო დამნაშავის მეტსახელს.

... და რაც არანაკლებ სავალალოა, შეიქმნა ესთეტიკური სკოლები და გაერთიანებანი. ამ კულტურულ მმართველებათა კვლევის საგანი სწო-

რედ ის მსოფლიო სევდის ფენომენი იქნება, რაც ისტორიაში უკვე შევიდა რუსეთ-უკრაინის ომის სახით.

ომის დაწყებისთანავე უკრაინის მწერალთა კავშირმა ორი საერთაშორისო აგრესიული გეგმა, რომელიც მიზნად ისახავდა უკრაინის, როგორც დამოუკიდებელი, სუვერენული ქვეყნის, სრულ ანექსია-ოკუპაციას და მოუწოდა მსოფლოს პროგრესულ საზოგადოებას, დაუყოვნებლივ მიეღო ზომები აგრესორის ასალაგმავად. მეორე განცხადებით მან მიმართა რუს მწერლებს, გამოეხატათ თავიანთი დამოკიდებულება მომხდარი ფაქტისადმი, ხმა ამოეღოთ დიქტატორ პუტინის წინააღმდეგ.

სამწუხაროდ, ამჯერადაც, ისე როგორ რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომის დროს, იმუშავა რუსულმა დესპოტმა, დემოკრატიის დამთრგუნველმა მანქანამ და შიშით გატრუნულმა რუსმა მწერლებმა პირში წყალი ჩაიგუბეს. პუტინს საწინააღმდეგო ერთი სიტყვაც არ აკადრა რუსულმა მხატვრულმა ინტელიგენციამ. ჩესოვისა და ტოლსტოის შთამომავლებმა მსოფლიოს წინაშე თავი შეირცხვინეს. მარტოდენ „გოგოდვევლებმა“ გამოხატეს პროტესტი. დუმს უკრაინის მწერალთა კავშირის რუსული ფრაქციაც.

პოლიცია ცეცხლითა და მახვილით არბევს ომისაწინააღმდეგო მიტინგებს მოსკოვსა და პეტერბურგში. აპატიმრებენ მშვიდობიან დემონსტრანტებს. მოსკოვის ცენტრალურ ტელევიზიის ერთ-ერთმა თანამშრო-

მელმა ვერ მოითმინა და საჯაროდ განაცხადა, რომ ემიჯნება რუსეთის სამხედრო პოლიტიკას, რისთვისაც იგი სასწრაფოდ გააძევეს სამსახურიდან და სამშობლოდანაც გაასახლეს.

საქართველოს მწერალთა კავშირმა მარტის დასაწყისში დეპეზიგანცხადება აფრინა კიევში, ჭირში გაძლება უსურვა გმირ უკრაინელ ხალხს და ქართველი ხალხის სახელით მორალურ-ფიზიკური დახმარება აღუთქვა. იმავე დღეს ქართველმა მწერლებმა რუსეთის აგრესიის საწინააღმდეგო მიტინგი გამართეს ტარას შევჩენკოს ძეგლთან და მსოფლოს აუწყეს, რომ ის, რაც ახლა უკრაინაში ხდება, უკვე გამოსცადა საქართველომ 2008 წელს და, იმ დროს რომ მსოფლიო არ გაჩუმებულიყო და მსოფლიოს პოლიტიკურ-დიპლომატიური ინსტიტუტები „სხვისი ჭირი ღობეს ჩხირის“ ანდაზის ერთგულების გზას არ დასდგომოდნენ, შეიძლება პუტინს 2022 წელს ეს საშინელი, მსოფლიო მასშტაბის ომი ვერ გაეხდებოდა.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტმა დეკანის პროფესორ ირაკლი გაბისონიას ინიციატივით გაიმართა სამეცნიერო და მხატვრული სათანადო ავტოგრაფებით ყიდ-

დნენ თვით ავტორები. ამ ღონისძიებას მებრძოლი უკრაინელი მოქალაქეების დახმარების კეთილშობილური მისია ჰქონდა. შემოსული თანხა უკლებლივ გადაირიცხა უკრაინის დახმარების ფონდში.

მაისის დასაწყისში ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი პროფესორი დავით გურგენიძე კიევს გაემგზავრა და ქალაქში დარჩენილ, უკიდურეს გაჭირვებაში ჩავარდნილ მოქალაქეებს დახმარება ჩაუტანა. ამ ვიზიტის დროს კიევის ტექნიკური უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე პროფ. დავით გურგენიძე უნივერსიტეტის საპატიო დოქტორად აირჩიეს.

– უთანასწორო, ძმათამკვლელი ომი დღესაც გრძელდება. კიევში მწერალთა კავშირის შენობის ახლომახლო ფრთოსანი რაკეტის ჭურვი დაეცა. მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობა იძულებული გახდა საველე მდგომარეობაზე გადასულიყო. უკრაინის მწერალთა კავშირის წევრთა ერთი ნაწილი ემიგრაციაში წავიდა. ახალგაზრდა მწერლებმა ჯარისკაცის ფარაჯა მოირგეს და სამშობლოს დაცვის სამსახურში ჩადგნენ, ხოლო უკრაინის მწერალთა კავშირის ერთადერთი ქართველი წევრი ხანდაზმული პოეტი (75 წლისაა) რაულ ჩილაჩავა ახლახან სამშობლოში დაბრუნდა.

სოსო სიგუა

კულტურის როლი აღზრდის პროცესში

კულტურა ინსტინქტურ ლტოლვათა მოწესრიგება და ადამიანის ჰუმანიზმის შედეგია. ამიტომ პიროვნების აღზრდის პროცესში ერთ-ერთი უმთავრესი და გადამწყვეტი ფაქტორია. აღზრდა კი მომავლის პერსპექტივაა – როგორი იქნება ქვეყანა, საზოგადოება, პროგრესი, ინდივიდი.

სახელმწიფო ყოველთვის დიდ ყურადღებას აქცევს აღზრდის პროცესს და შესაბამისად იყენებს კულტურის ცალკეულ დარგებს, რომელთაგან როგორც ძველად, ისე ახლაც ლიტერატურას ენიჭება უპირველესი როლი.

მონოთეისტური რელიგიები (მაგ., იუდაიზმი, ქრისტიანობა, ისლამი) ემყარება წიგნიერებას. ამიტომ არის მათი უმთავრესი სახელმძღვანელოების თამუდი, ბიბლია, ყურანი. მათი ემვეობის ხდებოა პიროვნების ჩამოყალიბებია.

ცხადია, ისინი განსხვავებული ხედვის წიგნებია, მაგრამ კულტურა მრავალფეროვანი მოვლენაა და აღზრდის პროცესიც მრავალსახოვანია.

რელიგია, სახელმწიფოს იდეოლოგია ყოველთვის ცდილობს კულტურის ძეგლების განსხვავებულ წაკითხვას თავის მოთხოვნათა შესაბამისად, რაც სპეციფიკურად აღიბეჭდება აღზრდის პროცესში.

მაგ., ჰიტლერული გერანი ქმნიდა ტევტონთა შთამომავლობის უძლეველობის მითს. ამ მიზნით ტენდენციურად კითხულობდა ძველ კულტურასა და ლიტერატურას. შემდეგ ეს კორექტირებული წარმოდგენები გადაეცემოდა სკოლას, უნივერსიტეტებს, მასმედიას, კულტურის დარგებს და ყალიბდებოდა ახალი იდეოლოგია.

ასეთი იდეოლოგიის აღზრდილთაობებს უნდა ებრძოლათ გერმანიის ათასწლოვანი იმპერიის შესაქმნელად.

გერმანია იყო ნაციონალისტური სახელმწიფო, სსრკ – ინტერნაციონალისტური. აქაც ბოლშევიკები ტენდენციურად იყენებდნენ კულტურის ფენომენს, რათა აღეზარდათ კომუნიზმის მშენებელი ახალი თაობა. ოქტომბრელი, პიონერი, კომკავშირე-

ლი, პარტიული იყო მისი საფეხურები, რომლებიც აყალიბებდნენ ბოლშევიკურ მსოფლმხედვეობას, ინტერნაციონალურ სულისკვეთებას.

აღზრდის პროცესს წარმართავდა მრავადარგოვანი, მრავალსაუკუნოვანი მარქსისტულ-ლენინურად გაფილტრული და მოდელირებული კულტურა.

წარმმართველი ძალა იყო ბოლშევიკური პარტია, ლენინისა და სტალინის იდეები.

მაგრამ ყველა ერს აქვს, ფარულად თუ აშკარად, თავისი ინტერესები, რომელთა დაცვა და განვითარება ვლინდება აღზრდის პროცესში. ყველა ნაციონალური სახელმწიფო იცავს თავის ტერიტორიას, ენას, ცნობიერებას, იცავს კულტურით, პოლიტიკით, სამხედრო ძალით და ამ სულისკვეთებით ზრდის ახლა თაობას.

კულტურის ნიმუშები კი ქმნის საამისო მტკიცე ბაზას. მაგ., ქართულ ცნობიერებას აყალიბებდნენ ბიბლია, ჰაგიოგრაფია, „ვეფხისტყაოსანი“, ეკლესია, „ქართლის ცხოვრება“.

ახალი თაობისათვის სანიმუშო იყო ქრისტეს, წმ. გიორგის, წმ. ნინოს სახელები, მხატვრული ლიტერატურიდან ნესტანი და თინათინი, ტარელი და ავთანდილი...

გმირული სული, რომელსაც ამკვიდრებდნენ მეომარი მეფეები, მოდიოდა ლიტერატურიდანაც, სამშობლო და რწმენა ერთად მოიაზრებოდა და მათ ერთ მთლიანობად გარდასახავდა კულტურა, კერძოდ, ლიტერატურა.

ასე იყო XIX და XX საუკუნეებში, როცა აღზრდის პროცესი იდეოლოგიას ემორჩილებოდა. მაგრამ ფარულად ცოცხლობდა ნაციონალური სული და ტენდენციები. ამიტომ გალაკტიონისა და გ. ლეონიძის, კ. გამსახურდიას რომანები უფრო განამტკიცებდა ქართულ სულისკვეთებას, ვიდრე ხელისუფლების დადგენილებები.

დღეს ჩვენ ვცხოვრობთ გლობალიზაციის ეპოქაში, როცა მცირდება ნაციონალური ტენდენციების მნიშვნელობა. მაგრამ კულტურის ახალი ნიმუშები ისევ განაგრძობს ძველ ტენდენციებს. ეს არის აღზრდის პროცესში ისტორიულ გმირთა მნიშვნელობა, ენის ფენომენის დაცვა, ადათ-წესების შენარჩუნება.

ამ თვალსაზრისით, კულტურის როლის წარმოსაჩენად უაღრესად აქტუალურია რევაზ მიშველამძის რომანი „წამება“.

სიმბოლურია სახელწოდება, რადგან ჩვენი ისტორია წამების მატანია. სიმბოლურია, რომ მთვარი პერსონაჟი არის უნივერსიტეტიდან გამევეებული დეაწლმოსილი პორფესორი, ისტორიკოსი.

წიგნი სამ ნაწილად იყოფა – „არჩევანი“, „ბელურა გემის ანძაზე“ და „შიში“.

რომანი არაერთ ისტორიულ ფაქტს გვამცნობს, რომელთაც აერთიანებს პროფესორი ლევან კაკაბაძე. ნაწარმოები ნოველისტიკის პრინციპზეა აგებული და ყოველი ნოველა ისტორიულ მასალაზე დაყრდნობით

ემსახურება ნაციონალური სულის-კვეთების გამმაფრებას აღზრდის პროცესში.

რომანის მთავარი ხაზია რუსული გზის უარყოფა, რაც ესოდენ აქტუალური გახდა ამ დღეებში. აქტუალურია პაატა ბატონიშვილის სიტყვებიც: „რუს ხელმწიფეზე უფრო უპიროს, უნდოს, სიტყვის გამტეხს მთელ დუნიაზე ვერ ნახავ“.

ახალი თაობის აღზრდისათვის მნიშვნელოვანია აკაკი ელიავასა და გოჩა ესებუას ეპიზოდები, ზვიად გამსახურდიას მონოლოგი, მაგრამ, რომენული თვალსაზრისით, მთავარია ლევან კაკაბაძის – ახალი თაობის აღმზრდელის – ფიგურა, რომელიც ლამის თვითმკვლევლობით აასრულა ცხოვრება. იგი მაინც განმდგარია ამ ცხოვრებისაგან და შიო მღვიმის მონასტერში ბერად შედგა.

აქამდე მიიყვანა იგი ინერტულმა საზოგადოებამ.

ერთი გმირი ვერ დაუპირისპირდება კონფორმისტულ საზოგადოებას, მაგრამ იდეალის მატარებლები ერთეულები არიან, რომელთა თავგანწირვის მაგალითი ზრდის ახალ თაობას.

მთავარი პერსონაჟის პროტოტიპი ისტორიკოსი გივი ჟორდანიას, მაგრამ ასევე შეიძლება ზვიად გამსახურდიაც მოვინიშნოთ.

გლობალიზაციის დროს იცვლება აღზრდის პროცესი, იცვლება კულტურის როლი და ფუნქციაც. მაგრა მეტი ფასი და მნიშვნელობა ეძლევა პირად მაგალითს, მოღვაწეობას და თავგანწირვას. ამიტომ არის ამ თვალსაზრისით აქტუალური და საჭირო რევაზ მიშველადის ეს რომანი. შდრ. სოციალისტური თვალსაზრისით, თავისი დროისატვის აქტუალური კონსტანტინე ლორთქიფანიძის „კოლხეთის ცისკარი“ და მექი ვაშაკიძე, როგორც ალტერნატივა.

მურმან თავდიშვილი

**ქართული ენა და თანამედროვე
მწერლობა**

1. თანამედროვე მწერლობის მებალავრენი და დედაენის აქტიური დამცველები იყვნენ მიხეილ ჯავახიშვილი და კონსტანტინე გამსახურდია. კლასიკოსები ენას მწერლის უპირველეს იარაღად მიიჩნევდნენ. ისინი ენის შემქმნელად და განმავითარებლად მწერალს სახავდნენ, ხოლო დამცველებად და დარაჯ-ებგურებად – ენათმეცნიერებს. ამ ორი ძალის ერთიანი ძალისხმევით უნდა გაძლიერებულიყო და განვითარებულიყო დედაენა. „ჯაყოს ხიზნების“ ავტორი, კერძოდ, ბრძანებდა:

„ენა მწერლის ბალავარია, მისი უმთავრესი იარაღი. ენის უცოდინარი მწერალი სამფეხა ცხენსა ჰგავს“.

სხვა შემთხვევაში პროზაიკოსი ნაპოლეონის სიტყვების პერიფრაზით გვემეტყველებოდა:

„სალიტერატურო გამარჯვებისათვის ჯერ კარგი ქართულია საჭირო, მერე კარგი ქართული და ბოლოს კარგი ქართული“.

შეისწავლა რა XX საუკუნის დამდეგის შემოქმედთა ენა, „კვაჭი კვაჭანტირაძის“ შემთხზველმა მწუხარებით გვაუწყა: „ქართველმა მწერალმა არ იცის ქართული ენა“.

ამას ჯავახიშვილი აცხადებდა 1925 წელს.

მას შემდეგ გავიდა მთელი საუკუნე და ახლაც სამწუხარო სინამდვილის წინაშე ვდგავართ, რადგან ამ მხრივ არაფერი შეცვლილა: **არც თანამედროვე მწერალმა იცის ქართული ენა.**

თავისი რვატომეულის ბოლოსიტყვაობაში კ. გამსახურდია ბრძანებდა: „**მშობლიური ენის სიწმინდისათვის ბრძოლა ისეთივე საპატიო საქმეა, როგორც ხმლით დაცვა საკუთარი სამშობლოსა“.**

„დიდოსტატის მარჯვენის“ ავტორი არა ოდენ სინტაქსის კანონების ცოდნას, არამედ, ამასთანავე, მდიდარი ლექსიკური ფონდის მონარჯვებასაც მოითხოვდა.

ორივე მწერალს მიაჩნია, რომ დიალექტური ფორმები ზომიერად უნდა გამოვიყენოთ და ისიც მხოლოდ პერსონაჟთა მეტყველებაში; უცხოური ტერმინები უნდა ვთარგმნოთ, შევუსაბამოთ მათ დიალექტებში არსებული ცნებები; წინადადება ავაგოთ ეროვნულ ყაიდაზე; დავიცვათ ენათმეცნიერთა მიერ დადგენილი ორთოგრაფიული ნორ-

მები; გავამდიდროთ სამწერლო მეტყველება დიალექტებსა და ისტორიულ ლიტერატურაში დაცული ფორმებით...

მაშასადამე, კლასიკოსებმა დასახეს სწორი გზა და პერსპექტივები.

როგორ ასრულებს მათ თანამედროვე მწერლობა?

ჯერ ენანაკულულ ცნობილ მწერალთა სამეტყველო არეალი მიმოვიხილოთ, შემდეგ კი – სანიმუშო მოქართულეთა მიღწევები.

2. 1970-იან წლებში ფრიად პოპულარული გახდა გურამ ფანჯიკიძის შემოქმედება, რამეთუ ჩვენს სინამდვილეში პირველად დაიხატა ტექნიკური ინტელიგენცია, საწარმოო პროცესი, ტექნიკური მუშაკის სულიერი სამყარო. ფანჯიკიძე გახლდათ სამეცნიერო-ტექნიკური ინტელიგენციის სულის ღრმა მკვლევარი და აქვს ბევრი ფსიქოლოგიური მიგნება. მისი ტიპები, სახეები, ტექნიკური აზროვნების ყაიდა საინტერესო გამოდგა რუსი, ბალტიისპირელი, უკრაინელი მკითხველისთვისაც. ასე გახდა ფანჯიკიძე პოპულარული მწერალი მთელ საბჭოთა სივრცეში. ავტორი მოვიდა ტექნიკური სფეროდან. მას არა ჰქონია ფილოლოგიური განათლება. ამიტომ მისი ქართული მშრალია, არ გამოირჩევა ღრმა და მდიდარი ლექსიკით. ის მშობლიურ ენას ვერაფრით შეეწია.

უფრო „ქართული“ თემატიკა დაამუშავა ნოდარ დუმბაძემ, ოლონდ არაფილოლოგიური სამყაროდან გახლდათ მოსული და ენობრივად

არაფერი შეუმატებია მშობლიური მეტყველებისათვის.

პირველი მოთხრობების გამოქვეყნებისთანავე დიდი სახელი დაიდო გურამ დოჩანაშვილმა, თუმცა იმ პირველ ცდებშიც ენობრივი სიღრმეები არ ცნაურდებოდა. მეორე პერიოდის დოჩანაშვილი ენობრივად სრულიად გამოიცვალა: დაიწყო ყოვლად უმსგავსო ენობრივი ექსპერიმენტები. მან თითქოსდა საგანგებოდ შერყვნა ქართული. მშობლიური საუნჯისადმი მის ამდროინდელ დამოკიდებულებას ზედმიწევნით გამოხატავს გურული ანდაზა: „გლახა კვიცი ზურგზე დედამისს ახტებოდაო!”

დოჩანაშვილის მიუტევებელ კუროზებს სასტიკად გამოეხმაურნენ მწერლები და კრიტიკოსები (ჯ. მეხრიშვილი, მ. თავდიშვილი, გ. გოგოლაშვილი...).

თამაზ ბიბილურს რომანისათვის „ჟამი კითხულისა“ მიარგუნეს სახელმწიფო პრემია; მოგვიანებით თხზულება „ქართული პროზის საგანძურის“ სერიითაც გამოიცა. ეგ იყო მკითხველი საზოგადოების დაცინვა, რამდენადაც აღნიშნული უმწიფარი ტექსტი სრულიად უიდეოა, არა აქვს არავითარი მხატვრული ღირებულება და, რაც მთავარია, ენობრივად სრულიად გაუმართავია: არ არსებობს არც ერთი სახეობის შეცდომა და წუნი, ამ ტექსტში არ მოიძებნებოდეს; ავტორმა არ იცის ელემენტარული ქართული: არც სინტაქსი, არც ორთოგრაფია, არც ფონეტიკა; აქვს მეტად მწირი სიტყვიერი მა-

რაგი. გარდა ამისა, მოსდის სამარ-
ცხვინო სტილისტური შეცდომები...

ნორმალური სალიტერატურო
გარემოს ვითარებაში ეს „რომანი“
არც კი გამოქვეყნდებოდა, რადგან
მისი გასწორებაც კი შეუძლებელია.

3. ერთობ ცოტა გვყავს ისეთი
მწერლები, რომლებმაც კიდევაც და-
იცვეს დედაენა, კიდევაც შეეცადნენ
მის გაძლიერებას, ახალი სიტყვა-ცნე-
ბანიც კი შექმნეს და სიტყვიერი მარა-
გი გაამრავალფეროვნეს. ესენი არიან:
ლადო მრელაშვილი, გიორგი ხორ-
გუაშვილი, გიორგი ბაქანიძე, გურამ
გოგიაშვილი, რევაზ მიშველაძე, შო-
თა ნიშნიანიძე, ჯემალ მეხრიშვილი,
რევაზ ინანიშვილი, ნუგზარ შატაიძე,

ვახტანგ ჭელიძე, გიორგი ნატროშვი-
ლი, გიორგი შატბერაშვილი, თეიმუ-
რაზ ჯანგულაშვილი, სტეფანე მხარ-
გრძელი, როლანდ ბერიძე, ჯემალ
აჯიაშვილი, გერონტი ქიქოძე, გურამ
ასათიანი, თეიმურაზ დოიაშვილი,
აკაკი ხინთიბიძე, ლევან ბრეგაძე,
ლერი ალიმონაკი, სოსო სიგუა, ვა-
სილ ბაიაძე, ბაჩანა ბრეგაძე...

4. მოხსენებაში გამოწველილვით
არის განხილული სამი მათგანის
ენობრივ-შემოქმედებითი მიღწევები.
ესენი არიან: სახალხო მწერალი რე-
ვაზ მიშველაძე, არაერთი პრემიის
ლაურეატები ნუგზარ შატაიძე და
ჯემალ მეხრიშვილი.

თამარ ბლიაძე

ქართული ნოველა და თანამედროვეობის ზრობლეშები

ქართულ ნოველას ქართული ლიტერატურის ისტორიაში უადრესად მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. მიუხედავად იმისა, რომ ნოველა ფრანგულად ამბავს ნიშნავს და ნოველის შექმნის ადგილად ლიტერატურის ისტორიკოსებს საფრანგეთი მიაჩნიათ, ქართულმა სიტყვიერმა კულტურად ნოველა უფრო ადრე იცოდა, ვიდრე რომანი და მოთხრობა. ჯერ კიდევ ქართული დამწერლობის შექმნამდე ზეპირსიტყვიერებაში არსებობდა ხალხური ნოველა, რომელიც ამ კლასიკური ჟანრის ყველა მოთხოვნას აკმაყოფილებდა. ნოველის ჟანრის არარსებობის გამო, რაკი ეს ტერმინი მაშინ არ იცოდა ლიტერატურის ისტორია, უპირველეს ხალხურ ნოველებს ზღაპრებს ეძახდნენ. ქართული ფოლკლორული ნოველების: „სამი ყრუ“, „ღარიბი და ქილა ერბო“, „მძინარე მზეთუნახავი“ და სხვ. ქართული ხალხურის ნოველა თავის დროზე საფუძვლიანად შეისწავლეს პროფ. ქსენია სიხარულიძემ, მიხელ ჩიქოვანმა, ბეჟან ბარდაველიძემ, ალექსანდრე ღლონტმა და სხვებმა. რაც შეეხება ქართულ

კლასიკურ ნოველას, მას სათავე ადსუდო სულხან-საბა ორბელიანმა და ეს უაღესად პოპულარული, მოდური ჟანრი ახალ სიმაღლეზე აიყვანეს ვაჟა-ფშაველამ, დ. კლდიაშვილმა, ეგნატე ნინოშვილმა, შიო არაგვისპირელმა, ნილო ლორთქიფანიძემ და სხვებმა.

მე-20 საუკუნეში ნოველას ახალი სული შთაბერეს და ჟანრულ-სტილურად გაამარავალფეროვნეს მიხ. ჯავახიშვილმა, კ. გამსახურდიამ, რეზო ინანიშვილმა, ოტია იოსელიანმა, რეზო ჭეიშვილმა, რევაზ მიშველძემ, ნუგზარ შატაიძემ, ჯემალ ქარჩხაძემ და სხვებმა.

თანამედროვე ქართული ნოველის განვითარების გზის შესწავლას დიდი ამაგი დასდეს მკვლევრებმა: სოსო სიგუამ, მურმან თავიშვილმა, მანანა გვეტაძემ, თამარ ბლიაძემ, ეკა ცხადაძემ, გურამ გვერდწითელმა, გურამ ასათიანმა, გურამ ბენაშვილმა და სხვებმა.

ზემოთ ჩამოთვლილ კრიტიკოსთა ნააზრევში ქართული ნოველა შესწავლილია მხოლოდ და მხოლოდ ქართული ლიტერატურის ლოკა-

ლურ საზღვრებში, ნაკლებადაა შედარებული ქართული ნოველის მხატვრული ხარისხი მსოფლიო ნოველისტიკის მიღწევებთან. ამიტომაცაა თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობის ამოცანა, ქართული ნოველა შევისწავლოთ ფართო კულტუროლოგიურ ჭრილში, გავანალიზოთ, რა აიღო მან მსოფლიო ლიტერატურის არსენალიდან და, თავის მხრივ, რას სთავაზობს იგი მსოფლიო ნოველისტიკას. ამისათვის საჭიროა, რათა ქართული ნოველის უკეთესი ნიმუშები ითარგმნოს მსოფლიოს სხვადასხვა ენაზე, რათა მისი გაცნობის შესაძლებლობა ჰქონდეს უცხოელ მკითხველს. ამ მხრივ შედარებით უკეთ გამოიყურება რუსთაველის პრემიის ლაურეატ რევაზ მიშველადის ნოველისტიკა. მისი ნოველები თარგმნილია და ცალკე წიგნებადაა გამოცემული ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ, იაპონურ, რუსულ, სომხურ, ბულგარულ, ესპანურ, იტალიურ, უკრაინულ, აზერბაიჯანულ და სხვა ენებზე, ასევე ცნობილია უცხოური მკითხველისათვის კ. გამსახურდიასა და ოტია იოსელიანის ნოველები. ასე რომ, ქართული ნოველისტიკის ფართო სპექტრი, მცირე გამოცანკლისის გარდა, ჯერჯერობით მსოფლიოსათვის თითქმის უცნობია. ამ მიმართულებით სიტყვა მთარგმნელებზეა. მე ვფიქრობ, ქართული ნოველის სრულფასოვანი და პროდუქტიული თარგმნით მსოფლიო მკითხველი ეზიარება ქართული ნოველის უაღრესად რთულ და საინტე-

რესო ფენომენს.

უკანასკნელ წლებში ქართულ ნოველაში რამდენიმე ჟანრული სიახლე შეინიშნება. უპირველესი ის გახლავთ, რომ ნოველის დიდოსტამა რევაზ მიშველადემ (როგორც მას შოთა ნიშნიანიძემ უწოდას) დაამკვიდრა ჩვენს მწერლობაში სრულიად ახალი ჟანრი – დოკუმენტური ნოველა. ამ მიმართულებით მან უკვე გამოსცა საკმაოდ მოცულობითი კრებული „დოკუმენტური ნოველების“ სახელწოდებით (გამომცემლობა „უნივერსალი“, თავდიშვილი) დაიმსახურა. ჟანრის გამარჯვება ქართულ ლიტერატურულ სინამდვილეში, უპირველეს ყოვლისა, იმან განაპირობა, რომ მკითხველს ამ ბოლო დროს უმთავრესად შეთხზულ, გამოგონილ სიუჟეტებზე უფრო მეტად დოკუმენტური ამბები იზიდავს. ეს ტენდენცია არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ მსოფლიოში იგრძნობა. მკითხველი დოკუმენტურ თხზულებებს უფრო ეტანება.

ზემოხსენებულ წიგნში შესულია დოკუმენტური ნოველები: „გალაკტიონის სიკვდილი“, „სავალალო ამბავი“, „გადავრჩით“, „საკვირაო სკოლა თურქეთში“, „რეპორტაჟი შიმშილის ველიდან“, „ენგურის ხიდან“, „ნათლისღება საინგილოში“ და სხვ. ამ ნოველების უმთავრესი ღირსება ის გახლავთ, რომ მათში დოკუმენტურის სიზუსტით მაღალმხატვრულადაა მოთხრობილი სოციალურად ღირებული ამბები. თანაც დაცულია ნოველის ჟანრული კანონიკა – ფინალსი მოულოდნელობის ეფექტი.

ქართულ ნოველაში ცოცხლდება ნიკო ლორთქიფანიძის მიერ დაკვიდრებული „ისტორიული ნოველის“ ტრადიცია. ჟურნალ „პარალელის“ მე-13 ნომერში ახლახან, 2022 წელს, დაიბეჭდა რევაზ მიშველაძის ნოველა „ექვთიმე“, რომელიც უკვდავი ექვთიმე თაყაიშვილის მოწამებრივი ცხოვრების შესახება გვიამბობს. ავტორი ცხადად გვიჩვენებს, რა ფათერაკებიანი გზა გაიარა უცხოეთში ბატონმა ექვთიმემ, რათა ქართული ისტორიული განძი გადაერჩინა და სამშობლოში უკლებლივ დაებრუნებინა.

ნოველის კულტუროლოგიური არეალის გაფართოებაზე მეტყველებს

ის გარემოებაც, რომ ქართველი ნოველისტები აფართოებენ ამ ჟანრის გეოგრაფიულ გარემოს და ასახავენ სხვა ქვეყნების ცხოვრებისეულ მოვლენებსაც. ამ მხრივ აღასანიშნავია რეზო ჭეიშვილის „ლურჯი მონტევიდეო“, რეზო ინანიშვილის „ზღვისფერი გორგალი“, რევაზ მიშველაძის „გურჯი გენერალი“ და „გარანტია – სისხლის ყივილი“.

ამ მიმართულების დამაგვირგვინებელია სულ რაღაც ერთი თვის წინათ „მწერლის გაზეთში“ (№3, 2022 წ.) გამოქვეყნებული ნოველა „ბიბი“, იგი რუსეთ-უკრაინის ომზე დაწერილი პირველი ქართული მხატვრული ნაწარმოებია.

ბადრი ცხადაძე, ამირან ქაშაკაშვილი

**ვიკინგების კვალი საქართველოში
და ტოპონიმ სიქთარვას ახლებური
ეტიმოლოგია**

ვიკინგების შესახებ საქართველოს ისტორიაში მცირეოდენი ცნობები არსებობს. „იუტუბზე“ მოთხრობილია მათი ჩრდილოეთიდან შემოსვლა – ლაშქრობა შავი ზღვიდან ქუთაისამდე. ეს ის დროა, როცა საქართველოს მეფე ბაგრატ მეოთხეა, ხოლო თბილისს ამირა დაჰკატრონებია, აღმოსავლეთ საქართველოში ადგილობრივი ფეოდალი ლიპარიტ ბაღვაში ბობოქრობს.

ამრიგად, ვიკინგებმა, რომელთა უმეტესობამ მშობლიურ ენაზე წერაკითხვაც კი არ იცოდა, გამირული ლაშქრობით შვედეთიდან (ახლა ძნელი წარმოსადგენია დღევანდელი მშვიდობისმოყვარე შვედების შედარება ვიკინგებთან) დნეპრისა და რუსეთის სტეპების გავლით, შავ ზღვამდე მოაღწიეს, რომლებიც ბაგრატ მეოთხის მეუღლემ დიდი პატივით მიიღო და მოასვენა. მათი 3000-კაციანი ლაშქარი ფრიად საჭიროებდა ამას. ამავე ხანებში მე-11 საუკუნის პირველ ნახევარში ბაგრატ მეოთხემ ლიპარიტ ბაღვაშის რამდენიმე ციხე აიღო, რის გამოც მათ შორის საჭირო ბრძოლა შეიქნა. ეს კი ახლანდელ სო-

ფელ სასირეთში (კასპის რაიონი) მოხდა. მოულოდნელად 700-კაციანი ვიკინგები ბრძოლაში ისე ჩაერთვნენ, რომ არც კი მოუცადეს, მათდამი დასახმარებლად წამოსულ მესხთა მხედრობას, რის გამოც ბაგრატ მეფეც იძულებული გამხდარა ბრძოლაში ჩართულიყო. გამარჯვებამიჩვეული ვიკინგები ამ ბრძოლაში სასტიკად დამარცხებულან მეფის მხედრობითურთ. გამარჯვებულ ლიპარიტ ბაღვაშს ბრძოლას გადარჩენილი ვიკინგები სულ სხვა გარემოებით დაუხვია. მათ ხელში დიდი ზომის საცრები დააჭერინა და მდინარე ყვრილასა და ძირულას ხეობებამდე ათრევენა. **დაისმის კითხვა:** რალა მაინცდამაინც საცრები დააჭერინა? (ამაზე ცოტა ქვემოთ) გზაში თურმე ვიკინგებს რაც დაავადება შეჰყრიათ და იქვე მდინარე ყვირილას ნაპირებზე დაუმარხავთ.

რა ბედი ეწია დანარჩენთ, არაფერი ვიცით. საფიქრებელია, გადარჩენილ ვიკინგები თერჯოლის რაიონის მდინარეების სანაპიროებთან დასახლდენ. ამრიგად, უნდა მომხდარიყო მათი ასიმილაცია-გაქართველებს

პროცესი. უკან, შვედეთში, საბერძნეთის გავლით, 14 ნავის ნაცვლად მხოლოდ 2 ნავი დაბრუნებულა.

დაისმის კითხვა: რა კავშირშია თერჯოლის რაიონის ამჟამინდელი სოფელ სიქთარვის სახელწოდება ვიკინგებთან?

დღემდე საენათმეცნიერო ლიტერატურაში სიქთარვის მხოლოდ ორი ეტიმოლოგია არსებობს. პირველი ახსნა ხალხური ეტიმოლოგიის ნაყოფია: თითქოს ეს ტოპონიმი არაქართული წარმოშობის, კერძოდ, თურქული სიტყვა იყოს. ასე ხსნიან ადგილობრივი მაცხოვრებელი იმერლები. მაგრამ ირკვევა, რომ ამ სიტყვას თურქულ წარმომავლობასთან საერთო არაფერი აქვს.

მეორე ახსნა ცნობილ ენათმეცნიერ-დიალექტოლოგს, პროფ. ივ. ქავთარაძეს ეკუთვნის: სიქთარვა მიღებული უნდა იყოს „სირთა რუდან“: სიქთარვა = სირთა ანუ ჩიტების რუცხადია, არც ამ ეტიმოლოგიურ ახსნას აქვს რაიმე კავშირი სინამდვილესთან. სიქთარვის ახლებურ ეტიმოლოგიას, ჩვენი აზრით, სწორედ ვიკინგებთან მივყავართ: ნორვეგიულად სიქ ნიშნავს საცერს, „რვა“ კი

„ცრას“. აი, რატომ დააჭერინა ხელში ვიკინგებს ლიპარიტ ბაღვაშმა საცერი! ამრიგად, სიქთარვა ვარიაგების ანუ ვიკინგების პირველყოფილი ტოპონიმი, მათ მიერ დანატოვარი ისტორიული ტოპონიმია. თერჯოლის რაიონის სოფელ ალისუბნის მკვიდრის, ცნობილი ყოფილი პარლამენტარის ამირან ქაშაკაშვილის ახსნით, ადვილი შესაძლებელია სოფელ სიქთარვის მარჯვენა მხარეს აღმართული ორი ბორცვი ანუ გორაკი ვიკინგების სასაფლაო იყოს, რასაც გადამოწმება და არქეოლოგიური გათხრები სჭირდება. თუ ეს ასეა, მაშინ ცნობილი ქართველი ისტორიკოსის ნიკო ბერძენიშვილის ვარაუდი, რომ ძველად წარმართულ საქართველოში აღმართული ბორცვები და გორაკები შეიძლება პირველყოფილი ადამიანების ნასახლარები იყოსო, ჭეშმარიტებას მოკლებული არ ყოფილა.

ვფიქრობთ, საქართველოში არქეოლოგიური არტეფაქტები და აღმოჩენილი საჩენები კვლავ დასადგენია, ხოლო საქართველოს ისტორია ლინგვისტურ-გეოგრაფიული ატლასი ხელახლა დასაწერი.

ეკა ცხადაძე

კვდომადი და აღდგომადი ღვთაების სახისმეტყველება ქართულ ზოგჯერში

XX-XXI საუკუნეების ქართულ მწერლობაში კვდომადი და აღდგომადი ღვთაებების მხატვრულმა ინტერპრეტაციამ შთამბეჭდავი სახე მიიღო. XX საუკუნის პირველ ნახევარში ქართულ მოდერნისტულ პროზას განსაკუთრებული სტილი შესძინა ნიცემესეულმა აპოლონურმა და დიონისურმა ჰიერატებმა. გრიგოლ რობაქიძემ და კონსტანტინე გამსახურდიამ ორიგინალურად წარმოგვიდგინეს პოლითეისტური და მონოთეისტური სახე-სიმბოლოების სიმბიოზი თავიანთ ტექსტებში („გველის პერანგი“, „მალშტრემ“, „ფალესტრა“, „დიონისოს ღმირი“, „ზარები გრიგალში“, „ქოსა გახუ“ და სხვ.). ხოლო XXI საუკუნის დასაწყისში რევაზ მიშველაძემ რეალისტური მანერით დაწერილ რომანში „ქრისტე“, სრულიად სხვაგვარად წარმოაჩინა კვდომადი და აღდგომადი ღვთაების – იესო ნაზარეტელის მხატვრული სახე.

გრიგოლ რობაქიძის „ჩაკლული სული“ გერმანულ ენაზე დაიწერა XX საუკუნის 30-იან წლებში და ქართულად საუკუნის ბოლოს ითარგმნა და გამოიცა. გრიგოლ რობაქიძეს სწამდა,

რომ „ქართულმა ქრისტიანობამ წარმართობა კი არ მოსპო, არამედ შინაგანად შეიზარდა“ და სწორედ ამ მოსაზრებით იხელმძღვანელა, როცა ერთ სივრცეში მოიაზრა თამაზ-დუმუზ– თამუხი და იესო ნაზარეტელი.

„ჩაკლულ სულში“ მთავარი გმირი მოქცეულია მისთვის უჩვეულო გარემოში, როცა ხდება საყოველთაო თვალთვალი, მოსმენა და დასჯა. ეს ტოტალური ზეწოლა აიძულებს თამაზ ენგურს სინამდვილიდან გაქცევასა და დისტანცირებას. იგი ამაოდ ცდილობს ნიღაბს ამოეფაროს და საკუთარი მრწამსი გადაარჩინოს.

თამაზ ენგური იძულებულია „ახალი ღმერთი“ ეძიოს, „ტომობრივი ინსტინქტები“ უარყოს და უღმერთო გარემოსთან შეგუება სცადოს. გრიგოლ რობაქიძის ნარატივში ქრისტე-დუმუზი-თამუხი მზესთან იგივევდება, ხოლო ყოველი კაცი მზის ნაწილად მიიჩნევა თავს და ეს „უღმერთობა“ და „უმზეობა“ იმდენად აუტანელია, რომ გარდაუვალი კრახისთვის არის განწირული.

გრიგოლ რობაქიძესთან კვდომადი და აღდგომადი ღვთაება თუ

ღვთაებები კაცობრიობის მარადიული მცველები და თანამდევები არიან. რამდენჯერაც მოკლავენ, იმდენჯერ ცოცხლდებიან და არსებობენ ადამიანთა გულებში. თამაზ ენგური სწორედ ამიტომაც მიდის იმ დასკვნამდე, რომ ადამიანებში „გული არის განწვალული და მოკლული ღმერთის ხორცად ქცეული ნაწილი“.

ანუ, კვდომადი და აღდგომადი ღმერთების სახისმეტყველება „მარადიულ მცველთან“, „მარადიულ თანამდეგ ნაწილად“ კლასიციფირდება „ჩაკლულ სულში“.

გრიგოლ რობაქიძე ვაჟა-ფშაველას დიდი თაყვანისმცემელი იყო და მის პოეზიას „უძველეს დანაშრევად“ მიიჩნევდა, ყველა გამოსვლაში იმოწმებდა და აღიარებდა როგორც ქართული გენიის სიტყვიერ გამცხადებელს. გრ. რობაქიძე „მარადიული დაბრუნების იდეას“ ვაჟასთან წარმატებით აკავშირებდა და გამუდმებით იძლეოდა სხვადასხვა ვარიაციებს. ხოლო ვაჟა ყოველგვარი ყოყმანის გარეშე იჯერებდა, რომ სული უკვდავია და მარადიულად არსებული. ამისთვის მას არანაირი ინტერპრეტაციები არ სჭირდებოდა, ერთხელ და სამუდამოდ ჰქონდა გულში ამოჭრილი:

„მრწამს, მარად მიწამებია
მუდმივ სიცოცხლე სულისა,
კარგისა, ქვეყნის მოყვარის,
ქვეყნის ბედისგან წყლულისა.
მრწამს, ფერფლნი კარგის გულისა
ქარმ რო გაფანტოს ხმელადა,
თითოში მაინც ენთება
ტიალ-სურვილი ცხელადა, -

ავის მჩაგრავად, კეთილის
მუდამ იქნება მცველადა;
ბეჩავის, გაჭირებულის
მომხმარედ, მეშვლად, მხსნელადა.
კარგს გულს არა ჰკლავს ბუნება,
თან დააქვს ძველის-ძველადა!“

გრ. რობაქიძე, მიუხედავად მოდერნისტული იდეების და სახე-სიმბოლოების ერთგულებისა, ყოველთვის იზიარებდა დიდი ეროვნული მწერლობის სულისკვეთებასა და ფილოსოფიურ მრწამსს.

„უღმერთოდ ყოფნის სევდა“ მწვავედ დგას კონსტანტინე გამსახურდიას მოთხრობაში „ქოსა გახუ“. აქაც ზუსტად ის პრობლემა დგას, როგორც გრიგოლ რობაქიძის „ჩაკლულ სულში“, სადაც დაკარგული ღმერთის ძიების პროცესი სასტიკ განცდათა კვალდაკვალ მიმდინარეობს.

კ. გამსახურდია ნიცშესადმი მიძღვნილ პოეტურ ტექსტში აღნიშნავდა:

„შენ ამ სამყაროს უდუელოდ ვერ შეეთვისე,

წახვედი სოფლის ვარამისგან გულგამეხილი

წმინდა ფრიდრიჰი და ჯვარცმული ხარ დიონისე,

ჭაბუკი მუხა, გრიგალისგან გადატეხილი...“

საინტერესოა ფრიდრიხ ნიცშეს, როგორც გრიგალისაგან გადატეხილი „ჭაბუკი მუხის“ და ჯვარცმული დიონისეს ერთ განზომილებაში მოქცევა. „წმინდა ფრიდრიხი“ ისეთივე ვნებული და ჯვარცმულია, როგორც დიონისე – ბერძნული მითოლოგიის

თრობის ღვთაება. დიონისეს ჯვარცმულად დანახვა იმთავითვე შეიცავს კვდომადი და აღდგომადი ღვთაებების რკალში ქრისტეს მოქცევას, რომელსაც ბევრი მსგავსი წინამორბედი და კიდევ უფრო მეტი ტანჯული და ჯვარცმული მიმდევრები ჰყავდა.

აქაც, ისევე როგორც გრ. რობაქიძისეულ კვდომადი და აღდგომადი ღვთაებების სახისმეტყველებაში იგულისხმება მუდმივი დუელი ცხოვრებასთან, კ. გამსახურდიასთვისაც მუდმივად დგას მორალური და ზნეობრივი დილემა: სინამდვილის მიღებისა და ვერმიღებისა.

„ქოსა გახუში“ მწვავედ დგას სიყვარულისა და სიკდილის, წინაპართა ცოდვის, ამ ცოდვის გამოსყიდვის პრობლემა. „ჯვარცმული დიონისე“ ცხადყოფს მოდერნისტული მსოფლხედვის ფილოსოფიურ ძირებს, რომელიც ანტიკურობას და ქრისტიანობას საერთო ძირებიდან მოიაზრებს.

„ქოსა გახუში“ ბოლშევიკების ეპოქა ასახული, როდესაც ისპობა სოციალური უთანასწორობა, უარყოფილია წინაპართა ადათები, დაგმობილია რელიგიური რწმენა-წარმოდგენები და გაბატონებულია რაციონალური მიდგომა ყოფიერებისადმი.

დადიანების ნაშიერი სიგიჟეს იგონებს, რომ თავისი ერთადერთი შვილის გადარჩენა შეძლოს. ქოსა გახუს ეძლევა ეპითეტები: შეთე, ჩიჩიე, გლახაკი. თანასოფლელთა თვალში მას „წინაპართა ცოდვებმა უწია“. არის

ტანმორჩილი, მკერდჩავარდნილი, წელში მოხრილი. ანუ ადამიანი საკუთარი წარსულის სრულიად საპირისპირო მდგომარეობაშია, ნებაყოფლობით იჩიავებს თავს და წამების გზას გადის. ქოსა გახუ კარგად თამაშობს „ღვთის გლახის“ როლს, მას ჯერ კიდევ აქვს რწმენა და იმედი. ანუ ქოსა გახუ „სხვად გადაიქცა“, მოკვდა ერთ ცხოვრებაში და აღდგა გლახაკის სახით სხვა ფორმაციაში, სხვა ცხოვრებაში. იგი ღრმად მორწმუნე ადამიანია და უდრტვინველად იღებს თავის ხვედრს. ქოსა გახუს სწამს და უყვარს ჯვარცმული ღმერთი, მაგრამ თემრას (შვილის) სიკვდილი უკანასკნელ იმედს მოუშლის და ღვთისმგმობელ პიროვნებად იქცევა– სიცოცხლეს მოისწრაფებს. დადიანების შთამომავლისთვის არსებული რეალობა „უღმერთო“ ყოფის მაუწყებელია („ის ადარაა, ვისთვისაც ვეწამე“).

მიუხედავად იმისა, რომ „ქოსა გახუ კ. გამსახურდიას რეალისტურ ნაწარმოებად ითვლება, მასში მოდერნისტული პროზისათვის დამახასიათებელი სახეები და პასაჟები მრავლად გვხვდება. ჯვარცმული ღმერთის სახე ყველა გადამწყვეტ მომენტში იჩენს თავს.

ანუ, გრიგოლ რობაქიძემ და კონსტანტინე გამსახურდიამ თავიანთ ნაწარმოებებში ჯვარცმული ღმერთის გავლენის კლება და „უღმერთობის“ ეპოქის მიწიერი ტანჯვა ასახეს, რომელსაც გამუდმებით აკლია სულიერება და ეს ცხოვრებას ურთულეს ღვთის უარყოფილებს.

XX საუკუნის დასაწყისში ჯვარზე ვნებული ღმერთის სახე კვლავ აქტუალურია. რევაზ მიშველაძემ იესო ნაზარეტელზე შექმნა რომანი „ქრისტე“, სადაც ჯვარცმული უფლის სიცოცხლის ბოლო დღეებია ასახული. რევაზ მიშველაძეს ადრე არასოდეს მიუმართავს რელიგიური მისტერიებისთვის, ამიტომაც საინტერესოა ცივილიზაციის უმთავრესი სახე-სიმბოლოს მისეული გააზრება.

რ. მიშველაძემ რიგითი ადამიანის ნიღაბი მოარგო თავის პროტაგონისტს და ასე მოავლინა ჩვენს წინაშე. „ღმერთი – კაცი – ხალხი“ არის ის ტრიადა, რომელიც მთავარ სააზროვნო წრეს მოხაზავს და კანონიკური ჩარჩოდან მნიშვნელოვნად დაშორებულია.

უფალს დასჭირდა ადამიანებისთვის შეეხსენებინა ჰუმანური საწყისები და კაცის სახით მოევლინა მათ. ამიტომ არის ასე მიწიერი იესო რევაზ მიშველაძის რომანში. გარემო გაჯერებულია ყოველდღიური რეალებით, უბირი და ხარბი ადამიანებით, ძალაუფლების მოყვარული და ფარისეველი მღვდელმსახურებით, სასტიკი და დაუნახავი დამპყრობლებით, უმწეო და ამ უმწეობით გაბოროტებული ადგილობრივი მმართველობით.

„ქრისტეში“ მთავარი გმირი განსხვავდება კანონიკური სახისაგან, რადგან ის მშობლიურ კუთხეში, თავის მეზობლებში სამკურნალო უნარებს საერთოდ ვერ ავლენს და მათთვის ხელმოცარულ თვითმარქვიად

რჩება. „აქ მე მხოლოდ კაცი ვარო“ – ამბობს იესო ნაზარეტელი ერთგან და ეს „მხოლოდ კაცებრივი“ იმ მომენტშიც ცხადდება, როცა მიმტევებლობისას გამონაკლისს დაუშვებს.

რ. მიშველაძის გმირი ხალხს უქადაგებს საყოველთაო მიტევებას, პატიებასა და სიყვარულს, მაგრამ რელიგიური ელიტისათვის ანუ სინედრონისათვის ნაზარეტელი სახიფათო პიროვნებაა. მრევლს უყვარს იესო, სწამს მისი და უჯერებს. სინედრონისათვის მრევლი ძალაუფლების წყაროა, უზრუნველი ცხოვრების გარანტი. რ. მიშველაძემ მათი სახით დაგვიხატა კონფრომისტული საზოგადოება, რომელიც შემფოთებულია საკუთარი კეთილდღეობის დაკარგვით, ვერ ელევა ძალაუფლებას და ლოიალურია უცხოელი დამპყრობლისადმი. ეს საზოგადოება აღფრთობულია წმინდა შაბათისადმი იესოს დამოკიდებულებით, რომელიც ამბობს: „შაბათს კეთილი საქმეების კეთებას უფალი როდი კრძალავს. თუ საქმე არ ითმენს, თუ გადადება არ შეიძლება, აუცილებელი სიკეთის ჩადენას შაბათ დღეს ღმერთი გაპატიებს“ (გვ.90).

მწერლისეული ინტერპრეტაციით იესო ნაზარეტელი თავად იტანჯება საკუთარი გამორჩეულობით, უჩვეულო უნარებითა და ყველა ადამიანისადმი დახმარების სურვილით. მას არ შეუძლია გულგრილი იყოს ცოდვილი კაცობრიობისადმი; შეუძლია განიცადოს, გადაიტანოს და ითმონოს ყველანაირი მარცხი და

უმადურობა, დაუმსახურებელი სას-
ჯელიც უდრტვიწველად მიიღოს,
მაგრამ მაინც უცხოდ რჩება იმ ადა-
მიანებისათვის, ვისაც თავს შესწი-
რავს.

რომან „ქრისტეში“ იესო ერთგან
ამბობს: „სანამ აქა ვარ, კაცი ვარ და
სხვა არაფერი“. იესო კაცობრიობის
მხსნელია, უფლის სახესხვაობაა, მაგ-
რამ სანამ დედამიწაზე ადამის სახით
დააბიჯებს, მისი მოკვლაც შეიძლება.
ზოგჯერ მარცხსაც განიცდის და
მშობლიურ სოფელში ხალხს ვერ
შველის, არაფერი გამოსდის. რევაზ
მიშველაძე გვეუბნება, რომ განკაცე-
ბულ უფალს მორწმუნე და მიმდობი
მრევლი თუ არ ჰყავს, სასწაულებრი-
ვად ვერავის განკურნავს, უძლური
ხდება.

ისევე როგორც სახარებისეულუ
იესო, რევაზ მიშველაძის პროტაგო-
ნისტიც ყრუ-მუნჯებს აალაპარაკებს,
კეთროვნებს განწმენდს, ბნედიანებს
არჩენს, ხეიბრებს კურნავს, სის-
ხლდენას აჩერებს, მტერთათვის
ლოცვას ასწავლის.

მაგრამ არის ერთი ძალიან საინ-
ტერესო და საჩოთირო მომენტი და
ეს ასეა ფორმულირებული: „სამშობ-
ლოს მტერი ოდენ შენი პირადი მტე-
რი კი არ არის, არამედ მთელი ხალ-
ხის, შენი მოდგმის მტერია და მას
ვერ შეიყვარებ და შენს მიწაზე ცეც-
ხლითა და მახვილით მოსულს ვერ
შეუნდობ“.

ისევე როგორც სახარებისეულუ
იესო, რევაზ მიშველაძის პროტაგო-
ნისტიც ყრუ-მუნჯებს აალაპარაკებს,

კეთროვნებს განწმენდს, ბნედიანებს
არჩენს, ხეიბრებს კურნავს, სის-
ხლდენას აჩერებს, მტერთათვის
ლოცვას ასწავლის.

მაგრამ არის ერთი ძალიან საინ-
ტერესო და საჩოთირო მომენტი და
ეს ასეა ფორმულირებული: „სამშობ-
ლოს მტერი ოდენ შენი პირადი მტე-
რი კი არ არის, არამედ მთელი ხალ-
ხის, შენი მოდგმის მტერია და მას
ვერ შეიყვარებ და შენს მიწაზე ცეც-
ხლითა და მახვილით მოსულს ვერ
შეუნდობ“. ანუ რევაზ მიშველაძე ამ-
კარად რაციონალურ ჭრილში განი-
ხილავს ჩვენი ცივილიზაციის უპირ-
ველეს სიმბოლოს და „აპოლონურ“
ნიადაგზე დაყრდნობილ მსოფლად-
ქმას გვთავაზობს.

თანამედროვე კულტუროლოგი-
აში კვლავ აქტუალურია ნიცმესეუ-
ლი ხელოვნების ორი ერთიმეორის
გამომრიცხველი საწყისი: დიონისუ-
რი და აპოლონური. დიონისური-
სათვის დამახასიათებელია დროსტა-
რება, თრობა, ცეკვა-თამაში, შვება და
ტანჯვა, რითაც ადამიანი უერთდება
პირველქმნილ ბუნებას; ხოლო აპო-
ლონური საწყისის თვისებაა რაციო-
ნალიზმი, სიდიდჯე, ჰარმონია. ნიცმე
ეყრდნობოდა სამყაროს ელინურ გა-
გებას, რომლის მიხედვით ადამიანუ-
რისა და ღვთაებრივის შერწყმა შობს
ხელოვნებას, რომელიც „შექმნისა და
ამაღლებს სადი სულია“.


XX-XXI საუკუნეების ქართულ
პროზაში შთამბეჭდავად განივრცო
და ინტერპრეტირდა ჯვარცმული
ტანჯული ღვთაების სახე, ნაირგვარი

ფილოსოფიური განჭვრეტითა და მხატვრული ალუზიებით, რაც ჩვენი მწერლობის უდავოდ მაღალი დონის დასტურია.

ასეთია მოკლედ კვდომადი და აღდგომადი ღვთაების მისია და დანიშნულება უახლეს ქართულ პროზაულ ტექსტში.



გურამ ქაშაკაშვილი – 90



დიდი ადამიანები, მოკლედ რომ თქვათ, სულ მცირე, საუკუნის ადამიანები მაინც არიან, რომელთა სახელები რამდენიმე საუკუნეს გაუძლებს. და ისეთად, რომელთა ღვაწლი ერის წინაშე განუზომელია, თავისი არქიტექტონიკით, ფართო მასშტაბური მოღვაწეობით და ა. შ. როგორც არიან ბიძა-მმისწული ნიკოლოზ და გურამ ქაშაკაშვილები. ნიკოლოზ ქაშაკაშვილმა 1924 წელს საბჭოთაკავშირის გმირობაც კი დათმო. ააშენა ციმბირში, ურალში, უკრაინაში მეტალურგიული ქარხნები და ბოლოს 1944 წლიდან საფუძველი ჩაუყარა ქალაქ რუსთავის აღმშენებლო-

ბას. სხვათა შორის, მისივე აშენებულია რუსთაველის პროსპექტზე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შენობა, ასევე სტუს-ს მეორე კორპუსი, წყალტუბოში კი რამდენიმე სანატორიუმი „მეტალურგი“ და სხ. ასეთი ადამიანები საუკუნეში ერთხელ იბადებიან, და ჩვენც, მათნაირად, საუკუნის ადამიანები შეიძლება ვუწოდოთ. მეოცე საუკუნის ადამიანად მიგვაჩნია მსოფლიო მნიშვნელობის მეტალურგი, 103 გამოგონების ავტორი, ცნობილი მეცენატი და ქველმოქმედი. სწორუპოვარი სახელმწიფო მოღვაწე, „ქართული მეტალურგიის მამად“ წოდებული საუკუ-

ნეში ექვსენოვანი მეტალურგიული ტერმინებისა და სამთო-მეტალურგული ენციკლოპედიის ორტომეულის, საქართველოდან სამი რეგისტრირებული მეცნიერული აღმოჩენის ავტორის, სახელმწიფო პრემიების ლაურეატის, პროფესორ გურამ ქაშაკაშვილის ღვაწიერება, სხვაზე რომ არაფერი ვთქვათ, ბატონი გურამის დაარსებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მეათე კორპუსი. აფერუმ მის ვაჟკაცობას.

ბატონმა გურამმა მსოფლიო მეტალურგიის ისტორიაში პირველმა განახორციელა ფოლადის დნობა ლითონის გამოსაშვები ხვრელდან ბუნებრივი აირისა და ჰაერის ნარევის შებერვით და მეფოლადეთა მძიმე შრომის გარეშე ნადნობის გამოშვება. მსოფლიოში გავრცელებულ მხოლოდ ნახშირბადის დამჟანგავ პროცესთან ერთად მისი ექსპერიმენტებით აღმოჩენილი იქნა ნახშირბადის აღდგენის პროცესი.

საწარმოო, სამეცნიერო, საგამომცემლო, აღმზრდელიობით-პედაგოგიური მოღვაწეობის გარდა, აღსანიშნავია გ. ქაშაკაშვილის საზოგადოებრივი მოღვაწეობა. ის საქართველოს პარლამენტის ორი მოწვევის დეპუტატია, ქართული კულტურის, მეცნიერების, ხელოვნების, მართლმადიდებელი სულიერების დიდი ქომაგი. მისი მონაწილეობით აღორძინდა: მარტვილის წმინდა ნინოს სახელო-

ბის, სვეტიცხოვლის, შავნაბადას ეკლესიები და მარტყოფის სამონასტრო კომპლექსი.

გარდა ამისა, ბატონი გურამი დიდ დახმარებას უწევდა საქართველოში მიწისძვრით დაზარალებული რაიონების, აჭარის, სიონის, წერაქვის, ჭიათურისა და სხვა რეგიონების მოსახლეობას. მან, როგორც ბიზნესმენმა, მოიძია იმერული დასაკირი ქვევრების ახლებური მეთოდი. იტალიიდან ჩამოიტანა ქვევრის ამოსასანთლავი ნივთიერება **ეპოფენი**. ასე რომ, სახალხო მეურნეობის სიახლის აღმომჩენი მიღწევები ამ მხრივაც განსაცვიფრებელია.

საუკუნის კაცი დღესაც შეუპოვრობით იბრძვის ჩვენი ქვეყნის გაჯანსაღებისა და მისი აღორძინებისთვის. ამაზე მეტყველებს. მისი საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები. საქართველოში ბატონი გურამის ურთიერთობა, იგი დაჯილდოებულია სამი მეცნიერული აღმოჩენისათვის, ნობელის პრემიის ლაურეატის პეტრე კაპიცას ვერცხლისა და ორი ოქროს მედლით.

ღმერთმა დიდხანს აცოცხლოს ბატონი გურამი თავისი მეცნიერული მოღვაწეობით. დაინტერესული მკითხველი სულ მალე იხილავს მისი რედაქტორობითობით გამოცემულ ორტომეულს ქიმია-მეტალურგიის ენციკლოპედიას. დიდება თავად გიპოვის, ბატონო გურამ.

დავით გურგენიძე, ლევან კლიმიაშვილი, ზურაბ გასიტაშვილი, არჩილ ფრაგიშვილი, გოჩა ნანიტაშვილი, ოთარ შონია, თემურ ჯაგოდნიშვილი, გიორგი სალუქვაძე.

ნინო იმნაძე, ნუგზარ წერეთელი, რუსუდან ქუთათელაძე, ივანე ჯაგოდნიშვილი, ელენე შატაკიშვილი, თამარ ლომინაძე. ირაკლი გაბისონია, გიორგი ქვარცხავა ანზორ აბშილავა, რევაზ მიშველაძე, ზადრი ცხადაძე.

ჯუანშერ ტატიშვილი



სამთო ინჟინერ-გეოლოგს, აკადემიურ დოქტორს ჯუანშერ დიმიტრის ძე ტატიშვილს 85 წელი შეუსრულდა. იგი დაიბადა 1937 წლის 15 მარტს ქ. თბილისში. არის სტუ-ს ტექნიკური ტერმინოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დირექტრის მოადგილე 2016 წლიდან დღემდე.

1993 წლიდან მუშაობს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მოწვეულ მასწავლებლად. მიჰყავს ნავთობისა და გაზის საბადოების ჰიდროგეოლოგიის კურსი.

1993 წლიდან 2014 წლამდე მუშა-

ობდა შპს „ჰიდროსაინჟეოში“ ჰიდროგეოლოგიური განყოფილების უფროსის თანამდებობაზე.

1964 წლიდან 1993 წლამდე მუშობდა „საქგეოლოგიაში“ სხვადასხვა თანამდებობებზე უფროსი ტექნიკოს-გეოლოგიდან ჰიდროგეოლოგიური პარტიის უფროსამდე.

1960-1964 წწ. მუშაობდა ანალიზური ხელსაწყოთ-მშენებლობის დამოუკიდებელ საკონსტრუქტორო ბიუროში ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევების განყოფილების ინჟინრის თანამდებობაზე.

1955-1960 წ. სწავლობდა საქარ-

თველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. მიღებული აქვს სამთო ინჟინერ-ჰიდროგეოლოგის კვალიფიკაცია.

1973-1977 წწ. ამავე ინსტიტუტში დაამთავრა სამეცნიერო ტექნიკური ლიტერატურის მთარგმნელთა კურსები (ინგლისური ენიდან).

საქგეოლოგიაში მუშაობის დროს დაგროვლი მასალის ანალიზის შედეგად მომზადებული სადისერტაციო ნაშრომი დაიცვა 2004 წ. გამოქვეყნებული აქვს 8 სამეცნიერო სტატია, 1 მონოგრაფია, არის 28 სამეცნიერო კონფერენციის მონაწილე.

2018-2019 წწ. სწავლობა გრაფიკული დისციპლინების მასწავლებელთა კურსებზე. მიღებულ ცონდას იყენებს ლექციების კითხვისას.

მკითხველი მალე იხილავს მისი თანარედაქტორობით გამოსაცემ წიგნს „რუსულ-ქართულ გეოლოგიურ ცნობარს“, რომელიც სტუ-ს სამთო-გეოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტებს ეძღვნება.

ჩვენი ჟურნალის რედაქცია ბატონ ჯუანშერ ტატიშვილს ჯამრთელობას, ხანირ-შემოქმედებით წლებს უსურვებს.

ბ. ცხადაძე

ბადრი ცხადაძე

გივი ინანიშვილი – 85



საქართველოს ტექნიკურ უნი-
ვერსიტეტს არაერთი ღირსეული მა-
მულიშვილის გვარი და სახელი ამ-
შვენებს. ისტორიულად ზოგიერთი
ცნობილი მეცნიერის კაპიცას თანამ-
შრომელიც და მისი სახელობის ოქ-
როს მედლის მფლობელიც კია. ასე-
თი ადამიანები მეტად დასაფასებე-
ლია, მით უფრო, როცა საქმიანობა
იმავედროულად მათ საიუბილეო თა-
რილს ეთანადება. მათ შორისაა ტექ-
ნიკისა და ისტორიის მეცნიერებათა

დოქტორი, პროფესორი გივი ინანიშ-
ვილი, რომელიც დაიბადა ქ. თბი-
ლისში, 1937 წ. 7 ივნისს. 1955 წ. წარ-
ჩინებით დაამთავრა თბილისის მე-
19 საშუალო სკოლა და 1960 წ. საქარ-
თველოს პოლიტექნიკური ინსტი-
ტუტის მეტალურგიის ფაკულტეტი,
კვალიფიკაციით გახლავთ ინჟინერ-
მეტალურგი.

1961 წლიდან მუშაობს რუსთავის
მეტალურგიული ქარხნის საგლინავი
სამქროს ცვლის უფროსის თანამდე-

ბოზაზე. 1966 წლიდან განაგრძობდა საქმიანობას თბილისის შრომის დაცვის საკავშირო სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, განყოფილების მთავარ ინჟინრად, ხელმძღვანელობს საკავშირო შავი მეტალურგიის საწარმოებში ტექნიკის უსაფრთხოების სფეროს ინოვაციური პროგრამული პროექტების განვითარებისა და ორგანიზაციის საქმეს.

1070 წლიდან გ. ინაჯიშვილის შრომითი ინტერესები გამორჩეულად დაუკავშირდა ქართული მეტალურგიის ისტორიის პრობლემატიკას, რომელიც დაიწყო ერთდროულად ივ. ჯავახიშვილის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში ასპირანტისა და უფროსი მეცნიერ-თანამშრომლის თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში.

1977-2005 წლებში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრში წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი, სექტორის და განყოფილების გამგეა. სათავეში ჩაუდგა ახლადშექმნილ ინტერდისციპლინარული კვლევის განყოფილებას, რომელიც აერთიანებდა არქეოლოგიური მასალის რესტავრაციაკონსერვაციის, სპექტრული ანალიზის, ძველთა არქეო-მაგნიტური მეთოდით დათარიღების, პალეობოტანიკისა და პალეოზოოლოგიის, ტრასოლოგიური და მეტალოგრაფიული კვლევის მიმართულების ლაბორატორიებს.

განყოფილების სამეცნიერო და ლაბორატორიულ-ექსპერიმენტული

კვლევის შედეგები მოიცავდა ფართო შემოქმედებით ინტერესების სფეროს, არქეოლოგიური ძეგლებისა და მასალის ტექნოლოგიურ შეფასებას, გამორჩეული ქრონოლოგიური და სივრცობრივი განვითარების თვალსაზრისით.

განსაკუთრებით აღსანიშნავია საქართველოს ტერიტორიაზე მეტალურგია-ლითონდამუშავების ისტორიული განვითარების შესაბამისი ბრინჯაო-რკინისა და ანტიკური ხანის კომპლექსებზე აღმოჩენილი არქეოლოგიური ლითონის ქიმიურ-ტექნოლოგიური კვლევის შედეგები. პრიორიტეტული მიმართულების, არქეოლოგიური ლითონის კვლევასთან ერთდროულად, მონაწილეობს არქეომეტალურგიასთან დაკავშირებულ სხვადასხვა პერიოდის ძეგლების საველე-გათხრით კომპლექსურ ექსპედიციათა სამუშაოებში, რომლებიც უშუალოდ განსაზღვრავს „კვერით ხურო, რკინა-რვალის“ შემქმნელი ქართველი მეტალურგების ცხოვრება-მოღვაწეობას. გაფართოვდა ქართველი მეტალურგი ტომების მოღვაწეობისა და მათი შემოქმედებითი საქმიანობის სამხრეთ კავკასიის ტერიტორიაზე მოქმედი უძველესი სამთო-მეტალურგიულ გაერთიანებათა შექმნილი ნაწარმის – ლითონური არტეფაქტების უნიკალური დამზადების ტექნოლოგიური სქემისა და ნივთის ხარისხის შესაბამისი სასაქონლო ღირებულების ისტორიის ამსახველი ფენომენალური პოზიცია ძველი მსოფლიოს ცივილიზაცია

ის სამყაროს სისტემაში.

აღნიშნულ თემატიკას მიეძღვნა გ. ინანიშვილის მიერ გამოქვეყნებული და თანაავტორობით შესრულებული მონოგრაფიული გამოკვლევები.

G. Inanishvili About the History of Iron Production in Georgia „Metalla”. 141, Bochum, 2007.

გ. ინანიშვილი, ბ. მაისურაძე, გ. გობეჯიშვილი საქართველოს უძველესი სამთამადნო და მეტალურგიული წარმოება. თბ., 2010.

გ. ინანიშვილი, ქართული მეტალურგიის სათავეებთან. თბ., 2018.

გ. ინანიშვილი, ლ. ჯიბლაძე, კოლხეთის ბრინჯაოს წარმოების ისტორიისათვის. თბ., 2019.

გ. ინანიშვილი ერთდროულად 1992 წლიდან დღემდე ეწეოდა სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობას საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, მონაწილეობდა სიძველეთა ტექნიკური ექსპერტიზის და შემდგომ არქეოლოგიის სპეციალობათა პრესტიჟული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების და არქეოლოგიური კადრების მომზადების საქმეში. მისი ხელმძღვანელობით მომზადდა და დაცულია რამდენიმე ათეული სამაგისტრო და სადოქტორო დისერტაცია, მოპოვებულია საქართველოს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტები.

გ. ინანიშვილის სასწავლო-მეთოდური მუშაობის შედეგების ერთი ნაწილი უკავშირდება გამოქვეყნე-

ბულ სახელმძღვანელოებს:

სიძველეთა ტექნიკური ექსპერტიზის საფუძვლები (2003 წ.).

მატერიალური კულტურის ძეგლების კონსერვაცია (2009 წ.).

ნაკეთობათა პროექტირება და შესრულება თერმული დამუშავების მინანქრის ტექნოლოგიით (2009 წ.).

მასალათმცოდნეობა გამოყენებით ხელოვნებაში (2014 წ.).

გ. ინანიშვილის უძველესი ქართული მეტალურგიის თემატიკის მნიშვნელოვანი პრიორიტეტული სამუშაოები დაკავშირებულია ს. ჯანაშიას საქართველოს ეროვნულ მუზეუმთან და ფ. თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტთან, სადაც მისი მონაწილეობით საგანგებო თემატიკით სრულდება არქეოლოგიური ლითონის თეორიულ-მეცნიერული, ისტორიულ-ტიპოლოგიური და ქიმიურ-ტექნოლოგიური ანალიტიკური ლაბორატორიულ-ექსპერიმენტული კვლევები.

ზემოაღნიშნულ სამეცნიერო დაწესებულებებში გატარებული დაუვიწყარი წლები, კოლეგებთან თანამშრომლობის პროფესიული საქმიანობა, მისთვის დიდად მნიშვნელოვანი და ძვირფასია, მისი მოღვაწეობისა და ცხოვრების განუყოფელი ნაწილია, რაც არსებითად აისახა არქეოლოგიისადმი მიძღვნილ საქართველოსა და უცხოეთში გამოქვეყნებულ ასამდე სამეცნიერო ნაშრომში.

ბატონი გივი 120-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორია, რომელ-

თაც კარგად იცნობს ჩვენი სამეცნიერო წრეები.

გ. ინანიშვილი ათეული წლების მანძილზე ეწეოდა საზოგადოებრივ საქმიანობას. 1980-1990-იან წლებში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის მეცნიერებისა და ტექნიკის ისტორიის საბჭოს მეტალურგიის სექციის ხელმძღვანელია; 1985-2005 წლებში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის სამეცნიერო და სადისერტაციო საბჭოების წევრი.

2001-2011 წლებში საქართველოს მეცნიერების ისტორიის საზოგადოების პრეზიდიუმის წევრი;

2000 წლიდან დღემდე. საქართველოს ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის იურიდიული მომსახურების საერთაშორისო ცენტრის სიძველეთა და სახვითი ხელოვნების ნიმუშთა ექსპერტია. ხოლო 2018 წლიდან დღემდე. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა

და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო და სადისერტაციო საბჭოების წევრი; არქეოლოგიისა და საქართველოს ისტორიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი.

ბატონ გივის ახლახანს 85 წელი შეუსრულდა. იგი ამ ასაკით ცხოვრობს კოლეგების, არქეოლოგიურ და მეტალურგიულ მეცნიერებათა ცნობილ სპეციალისტებსა და მეგობრებს შორის, გამსჭვალულია მათი პატივისცემითა და სიყვარულით, ამჟამად ღირსეულად უძღვება ცნობილი მეცნიერის, აწგარდაცვლილი ისტორიკოსის „აკად. ნანა ხაზარაძის სახელობის ისტორიის არქეოლოგიის ისტორიის მიმართულებას“. ბატონ გივის დიდ წარმატებებს და ხანიერ სიცოცხლეს ვუსურვებთ.

მაგრამ... როცა ამას ვწერდი. სრულიად მოულოდნელად, ბატონი გივი გარდაიცვალა 2022 წლის 15 სექტემბერს. ღმერთმა გაანათლოს და ცათა სასუფეველში დაუმკვიდროს მას მარადიული ბინა – ქართველთაკაცობის საპატიო-ნიშა.

ბ. ცხადაძე

GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

PARALELI

Literary-Scientific Journal

მთავარი რედაქტორი:

რევაზ მიშველაძე

სარედაქციო კოლეგია:

ირაკლი გაბისონია

ჯემალ გახოკიძე

დავით გურგენიძე

ვახტანგ დავითაია

მურმან თავდიშვილი

თამარ კიკნაძე

კარლო კოპალიანი

ჰენრი კუპრაშვილი

კოკა კუტუბიძე

დავით ოქიტაშვილი

ვაჟა პაპასკირი

სოსო სიგუა

(რედაქტორის მოადგილე)

არჩილ ფრანგიშვილი

რუსუდან ქუთათელაძე

ბადრი ცხადაძე

(პასუხისმგებელი მდივანი)

თემურ ჯაგოდნიშვილი

მეუფე ანანია ჯაფარიძე

EDITOR:

REVAZ MISHVELADZE

EDITOR STAFF:

IRAKLI GABISONIA

JEMAL GAKHOKIDZE

DAVID GURGENIDZE

VAKHTANG DAVITALA

MURMAN TAVDISHVILI

TAMAR KIKNADZE

KARLO KOPALLANI

HANRY KUPRASHVILI

KOKA KUTUBIDZE

DAVID OQITASHVILI

VAZHA PAPASKIRI

SOSO SIGUA

(DEPUTY EDITOR)

ARCHIL PHRANGISHVILI

RUSUDAN QUTATELADZE

BADRI TSKHADADZE

(EXECUTIVE SECRETARY)

TEMUR JAGODNISHVILI

ANANIA JAPARIDZE

LITERARY-SCIENTIFIC MAGAZINE OF THE BUSINESS-ENGINEERING FACULTY

ყდის დიზაინერი ვახტანგ დავითაია

კომპიუტერული უზრუნველყოფა ნანა დუმბაძე

ჟურნალი ხელმძღვანელობს კანონით პრესის შესახებ. გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. დაარსდა 1984 წელს, 2000 წლამდე გამოდიოდა წყვეტილად, აღდგა 2011 წელს

მისამართი: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი კოსტავას 77, VI კორპუსი, IX სართული, ოთახი 910ა ტელ.: 577 42 54 72; 597 09 21 48;

Editorial office address: GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY Tbilisi, Kostava 77;

E-mail: jurnali-paraleli@mail.ru



დაიბეჭდა გამომცემლობა „უნივერსალობი“

თბილისი, 0186, ა. ჰოლიბროუსაინის №4, ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30

E-mail: universal505@gmail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com